გ უ რ ი ა VI

გ უ რ ი ა

VI



საქართველოს ეროვნული აკადემია

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან
არსებული სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი
„ქართული კულტურული მემკვიდრეობის
შესწავლა და დაცვა“

გ უ რ ი ა

მხარის კვლევა–ძიების შედეგები

საიუბილეო გამოცემა

VI

კრებული ეძღვნება გურიის სამთავროს
დაარსების 525 წლისთავს

თ ბ ი ლ ი ს ი
2016

უაკ (UDC) 902 (479.222.4)
ს - 15

სერიალის რედაქტორი: აკად. **ნანა ხაზარაძე**
პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი

კრებული „გურია-VI ეძღვნება გურიის მხარეში 2008-2010 წლებში ჩატარებული კომპლექსური კვლევა-ძიების შედეგებს. წინასიტყვაობაში განხილულია ახალმშენებლობებისა და დაზვერვების პროცესში შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლები.

კრებულის პირველ ნაწილში „სტატიები“ ქვეყნდება ბოლო წლებში ჩატარებული სტაციონარული გათხრების შედეგები; გურიის მხარის სიძველეთა შესწავლის ისტორია; რეგიონში მოძიებული ზოგიერთი ტოპონიმის წარმომავლობის საკითხი, მუზეუმები და სამუზეუმო საქმე; მეორე ნაწილი ეძღვნება საარქივო მასალების პუბლიკაციას; მესამე ნაწილში „საცნობარო“ გურიის მხარის ძეგლების არასრული ნუსხა-ჩამონათვალია მოცემული; მეოთხე ნაწილი „თეორიული საკითხები...“ ქვეყნდება კოლხეთისა და საქართველოს სხვა რეგიონებში ჩატარებული კვლევის შედეგები.

ტომის რედაქტორები: ისტ. მეცნ. დოქტორი **ვაჟა სადრაძე**
ისტ. დოქტორი **მერაბ ძნელაძე**

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი **დიმიტრი ახვლედიანი**
ისტ. დოქტორი **ჯუანშერ ამირანაშვილი**

სარედაქციო კოლეგია: **ჯუანშერ ამირანაშვილი, ზურაბ გიორგაძე, კახა კახიანი, ვაჟა სადრაძე, ელგუჯა ღლიღვაშვილი, ბადრი ცხადაძე, მერაბ ძნელაძე, ნანა ხაზარაძე, თამარ ხოხობაშვილი, ლერი ჯიბლაძე.**

ნაშრომი მომზადდა „ქართულ ტაძარ-მონასტრების აღმშენებლობისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის“ ხელშეწყობით. ფონდის პრეზიდენტი ისტ. დოქტორი მ. ძნელაძე

კორექტორი **მარიამ სადრაძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **გრიგოლ გოდერძიშვილი**

© **ვაჟა სადრაძე, მერაბ ძნელაძე** 2016

© გამომცემლობა „მწიგნობარი“ 2016

ISSN 1512-3952

წინასიტყვაობა

„ყველამ გამოვილოთ წვლილი, დიდმა და პატარამ,
ერმა და ბერმა, განათლებულმა და გაუნათლებელმა!
გვეყო ამდენი გულგრილობა ჩვენი ძვირფასი ნაშთებისადმი!
მომავალი თაობა არ გვაპატიებს, თუ ეს ძეგლები
ჩვენ თვალწინ დაინგრევა“

ექვთიმე თაყაიშვილი

წინამდებარე კრებულში გურიის მხარის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კვლევის შედეგებია მოცემული.

ნაშრომის გამოცემა გაჭიანურდა, ამიტომ კრებულში შევიდა 2008-2010 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების მოკლე ანგარიშები. ზემოაღნიშნული მცირე მასშტაბის გათხრების შედეგად მეტ-ნაკლები სისრულით გაირკვა ცალკეულ მიკრორეგიონში არსებული ძეგლების ხასიათი და ფუნქციონირების ქრონოლოგიური ჩარჩოები. შედეგად, ბატონ პაატა კაჭარავას მეოხებითა და ფინანსური უზრუნველყოფით, გამოიცა სქელტანიანი გამოკვლევა „მიქაელ გაბრიელი“, რომელიც შრომის თემის (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) უძველეს, ძველ და თანამედროვე ყოფას მიეძღვნა.

დასრულდა მონოგრაფია „დვაბზუ“, რომლის გამოცემის მძიმე ტვირთი ხვიჩა საბაშვილის თავკაცობით, დვაბზუს მრევლმა და მისმა საძმომ თავის თავზე აიღო. კრებულში განთავსებული სტატია-გამოკვლევები გურიისა და ზოგადად კოლხეთის ძეგლების შესწავლას ეძღვნება. აქვე განხილულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეების შესწავლისადმი მიძღვნილი სტატიები, გურიის ძეგლების ნუსხა-ჩამონათვალი, სამუზეუმო საქმიანობა გურიის მხარეში, ხუროთმოძღვრებასთან დაკავშირებული ნაშრომები, კოლხეთ-იბერიის ურთიერთობის საკითხები, მილოცვები, რეცენზიები და სხვ.

Serial editor: Nana Khazaradze, Academician,
Georgian National Academy of Sciences.

The book deals with the results of complex researches carried out in Guria region in 2008-2010. There are discussed all the already explored sites uncovered during the new building activities and in the result of field prospecting. The first part of the book "Articles" includes the results of recent excavations, history of antiquities coming from Guria region, origins of local toponyms, information about provincial museums etc. The second part includes archival materials. The third part "References" includes an incomplete list of Gurian sites. The fourth part "Theoretical Problems" consists of the papers dealing with the materials obtained in the result of explorations in Colchis and other regions of Georgia.

Volume editors Vazha Sadradze, Doctors of History;
Merab Dzneladze, Doctors of History.

Reviewers Dimitri Akhvlediani, Doctors of History.
Juansher Amiranashvili, Doctors of History.

Editorial board - Juansher Amiranashvili, Lary Djibladze, Merab Dzneladze, Zurab Giorgadze, Elguja Ghlighvashvili, Kakha Kakhiani, Nana Khazaradze, Tamar Khokhobashvili, Vazha Sadradze, Badri Tskhadadze.

Редактор сериала - акад., профессор, Нана Хазарадзе.
Действительный член Национальной Академии Наук Грузии.

Сборник статей «Гурия VI» посвящается итогам комплексных изысканий проведенных в Гурии в 2008-2010 годах. В предисловии книги рассмотрены археологические памятники, которые были выявлены в местах новостроек и в результате разведывательных работ. Первая часть сборника «Статьи» включает в себе итоги стационарных раскопок, проведенных в последние годы, историю изучения древностей найденных в Гурии, вопрос происхождения некоторых топонимов, информацию о местных краеведческих музеях и т.д. Вторая часть посвящается архивным материалам. Третья, информационная часть, включает в себе неполный список памятников Гурийского региона. В четвертой части, «Теоретические вопросы», публикуются итоги научных изысканий проведенных в Колхиде и других частях Грузии.

Редакторы: Важа Садрадзе, дин; Мэраб Дзнеладзе, дн.
Рецензенты: Димитрий Ахвледиани, дин.
Джуаншер Амиранашвили, дн.

Редакционная коллегия: Джуаншер Амиранашвили, Зураб Гиоргадзе, Элгуджа Глигвашвили, Лэри Джибладзе, Мэраб Дзнеладзе, Каха Кахиани, Бадри Цхададзе, Важа Садрадзе, Нана Хазарадзе, Тамар Хохобашвили.

Preface

„It is high time that all of us, any grown up or a child, a secular or clergyman, enlightened or ignorant stop being indifferent and put his own efforts in an appropriate insurance of our precious and sacred relics. The posterity will never forgive us if these sites and monuments of anciency perish because of our indifference.“

Ekvtime Takaishvili.

The present collection of articles deals with the results of explorations of Guria region sites of cultural heritage.

Publication of the book had been protracted and this is why we included reports of archaeological surveys carried out in 2008-10 in it. The scholars have managed to fix the character and chronological scopes of the existing sites in the result of small scale excavations. With Mr. Paata Kacharava's financial assistance it has appeared possible to publish a solid book "Michael-Gabriel" dealing with the ancient, old and present everyday terms of Shroma (Ozurgeti municipality) community.

There has been completed one more book "Dvabzu" published with the closest assistance of the local parishioners and their friends guided by Mr. Khvicha Sabashvili. The book includes articles about Guria region and Colchis sites in general. Here are also the papers dealing with the study of Georgia's other regions' ancient history, a list of Guria's sites, activities of Guria's site museums, architectural characteristic of the region, problems connected with the contacts between Colchis and Iberian, congratulations to certain scholars, reviews etc.

ПРЕДИСЛОВИЕ

„Давно пора чтобы каждый из нас перестал быть равнодушным к великому прошлому нашей Родины. Каждый из нас, независимо от того стар или млад, верующий или неверующий, образованный или неграмотный, осознал сложившееся тяжелое состояние памятников старины и внес свою посильную лепту в деле сохранения и защиты столь дорогого нам всем исторического прошлого Грузии. В противном случае, грядущие поколения не простят Нам, если эти памятники древности погибнут при нас, перед нашими глазами и из-за нашего равнодушия.“

Эквтиме Такаишвили

Настоящий сборник статей посвящен итогам исследования памятников культурного наследия гурийского региона Грузии.

Издание книги затянулась и поэтому в ней вошли короткие отчеты археологических изыскании проведенных в Гурии в 2008-2010 годах. В результате вышеупомянутых раскопок малых масштабов археологам удалось определить характер и хронологические рамки памятников региона. С бескорыстной финансовой помощью г-на Пааты Качарава стало возможным издание книги «Микаел-Гавриил», которая посвящена древнему, старому и современному быту общины Шрома Озургетского муниципалитета.

Завершена монография «Двабзу» изданная с помощью сельских прихожан и церковного братства под руководством г-на Хвичой Сабашвили. Статьи, вошедшие в сборник, посвящены Гурии и изучению колхидских памятников. Туда входят также статьи посвященные, изучению разных регионов Грузии, перечень гурийских памятников, деятельность региональных краеведческих музеев, статьи об архитектурных особенностях края, вопросы взаимоотношений между Колхидой и Иберией, поздравления коллегам, рецензии и другое.

ნაწილი I

(სტატიები)

ვაჟა სადრაძე, მერაბ ძნელაძე, ელგუჯა ღლიღვაშვილი, ქთიტორი პაატა კაჭარავა

§ 1. სოფ. ხრიალეთის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ეკლესიის გათხრები 2008 წ.

2008 წ. ივნისში ოზურგეთის რ-ის სოფ.შრომის ხრიალეთის უბანში წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ეკლესიის ნანგრევების გარშემო და საკურთხევლის ტერიტორიაზე მცირე გათხრითი სამუშაოები ჩატარდა.*

წარმოებული გათხრების მიზანს** ეკლესიის აღსადგენი პროექტის შემუშავება წარმოადგენდა.***

ძეგლი დაბა ურეკიდან 10 კმ. დაშორებით,მდ.სუფსის მარცხენა ნაპირზე ბულთასგორის მოქმედი სასაფლაოს ტერიტორიაზე მდებარეობს (GPS - N42000,26.61; S41048,35.85).

ეკლესია XX ს. 40-50-იან წლებში ადგილობრივი ხელისუფლების დავალებით აუფეთქებიათ, ამიტომ ამჟამად ადგილზე მხოლოდ ნანგრევებიაშემორჩენილი (ტაბ. I-1,2; ტაბ.II).

საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრში წარდგენილი პროექტის საფუძველზე**** სამუშაოები ჩატარდა:

---

* მონაწილეობდნენ მ. ძნელაძე, მ. კვაჭაძე, ე. ღლიღვაშვილი, ზ. მჟავანაძე, ვ. სადრაძე.

** 2008 წ. 12-13 ივნისს არქიტექტორ-რესტავრატორის თხოვნითა და სპონსორის ხელშეწყობით შესრულდა ნაეკლესიარისა და მიმდებარე ტერიტორიის შესწავლა, რის საფუძველზედაც შეიქმნა გათხრების პროექტი.

*** ძეგლის აღდგენის მოთავე და დამფინანსებელი – პაატა (პანტელეიმონ) კაჭარავა; რესტავრატორ-არქიტექტორი ნ. ბაკურაძე; ხელოვნებათმცოდნე – გ. ჭანიშვილი.

**** პროექტი შემდგომში განიხილა საქართველოს კულტურის,ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან არსებულმა არქეოლოგიურმა კომისიამ (იხ. ნებართვა №18/08/2357)

ა) ეკლესიის გარეთა კედლების აღმოსავლეთ, სამხრეთ, აგრეთვე ნაწილობრივ ჩრდილოეთ და დასავლეთ მხარეს (ტაბ. III, IV).

ბ) ინტერიერში, საკურთხევლის მიმდებარე ტერიტორიაზე (ტაბ. III).

გ) ჩრდილოეთი კედლის გაყოლებაზე, სადაც დამატებით მესამე, ჩრდილოეთის კარი გამოვლინდა (ტაბ. III).

ა) აიგეგმა მიმდებარე ტერიტორია (ტაბ. II) და ეკლესიის გარშემო დავლრმავდით. დადაბლების შედეგად გამოიკვეთა ცოკოლი, რომელიც სამრიგად დაწყობილი თლილი ქვებითაა წარმოდგენილი (ტაბ. I,1,2; სურ. 1-4), ქვემოთ 0.35-0.45 მ. სიღრმეზე რიყის ქვების შემაგრებაც დადასტურდა. უშუალოდ შემაგრება დედაქანში (თირში) იყო ჩაჭრილი.

დადაბლების პროცესში ეკლესიის გარშემო მიცვალებულის ძვლების ფრაგმენტები, ჩრდ. დასავლეთ და ჩრდილოეთ მონაკვეთში მინის სანელსაცხებლე, მარსელისა და სხვა ტიპის კრამიტის ნატეხები და დიდი ზომის რკინის რამდენიმე ლურსმანი აღმოჩნდა.

ბ) ეკლესიის ინტერიერის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გვიან, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე სიმონ ქორიძე დაუკრძალავთ;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინტერიერის ამ ნაწილში დადაბლებისაგან თავი შევიკავეთ, რაც ადრევე პროექტის მომზადების პროცესშიც დაფიქსირდა (სურ. 1-4).

ძეგლის შესწავლის მიზნით ჩვენი ყურადღება საკურთხევლის ტერიტორიამ მიიპყრო.

ტაძრის იატაკიდან საკურთხეველი 11 სმ. ზემოთაა გამართული (პირველი „ზედა“ სამშენებლო დონე)*. ამბიონი, სოლეა და საკურთხევლის იატაკი 3-4 სმ. სისქის თეთრი კირხსნარითაა მოლესილი (სურ. 1-4).

საკურთხეველში პირველი სამშენებლო ფენის აღების შემდგომ 11-12 სმ. სისქის წვრილი ქვა-ღორღის ქვეშ, მეორე მოყვითალო-მოყავისფრო ფერის, 6-7 სმ. სისქის გაჯნარევი ფენა გამოვლინდა.

* სამშენებლო დონეები დაინომრა ზემოდან ქვემოთ (ვ.ს. და სხვ.).

ქვემოთ კიდევ ერთი, მესამე – იმავე ფერის გაჯნარევი, კარგად მოლესილი 7-8 სმ. სისქის იატაკი გაიწმინდა. ზემოალნიშნული ფენის ქვეშ დედაქანი დადასტურდა.

საყურადღებოა, რომ მეორე იატაკის დონეზე ეკლესიას შემაღლებული ამბიონი არ გააჩნდა. ზემოალნიშნულის დასტურია ის, რომ საკურთხევლისა და ტაძრის იატაკის დონეები ერთია.

ამავე იატაკთანაა დაკავშირებული ხის ძელის ნაშთი – კანკელის? ძირის ნაწილი (სისქე 11-12 სმ. სურ.1-4), რომელიც საკურთხევლის აღმოსავლეთი კედლიდან 180 სმ-აა დაშორებული.

ჩვენი აზრით, მეორე იატაკის დონეს უნდა ეკუთვნოდეს მესამე იატაკში ჩაჭრილი, ორმო-ღრმულებში გამოვლენილი მასალა (თიხის ჭურჭელი – ვერცხლის მონეტები, ვერცხლის ჯვარი, სარდიონისა და მინისებრი პასტის მძივები, მოხატული ბათქაშის ფრაგმენტები, რკინის ნივთის ნაწილი, სარქველი და სხვ.

საკურთხეველში, ტრაპეზის სვეტის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მეორე იატაკის დონეზე, ვერცხლის მონეტები, რკინის გაურკვეველი დანიშნულების ნივთი და ოსტეოლოგიური მასალა გამოვლინდა

აღსანიშნავია, რომ ქვის სანაყი, სასრესი და ობსიდიანის რეტუშირებული ლამელა დედაქანის დონეზე გამოვლინდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რომელიმე იატაკისადმი მათი კუთვნილება გამორიცხულად მიგვაჩნია.

ვფიქრობთ, ამ მასალის საფუძველზე, ზემოალნიშნულ გორაზე, უადრესი ნასადგომარის ან ნამოსახლარის ნაშთის არსებობა უნდა ვივარაუდოთ.

სრულად აღვწერთ იქ აღმოჩენილ არტეფაქტებს:

1. 50/16-I-1* – კოჭობი, ნაკლული, ასიმეტრიული, კეცი რუხი, ზედაპირი ღია-ყავისფერი, ფორმით მსხლისებრი, ძირი ფართო და

---

* 50 – გურიის არქეოლოგიური ექსპედიციის შიფრი, 5 – პუნქტის სახელწოდება, ამ შემთხვევაში - ს. შრომა (მიქელ-გაბრიელი), I უბანი; 1 ინვენტარის რიგითი ნომერი;

ბრტყელი, ნალარი და ნაჭდევი სახეები ამკობს. შემორჩენილი სიმაღლე – 8; დმ. ძირის – 6,5; კეცის სისქე – 0,5 სმ. (აღმოჩნდა პირველი, ზედა იატაკის აღების შემდეგ, 15 მ. სილრმეზე, კვ. F 4-ში).

2. ინვ. 2 – თ.ჭ. ძირ-გვერდის ფრაგმენტი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, ღია ყავისფრად გამომწვარი, კალთა მომრგვალებული, ქუსლი გამოყვანილი, ძირი ოდნავ შეზნექილი. ძირის დმ. 6; კეცის სისქე – 0,5-0,6 სმ. (აღმოჩნდა იქვე, კვ F4-ში).

3. ინვ. 3 – ქუსლიანი ჯამის ნაწილი, კეცი და ზედაპირი ყავისფერი,მსხვილმარცვლოვანი მინარევები ემჩნევა,ქუსლი მაღალია და მკვეთრად გამოყვანილი, ქუსლის დმ.=8, სიმაღლე – 2, კეცის სისქე – 0,6 სმ. (აღმოჩნდა იქვე, კვ. F 4-ში).

4. ინვ. 4 – ჯამის პირ-გვერდის ნატეხი, კეცი და ზედაპირი ყავისფერი, მსხვილმარცვლოვანი მინარევები ემჩნევა,ბაკო მრგვალი, პირი ოდნავ გადაშლილი, კალთა სწორი, კეცის სისქე – 0,7 სმ. (აღმოჩნდა იქვე, კვ. F 4-ში).

5. ინვ. 5 – თიხის ჭურჭლის ყურის ნაწილი რუხად გამომწვარი, ფორმის მიხედვით ჰორიზონტალ-ლურად უნდა ყოფილიყო მიძერწილი, ყური განივკვეთში ოვალურია, ნაჭდევი სახეები ამკობს, კეცის სისქე – 1,2 სმ. (აღმოჩნდა პირველი, ზედა იატაკის აღების შემდეგ, კვ. F 5-ში).

6. ინვ. 6 – მძივი, სარდიონის, ღია ყავისფერი, სფეროსებრი დმ. – 1,1 სმ. (აღმოჩნდა იქვე, კვ F 5-ში).

7. ინვ. 7 – მძივი, ნაკლული, პასტისებრი მინისა, ცისფერი, სფერული, ოდნავ ასიმეტრიული, დმ. – 1,1 სმ. (აღმოჩნდა იქვე, კვ. F 5-ში).

8. ინვ. 8 – მძივი, პასტის, ცისფერი ასიმეტრიული, ოდნავ კონუსისებრი, დმ – 0,7 სმ; (აღმოჩნდა იქვე, კვ. F 5-ში).

9. ინვ. 9 – სასმისის ნატეხი, მინის, ბაკო მრგვალი, მხარი ოდნავ გამოყვანილი, ძირისაკენ მომრგვალებული, პირს ქვემოთ თეთრი, წითელი და მწვანე ფერებით,გეომეტრიული და ყვავილოვანი

სახეებითაა შემკული; კეცის სისქე – 0,2 სმ. (აღმოჩნდა პირველი, ზედა იატაკის აღების შემდეგ, კვ. C 5-ში).

10. ინვ. 10 – სასმისის ნატეხი, მინის, მუცელი ოდნავ აქვს გამოყვანილი, მოწითალო, მწვანე და ლურჯი ფერის სახეებითაა შემკული; კეცის სისქე – 0,2 სმ. (აღმოჩნდა იქვე, კვ. C5-ში).

11. ინვ. 11 (ტაბ. V,1) – მინის ჭურჭლის ნატეხი, ეროზირებული, თეთრი ფერის, კეცის სისქე – 0,1 სმ. (ხის ძელის ნაშთის, კანკელის? ქვეშ).

12. ინვ. 12 (ტაბ. V,2) – რკინის გაურკვეველი დანიშნულების ნივთი, ოვალისებრი ფორმის, ძლიერ კოროზირებული, თავები დაბრტყელებული აქვს, ერთ მხარეს სამანჭვლე ლურსმანი აქვს შემორჩენილი, დ,=5-6 სმ. (აღმოჩნდა ხის ძელის ნაშთთან, კანკელი?, კვ. F 6-ში).

13. ინვ. 13 (ტაბ. V,3) – ლამელა, მღვრიე წყლის ფერი, წარმოადგენს წაგრძელებული ფორმის გვერდებ-რეტუშირებულ იარაღს, სიგრძე – 3,3, სიგანე – 1,1, სმ. (აღმოჩნდა დედაქანის დონეზე, 0.35 მ. სილრმეზე, კვ F 4-ში).

14. ინვ. 14 (ტაბ. V,4) – მანჭვალი, რკინის, ასიმეტრიული, დამზადებულია რკინის ღეროს დაბრტყელებითა და შემოგარსვით; სიგრძე – 4 სმ. (აღმოჩნდა პირველი იატაკის აღების შემდეგ, კვ. E6-ში).

15. ინვ. 15 (ტაბ. V,5) – დანის ნატეხი, რკინის, ძლიერაა კოროზირებული, შემორჩენილი ნაწილის სიგრძე – 4,2, სისქე – 0,4 სმ. (აღმოჩნდა იგივე დონეზე, კვ. E5-ში).

16. ინვ. 16 (ტაბ. V,6) – რკინის დანის ყუნწის ნაწილი, ძლიერაა კოროზირებული, სიგრძე – 4,3 სმ. (აღმოჩნდა იქვე, კვ. E5-ში).

17. ინვ. 17 (ტაბ. V,7) - მინის გაურკვეველი დანიშნულების ჭურჭლის ნაწილი, თეთრი, ეროზირებული, სისქე – 0,1 სმ. (აღმოჩნდა იმავე დონეზე, კვ. D5-ში).

18. ინვ. 18 (ტაბ. V,8) – სარკმლის მინის ფრაგმენტები, (5 ნატეხი), შავად ეროზირებული, თავდაპირველად თეთრი ფერის უნდა ყოფილიყო, სისქე – 0,1 სმ. (აღმოჩნდა ხის ძელის ნაშთის, კანკელის? ქვეშ, კვ. F 6-ში).

19. ინვ. 19 (ტაბ. V,9) – ბათქაში, მოხატული, კირხსნარზეა დამზადებული, მწვანე ფერის (2 ნატეხი), სისქე – 1,1 სმ. (აღმოჩნდა იმავე დონეზე, კვ F5-ში).

20. ინვ. 20 (ტაბ. V,10) – ბათქაში, მოხატული, კირხსნარზეა დამზადებული; მომწვანო-მოწითალოდაა შეღებილი (2 ნატეხი), სისქე – 1,1 სმ. (აღმოჩნდა იმავე დონეზე, კვ. F 6-ში).

21. ინვ. 21 (ტაბ. V,11) – ბათქაში, მოხატული, კირხსნარზეა დამზადებული, შეღებილია ვარდისფრად (5 ნატეხი), სისქე – 1,1 სმ. აღმოჩნდა იგივე დონეზე, კვ. D 5-ში).

22. ინვ. 22 – ბეჭდის თვალი, პასტის, ცისფერი, ეროზირებული, ნახევრად სფერული, დმ – 1 სმ. (აღმოჩნდა იმავე დონეზე, კვ. E 5-ში).

23. ინვ. 23 – ჯვარი ოდნავ დაზიანებული, დამზადებულია ვერცხლის თხელი ფირფიტისგან; ნახვრეტი აქვს დატანილი; სიგრძე – 2, სიგანე – 1,9 სმ. (აღმოჩნდა იმავე დონეზე, კვ. F 4-ში).

24. ინვ. 24 – სარქველი? ვერცხლის, ოდნავ დეფორმირებული, წარმოადგენს წრეს, გარედან ლათინური წარწერით, ხოლო შიდა სივრცე წარმოდგენილია მოყვითალო ფერის ვაშლისა და ადამიანის თავის ქალის რელიეფური გამოსახულებებით, წარწერა პოზიტიურია; დმ – 4,2, სიმაღლე – 0,6 სმ. (აღმოჩნდა იმავე დონეზე, კვ. F 5-ში).

25. ინვ. 25 – როდინი, ქვისა, ფორმით ასიმეტრიული, შიდა სივრცე კვევრითაა ამოღებული, სიმაღლე – 7 სმ., დმ – 10 სმ. (იატაკების ქვეშ, დედაქანში, კვ. D 5-ში).

26. ინვ. 26 სანაყი – ქვისა, სიგრძე – 6,5, დმ-6 სმ. (იმავე დონეზე, კვ. D5-ში).

სხვა არტეფაქტებთან ერთად, საკურთხევლის სხვადასხვა დონეზე კვ. C5, D4-5, E5, .k4-5 და C 5 პირველი (ზედა) იატაკის ქვეშ 69 ცალი მონეტა აღმოჩნდა (მონეტები განსაზღვრა პროფ. ი. ჯალაღანიამ).

27-35. ინვ. 27-35 – ტრაპიზონური ასპრი ალექსი III (1349-1390 წწ.) ან მანუალ III (1380-1414) ან ალექსი IV (1349 – 1447 წწ.) XIV-XV სს (ცხენის გამოსახულებით).

36-40. ინვ. 36-40 – თურქული აყჩა, სულთანი მურად IV (1623-1640)

41. ინვ. 41 – ტრაპიზონული XV ს. AR. ცხენოსნის გამოსახულებით.

42. ინვ. 42 – თურქული აყჩა XV ს. AR.

43. ინვ. 43 – კირმანეული, მანუელ I (1238-1263)

44. ინვ. 44 – ოსმალური აყჩა, მაჰმედ II (ჰ. 1223-1253, 1808-1839) ქ. კონსტანტინოპოლი.

45. ინვ. 45 – აბდლ-ალ-მაჯიდ I,1859-1861, კონსტანტინოპოლი

46-70. ინვ. 46-70 (ტაბ.VI,1-10) – XIV ს. თურქული აყჩები, სულ 25 ცალი, 4.35 გრ.

71-96. ინვ. 71-96 (ტაბ.VI,11) – XV ს. თურქული აყჩები, 26 ცალი, საერთო წონა 4.30 გრ.

97. ინვ. 97 (ტაბ. VI, 12) – კოლბა მინის, გამჭვირვალე, ბაკომრგვალი, პირი მკვეთრადაა გადაშლილი, ყელი მაღალი, ტანიცილინდრული,ოდნავ ასიმეტრიული,ძირი მკვეთრად შეზნექილი, ყალიბშია ჩამოსხმული; სიმაღლე – 12; დმ. პირის –2,2, მუცლის – 2,5, ძირის – 2,3 სმ. (აღმოჩნდა კვ. 11-ში, ზედაპირიდან 0.3 მ. სიღრმეზე, ნაყარში).

98. ინვ.98 ((ტაბ. VI,13) – თ.ჭ. ძირის ნატეხი, კარგად განლექილითიხისგანაა დამზადებული; ძირი ოდნავ შეზნექილი აქვს, ფსკერი გოფრირებული, მოვარდისფრო-კრემისფრადაა მოჭიქული; კეცის სისქე – 0,4 სმ. (აღმოჩნდა კვ. F 2-ში 0.3 მ. სიღრმეზე).

99. ინვ. 99 – კრამიტის ნატეხი, ე.წ. „მარსელიდან“ ვარდისფრადაა ამომწვარი; კეცის სისქე – 1,2 სმ.

100. ინვ. 100 – კრამიტის ნატეხი, ე.წ. „მარსელიდან“ გამომწვარია ვარდისფრად, კეცის სისქე – 1,2 სმ.

101. ინვ. 101 – კრამიტის ნატეხი, ე.წ. „მარსელიდან“, გამომწვარია ვარდისფრად; კეცის სისქე – 1,2 სმ. (ტაძრის ჩრდილოეთით თხრილში).

102. ინვ. 102 – კრამიტის ნატეხი, ე.წ „მარსელიდან“, გამომწვარია ვარდისფრად; კეცის სისქე – 1,2 სმ. (აღმოჩნდა თხრილში, კვ. A10-ში).

103. ინვ. 103 (ტაბ. VII, 1) – კრამიტის ფრაგმენტი, ბრტყელი, აკეცილი გვერდისა და ზურგის ნაწილი, მორუხო - მონაცრისფრო, აკეცილი გვერდის სიმაღლე – 4,2; კეცის სისქე – 1,5 – 1,8 სმ. (აღმოჩნდა კვ. A6-ში, 0.35 მ.სიღრმეზე).

104. ინვ. 104 (ტაბ.VII,2) – თ.ჯ. ძირ-გვერდის ნატეხი, რუხად გამომწვარი, კეცის სისქე – 1,1, სმ. (აღმოჩნდა კვ. C2-ში, ნაყარში, 0.20 სმ. სიღრმეზე).

105. ინვ. 105 (ტაბ.VII,3) – ლურსმანი, რკინის, დეფორმირებული, განივკვეთში ოთხკუთხა,თავი სოკოსებრი,წვერისკენ თანდათანობითაა შევიწროებული, სიგრძე – 17 სმ. (ნაყარ ფენაში, კვ. E 11).

106. ინვ. 106(ტაბ.VII,4) – ლურსმანი,რკინის,დეფორმირებული, განივკვეთში ოთხკუთხა, სიგრძე 16,5 სმ. (ნაყარ ფენაში, კვ. N11).

107. ინვ. 107 (ტაბ.VII,5) – ლურსმანი,რკინის,დეფორმირებული, შედარებით უკეთაა დაცული, განივკვეთში ოთხკუთხა, ღერო წვერისკენ თანდათანობით ვიწროვდება; სიგრძე – 14 სმ; (ნაყარ ფენაში, კვ. N11).

108. ინვ. 108 (ტაბ. VII,6) – ლურსმანი,რკინის დაზიანებული, განივკვეთში ოთხკუთხა, ღერო წვერისკენ თანდათანობით ვიწროვდება; სიგანე – 14,2 სმ. (ნაყარ ფენაში, კვ. F 11).

109. ინვ. 109 (ტაბ. VII,7) – ბათქაში,კედლის შელესილობის ფრაგმენტი, მსხვილმარცვლოვანი მინარევები ემჩნევა, აქა-იქ რიყის

ქვის ზომის კენჭები და აგურის ნატეხებია ჩართული, ზედაპირი მოგლუვებულია; ბათქაშის სისქე – 2,5 სმ. (პირველი იატაკის ქვეშ – 0,15 მ. სილრმეზე).

110. ინვ. 110 – ქვევრის გვერდის ფრაგმენტი, ჩალისფრად გამომწვარი, მსხვილმარცვლოვანი მინარევები ემჩნევა, ზედაპირს რელიეფური სარტყლები შემოუყვება; კეცის სისქე – 1,5 სმ. (აღმოჩნდა ტაძრის ქვედა ტერასაზე, სამხრეთ – დასავლეთ ნაწილში).

111. ინვ. 111 – ქვევრის ნატეხი, ვარდისფრად გამომწვარი, მაღალი სარტყელი და ირიბი კონცენტრული ზოლები ამკობს, კეცის სისქე – 1,6 სმ. (აღმოჩნდა ქ. გობეჩიას ეზოში).

112. ინვ. 112 – ქვევრის გვერდის ნაწილი, მოვარდისფროდ გამომწვარი, ნაჭდევი სახეებით შემკული სარტყელი შემოუყვება, კეცის სისქე – 1,5 სმ. (აღმოჩნდა ქ. გობეჩიას ეზოში).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტაძარი 1949 წელს აუფეთქებიათ, ამიტომ ამჟამად საკულტო ნაგებობა ნანგრევების სახითაა შემორჩენილი (სურ.1-4).

დარბაზული ეკლესია (სიგრძე – 8,3 , სიგანე – 6,5მ.) ნაგებია სხვადასხვა ზომის ვერტიკალურად აღმართული ქვიშაქვის თხელი კვადრების პერანგით და შიდა სივრცე შევსებულია წვრილი ქვითა და კირ-ხსნარით. (კედლის სისქე ცოკოლთან – 1.20 სმ. ზემოთ 0.85 სმ).

ცოკოლი სამ რიგად დაწყობილი იმავე ჯიშის კარგად დამუშავებული კვადრებითაა წარმოდგენილი. (სურ. 1,2).

ეკლესია გეგმარებით წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმისაა (ტაბ. II-IV; სურ. 1,2) ინტერიერის აღმოსავლეთით ნახევრადწრიული აბსიდაა დატანილი.

აბსიდას ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო მომრგვალებული ნიშა აქვს გამოყვანილი. თვით აბსიდა დარბაზისაგან მოკლე შვერილებითაა გამოყოფილი (ტაბ. II-IV).

შესასვლელი კარი ისევე, როგორც „კონჭკათის“[1], ქარზამეთის[2], გავეთისა[3] და სხვა ანალოგიური გეგმარების ეკლესიებში – დასავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებშია დატანილი (ტაბ. 2-4).

საყურადღებოა, რომ მოგვიანებით, ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში არსებული კარი ამოუშენებიათ (სურ. 1, 2).

უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად, ამ ტიპის ძეგლების ზუსტი დათარიღება საკმაოდ პრობლემატურია.

ერთნავიან ეკლესიათა ქრონოლოგიური და გეოგრაფიული გავრცელების არეალი ფართოა. იგი მოიცავს როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რეგიონებს. 6-7

ამიტომ კონკრეტულად წმ.ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის დათარიღებისთვის, საკურთხეველში დადასტურებულ ნუმიზმატიკურ მასალას (მონეტებს) უნდა დავეყრდნოთ.

ეკლესია წინასწარულად ადრეული ჯგუფის მონეტების საფუძველზე XIII-XIV საუკუნეებში უნდა იყოს აგებული. სავარაუდოდ, სალოცავი ფუნქციონირებას XVII – XIXსს. აგრძელებს, ხოლო XXს. 40-50-იან წლებში ბოლშევიკების ბრძანებით აუფეთქებიათ.

შენიშვნები და ლიტერატურა:

1. მ. აბაშიძე, საქართველოს ისტ. კულტურისა და ბუნებრივი ძეგლები, პასპორტი 1982 წ.

2. ვ. აბაშიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება XIII-XVI საუკუნეები, თბ. 1955, გვ. 188.

3. ვ. ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბ., 1994, გვ. 181.

4. ვ. დოლიძე, კაზრეთის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, ქართული ხელოვნება, სერია – ძველი ხელოვნება, თბ., 1987, სურ. 2.
5. ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.175.
6. ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.175-176.
7. ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 179-188.

Vazha Sadradze, Merab Dzneladze,
Elguja Ghlighvashvili, Ktetor Paata Kacharava

Archaeological excavations at the Church of St Andria the Pillar Apostle At Khrialeti Village in 2008

Summary

Small scale archaeological excavations had been carried out at Khrialeti village (Ozurgeti municipality) in 2008. The team explored St Andria Pillar Apostol's Church and the area around it. In the result the church is ready for the further restorations.

Важа Садрадзе, Мэраб Дзнеладзе,
Элгуджа Глигвашвили, Ктитор Паата Качарава

Раскопки церкви Св. Андрея Первозванного в селе Хриалети

Резюме

В 2008 году в селе Хриалети (Озургетский муниципалитет), на территории церкви Святого Андрея Первозванного были проведены раскопки скромных масштабов. В результате был изучен упомянутый храм и подготовлен для последующих восстановительно-реставрационных работ.

სურ. 1

სურ. 2








1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11

1 2 3 4 5 6 7 8 9



10

11



12



13



1

2



3 4 5 6

7

ვაჟა სადრაძე, მერაბ ძნელაძე, ლევან ლაცაბიძე,
ელგუჯა ღლიღვაშვილი, ზურაბ გიორგაძე

§2. არქეოლოგიური გათხრები სოფ. დვაბზუში, „უსახელო“ ეკლესიის ტერიტორიაზე 2010 წ.

2010 წ. აგვისტოში, ოზურგეთის რაიონის სოფელ დვაბზუში, უსახელო ეკლესიის ნანგრევებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე (ტაბ. I,1-6) მცირე გათხრითი სამუშაოები ჩატარდა*.

გათხრების მიზანს ეკლესიის აღსადგენი პროექტის შემუშავება წარმოადგენდა.

ძეგლი ოზურგეთი-ჩოხატაურის გზის მესამე კმ-თან, ვაჟა მახარაძის სათხილე-სანახებში მდებარე ეკლესია ადრეა დაზიანებული, ნანგრევებში თხმელისა და ლელვის 50-60 წლიანი ხეები იყო ამოსული (ტაბ. II,1-4).

საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრში წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო:

ა) ეკლესიის გარშემო.

ბ) ინტერიერში და საკურთხევლის მიმდებარე ტერიტორიაზე.

გ) სტრატიგრაფიის დადგენის მიზნით, საკურთხევლის სამხრეთ და აღმოსავლეთ კედლებთან სადაზვერვო თხრილები უნდა გაჭრილიყო.

დ) დასავლეთი და სამხრეთი კედლებისა და კარებების გამოვლენა – დაზუსტებისთვის.

გათხრების წინმსწრებად აიგეგმა შესასწავლი ტერიტორია. ძეგლი ნანგრევებისაგან გაიწმინდა. ძირფესვიანად მოითხარა სალოცავის ტერიტორიაზე ამოსული ხეები. გაიწმინდა ინტერიერი, დაზუსტდა ეკლესიის გეგმა (ტაბ. III).

---

* მონაწილეობდნენ; ვ. სადრაძე (ხელმძღვანელი), მ. ძნელაძე (არქეოლოგი) ლ. ლაცაბიძე (მხატვარ-არქიტექტორი), ხ. საბაშვილი (მენეჯერი).

ძეგლი წაგრძელებული ოთხკუთხედის გეგმარების დარბაზულ ეკლესიას წარმოადგენს, რომელიც დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის სიგრძივ ღერძზე (ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ გარკვეული გადახრით). ტაძარი შვერილ-აბსიდიანია (სიგრძე – 10,5, სიგანე – 7, შემორჩენილი სიმაღლე – 1,7მ.). აბსიდის მკლავები (სიგრძე – 2,2 მ.) გეგმაში გარედან სწორ, ხოლო შემდგომ გაშლილ რკალს ქმნის; შიგნიდან საკურთხეველი მკვეთრად ნალისებრია.

ოდნავ წაგრძელებული ოთხკუთხედის გეგმარების მქონე დარბაზი (სიგრძე – 6,6 მ., სიგანე – 7 მ.) აბსიდაზე გადაბმის გარეშეა მიდგმული. იგივეს ვადასტურებთ დარბაზის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე შუა ნაწილში მიდგმული გადახურვის მზიდი სვეტებისა და კანკელის ნაშთის მაგალითზეც.

შესასვლელი კარები დასავლეთისა და სამხრეთის კედლებშია გამართული (ტაბ. V,1; ტაბ. VI,1). ქვის ზღურბლზე კარებისათვის განკუთვნილი ჩასადგმელ-დასამაგრებელი ღრმულებია ამოკვეთილი. დარბაზი საკურთხევლისგან (შედარებით გვიან აგებული) გადაბმის გარეშე მიდგმული 0,5 მ. სიგანის კანკელითაა გამოყოფილი (შემორჩენილი სიმაღლე – 0,7 მ.).

საკურთხეველში და დარბაზის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ჩაქცეული გადახურვის ნაშთები გამოიყო.

ამ მონაკვეთებში გაიწმინდა გადახურვის ქვის ცალკეული ბლოკები,ქვევრისა და ბრტყელი აგურის შედუღაბებული ფრაგმენტები (ტაბ. II,3,4). იგივე შეიძლება ითქვას ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეზეც, სადაც ბოლნური ჯვრის გამოსახულებიანი, კარგად დამუშავებული ქვის ბლოკი აღმოჩნდა (ტაბ. I,3).

საკურთხეველში სატრაპეზო მაგიდის ქვის ფილა, ქვებითვე ამოყვანილი მაგიდა და გადახურვის – კამარის კარგად დამუშავებული ქვები გაიწმინდა (ტაბ. II,4).

როგორც აღინიშნა, დარბაზის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იატაკის დონეზე? (იატაკი დაზიანებული იყო) კარების ზღურბლისთვის განკუთვნილი ღრმულებია ამოკვეთილი. ქვის

ბლოკები, სვეტის ძირი და ცალკეული სამშენებლო ნაწილები (ტაბ. III) დადასტურდა.

ეკლესიის თავისებურების გამო, ცალკეული ნაწილის კავშირ-ურთიერთობის დადგენის მიზნით (აბსიდა აშკარად გამოიყოფა, დარბაზის კედლების მშენებლობის ტექნიკისგან, ძეგლის ცალკეული ნაწილი ხასიათდება გარკვეული ავტონომიურობით, არ ჩანს მათ შორის გადაბმის კვალი) საკურთხევლისა და დარბაზის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გაკეთდა თხრილები. გავლებულ თხრილებში დამატებითი ინფორმაცია ტაძარზე ვერ მოვიპოვეთ.

ერთი აშკარაა, ჩრდილო-დასავლეთ კედლის კუთხეში ჩადგმული, დაბალი დეკორით შემკული მოზრდილი ბლოკი (ტაბ. II,4), იქ წარმოდგენილი წყობისათვის უცხოა, ჩვენი აზრით, ანსამბლში ვერ ჯდება (არის განსხვავებული აზრიც). არაა გამორიცხული, რომ შედარებით გვიან ნაგებობა გადაკეთდა (ამაზე მიგვანიშნებს ა) ნავის კარგად დამუშავებული პერანგი, რომლისგანაც მკვეთრად განსხვავდება დარბაზის გარეთა კედლების წყობა; ბ) სვეტების კარგად დამუშავებული ქვედა და ზემოდან დაშენებული რიყის ქვითა და კირხსნარით, უხეშად ნაგები ზედა ნაწილები; გ) იგივე შეიძლება ითქვას ბოლნური ჯვრის გამოსახულებიან ბლოკზე (მეორადი გამოყენება, თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც) და სხვა სამშენებლო ნაწილებზე, რომლებიც ნავის პერანგში ჩართული ქვების იდენტურია. ყოველ შემთხვევაში, ტაძარს სწორგვერდებიანი აბსიდა, ბოლნური ჯვარი, ორნამენტირებული ფუნდამენტის ქვა, ბრტყელი აგურების ცალკეული ტიპი, ადრეშუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი ამფორისა და ქვევრების ნატეხები V – VI სს. ათარიღებს.

ძეგლის შემდგომი გადაკეთებისა და აღდგენის თარიღი მოპოვებული მწირი მასალების საფუძველზე ძნელი დასადგენია.

ადგილობრივი მაცხოვრებლების გადმოცემით, ეს ეკლესია მათი წინაპრების დროსაც კი არ ფუნქციონირებდა. სწორედ ამ ეკლესიის ნანგრევებიდან უნდა მომდინარეობდეს ვერძის თავის გამოსახულებიანი არქიტექტურული დეტალები, რომლებიც ეკლესიის საფასადო კედელში იქნებოდა ჩართული.

ვიძლევით მასალის აღწერილობას:

მოპოვებული არტეფაქტების აღწერილობა:

1. 50/17-I,ინვ.1* - ქოთნის ძირ-გვერდისა და მუცლის ნაწილი (ტაბ. VII,1),მოწითალო-ღია-ყავისფრად გამომწვარი; ბრტყელ ძირს დაბალი ქუსლი შემოუყვება. ძირის დმ.-7,5; კეცის სისქე –0,4 სმ.

2. ქოთნის პირ-ყელისა და ყურის ნაწილი (ტაბ. VII,2), ჩალისფრად,ალაგ შავად გამომწვარი; ბაკო ბრტყელი,პირი მკვეთრად გადაშლილი, ყელი დაბალი, გამოყვანილი, მუცელი ბირთვისებრი, განივკვეთში ოვალური შვერილი მხარზეა მიძერწილი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

3. ქოთნის პირ-ყელის ნატეხი (ტაბ. VII,3),რუხად გამომწვარი; ბაკო მრგვალი, პირი მკვეთრად გადაშლილი, ყელი დაბალი, ოდნავ გამოყვანილი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

4. თიხის ჭურჭლის ყურის (შვერილის) ნაწილი (ტაბ. VII,4), მორუხო-მოყავისფროდ გამომწვარი; განივკვეთში ოვალური, ზემოდან ასიმეტრიული ნახვრეტი აქვს დატანილი. სისქე – 3 სმ.

5. ამფორის ქუსლის ნაწილი (ტაბ. VII,5) ღია-ყავისფრად გამომწვარი, ასიმეტრიული, ქუსლი მკვეთრადაა გამოყვანილი. ქუსლის დმ. – 6 სმ.

5(1). ამფორის პირ-ყელის ნატეხი (ტაბ. VII,5),ღია-ყავისფრად გამომწვარი; ბაკო მრგვალი, პირი დაბალი, ოდნავ გამოყვანილი. განივკვეთში მრგვალი ყური ყელზეა მიძერწილი, ყურს ზემოდან დაბალი ნაღარი სახეები ამკობს. კეცის სისქე – 0,6 სმ. (სავარაუდოდ, ინვ.5-ს უნდა ეკუთვნოდეს).

6. კოჭობის პირ-ყელისა და მხრის ნატეხი (ტაბ. VII,6), რუხად გამომწვარი, ბაკო მრგვალი, პირი მკვეთრად გადაშლილი, ყელი დაბალი-ჩაღარული. კეცის სისქე – 0,5 სმ.

---

* 50 – გურიის არქეოლოგიური ექსპედიციის შიფრი, 5 – პუნქტის სახელწოდება, ამ შემთხვევაში - ს. შრომა, I უბანი; 1 ინვენტარის რიგითი ნომერი;

7. თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ტაბ. VII,7), ყავისფრად გამომწვარი, ძირი ბრტყელი. კეცის სისქე – 0,9 სმ.

8. ქოთნის პირ-ყელისა და მუცლის ნაწილი (ტაბ. VII,8), კეცი რუხად გამომწვარი; ბაკო ბრტყელი, პირი ფართოდ გადაშლილი, ყელი დაბალი, გამოყვანილი, მუცელი მრგვალი. მხარზე ფართო ღარი შემოუყვება. კეცის სისქე – 0,5 სმ.

9. ქვევრის პირ-ყელის ნატეხი (ტაბ. VIII,1), ყავისფრად გამომწვარი; ბაკო მრგვალი, ზემოდან დაბრტყელებული, ყელი დაბალი, გამოყვანილი. ზემოდან თითის ანაბეჭდი ამკობს. კეცის სისქე – 2,1 სმ.

10. ქვევრის პირ-ყელის ნატეხი (ტაბ. VIII,2), ღია-ყავისფრად გამომწვარი; ბაკო მრგვალი,პირი ზემოდან დაბრტყელებული,ნაღარი სახეები ამკობს. კეცის სისქე – 45 სმ.

11. ქვევრის პირ-ყელის ნატეხი (ტაბ. VIII,3), ყავისფრად გამომწვარი, ნაღარი სახეები ამკობს. კეცის სისქე – 2 სმ.

12. ქვევრის პირ-ყელისა და მხრის ნატეხი (ტაბ. VIII,4), ღია-ყავისფრად გამომწვარი; ბაკო მრგვალი,პირი დაბრტყელებული,ყელი დაბალი, გამოყვანილი. ყელს ქვემოთ რელიეფური სახე შემოუყვება. პირზე ნაკაწრი სახე აქვს დატანილი. კეცის სისქე – 2,6 სმ.

13. აგურის ნატეხი (ტაბ. VIII,5), ღია-ყავისფრად გამომწვარი, ზედაპირზე მწვანე ფერის ჭიქური აქვს დატანილი. სისქე – 7 სმ.

14. ქვევრის ძირის ნატეხი (ტაბ. VIII,6), ღია-ყავისფრად გამომწვარი. დმ.-8, კეცის სისქე – 1,5 სმ.

15. ქვევრის ძირის ნატეხი (ტაბ. VIII,7), ღია-ყავისფრად გამომწვარი. ქუსლი ოდნავაა გამოყვანილი. კეცის სისქე – 2,5 სმ.

16-21. თიხის აგური (6 ცალი, ტაბ. IX,1-6), ბრტყელი, ოთხკუთხედის ფორმის. სიგრძე –19 - 23, სიგანე –16-20 , სისქე – 2,5-3,5 სმ.

22-29. ქვის არქიტექტურული დეტალები (ტაბ. IX,7-15), დაზიანებული, სხვადასხვა ზომის.

30. ქვის არქიტექტურული დეტალი (ტაბ. IX,16), ბოლნური ჯვრის, რელიეფური გამოსახულებით. სიგრძე –80, სიგანე – 65, სისქე – 35 სმ.

31. ქვის არქიტექტორული დეტალი (კარის? სარკმლის? ტაბ. IX,17). სისქე – 15 სმ.

32. სატრაპეზო მაგიდის ზედა ქვა (ტაბ. IX,18). სიგრძე – 75, სიგანე – 40, სისქე -20 სმ.

33. სატრაპეზო მაგიდის ქვედა ნაწილი (ტაბ. IX,19). სიგანე – 40, სიმაღლე 32 სმ.

34. ქვის ბაზა. სიგრძე – 30, სიგანე – 21, სიმაღლე – 20 სმ.

35-36. ვერძის რელიეფურგამოსახულებიანი ქვის არქიტექტურული დეტალები (ტაბ. IX,19,20). ამჟამად ინახება ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტაძარი არქაულია, მთელი რიგი ნიშნების მიხედვით, იგი V-VI სს. თარიღდება (გარეთ გამოწეული, დარბაზის კედლების შიდა მხრებთან ჩადგმული დაკუთხული ნალისებური ფორმის აფსიდა, თაღის რელიეფური ე.წ. ბოლნურ ჯვრიანი ჩამკეტი ქვა, კერამიკის ფრაგმენტები). ემჩნევა გვიანდელი გადაკეთების კვალი.

ძეგლის აღდგენის შემთხვევაში, აბსიდისა და დარბაზის დამატებითი შემაგრება იქნება საჭირო. იგივე შეიძლება ითქვას სვეტებისა და ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთის კუთხის გამაგრების აუცილებლობიდან გამომდინარე. ბუნებრივია, გადამწყვეტი სიტყვა კონსტრუქტორსა და რესტავრატორს ეკუთვნის.

Merab Dzneladze, Vazha Sadradze, Elguja Ghlighvashvili, Levan Latsabidze, Zurab Georgadze

Archaeological Excavations at Dvabzu Village "Usakhelo" Church Yard in 2010

Summary

Small scale archaeological excavations had been undertaken within the territory of "Usakhelo" (Nameless) church at Dvabzu village in 2010.

There were uncovered remains of the church with a straight-sided apse. A Maltese like Cross, an ornamented foundation slab, a sculpture of sheep's head, flat brick of clay, fragments of an amphora and a clay cistern characteristic to the Early Medieval period. The Church is dating from the 5th-6th centuries.

Мэраб Дзнеладзе, Важа Садрадзе, Элгуджа Глигвашвили, Леван Лацабидзе, Зураб Георгадзе

Археологические раскопки на территории церкви «Усахело» села Двабзу в 2010 году

Резюме

В 2010 году, в селе Двабзу на развалинах церкви «Усахело» были проведены археологические раскопки малых масштабов. В результате были выявлены остатки церкви с прямоугольной абсидой. Были найдены так называемый болнисский крест, хорошо оттесанный и орнаментированный каменный блок фундамента, скульптура головы барана, плоские глиняные кирпичи, фрагменты амфоры и глиняного сосуда для хранения вина (квеври) характерные для периода раннего средневековья. Церковь датируется V-VI веками.

სურ. 1

სურ. 2

სურ. 1

სურ. 2

სურ. 1

სურ. 2

სურ. 1

სურ. 2

სურ. 1

სურ. 2


II
N
250 cm
200
150
100
50
0
I
I
II

ჭრილი I-I



ნახ. 1

ჭრილი II - II



ნახ. 2


სამხრეთის ფასადი
+ 175
- 15
+ 110
+ 105
+ 50
+ 130
+ 95
+ 25
+ 86
+ 110
+ 130
+ 170
+ 150
- 50

ნახ. 1


- 15
+ 70
+ 110
+ 90
+ 45
+ 60
8.5
+ 75
- 15
0 1 2 3 4 5 მ

ნახ. 2


ჩრდილოეთის ფასადი
+110
+90
+85
+58
+30
+98
+130
+150
-10
-45

ნახ. 1


აღმოსავლეთის ფასადი
+130
+50
+75
0.00
+110
-15
0
1
2
3
4
5 მ

ნახ. 1


1
2
3
4
5
6
7
8



1



2



3



4



5



6

7


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21

ვაჟა სადრაძე, მერაბ ძნელაძე,
ელგუჯა ღლიღვაშვილი, ლევან ლაცაბიძე,

§3. ნატანების ტერიტორიაზე (ოზურგეთის რ-ნი) ჩატარებული სადაზვერვო-არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. 2010წ.

ოზურგეთის რაიონის სოფელ ნატანების სანაპიროზე, ზღვის სანაპირო ზოლში, გადაწყდა საერთაშორისო მნიშვნელობის საზაფხულო საკონცერტო დარბაზის დაჩქარებული წესით მშენებლობა. ზემოაღნიშნული ტერიტორია ოდითგანვე ცნობილია მიწისქვეშა და წყალქვეშა არქეოლოგიური ძეგლებით [1,2].

ამ ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ 1886 წელს საზოგადო მოღვაწის, გრიგოლ გურიელის ცნობით, ბრინჯაოს ცულებით წარმოდგენილი განძი აღმოჩენილა, რომლის ნაწილიც იქ მომუშავე მკვლევარს, ფრანგ ჟან მურიეს, გადასცეს [3]. იმავე წლებში მდინარე სუფსის მარცხენა მხარეს და მიმდებარე ტერიტორიაზე, მუშებს, თხრილების გაჭრისას, ანტიკური ხანის თიხის ჭურჭლები ამოუღიათ.

XX ს. დასაწყისიდან ამ ტერიტორიას იკვლევენ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციები (ა. კალანდაძე, ოთ. ჯაფარიძე, ა. იესენი, ა. იმნაძე და სხვ.).

მნიშვნელოვანია სამუშაოები, რომელიც 1949 წლიდან ჩატარდა ნ.ხოშტარიას ხელმძღვანელობით [4]. გაითხარა დიუნური ნამოსახლარები, რომელთა სიმძლავრე 2-3 მ-ია. გაირკვა, რომ იქვე გზის გაყოლებაზე, არსებული მაღალი დიუნის გასწორების დროს ანტიკური პერიოდის იმპორტული შავლაკიანი თიხის ჭურჭელი და რამდენიმე სამარხი აღმოჩნდა. სამარხებში ოქროს სამაჯურები და ალმადინის თვლიანი ბეჭდები დაუდასტურებიათ. მიმდებარე ტერიტორიაზე გვიანბრინჯაოს ხანის განძისთვისაც მიუკვლევიათ

(ბათუმის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმშია დაცული). დიუნებზე მძლავრი ნამოსახლარებია ნაწილობრივ შესწავლილი. მეტიც, ტერმინალის მიმდებარე ტერიტორიაზე გათხრილია წინარეანტიკური და ანტიკური ხანის ნამოსახლარები, რომლებიც დიუნებთან ერთად დაბა ურეკში, შეკვეთილის ჩათვლით, მიუყვება ზღვის სანაპიროს.

ეს ტერიტორია ადრე დაცულ ზონას წარმოადგენდა. იქვეა ყვავილნარის, ურეკისა და შეკვეთილის დასახლებებში არსებული (2009 წ.) ანტიკური ხანის სამარხები.

1942 და 1948 წლებში ურეკის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩნდა გვიანანტიკური ხანის (III-IV სს.) რამდენიმე სამარხი, რომლებშიაც სხვა არტეფაქტებთან ერთად, ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული სამკაული აღმოჩნდა [5].

1980 წელს საავტომობილო ტრასის გაყვანის დროს ურეკი-შეკვეთილის (სოფ. ნატანები) ზღვის სანაპირო ზოლში დაზიანდა ანტიკური ხანის ძეგლი. იქ, გათხრების პროცესში კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მძლავრი ნამოსახლარის ნაშთებს მიაკვლია [6].

საკონცერტო დარბაზის მშენებლობასთან დაკავშირებით,პირველ ეტაპზე არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოხდა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ არსებული ინფორმაციის დამუშავება-შესწავლა. მეორე ეტაპი, კონკრეტულად, გამოყოფილი და მიმდებარე ტერიტორიის არქეოლოგიურ-სადაზვერვო და გათხრით სამუშაოებს დაეთმო.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიქმნა წინამდებარე ანგარიში:

ა) შესასწავლი ობიექტი, ტერიტორიის ზუსტი დასახელება – ოზურგეთის რაიონი, სოფ. ნატანების სანახები („შეკვეთილი”): ზღვის სანაპირო ზოლი.

ბ) ოზურგეთის რაიონი, სოფ. ნატანები, საერთაშორისო მნიშვნელობის საზაფხულო საკონცერტო დარბაზის სამშენებლო მოედანი და მიმდებარე ტერიტორია.

გ) საკონცერტო დარბაზის სამშენებლო მოედანსა და მიმდებარე ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გამოვლენისა და შესწავლის აუცილებლობით იყო განპირობებული.

დ) არქეოლოგიური სამუშაოები (მეორე ეტაპი – დაზვერვა მცირე მასშტაბის გათხრებით) ჩატარდა სამშენებლო მოედანსა და ინფრასტრუქტურისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე.

სველე არქეოლოგიური სამუშაოები 6, ხოლო კამერალური 2 დღის განმავლობაში შესრულდა.

ა) სამშენებლო მოედანი (2 ჰექტარი), სავარაუდო ძეგლების მოკვლევისა და გავრცელების არეალის დადგენის მიზნით სადაზვერვო თხრილებით დაიქსელა (II ეტაპი).

ბ) თხრილების მეშვეობით დაზუსტდა სტრატიგრაფია და მოპოვებული მასალის საფუძველზე ფუნქციონირების თარიღი.

არქეოლოგიური კვლევა-ძიება შესრულდა წინასწარ დაგეგმილი სამუშაოების მიხედვით:

ა) სამშენებლო მოედანსა და მიმდებარე ტერიტორიზე ძეგლების მოკვლევისა და გავრცელების არეალის დადგენის მიზნით, გაიჭრა 5 სადაზვერვო თხრილი.

ზემოაღნიშნული თხრილები გავლებული იქნა მშენებლებთან შეთანხმებით, თავისუფალ მონაკვეთებში.

I თხრილი (კვ. 26; GPS კოორდ. 0729850; 4646551)

გაიჭრა დასავლეთ ნაწილში (სიგრძე – 7 მ.; სიგანე – 1 მ.; სიღრმე – 2,60 მ.). თხრილის გვერდითი ჭრილი შედგებოდა მკვეთრად გამოყოფილი სამი ფენისგან:

I ფენა სილანარევი ქვაღორღია (სისქე - 1,20 მ.),

II – მოჩალისფრო-მოყვითალო თიხნარი (სისქეა 0,6 მ.), ხოლო

III მოლურჯო-მოშავო ფერის თიხნარს წარმოადგენდა, რომელშიაც ხის დანახშირებული ძელები დადასტურდა. სადაზვერვო თხრილში არტეფაქტები არ აღმოჩენილა.

II თხრილი (კვ.73; GPS კოორდ. 0729917; 4646367)

გაიჭრა სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში(სიგრძე – 7 მ.; სიგანე – 1 მ.; სილრმე – 3 მ) აქაც, ჭრილში სამი ფენა გამოვლინდა:

I სილანარევი ქვაღორღი (სისქე – 1,20 მ.)

II მოჩალისფრო-მოყვითალო ფერის თიხნარი (სისქე – 0,5 მ.) და

III - მოლურჯო-მოშავო ფერის თიხნარი გრძელდება. თხრილში არტეფაქტები არ დადასტურებულა.

III თხრილი (კვ. 162; GPS კოორდ. 0729988; 4646377)

გაიჭრა სამხრეთ ნაწილში, შედარებით თავისუფალ მონაკვეთში გაიჭრა (სიგრძე – 8 მ. სიგანე – 1 მ.; სილრმე – 3 მ.). ჭრილში იგივე ფენები გამოვლინდა:

I ფენა – სილანარევი ქვაღორღი (სისქე 1,20 მ.)

II ფენა – მოჩალისფრო-მოყვითალო ფერის თიხნარი (სისქე 0,5-0,6 მ.)

III ფენა – მოლურჯო-მოშავო ფერის თიხნარი.

IV თხრილი (კვ.255; GPS კოორდ. 0730094; 4646504)

გაიჭრა სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (სიგრძე – 8 მ.; სიგანე – 1 მ.; სილრმე – 2,5 მ.)

I ფენა – სილანარევი ქვაღორღი (სისქე - 0,5-0,8 მ.);

II ფენა – მოჩალისფრო-მოყვითალო ფერის თიხნარი (სისქე - 0,7-0,8 მ.)

III ფენა – წარმოდგენილია მოლურჯო-მოშავო ფერის თიხნარით, რომელშიაც ხის დანახშირებული ძელების ნაშთები და თიხის ჭურჭლის ნატეხი გამოვლინდა. იქ გამოვლენილი ძელები (ემჩნეოდათ დამუშავების კვალი) და მათთან ერთად დადასტურებული თიხის არქაული ნატეხები ე.წ. „ტორფქვეშა ნამოსახლარზე" უნდა მიგვანიშნებდეს.

V თხრილი (კვ. 295; GPS კოორდ. 0730112; 4646765)

გაიჭრა სამშენებლო მოედნის აღმოსავლეთ ნაწილში (სიგრძე – 8 მ.; სიგანე – 1 მ.; სილრმე – 2,5 მ.)

I ფენა – სილანარევი ქვაღორღი (სისქე 0,2-0,3 მ.);

II ფენა – მოჩალისფრო-მოყვითალო ფერის თიხნარი (სისქა 0,8 მ.);

III ფენა – მოლურჯო-მოშავო ფერის თიხნარი.

ბ) სამუშაოები გაგრძელდა საკონცერტო დარბაზის სამშენებლო მოედნიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, დამხმარე ნაგებობისათვის განკუთვნილ ფართობზე (სიგრძე –120 მ.; სიგანე – 70 მ.; სიღრმე – 3 მ.) შესწავლილი იქნა ამოღებული ქვაბულის გრძივი ჭრილები. აღსანიშნავია აღმოსავლეთ – დასავლეთის გვერდითი ჭრილი სადაც თიხის ჭურჭლის ნატეხები გამოვლინდა. როგორც ჩანს, ქვაბულის ამოღების პროცესში ძვ.წ. VIII-VII სს. (დიუნური) ნამოსახლარის თხელი ფენები დაზიანდა.

ჭრილი (1) (კვ. 300; GPS კოორდ. 0730138; 4646762)

ნამოსახლარის ნაშთი აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან დაახლოებით 0,1 – 0,2 მ-ს სიღრმეზე, ჭრილში, დაფიქსირდა კერამიკული ჭურჭლის ნატეხები.

ჭრილი (2) (კვ. 310; GPS კოორდ. 0730167; 4646773)

ზედაპირი წარმოადგენს თიხნარი მიწის ფენას,რომელიც სახნავ ფართობს წარმოადგენდა. დაახლოებით 0,3 – 0,4 მ-ს სიღრმეზე, ჭრილში დაფიქსირდა კერამიკული ჭურჭლის ნატეხები.

ჭრილი (3) (კვ. 319; GPS კოორდ. 0730178; 4646777)

ზედაპირი წარმოადგენს თიხნარი მიწის ფენას,რომელიც სახნავ ფართობში იყო მოქცეული. დაახლოებით 0,2 – 0,4 მ-ს სიღრმეზე, ჭრილში დაფიქსირდა დამწვარი ფენა.

ვიძლევით მოძიებული არქეოლოგიური მასალის საკატალოგო აღწერილობას:

50/16-ინვ. 1*. ტიხის აბაზანის ნატეხი, მოწითალო-ღია-ყავისფერი, კეცში ემჩნევა მსხვილი კენჭები, ზედაპირს ფართო ნაღარი სახეები დაუყვება; კეცის სისქე – 2 სმ. აღმოჩნდა ჭრილში.

---

* 50 – გურიის არქეოლოგიური ექსპედიციის შიფრი; 16 – ნატანებ-შეკვეთილის უბანი; 1 – საინვენტარო რიგითი ნომერი.

ინვ. 2 – თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხი, კეცი ყავისფერი, უხეშადაა დამუშავებული, ზედაპირი დაზიანებული აქვს; კეცის სისქე – 1,3 სმ.

ინვ. 3 – აბაზანის ნატეხი, ღია-ყავისფრად გამომწვარი, კეცში მსხვილმარცვლოვანი მინარევები ემჩნევა, კეცის სისქე – 1,5 სმ.

ინვ. 4 – სადგრის ძირის ნატეხი (2 ცალი), მოყავისფრო-ლეგა ნაცრისფრად გამომწვარი, ზედაპირი ნაპრიალები აქვს. კეცის სისქე – 2,5 სმ. (თხრილი № 4, ძელებთან აღმოჩნდა).

ინვ. 5 – სარქველის ნატეხი, კეცი მოვარდისფრო-ყავისფერი, უხეშადაა დამზადებული; კიდე მომრგვალებული აქვს. კეცის სისქე –1,6 სმ.

ინვ. 6 – ხელსაფქვავის ნატეხი, ღია-ყავისფერი, ემჩნევა კვერვა-დამუშავების კვალი, ზურგი ამოზნექილი აქვს.

ინვ. 7 – აბაზანის გვერდის ნატეხი, მსვილმარცვლოვანი მინარევები ემჩნევა; კეცის სისქე – 2 სმ.

ინვ. 8 – თიხის ჭურჭლის ყურის ნატეხი,მორუხო–მოყავისფროდ გამომწვარი; განივკვეთში მრგვალი ყური მხარზეამიძერწილი. ყურის დმ. – 2,1 სმ.

ინვ. 9 – ხის ნაშთი, შავი, კარბონირებული, სიგრძე 6 სმ. აღმოჩნდა ჭრილში.

ინვ. 10 – სადგრის ნატეხი, ყავისფრად გამომწვარი, ძირთან თანდათან გაფართოებულია, წასხნაგა; კეცის სისქე – 5,2 სმ. აღმოჩნდა ჭრილში.

ინვ. 11 (ტაბ. I,1) – თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, ყავისფრად გამომწვარი, მხარი კალთასთან მკვეთრწიბოიანია; კეცის სისქე – 0,7 სმ.

ინვ. 12 (ტაბ. I,2) – თიხის ხუფის ნატეხი, მოვარდისფრო-ღია-ყავისფერი, წვრილმარცვლოვანი მინარევები ემჩნევა; კეცის სისქე–1,2 სმ.

ინვ. 13 (ტაბ. I,3) – თიხის ჭურჭლის ნატეხი, ღია-ყავისფრად გამომწვარი, კეცის სისქე – 1,5 სმ.

ინვ. 14 (ტაბ. I,4) – თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი (2 ცალი), ყავისფრად გამომწვარი; კეცის სისქე – 0,4 სმ.

ინვ. 15 (ტაბ. I,5) – თიხის ჭურჭლის მხარის ნატეხი, ზედაპირ ნაპრიალებია, კეცის სისქე – 0,8 სმ.

ინვ. 16 (ტაბ. I,6) – აბაზანის ნატეხი, ყავისფრად გამომწვარი, კეცში მსხვილი კენჭები ემჩნევა, კეცის სისქე – 1,5 სმ.

ინვ. 17 (ტაბ. I,7) – აბაზანის ნატეხი, მოვარდისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი,მსხვილმარცვლოვანი მინარევები ემჩნევა. კეცის სისქე –2 სმ.

ინვ. 18 – თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, ყავისფრად გამომწვარი; კეცის სისქე – 1,3 სმ.

ინვ. 19 (ტაბ. I,8) – სადგრის ნატეხი,მოწითალო-ღია-ყავისფრად გამომწვარი, ტლანქადაა დამზადებული; კეცის სისქე – 5,3 სმ.

ინვ. 20 – აბაზანის ნატეხი ყავისფრად გამომწვარი, კეცის სისქე – 2,2 სმ.

ინვ. 21 (ტაბ. I,9) – შურდულის ქვა, ნაცრისფერი, დამუშავების კვალი ეტყობა, ბირთვისებური, ასიმეტრიული; დმ. – 7,1 სმ.

ინვ. 22-25 – აბაზანის ნატეხები მოწითალო-ღია-ყავისფრად გამომწვარი, მსხვილმარცვლოვანი მინარევები ემჩნევა; კეცის სისქე – 1,8-2,1 სმ.

ამრიგად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე, შესწავლილი იქნა ოზურგეთის რაიონის სოფელ ნატანებთან შეკვეთილის ტერიტორიაზე საერთაშორისო საკონცერტო კომპლექსის სამშენებლო მოედანი და მიმდებარე ტერიტორია.

პროგრამა-პროექტის საფუძველზე გაიჭრა რამდენიმე სადაზვერვო თხრილი და შესწავლილი იქნა სამშენებლო მოედნის გასხვისების ზონა.

დადგინდა:

1. ორ სადაზვერვო თხრილში ნამოსახლარის ნაშთის უმნიშვნელო ფრაგმენტები, რომლებიც წარმოდგენილი იყო ჰორიზონტალურად

განლაგებული ძელებისა და თიხის ნატეხებისაგან. ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე „ტორფქვეშა ნამოსახლარისათვის“ დამახასიათებელი ნაშთებია სავარაუდებელი. თუმცა მონაპოვარი იმდენად ფრაგმენტულია, რომ ჩვენი მოსაზრება დამატებითი არგუმენტაციის გარეშე ვარაუდის სფეროს ვერ გასცდება.

2. ჭრილებში გამოვლენილი ნაშთები, თიხის ნაწარმის მიხედვით, ძვ.VIII-VII სს. „დიუნური ნამოსახლარებისთვისაა“ დამახასიათებელი.

სამწუხაროდ, იქ წარმოდგენილი ნაშთები პლანტაჟისა და ხშირი ხვნის შედეგად იმდენად ძლიერადაა დაზიანებული, რომ ნამოსახლარის გეგმარებასა და გავრცელებაზე წარმოდგენის საშუალებას არ იძლევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამშენებლო მოედანზე მძლავრი კულტურული ფენები არ დადასტურდა.

შენიშვნები და ლიტერატურა:

1. ვ. სადრაძე, ჯ. ამირანაშვილი, ურეკის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 2005, გვ. 4-7;

2. პ. კაჭარავა, თ. ხოხობაშვილი, მ. ძნელაძე, ვ. სადრაძე, ე. ღლიღვაშვილი, თ. სადრაძე, მიქაელ-გაბრიელი, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბ., 2010;

3. პ. კაჭარავა და სხვ., იქვე, გვ.19-84;

4. Хоштариа Н., Археологические исследования Уреки, მსკა, ტ. I, 1955, გვ.25-30

5. პ. კაჭარავა და სხვ., იქვე, სურ. 5;

6. რ. პაპუაშვილი, ნ. პაპუაშვილი, რიონ-ჩოლოქის ორმდინარეთის არქეოლოგიური ძეგლები, გურია V, თბ., 2007, გვ. 43-46.

Vazha Sadradze, Merab Dzneladze,
Elguja GhlighvaShvili, Levan Latsabidze

A Report on Prospecting Archaeological Excavations in the Territory of Natanebi Village (Ozurgeti Municipality) in 2010

Summary

Prospecting archaeological researches were undertaken in the territory of the international concert hall lying at the left side of Tbilisi-Batumi highway, within the rural surroundings of Natanebi village. There had been dug several sounding trenches and some of them yielded charred beams. It has also appeared possible to pick some pottery fragments characteristic to the so called settlements lying beneath a peat bog.

Важа Садрадзе, Мэраб Дзнеладзе,
Элгуджа Глигвашвили, Леван Лацабидзе

Отчет 2010 г. разведывательно-археологических раскопок на территории села Натанеби (Озургетский муниципалитет)

Резюме

В окрестностях села Натанеби, на левой стороне автомобильной дороги Тбилиси-Батуми, около международного летнего концертного зала были проведены разведывательные археологические работы.

Раскопки территории выявили обугленные балки, а в одном из траншее были найдены фрагменты глиняных сосудов, характерных для т.н. дюнных поселений находящихся под слоем торфяника.


1
2
3
4
5
6
7
9
8
0
5 სმ

თამარ სადრაძე, ვაჟა სადრაძე

§4. გურიის მხარის შესწავლის ისტორიისთვის (1831 –2010 წ.წ.)

დასავლეთ საქართველოს ისტორიული მხარე – გურია ბერძნულ, რომაულ და ადრებიზანტიურ წყაროებში არ მოიხსენიება. ქართულ საისტორიო წყაროებში ზემოაღნიშნული ტოპონიმი VIII საუკუნეში ჩნდება. როგორც ცნობილია, მურვან ყრუს ურდოებს (735 – 738 წწ.) უკანდახევისას გაუვლიათ „გზა გურიისა“.[1]

გურიისა და გურულების შესახებ შედარებით ვრცელი ინფორმაცია XVII ს. მოღვაწე იტალიელ მისიონერთა (ქრისტეფორე დე კასტელი, ანტონ ჯარდინა, კლემენტე გადიანო და სხვა) შრომებში მოგვეპოვება.

რეგიონის სიძველეთა პირველი აღწერა XVIII ს. ისტორიკოსსა და გეოგრაფს ვახუშტი ბატონიშვილს ეკუთვნის. მკვლევარს დასახელებული აქვს ამ მხარის მნიშვნელოვანი ციხეები და ეკლესიები. (ფოთის ციხე, ბერიძის ციხე, გურიანთა, ასკანა, პალიასტომი, ჯუმათი და სხვა.)

XIXს. შუა ხანებიდან გურიის კულტურული მემკვიდრეობისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა.

1831 წელს დიუბუა დე მონპერემ სხვა ძეგლებთან ერთად მოინახულა და აღწერა ვაშნარი (გურიანთა, ოზურგეთის რ-ნი). ამავე ხანებში მოგზაურობენ გულდენშტატი, ჟაკ ფრანსუა გამბა და სხვები, რომელთა ინტერესები გურიის გეოგრაფიულ და სოციალურ–ეკონომიკურ მხარეს მოიცავდა.

1873 წელს გურიანთაში დადასტურებული ძეგლის მნიშვნელობის გამო კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებამ ვაშნარის ციხე-ქალაქში გათხრების ჩასატარებლად

ფ.ბაიერნი მიავლინა.[2] შედეგების შესახებ ინფორმაცია დღემდე არ არის ცნობილი.[3]

1873 წელს რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივითა და დავალებით გამოჩენილმა ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ დ.ბაქრაძემ გურიასა და აჭარაში იმოგზაურა.[4] მოგზაურობის შედეგად მივიღეთ ნაშრომი ,,არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში".

გამოკვლევაში, ზოგადად, მიწისზედა მატერიალური კულტურის ძეგლებია აღნუსხული. ამასთანავე, იგი უმნიშვნელოვანესი წყაროა გურიის სიძველეთა შესწავლის თვალსაზრისითაც. მკვლევარი სოფ. გურიანთას ტერიტორიაზე არსებული ციხე-ქალაქის აღწერის პროცესში დამაჯერებლად უარყოფს ადრე, დიუბუა დე მონპერეს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ვაშნარ–ვაშინერ–უჯენარისა და პეტრას იგივეობის შესახებ.

1886 წელს გ. გურიელის გადმოცემით, სოფ. გრიგოლეთში, ზღვის პირას, მდ. სუფსის მარჯვენა სანაპიროზე, არქეოლოგიური გათხრები ჩაუტარებია ვინმე ფრანგ ჟ. მურიეს.[5]

არანაკლები მნიშვნელობისაა თ. სახოკიასა და ე. თაყაიშვილის მეცნიერული ექსპედიციები ზემოაღნიშნულ მხარეში. მათ მიერ აღწერილ ეკლესიებში იმჟამად დაუნჯებული ხატებისა და სიგელ-გუჯრების უმეტესი ნაწილი დღეისათვის ძლიერ დაზიანებული ან დაკარგულია.[6]

XIX ს. 30-იან წლებამდე მეცნიერული კვლევა–ძიების ან მნიშვნელოვანი აღმოჩენების შესახებ ცნობები არ შემონახულა.

30-იანი წლებიდან ჩნდება საგაზეთო პუბლიკაციები საინტერესო აღმოჩენების შესახებ სოფ. გუთურის, მეწიეთისა და ხიდისთავის ტერიტორიებიდან.

1936-42 წლებში ურეკსა და შეკვეთილში ბრინჯაოს ხანის განძები, ცალკეული ნივთი და გვიანანტიკური ხანის მდიდრული სამარხეული კომპლექსი გამოვლინდა.[7] ინფორმაციის დაზუსტების

მიზნით, ამავე წლებში ურეკში დაზვერვები ჩაატარა ა. კალანდაძემ, ხოლო სოფ. გრიგოლეთში ა. იესენმა.

1947 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა ნ. ხოშტარიას ხელმძღვანელობით განაგრძო არქეოლოგიური კვლევა-ძიება ურეკ-შეკვეთილის ზღვის სანაპირო ზოლში. 1948 წელს, მდ. კუჩხისაბანოსთან კიდევ ერთი გვიანანტიკური ხანის მდიდრული სამარხეული ინვენტარი აღმოჩნდა. იმავე წელს, გურიაში უკვე საქართველოს სახ. მუზეუმი აგზავნის არქეოლოგიურ დაზვერვით ექსპედიციას ო.ჯაფარიძის, მ.თხილაიშვილისა და ტ.ჩუბინიშვილის მონაწილეობით. მათი მიზანი ქ. ოზურგეთის მუზეუმში დაცული შემთხვევით აღმოჩენილი ნივთების გაცნობა და მცირე გათხრების ჩატარება იყო. შედეგად ტ.ჩუბინიშვილმა სოფ.გოგოლეისუბნის ბრინჯაოს განძი ადგილობრივი წარმოების პროდუქციად მიიჩნია და გურიის მხარე დასავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაოს ხანის ლითონის წარმოების ერთ-ერთ ძირითად კერად გამოყო.[8] ო. ჯაფარიძემ მუზეუმში თავმოყრილი ნეოლითური, ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის მასალების ანალიზის შედეგად გამოთქვა საფუძვლიანი მოსაზრება, რომ ,,კოლხური კულტურის შესასწავლად აუცილებელია ამ მხარის ძეგლების გათვალისწინება, რომლის გარეშე არასრულყოფილი იქნება,როგორც ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის, ასევე ქართული სახელმწიფო ერთეულის ჩასახვისა და განვითარების ეტაპების სათანადო კვლევა“.[9]

1949 წელს, სოფ.გურიანთაში, ჩაის ფაბრიკის მშენებლობასთან დაკავშირებით სამეთვალყურეო და გათხრითი სამუშაოები ჩაატარა ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღვანელი გ. გობეჯიშვილი). გაითხარა ვაშნარ-ვაშინერის ნაქალაქარის ერთი ნაწილი, შიდაციხის გალავანი, რამდენიმე კოშკი, სამნავიანი ბაზილიკა და ,,მავზოლეუმი“.[10]

მეტ-ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობდა ნ. ხოშტარიას ხელმძღვანელობით წარმოებული სამუშაოები ურეკში.[11]

1951-56 წლებში, გურიის ტერიტორიაზე სიძველეთა კვლევა-ძიება არ ჩატარებულა.[12] ზემოალნიშნულის მიუხედავად,ქ.ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, შემთხვევითი აღმოჩენების სახით, სხვადასხვა ეპოქის ამსახველი მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა დაუნჯდა.განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ნეოლითური (ახალი ქვის) ხანით დათარიღებულმა კაჟისა და ობსიდიანის იარაღებმა. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტმა მასალის მნიშვნელობის გამო, გურიის ნეოლითური ძეგლების მოძიება და შესწავლა დაგეგმა.

1956-62 წწ. ლ.ნებიერიძის ხელმძღვანელობით წარმოებული კვლევის შედეგად ანასეულში, ბზვანში, ექადიაში, ნარუჯაში, გოშველში,საირმიაში, ვაკივჯვარში,მერიასა და მამათში ნეოლითური ხანის ძეგლები გამოვლინდა.

1958-62 წწ. სოფ. ანასეულში ჩატარებულმა გათხრებმა ლ.ნებიერიძეს საშუალება მისცა გამოეყო საქართველოში დღემდე უცნობი,მეზოლითური ტრადიციების მქონე ადრეული და გვიანდელი (განვითარებული ნეოლითისათვის დამახასიათებელი) ძეგლები.[13]

1957 წელს ქ.ოზურგეთის ცენტრში მოედნის კეთილმოწყობის დროს ანტიკური? ხანის აბანოს ნაშთი გამოვლინდა. ძეგლი ადგილზე მოინახულა ნ.ხოშტარიამ. სამწუხაროდ,აბანოს გათხრა ვერ მოხერხდა.[14] ინტერესი სიძველეთა მიმართ ადგილობრივ მოსახლეობაშიც გაჩნდა; წიფნარში, ჩიბათში, ზენობანში და სხვა სოფლებში შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები რაიონების მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში უნჯდება. რაიონულ გაზეთებში ხშირად ჩნდება აღმოჩენებთან დაკავშირებული ცნობები და წერილები.[15] ბუნებრივია, კულტურის მემკვიდრეობისადმი ინტერესის ზრდამ გურიის მხარეში მწვავედ დააყენა სტაციონარული არქეოლოგიური ექსპედიციების მოწყობის აუცილებლობის საკითხი. 1961 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროს, აჭარის სახელმწიფო მუზეუმისა და ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ერთობლივმა ექსპედიციამ

(ხელმძღვანელი აკად. ნ.ბერძენიშვილი) ჩოხატაურის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის რ-ში კომპლექსური დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა. დააზუსტა ზოგიერთი შემთხვევით მოძიებული ძეგლის ხასიათი და ხნოვანება; მიაკვლია რკინის მეტალურგიის საწარმოთა ნაშთებს (ასკანა, ნაგომარი, ვაკიჯვარი და სხვ.).

1962 წელს ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ (ხელმძღ. აკად. პ. ზაქარაია) სოფ. შუხუთში რომაული აბანო და სასახლის ნაშთი – ე.წ. სოფლური ვილა-რეზიდენცია (WILLA RUSTICA) შეისწავლა.[16]

1963 წელს ისტორიის ინსტიტუტის ისტორიულ-გეოგრაფიულმა ექსპედიციამ (ხელმძღ. აკად. ნ. ბერძენიშვილი) სუფსა-ნატანების ორმდინარეთში საძიებო და გათხრითი კვლევა-ძიება გააგრძელა. ექსპედიციის წევრებმა სოფ.ხვარბეთსა და გურიანთაში ძველი და ახალი ქვის ხანის ნასადგომარებს მიაკვლიეს (გ.გრიგოლია, ნ.ბერძენიშვილი); აქვე აღმოჩნდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები და მეტალურგიული სახელოსნოები,ანტიკური ხანის მასალების შემცველი ძეგლები ციხისფერდსა და გოგორეთში.[17]

1964 წელს სამუშაოები გაგრძელდა მდ.სუფსის ხეობის ზემო წელში. ექსპედიციამ სოფ.ბუკისციხეში მოსინჯა ციხის ეზო, გაწმინდა კოშკი, გამოავლინა ბაზილიკის ტიპის ეკლესია, შიდა ციხის ტერიტორიაზე საკონტროლო თხრილების მეშვეობით ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნის კულტურული ფენები და ადრეანტიკური ხანის (ძვ.V-IVს.ს) საქალაქო ცხოვრების კვალი დაადგინა.[18] სამწუხაროდ, აკად. ნ. ბერძენიშვილის მოულოდნელმა გარდაცვალებამ ზემოაღნიშნული სამუშაოები შეაჩერა.

1965 წელს ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღ. ა. ინაიშვილი) სოფ. გურიანთაში განაახლა ვაშნარის ციხე-ქალაქის გათხრები. ნაწილობრივ შეისწავლა სასიმაგრო სისტემა და შეადგინა ნაქალაქარის სქემატური (სიტუაციური) გეგმა. იმავე წელს ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის

მუზეუმის ფონდი შემთხვევით მოპოვებული არქეოლოგიური ნივთებით შეივსო. მუზეუმის ინიციატივით, ბათუმის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა ჩოხატაურის რაიონის შესასწავლად რაზმი შექმნა (ხელმძღ. ა.ინაიშვილი). ჩატარებული დაზვერვების შედეგად სოფ.გუთურში გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი აღმოჩნდა, ზემოფარცხმაში ანტიკური მასალების შემცველი ქვევრსამარხები, რომლებიც შემდგომში ნ.ვაშაკიძის ხელმძღვანელობით გაითხარა.[19]

1970 წლიდან გურიაში სიძველეთა კვლევას, ძირითადად, ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია ახორციელებდა. 1971 წელს გათხრები ჩატარდა ჯიხანჯურისა და მაკვანეთის მიდამოებში, სადაც ნეოლითური ხანის რამდენიმე სადგომი გამოვლინდა.[20]

გურიაში შემთხვევითი აღმოჩენებისა და დაზვერვების კვალზე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების პარალელურად. ჯერ კიდევ 1960 წელს დაიგეგმა პრობლემა „სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მეტალურგიული ცენტრის არქეოლოგიური შესწავლა“. ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის 1974 წელს ჩატარდა დაზვერვითი და გათხრითი სამუშაოები ოზურგეთსა და ჩოხატაურის რაიონებში. შედეგად სუფსა-გუბაზეულის ხეობაში რკინის წარმოების 100 მეტი ობიექტი გამოვლინდა.[21]

ძეგლების უმეტესი ჯგუფი წინარეანტიკური, ხოლო რამდენიმე ანტიკური ხანით დათარიღდა. ზემოაღნიშნული ხეობის მძლავრი საწარმოო ცენტრის განხილვისას დ. ხახუტაიშვილი აღნიშნავდა „ვაკიჯვარ-ქორისბუდეს პოლიმეტალური საბადოები და სუფსა-ურეკის მდიდარი მაგნეტიტები ქმნიდნენ იმ სანედლეულო ბაზას, რომელიც ამარაგებდა ამ უძველეს საწარმოო კერას“.[22] იმავე წელს ბათუმის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის ერთმა ჯგუფმა (ნ. ვაშაკიძე, ა. კახიძე და სხვ.) ბუკისციხის, დიდვანის, კონნარისა და ზენობნის ტერიტორიები დაზვერეს.[23]

მომდევნო 1975 წელს, ჯგუფმა ვაკისკვრის მიდამოების მოხილვისას ადგილ ქორისბუდეში ბრინჯაოს ზოდებსა და მადნის სამტვრევ ურიებს მიაკვლია. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, დასახელებულ პუნქტში ბრინჯაოს მძლავრი საწარმოო ცენტრია სავარაუდებელი.[24]

1976 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. პროფ. თ.მიქელაძე) კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნების შესწავლის მიზნით, ურეკისა და ნიგვზიანის სამაროვნები გამოიკვლია. მიღებულ დაკვირვებებსა და შედეგებზე მსჯელობისას გამთხრელი მიუთითებს, რომ ეს სამაროვნები ,,გამოირჩევიან მრავალფეროვანი მასალით, ახალი კუთხით ასახავენ კოლხეთის ძველი ისტორიის გარკვეულ ეტაპს,წარმოდგენას ქმნიან კოლხეთის საწარმოო ძვრებზე, რომლებიც ერთ ეთნოსოციალურ გარემოში არიან მოქცეულნი და ხანგრძლივი, უწყვეტი განვითარების ერთ მოსაბრუნ ეტაპს ასახავენ“.[25]

1977 წელს ჯიხანჯირის მკვიდრმა ,,ნასტეფნარის“ გორაზე ოსმალური მონეტების განძი აღმოაჩინა. ძეგლი XVI-XVII ს.ს. დათარიღდა.[26] ადგილზე საინტერესო მასალა, ძეგლის (ციხის?) ნაშთები და მრავალრიცხოვანი ტოპონიმები გამოვლინდა,რომლებიც სათანადო შესწავლას საჭიროებენ. სამწუხაროდ იქ სამუშაოები აღარ განახლებულა.

მიუხედავად იმისა, რომ გურიაში შეგროვებული, მოპოვებული და აღნუსხულია მნიშვნელოვანი არქეოლოგიური, ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალა, ჩატარებულია საინტერესო სამუშაოები (კ. გვარამაძე, ა. კალანდაძე, ა. აფაქიძე, ო. ჯაფარიძე, გ. გობეჯიშვილი, ნ. ხოშტარია, ნ. ბერძენიშვილი, ო. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, პ. ზაქარაია, ი. გძელიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, ა. ინაიშვილი,ი. სიხარულიძე,ა. კახიძე,ლ. ნებიერიძე, გ. გრიგოლია, ქ. ჩხატარაიშვილი, გ. დუნდუა, ე. გოგუაძე, რ. პაპუაშვილი და

სხვა.) ამ მხარის კულტურული მემკვიდრეობა მოკლებული იყო გეგმაზომიერ მეცნიერულ შესწავლას. ზემოაღნიშნული პრობლემა ნაწილობრივ გადაწყდა 1991 წელს, როდესაც მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბაზაზე გურიის მუდმივმოქმედი ექსპედიცია შეიქმნა.[27] არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს მიერ შემუშავებული გეგმა-პროგრამის საფუძველზე გადაწყდა: ძეგლების მოკვლევისა და გადარჩენის მიზნით ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონებში არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება.* რაიონების მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში დაუნჯებული შემთხვევითი მონაპოვრის საფუძველზე ძეგლების სავარაუდო პუნქტების მოძიება-დაზვერვა. მოძიებული და შესწავლილი მასალების პუბლიკაცია.

1991-94 წლებში ქვის ხანის ძეგლების შემსწავლელმა რაზმმა** დაზვერვები ჩაატარა მდ.სუფსის,გუბაზოულის,ნატანებისა და ბახვის ხეობებში. ბახვისწყლისა და გუბაზოულის მარცხენა სანაპიროებზე კაჟის რამდენიმე ანამტვრევი დადასტურდა (სოფ. ბახვი, სოფ.გურიანთა, სოფ. ხიდისთავი და სხვა.). აღსანიშნავია ლანჩხუთის რ-ნის სოფ. ჯურუყვეთის ზემოთ, ქაიჯვარას ხეობიდან მომდინარე კაჟის ქვედაპალეოლითური ხანის ანატკეცისა და ლამელის მოძიება.[28] გურიის რეგიონში იგი სოფ. ხვარბეთის (ოზურგეთის რ-ნი) მონაპოვართან ერთად[29] ერთ-ერთი უძველესია და ქვედაპალეოლითს განეკუთვნა.

მცირე სამუშაოები ჩატარდა ჩოხატაურის რ-ნის სოფ.ხევში ახალი ქვის ხანის სადგომის შესასწავლად. ძეგლს,იქ მოპოვებული არტეფაქტების საფუძველზე, კ.კალანდაძე ადრენეოლითით ათარიღებს.[30] გურიის მხარეში ამ ხანის მრავალი ძეგლი

---

* სამუშაოებში მონაწილეობდნენ მ.ძნელაძე, კ.კალანდაძე, ზ.კალანდაძე, ნ.მგელაძე, რ.დავლიანიძე, თ.ჭანიშვილი, თ.თოდუა, პ.რამიშვილი – მეცნიერ თანამშრომლები. კ.წერეთელი, მ.ყარაშვილი – მხატვარ-არქიტექტორები, ვ.სადრაძე – ექსპედიციის ხელმძღვანელი.

** რაზმს ხელმძღვანელობდა ნ.მგელაძე.

გამოვლინდა (ბახმარო, მერია, ნაგომარი, შრომა, ლაითური, ნარუჯა, ნატანები, საირმე, ანასეული, ვაკიჯვარი, ჯუნეწერი, გურიანთა, მამათი, ჯიხანჯირი, შემოქმედი).[31] რეგიონში ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები ნაკლებადაა გამოვლენილი. ყურადღებას იმსახურებს ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში დაცული თიხის ნაწარმი ჭოლიპას ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარებიდან. ჭოლიპას ნამოსახლარი მდებარეობს ჭოლიპას (ჯიგორფშას?) ტბის ამომშრალ ფსკერზე, მდ.ლაშეფსუს მარცხენა ნაპირზე (ლანჩხუთის რ-ნი.) ძეგლი ადგილზე მიმოუხილავს ი.მ.დ. ა.კახიძეს ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად და საირიგაციო თხრილიდან ამოყრილი თიხის ჭურჭელი შეუგროვებია. მოპოვებულ მასალაში მტკვარ-არაქსული-ადრებრინჯაოს ხანის იერსახის თიხის ჭურჭელიც დასტურდება.[32] აღსანიშნავია,რომ 1993 წელს შემოქმედის კათედრალის (ოზურგეთის რ-ნი) ქვემოთ, ჩვენს მიერ მიკვლეული ნამოსახლარის* თიხის ნაწარმში, თანადროული და ანალოგიური თიხის ჭურჭლის ფორმებთან ერთად, მტკვარ-არაქსული ადრებრინჯაოს ხანის კერამიკის რამდენიმე ნატეხი აღმოჩნდა.[33]

ჭოლიპასა (ლანხუთის რ-ნი) და შემოქმედში (ოზურგეთის რ-ნი.) მოპოვებული არტეფაქტები ისპანის, არგვეთის ზედა ჰორიზონტისა[34] და დაბლაგომის თანადროული ჩანს.

ამდროინდელი ნამოსახლარების ტოპოგრაფიისა და ხასიათის დადგენის მიმართებით გურიის მხარეში დადასტურებულ ჭოლიპასა და შემოქმედის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარებს პროტოკოლხური კულტურის კვლევის თვალსაზრისით, განუსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება. სოფ. შუხუთში (ლანჩხუთის რ-ნი) ადრე შესწავლილი კასტელუმის ტიპის აბანოსა და სასახლის ჩრდილოეთით, ს.ორაგველიძის ეზოში აღმოჩნდა განძი. იგი შედგებოდა თორმეტი კოლხური და ერთი ბრტყელი ცულის, შუბისპირისა და ტარშეურჩენელი სატევრის პირისაგან.[35]

---

* ძეგლის შესახებ ცნობა მოგვაწოდა ი.მ.დ. ქ. ჩხატარაიშვილმა.

კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი განძებიდან მნიშვნელოვანია 1988 წელს ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შესული კომპლექსი. იგი შედგება ოთხი წალდის, ცამეტი თოხის, თოთხმეტი სეგმენტისა და ოთხი კოლხური ცულისაგან.[36] მუზეუმში ამავე სოფლიდან სხვადასხვა დროს შესულია ბრინჯაოს ცულები, ზოდები და სხვ. რაც სამართლიან ეჭვს ბადებს, რომ ეს არტეფაქტები ზემოაღნიშნული განძის შემადგენელი ნაწილია.

1992-94 წლებში გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სადაზვერვო სამუშაოები ჩაატარა ზღვის სანაპირო ზოლში.[37] წარმოებული დაზვერვების შედეგად გრიგოლეთ-ყვავილნარ-შეკვეთილის ტერიტორიაზე დიუნებზე აიკრიფა აბაზანის, თიხის ჭურჭლისა და სხვადასხვა ზომის სადგრების, ფრაგმენტები. ამ მასალასთან ერთად შეკვეთილში რკინის მოზრდილი ორი ზოდიც დადასტურდა.[38] ექსპედიციამ, აგრეთვე, მიმოიხილა გვიმბალაურის გორა და სოფ. შუხუთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ნამოსახლარი.

1997 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული არქეოლოგიური კვლევის ცენტრსა (დირექტორი აკადემიკოსი ოთ. ლორთქიფანიძე) და საქართველოს მილსადენის კომპანიის (პრეზიდენტი ბ. მური, მთავარი მრჩეველი მ. ლედნორი) შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, მდ. სუფსის სიახლოვეს, ნავთობგადასატვირთი ტერმინალის სამშენებლო მოედანზე, გურიის არქეოლოგიური ექსპედიცია* აწარმოებდა კვლევა-ძიებით სამუშაოებს.[39]

ზემოაღნიშნულ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, პირველ ეტაპზე, უნდა დაგვეზვერა ტერმინალისათვის გამოყოფილი ტერიტორია, მეორე ეტაპი გულისხმობდა 2,5 კმ სიგრძის მილსადენისათვის ნავარაუდევი მონაკვეთის შესწავლას, ხოლო დასკვნითი, მესამე ეტაპი,- ზღვის სანაპირო ზოლში არსებული ქვიშაზვინულების (დიუნების) მოკვლევა-გათხრებს.

---

* ტერმინალის ტერიტორიაზე წარმოებულ სამუშაოებში მონაწილეობდნენ ვ.სადრაძე-ექსპედიციის ხელმძღვანელი, მ.ძნელაძე-ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე, ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს მრჩეველი.

აქვე, ხელშეკრულებაში, ცალკე მუხლად დაფიქსირდა არქეოლოგიური მეთვალყურეობის დაწესება და გათხრების დასრულებისთანავე, მოპოვებული ძეგლების კამერალური შესწავლისა და საპუბლიკაციოდ მოსამზადებელი საქმიანობის დაფინანსება.

20 იანვარს დაწყებულმა სადაზვერვო სამუშაოებმა შედეგი გამოიღო. ტერმინალის ერთ-ერთი ავზისათვის განკუთვნილ მოედანზე აღმოჩნდა ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარის ნაშთი.

დამკვეთმა მხარემ, მიიღო რა ინფორმაცია ძეგლის აღმოჩენის შესახებ, შეგვაჩერებინა სადაზვერვო სამუშაოები და მოითხოვა მისი დროული შესწავლა (იხ. ხელშეკრულება №002).

ნასახლარი მდებარეობს ლანჩხუთის რ-ნის სოფ. გრიგოლეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე სუფსის მარცხენა ნაპირთან, ბათუმი-ფოთის საავტომობილო ტრასიდან 800 მ-ში. გაიჭრა სადაზვერო თხრილები და გაირკვა ნამოსახლარის გავრცელების არეალი. შემდგომ მოიხსნა 0,7-0,8 მ. სისქის ფენა, აიგეგმა და გასათხრელად მომზადდა შესასწავლი ნაკვეთი (ფართობი 10X9)[40].

ნამოსახლარის ზედა კულტურული ფენა (სისქე 0,22-0,35 მ) შედგებოდა ძლიერ გადამწვარი ბათქაშის ნატეხებისაგან, რომელშიც შეიმჩნეოდა ხის ძელების დანახშირებული ფრაგმენტები და თიხის ჭურჭლის ნატეხები. ნამოსახლარი თიხნარ ნიადაგზე ყოფილა გამართული. ძეგლის ძირითადი ნაწილი „კოლხიდმშენის" მიერ პლანტაჟისა და საირიგაციო თხრილების გაჭრის პროცესში განადგურებულა. მიუხედავად ამისა, მაინც მოხერხდა დაზიანებული ნაგებობის იატაკის (2,4X1,3 მ.) შესწავლა.[41]

მეთვალყურეობის პროცესში ტერმინალის სამშენებლო ტერიტორიაზე, იქ, სადაც მდ. ჩირეს ახალი კალაპოტი იჭრებოდა, აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები. ძეგლი მდებარეობს მდ. ჩირეს მარჯვენა სანაპიროზე, ზემოთ აღნიშნული ნამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 300 მ-ის დაშორებით.

უნდა აღინიშნოს,რომ იქ დადასტურებული სამაროვნის ნაშთები, საირიგაციო სისტემის გაჭრის პროცესშია დაზიანებული.

თხრილში (10X7 მ.),რომელიც მშენებლებმა არხის კალაპოტის გაჭრისას ამოიღეს,თანამედროვე დონიდან 0,85 მ. სიღრმეზე,თიხის ჭურჭლის ნატეხებისაგან შედგენილი ყრილი გამოვლინდა.

სამაროვანზე, მიცვალებულთა დაკრძალვამდე მომზადებულია სარიტუალო დასაკრძალავი მოედანი, სადაც გამოვლინდა დაუკრძალავი მიცვალებულების ძვლები (ურნებში?). აგრეთვე, დაკრძალვის რიტუალისთვის დამახასიათებელი ნაშთები:კრემაციისა და ცეცხლის კვალი, ნახშირისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

დაზიანებული და მთელი თიხის ჭურჭელი მცირე ბუდობებად იყო წარმოდგენილი, არაა გამოსარიცხი, რომ იქ კოლექტიურ დაკრძალვასთან გვქონდეს საქმე.

სამაროვნის გათხრილ ნაწილში, თიხის ჭურჭლის გარდა, მხოლოდ ქვის ერთი მძივი აღმოჩნდა.

ვფიქრობთ, სამარხები ადრევეა გაძარცული, წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა მასალისაგან დამზადებული ინვენტარის (საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, სამკაული...) არარსებობა რამდენადმე უცნაური და აუხსნელი ჩანს.

ტერმინალის ტერიტორიაზე, გათხრილი ნამოსახლარი იქ წარმოდგენილი იმპორტული თიხის ჭურჭელის მიხედვით (შავლაკიანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები),ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს.

უნდა აღინიშნოს,რომ ტერმინალის ტერიტორიაზე შესწავლილი სამაროვნის ეს ნაწილი (იმპორტული და კოლხური თიხის ნაწარმის მიხედვით) ძვ.წ. VI-IV ს-ით თარიღდება. მისგან განსხვავებით, იქ წარმოდგენილი ყრილი (სინოპური კრამიტის ნატეხები,ელინისტური ხანისათვის დამახასიათებელი თიხის ნაწარმი ამფორისკები, ჯამები და სხვ,) – ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება.[42]

მიმდინარე წლის 15 თებერვალს ტერმინალზე მუშაობის პროცესში ს.ომფარეთში მცხოვრებმა დავით მანიამ სოფლიდან ჩამოიტანა ბრტყელი აგურის რამდენიმე ნატეხი. მისივე ინფორმაციით, ნატეხები აუკრეფია საკუთარ ეზოში, იქვე არსებული ბორცვის თხემზე.

იმავე დღეს დაიზვერა ზემოალნიშნული ტერიტორია. იქ მცხოვრები დ.მანიასა და კ.სალიას ეზო-კარმიდამოსა და მათგან ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს მდებარე ბორცვზე ბრტყელი აგურის, კრამიტისა და გადამწვარი ბათქაშის ნატეხები გამოვლინდა. გორის დასავლეთ ფერდობზე დადასტურდა რიყის ქვით ნაგები კედელი, რომელსაც ემჩნეოდა დაზიანების კვალი. გადმოცემით, ერთ-ერთ მცხოვრებს იქ გადაუწყვეტია სახლის აშენება, დაუქირავებია ტექნიკა და მოუსწორებია გორის თხემი. იმის გამო, რომ ტექნიკა ვერ მოერია მიწის ქვეშ არსებულ ძეგლს, მშენებელს სურვილი განელებია და ხელი აუღია თავის განზრახვაზე.

ძეგლი (აბანო) მდებარეობს ლანჩხუთის რ-ის სოფ. ომფარეთში, მდ.სუფსის მარცხენა სანაპიროზე,დაბა სუფსიდან 2 კმ-ის მოშორებით, შემაღლებულ ბუნებრივ ბორცვზე.

ბორცვს, რომელიც წაგრძელებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთით (სიმაღლე – 10-12 მ., სიგრძე – 75-82 მ., სიგანე – 2-25 მ.) ჩრდილოეთის მხრიდან მდ. ჩირე, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მშრალი ხევი,ხოლო სამხრეთიდან მაღალი გორის კალთა ესაზღვრება.[43]

აბანოს საძირკველი ნაგებია შავი ფერის ქვიშაქვითა და კირხსნარით. საპირე მხარე ჩამოსწორებულია. კედლებში, ძირითადად რიყის ქვაა გამოყენებული, იშვიათად ბრტყელი აგური, აბანოს შესასვლელი კომპლექსის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილშია სავარაუდებელი.

აბანოს შესწავლა არ დასრულებულა; როგორც ზემოთ აღინიშნა, პრეპარაციის დროს დადასტურდა ბრტყელი აგურები;

გვხვდება გვერდებაკეცილი კრამიტის ნატეხებიც (იმპორტი?) სხვა მასალა არ აღმოჩენილა.

უნდა აღინიშნოს იქ მცხოვრები მანიებისა და სალიების განსაკუთრებული დამოკიდებულება ექსპედიციის წევრების მიმართ, ყოველდღიური სითბო და პატივისცემა.

გეგმარებით ომფარეთის აბანო დიდ მსგავსებას ამჟღავნებს შუხუთისა და ციხისძირის აბანოებთან (ანფილადიური წყობა, ნაგებობის თავისებურება, აღმოჩენილი მასალა); ბუნებრივია, ქრონოლოგიურადაც მათი თანადროული ჩანს და,ზოგადად,ადრეული შუასაუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცევა.

1997 წლის 2 ივნისს ტერმინალზე არქეოლოგიური კვლევა დროებით შეჩერდა. ექსპედიცია შეუდგა სადაზვერვო სამუშაოებს.

სოფ.ღრმაღელეში (ლანჩხუთის რ-ნი) მცხოვრებ დ.მეგრელიძის ინფორმაციით მის ეზოში აგურისა და კრამიტის ნატეხები იყო მიმობნეული.

სოფ. ღრმაღელე მთისწინა ზოლს ესაზღვრება. მდებარეობს მდ. სუფსის მარცხენა სანაპიროზე, თბილისი-ბათუმის ტრასიდან 2,7 კმ. მანძილზე. იქ დაზვერვების პროცესში ეკლესიის ნაშთი გამოვლინდა.

ეკლესია გაუმართვათ საკმაოდ მაღალ ბორცვზე (სიმაღლე 14-16 მ. ტაბ. VI). კალთებზე ბრტყელი აგურის და კრამიტის ასეულობით ნატეხი დავადასტურეთ. მიმდებარე ტერიტორია აიგეგმა; გაიწმინდა დაზიანებული კედლების ფრაგმენტები,წითლად მოშანდაკებული იატაკის ნაწილი და კირხსნარით შელესილი, გეგმაში ჯვრის ფორმის ავზი-სანათლავი.

უსახსრობის გამო, ძეგლზე მცირე მოცულობის სამუშაოები ჩატარდა. გაწმენდის პროცესში ბორცვის თავზე გვხვდებოდა ბრტყელი აგურის, კრამიტის, სხვადასხვა ტიპის თიხის ჭურჭლისა და ამფორის ნატეხები; ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩნდა ბრინჯაოს ჯვარი (ჯაჭვით) და ქვის ფილა ბოლნური ჯვრის გამოსახულებით.

ეკლესია წინასწარულად ადრეშუასაუკუნეებით უნდა დათარიღდეს. იქ დადასტურებული წელში გამოყვანილი კოლხური ამფორა, იმპორტული, დაღარულსახეებიანი ამფორის ნატეხები ძეგლის თარიღს კიდევ უფრო აზუსტებს და ახ.წ. VI ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს.[44]

1997 წლის 23 ოქტომბერს, საქართველოს მილსადენის კომპანიასთანს დადებული კონტრაქტის (№004) თანახმად, დაიწყო ზღვის სანაპირო ზოლის შესწავლა.

ძეგლის გავრცელების არეალის დასადგენად, თ.ჭყონიას ეზოში ქვიშაზვინულზე გაიჭრა სამი სადაზვერვო თხრილი (30X19X0,45-0,65 მ.) გაირკვა ძეგლის გავრცელების არეალი (20-22) წინასწარულად ნამოსახლარს თიხის ჭურჭელი წინაანტიკური ხანით ათარიღებს.

გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მცირე სადაზვერვო სამუშაოები ჩაატარა ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და ოზურგეთის რაიონებში.

1998 წელს სამუშაოები გაგრძელდა ს.გრიგოლეთში, ზღვის სანაპიროზე.[45] ზემოაღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდგომ, 1999 წლის თებერვლის ჩათვლით გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ინტერვალებით გააგრძელა სამეთვალყურეო საქმიანობა.[46]

სამუშაოები მიმდინარეობდა ორ ეტაპად. პირველი გულისხმობდა სოფ. ჯაპანიდან, მდ.სუფსამდე 33 მეტრიანი სიგანის ზედაპირის (მოედნის) მოსწორებას, ხოლო მეორე ეტაპზე მოედნის გაყოლებით მილისათვის თხრილის გაჭრას.

პირველ ეტაპზე მეთვალყურეობისა და დაზვერვების შედეგად აღმოჩნდა ნამოსახლარისა და სამაროვნის ნაშთები, სულ 10 ძეგლი; (ესენია: ნიგოითი, შუხუთი, ჭოლიპა, ჩიბათი, ლესა, ნიგვზიანი, ახალსოფელი, სუფსა-ტაბანატი, ხიდმაღალა).

მეორე ეტაპზე ჩატარებული სადაზვერვო და სამეთვალყურეო სამუშაოების პროცესში,ძეგლების შესახებ დამატებითი ინფორმაცია

მივიღეთ. თხრილის გაჭრისას დაზიანდა წინარეანტიკური ხანის (ძვ.წ. VIII-VII ს.ს.) ნიგოითის ნამოსახლარი. ძეგლი მდ.ფიჩორის მარცხენა ნაპირზე მილსადენის მე-800 ნიშნულთან მშენებლების მიერ გაჭრილ თხრილში დადასტურდა.

ზემოაღნიშნული სამუშაოების დამთავრების შედეგად დასრულდა ჯაპანა-სუფსის მონაკვეთზე გამავალი მილსადენის სამეთვალყურეო სამუშაოები.[47]

1999 წელს არქეოლოგიური კვლევა-ძიება გურიის მხარეში არ ჩატარებულა.

2000 წლის ოქტომბრის ჩათვლით, მილსადენის კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად (იხ. კონტრაქტი № S.OO. GPS-HEV-LOO138), სუფსის ტერმინალის მიმდებარე ტერიტორიაზე გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სტაციონარული გათხრები ჩაატარა.

სუფსის ტერმინალის ეზოს მხარეს, ძველი მილებიდან ამოღებული ნავთობის გასაწმენდად გაჭრილი ავზების ტერიტორიის დაზვერვების პროცესში დადასტურდა დაზიანებული კულტურული ფენები.

ფენებში გამოვლინდა ძვლის ნაშთები და თიხის ნაწარმი (სინოპური ამფორის ქუსლი, კოლხური თიხის ჭურჭლის ნატეხები, საწაფი და სხვ.).

ზემოაღნიშნული სამუშაოების პარალელურად გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ რეგიონში სადაზვერვო და მცირე გათხრითი სამუშაოებიც ჩაატარა.

ღრმაღელეში (ლანჩხუთის რაიონი), იქ, სადაც წინა წლებში ეკლესიის ნაშთი ითხრებოდა ექსპედიციამ ეკლესიის ნაწილის გაწმენდა დაასრულა. სავარაუდოდ, კანკელის სიახლოვეს იატაკის დონეზე, იქ სადაც ადრე ბრინჯაოს ჯვარი აღმოჩნდა, გაიწმინდა რკინის ღერო-სამაგრი, ბრინჯაოს ორი ფირფიტა-საკიდი სასაკვამლე, მინის სასმისის რამდენიმე ფრაგმენტი და სასარკმლე მინის ნატეხები.

ომფარეთში (ლანჩხუთის რ-ნი) ჩვენს მიერ ნაწილობრივ გათხრილი აბანოს ტერიტორია გავწმინდეთ. აბანოს შესასვლელის დასავლეთ ნაწილში, გამოიკვეთა კედლის ნაშთი, რომელიც შესაძლოა, აპოდიტერიუმის გვერდით არსებული მცირე სათავსოს (გასასვლელის?) კედლის ნაწილს წარმოადგენდა.

შეკვეთილში (ოზურგეთის რ-ნი) ადრე შესწავლილი კოშკის დათარიღებისთვის მასალის მოპოვების მიზნით, მის მიმდებარე ტერიტორიაზე დავლრმავდით. სამწუხაროდ, როგორც კოშკის შიდა სივრცეში, ასევე მის გარშემო, არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

საქართველოს მილსადენის კომპანიასა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე აკც-ს გურიის არქეულოგიურმა ექსპედიციამ* 2001 წლის 15 ივნისიდან- 28 ივლისის ჩათვლით სოფ. გვიმბალაურში (ლანჩხუთის რ-ნი) კვლევა-ძიებითი სამუშაოები ჩაატარა.

ექსპედიციის ძირითად მიზანს გვიმბალაურის ნამოსახლარისა („ზურგა“) და მიმდებარე ტერიტორიის შესწავლა წარმოადგენდა.

ძეგლის გავრცელების არეალისა და კულტურული ფენების სიმძლავრის დადგენის მიზნით, გაიწმინდა საირიგაციო თხრილი (სიგრძე – 120 მ, სიგანე – 1,2 მ; სიღრმე - 0,8–1 მ.

გვიმბალაურის ზურგა მოპოვებული არტეფაქტების საფუძველზე (ზოომორფულყურიანი თიხის ჭურჭელი; იმპორტული და ადგილობრივი ამფორის ფრაგმენტები, სხვადასხვა ტიპის კოლხური სასმისები, კოჭბები, ჯამები, ბადია, ლუთერია, სამფეხა ჯამი და სხვ.) ზოგადად ძვ.წ. VII-III სს. თარიღდება.

ზურგასა და მიმდებარე ტერიტორიაზე დაზვერვების პროცესში გამოიკვეთა ნამოსახლარი, რომელშიაც ზურგას გაბატონებული ადგილი უკავია. ბორცვი დომინირებს რა მცირე შეზურგვებზე, მათთან ერთად ქმნის მძლავრ დასახლებას (8-10 ჰა).

ნამოსახლარის სიახლოვეს, მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 200-220 მ. მანძილზე დადასტურდა ქვაყრილები,

რომელთა ხასიათი სინქრონული სამაროვნების არსებობას გვავარაუდებინებს; იგივე კანონზომიერება ვლინდება სხვა ნამოსახლარების (ფატარი,გაძირული) მიმდებარე ტერიტორიებზეც.

2002-2007 წლებში გურიის ტერიტორიაზე რაიმე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური სამუშაოები არ ჩატარებულა.

2008 წლის 20-29 აგვისტოს ჩათვლით ექსპედიციამ ჩოხატაურის რაიონის სოფ. ბუკისციხის ტერიტორიაზე დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა. დასახულ მიზანს სიძველეების შესწავლა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში 1964 წელს გათხრების ანგარიშის მოძიება, არტეფაქტების აღწერა-ჩახატვა-ფოტოფიქსაცია და სოფლის შესახებ მონოგრაფიული ნაშრომის გამოქვეყნება წარმოადგენდა.

2009 წელს რამდენიმე ავტორის სახელით გამოვიდა გამოკვლევა ,,ბუკისციხე“.[48]

იმავე წელს, 18-28 ნოემბრის ჩათვლით, ექსპედიციის ერთმა ნაწილმა ოზურგეთის რ-ის სოფელ შრომაში, ხრიალეთის ანდრია პირველწოდებულის

სახ. ეკლესიასა და მიმდებარე ტერიტორიაზე მცირე გათხრითი სამუშაოები ჩაატარა. შედეგად გაიწმინდა ეკლესია და არქიტექტორ-რესტავრატორთან ერთად მომზადდა სარესტავრაციო გეგმა.

მუშაობის პროცესში სპონსორმა ბატონმა პ.კაჭარავამ შრომის თემის შესახებ სრულყოფილი გამოკვლევის ჩატარება გვთხოვა და თვითონაც ზემოაღნიშნულ სამუშაოებში ჩართვის სურვილი გამოხატა. შევთანხმდით,რომ თემისა და თემში შემავალი სოფლების სრულყოფილი შესწავლისათვის კიდევ ერთხელ, ათიოდე დღით ჩავსულიყავით ძველ მიქაელ-გაბრიელში (შრომა). შედეგად მივიღეთ სქელტანიანი ნაშრომი ,,მიქაელ-გაბრიელი“.[49]

2010 წლის 12 ივლისს ოზურგეთის რ-ის სოფ.დვაბზუს წმ. გიორგის ეკლესიის მრევლმა, თავკაცის ხვიჩა საბაშვილის ხელით ეროვნულ მუზეუმში შემოიტანა თხოვნა-განცხადება, რათა სოფლის ტერიტორიაზე არსებული უსახელო ეკლესიის

ნანგრევები შეგვესწავლა. ეკლესიის შესწავლის მიზანს, როგორც შემოქმედელი მიტროპოლიტი იოსები წერილში აღნიშნავდა, მისი ,,აღდგენა-რესტავრაცია“ წარმოადგენდა.

28 ივნისიდან – 12 ივლისის ჩათვლით, ზემოაღნიშნულ უსახელო ეკლესიასა და მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა გათხრითი სამუშაოები. აიგეგმა და გაიწმინდა V-VI სს. ეკლესია. დაიზვერა სოფლის არემარე, ეკლესიები, დაზუსტდა მცხოვრებთა გვარ-სახელები, სკოლის ისტორია, ადგილობრივი მმართველობითი სისტემა, მოვიპოვეთ ინფორმაცია სახელოვან მამულიშვილებსა და შ.რადიანის სახ. სახლმუზეუმზე.

2010 წლის 8-22 დეკემბრის ჩათვლით სადაზვერვო და გათხრითი სამუშაოები ჩავატარეთ ოზურგეთის რ-ის სოფ. ნატანების სანახებში,შეკვეთილის ტერიტორიაზე, იქ სადაც ,,ქართუ მენეჯმენტის“ დაკვეთით, საკონცერტო კომპლექსის მშენებლობა (მშენებლობას წარმართავდა ,,ატუ“ გენერალური დირექტორი კარლო ლეკვეიშვილი) უნდა დაწყებულიყო.

ჯგუფმა ათი დღის განმავლობაში დაახლოებით რამდენიმე ჰა მიწა ვიზუალურად შეისწავლა და დამატებით ხუთი საკონტროლო თხრილი გაავლო. დამხმარე სამეურნეო ნაგებობისათვის განკუთვნილი მოედნის დაღრმავებისას სამხ.დასავლეთ ჭრილში დიუნური ნამოსახლარებისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები დადასტურდა.

რიგით (№ მეოთხე) თხრილში, 1,8-2,4 მ სიღრმეზე ჰორიზონტალურად დალაგებული მოზრდილი ძელები და თიხის ნაწარმის ფრაგმენტები გაიწმინდა. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საკონცერტო დარბაზის სამშენებლო მოედანზე მძლავრი კულტურული ფენები არ დადასტურდა.

იმედს ვიტოვებთ, რომ არქეოლოგიური კვლევა-ძიებითი სამუშაოები გურიის მხარეში გაგრძელდება.

შენიშვნები და ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება, ტ.2, თბ., 1959, გვ.241; ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1973, გვ. 89-92; ქ.ჩხატარიშვილი, ტერმინები ,,გურია“,,,გურული“ და ,,გურიელი“ გურია, მხარის კვლევა-ძიების შედეგები, I, თბ., 1996, გვ.126.

2 დ.ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ.233.

3. თ.ჭანიშვილი, ვ.სადრაძე, მასალები გურიის მხარის არქეოლოგიური შესწავლის ისტორიისათვის, გურია, მხარის კვლევა-ძიების შედეგები, თბ., 1996, გვ.47.

4. დ.ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.231.

5. Н.В. Хоштария, Археологические исследование Уреки, msk. Tb.I, 1955, გვ.30.

6. თ.სახოკია, მოგზაურობანი, ,,საბჭოთა აჭარა“ 1985, გვ. 9-137, ე.თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, 1907, გვ. 19-41.

7. Н.В. Хоштария, დასახ. ნაშრომი, გვ. 20-25.

8. ტ.ჩუბინიშვილი, სოფ. გოგოლეისუბანში გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კომპლექსის აღმოჩენის გამო, მიმომხილველი, I, თბ., 1949, გვ.289-296.

9. ო.ჯაფარიძე, დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI-13, 1951, გვ.109-121.

10. გ.გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები ვაშნარში 1949 წელი (საველე დღიური) გურია, I, თბ., 1996, გვ.166-179.

11. Н.В. Хоштария, დასახ. ნაშრომი, გვ.27-78.

12. თ.ჭანიშვილი, ვ.სადრაძე, მასალები გურიის მხარის არქეოლოგიური შესწავლის ისტორიისათვის, გურია I, თბ., 1996, გვ.46.

13. ლ.ნებიერიძე, ადრენეოლითური ხანის ნაშთები ანასეულიდან, ისტორიის ინსტიტუტის ნაშრომები, 1964, ტ.VII, გვ.180.

14. ნ.ხოშტარია, გ.თავაძე, ძველი აბანოთა ნაშთები ქ.მახარაძეში, გაზ. ,,ლენინის დროშა”, 1957, 24 ნოემბერი.

15. ნ.ხოშტარია, გ.თავაძე, აბანოთა ნაშთები ქ.მახარაძეში გაზ. “ლენინის დროშა“, 1957, 24 ნოემბერი. მ.ტულუში, კატაპულტის კერამიკული ყუმბარები ურეკის მიდამოებიდან, ,,ლენინის დროშა“ 1961, II ნოემბერი.

16. П. Закараия, В. Леквинадзе, Археологические раскопки в Шухути, macne, 1966, VI, gv. 120-135.
17. თ.ჭანიშვილი, ვ.სადრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.47.
18. თ.ჭანიშვილი, ვ.სადრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.48.
19. ნ.ვაშაკიძე, სუფსის აუზში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხები, სდსძ, III, 1973, გვ.74-86.
20. ა.ინაიშვილი,ი.ხახუტიშვილი,ბათუმის არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის მუშაობის ანგარიში, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში, 1971 წელი, თბ., 1997, გვ.7.
21. თ.ჭანიშვილი, ვ.სადრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.
22. დ.ხახუტაიშვილი, რკინის წარმოების ძველკოლხური კერა სუფსა-გუბაზოულის ხეობაში. სდსძ, 1981, გვ.36.
23. დ.ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.23.
24. დ.ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.23.
25. თ.მიქელაძე, კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, თბ. 1985, გვ. 110.
26. მ.ანთაძე, ჯიხანჯირის თურქული მონეტების განძი; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXV- 13.1981, გვ.110; ნ.აფხაზავა, მივლინება ჯიხანჯირის განძის აღმოჩენის ადგილზე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXV-13.1981, გვ.113-114.
27. ვ.სადრაძე და სხვ. არქეოლოგიური დაზვერვები გურიაში, 1991, პრეპრინტი, თბ., 1992, გვ.2-4.
28. ვ.სადრაძე და სხვ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება გურიაში, 1991-94 წწ., გურია, I, 1996, გვ.23.
29. ნ.ვაშაკიძე, გურიანთის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები სდსძ, II, თბ., 1971, გვ.5.
30. კ.კალანდაძე, ახალი ქვის ხანის ნამოსახლარი ხევიდან, გურია I, თბ., 1996, გვ.55-58.
31. ვ.სადრაძე და სხვ. დასახ. ნაშრომი, გვ.23-24; ლ.ნებიერიძე, ახალი ქვის ხანის ძეგლები გურიიდან, დასახ. ნაშრომი, გვ. 69-70.
32. ვ.სადრაძე და სხვ. დასახ. ნაშრომი,გვ. 24-25; მ.მურვანიძე,ჭოლიპას ნამოსახლარზე მოპოვებული თიხის ნაწარმი (წინასწარი ანალიზი) დასახ. ნაშრომი, გვ.73-77.
33. ვ.სადრაძე და სხვ. დასახ. ნაშრომი, გვ. 25.
34. გ.ფხაკაძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ძვ.წ. III ათასწლეულში, თბ. 1993, გვ.71-73.

35. ვ.სადრაძე და სხვ. დასახ. ნაშრომი, გვ.25-26.
36. ვ.სადრაძე და სხვ. დასახ. ნაშრომი, გვ.26.
37. ვ.სადრაძე და სხვ. დასახ ნაშრომი, გვ.27-30.
38. ვ.სადრაძე და სხვ. დასახ. ნაშრომი, ტაბ.XVIII, 8,9.
39. ვ.სადრაძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება გურიაში - 1997 წელი (ექსპრეს-ინფორმაცია) გურია, II, თბ., 1997, გვ.6. ვ.სადრაძე და სხვ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება გურიაში, 1997 წ. გვ.27.
40. ვ.სადრაძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება გურიაში – 1997 წელი, დასახ. ნაშრომი, გვ.6.
41. ვ.სადრაძე და სხვ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება გურიაში, 1997, დასახ. ნაშრომი, გვ.8.
42. ვ.სადრაძე და სხვ, დასახ. ნაშრომი, გვ.19.
43. ვ.სადრაძე და სხვ. დასახ. ნაშრომი, გვ. 20-21.
44. ვ.სადრაძე და სხვ. დასახ. ნაშრომი. გვ.21-22.
45. ვ.სადრაძე და სხვ. გურიის არქეოლოგიური ექსპედიცია 1998 წელი, გურია III, თბ., 2001, გვ.26.
46. ვ.სადრაძე და სხვ. გურიის არქეოლოგიური ექსპედიცია 1998 წელი დასახ. ნაშრომი, გვ.27.
47. ვ.სადრაძე და სხვ. გურიის არქეოლოგიური ექსპედიცია, 1998 წელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 27-28.
48. ვ.სადრაძე და სხვ. ,,ბუკისციხე“, თბ., 2009.
49. პ.კაჭარავა და სხვ. ,,მიქაელ-გაბრიელი“.

Tamar Sadradze, Vazha Sadradze

On the History of Guria's (1831-2010)

Summary

The paper refers to the problems of studying Gurias's cultural heritage. The authors tried to investigate all the aspects connected to the problem.

After visiting and recording the sites known before, they tried to re-interpret all the data of the previous and recent excavations and managed to arrange all the sites explored already according to chronological sequence.

Тамар Садрадзе, Важа Садрадзе

К истории изучения гурийского края (1831-2010)

РЕЗЮМЭ

Статья посвящена вопросам изучения культурного наследия гурийского края. В ней хронологической последовательностью даны итоги осмотра, описания истории раскопок отдельных памятников.

§5. კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური კულტურები და მათი ეთნიკური ატრიბუცია.

კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურებთან (პროტო და ძველი კოლხური) დაკავშირებული პრობლემური საკითხების გარკვევას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა.[1] მიუხედავად ამისა, დღემდე აქტუალობას ინარჩუნებს ამ კულტურების ეთნიკური ატრიბუცია, მათი პირველსაცხოვრისი, განსახლება და გავრცელების არეალები. როგორც ცნობილია, ენობრივი და არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ამ პრობლემებზე მომუშავე სპეციალისტთა შორის ერთხმადაა აღიარებული კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურების დაკავშირება უძველეს ქართველურ – სვანურ და მეგრულ-ჭანურ (ზანურენოვან) მოსახლეობასთან.[2]

გლოტოქრონოლოგიურ მეთოდზე დაყრდნობით (ფუძე ენის მონათესავე ენებად დაშლის პროცესის აბსოლუტური დათარიღება-ლექსიკონი, სტატისტიკა და ა.შ.) ვარაუდობენ, რომ საერთო ქართულიდან სვანურის გამოყოფა უნდა მომხდარიყო ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულს. დაახლოებით 1000 წლის შემდეგ კი წარმოიშვა ქართულისა და ზანურის მატარებელი ეთნიკური ერთობები.[3]

პროტო და ძველი კოლხური კულტურების მატარებელი ტომების პირველ საცხოვრისზე არაერთი მოსაზრება გამოითქვა, რომელიც, მცირედი განსხვავებების მიუხედავად, ძირითადად, ერთმანეთს თანხვდება. ფიქრობენ, რომ სვანური და მეგრულ-ჭანური მოსახლეობის თავდაპირველი პირველსაცხოვრისი იყო ზაგროსის დიდი კავკასიონის მაღალმთიანი ზონა, კოლხეთის დაბლობთან ერთად მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონები და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი, მცირე კავკასიონი

თუ მის სამხრეთით მდებარე ტერიტორია, პროტოხეთური სამყარო და ა.შ.[4] როგორც ვხედავთ, ამ თეორიის მიმდევრებს სვანური და მეგრულ-ჭანური უძველესი ქართველური ეთნიკური ნაკადების ავტოხტონობასთან ერთად (ე.ი. კოლხეთის დაბლობის მკვიდრ ბინადრობასთან) დასაშვებად მიაჩნიათ მათი მოსვლა სამხრეთ რაიონებიდან). მიჩნეულია, რომ ასეთი მოვლენები ხშირად ხდება საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე მაშინ,როდესაც მოსახლეობის სწრაფი გამრავლების შემდეგ დიდი ჯგუფები იწყებენ აყრას და მეზობელ ტერიტორიაზე განსახლებას[5].

ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულს ერთდროულად უნდა მომხდარიყო საერთო ქართული ენიდან სვანურის გამოყოფა, მათი მოსვლა და დასახლება საქართველოს ზღვისპირა ზოლში. მკვლევარები მათ კვალს ამჩნევენ როგორც მეტყველი ტოპონიმებით, ასევე ლინგვისტური მასალებით და არქეოლოგიური მონაცემებით.[6] გამოთქმულია ასევე ალტერნატიული მოსაზრება უძველესი პერიოდიდან საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი ტომების ადგილობრივი განვითარების შესახებ.[7]

XX საუკუნის 40-50-იან წლებში ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა ვარაუდი,რომ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში სვანურენოვან ქართველურ ეთნიკურ ნაკადს წინ უსწრებდა აფხაზურ-ადიღეური მოსახლეობა. ეს შეხედულება თითქოს ემყარებოდა კოლხეთში აფხაზურ-ადიღეური წარმომავლობის ყვა და ფსა ფუძიანი ტოპონიმებისა და გვარების არსებობას: სუფსა, ყვა-ღელე, აჭყვა, ბერეყვა, ბოყვა, მურყვათი, მალთაყვა, ჯურყვათი, ააფსრა, გუმთა, როყვა, ართილაყვა, ინგოროყვა და სხვა.[8] შემდგომში ეს მოსაზრება უარყოფილი იქნა მთელი რიგი მკვლევარების მიერ და შედარებით მყარ არგუმენტებზე დაყრდნობით დადგინდა მათი ქართული წარმომავლობა.[9] ვფიქრობთ, ყოველივე ამას ერთგვარად უნდა ამაგრებდეს არქეოლოგიური მონაცემებიც. კერძოდ, მთელი კოლხეთის ზღვისპირა ზოლში, ადრებრინჯაოს

ხანაში არსებული ერთგვაროვანი მატერიალური კულტურის ფონზე ყველაზე ადრეული კულტურული შრეები (ჩაქვი, ისპანის ქვედა ჰორიზონტი, შემოქმედი, ჭოლიპა, ფიჩორის ცენტრალური ბორცვი VIII-VII ფენა, ანაკლია I-ის ქვედა ფენა, მაჭარა IV ფენა, ოჩამჩირე და ა.შ.) სვანურენოვან ქართველურ ეთნიკურ ნაკადს უნდა უკავშირდებოდეს. ეს ნამოსახლარები განფენილია სწორედ იმ ზოლში, სადაც სვანურენოვანი ტოპონიმებია გამოვლენილი. ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულის ამ ძეგლებზე უფრო ადრეული კულტურული შრეები, რომელიც შესაძლოა, სხვა ეთნიკური ნაკადის დანალექებს უკავშირდებოდეს, კოლხეთის დაბლობზე ან მის ბორცვოვან ზოლში, არ დასტურდება.

უაღრესად ტენდენციურობით გამოირჩეოდა გასული საუკუნის 60-იან წლებში აფხაზეთში მცხოვრები რუსი არქეოლოგის ლ. სოლოვიოვის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმად, ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე კოლხეთის დაბლობზე მოსახლეობის შეცვლა უკავშირდებოდა მცირე აზიიდან გადმოსახლებულ ქაშქებს. თითქოსდა მათ აქ მოიტანეს თავისებური თიხის ჭურჭელი და საკუთარი მეტალურგია. ლ. სოლოვიოვი მდ. ენგურიდან ქ. ადლერამდე გამოყოფდა სამხრეთ-დოლმენურ კულტურას, რომლის ყველაზე ცნობილ ძეგლებად ოჩამჩირის ნამოსახლარი და ეშერის (კიურ-დერე) დოლმენების ქვედა ფენა მიაჩნდა.[10] იგი თვლიდა, რომ სამხრეთ-დოლმენურ კულტურას მდ. ენგურთან ემიჯნება მონათესავე პროტოკოლხური კულტურა. შემდგომში ეს მოსაზრება ძირითადად გაზიარებული იქნა რუსი და აფხაზი მეცნიერების მიერ (შ. ინალ-იფა, ი. ვორონოვი, ვ. ბჟანია, ი. წვინარია და სხვ), რომლებმაც იქაურ სამეცნიერო წრეებში სამხრეთ-დოლმენური კულტურის პარალელურად დაამკვიდრეს. „იმავე შინაარსის“ მქონე ტერმინი ოჩამჩირული კულტურა[11] და მის მატარებლად აფხაზურ-ადიღეური ეთნოსი ჩათვალეს.[12] ლ. სოლოვიოვისა და მის კოლეგების ეს ტენდენციური მცდარი დებულებები არაერთხელ

იქნა სამართლიანად გაკრიტიკებული,[13] ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

სადღეისო მონაცემების მიხედვით, ჩანს,[14] რომ კოლხეთის ზღვისპირა სანაპირო ზოლი და მისი მიმდებარე ტერიტორია უნდა ყოფილიყო ადრებრინჯაოს ხანის კულტურის (პრ. I ეტაპი) ფორმირების მთავარი ცენტრი. აღნიშნულ საკითხებთან ერთად გვინდა, ყურადღება გავამახვილოთ ზოგიერთი მკვლევარის მიერ გამოყოფილი კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის კულტურის შესატყვისობაზე ტერმინ პროტოკოლხურ კულტურასთან.[15.16] მიაჩნიათ, რომ ეს ტერმინი ზოგადად უფრო ისტორიულია და ზოგიერთ ასპექტში ეთნიკური. ამ მოსაზრებას ბოლომდე ვერ გავიზიარებთ. ჯერ ერთი, თ. მიქელაძეს ზოგიერთ ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომში მითითებული აქვს,რომ ეს პერიოდი შესაძლოა გაიმიჯნოს პრ. I და პრ. II ეტაპებად. აღნიშნულია, რომ პრ. I ეტაპი შესაძლოა მოიცავდეს ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარს, ან მის დასასრულს, ხოლო პრ. II ეტაპი კი ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარს და ა.შ. ამაზე მიუთითებს მის მიერ შემუშავებული პროტო და ძველი კოლხური კერამიკის განვითარების ეტაპობრივი პერიოდიზაციის შემაჯამებელი ცხრილი.[17] აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო პერიოდში რატომღაც გვერდს უვლიან და იგნორირებას უკეთებენ ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებს, სადაც ძეგლების სტრატიგრაფიული მონაცემებით დაზუსტებულ-შევსებულია პროტო და ძველი კოლხური კულტურების განვითარების თ. მიქელაძისეული სქემა. ეს სიახლეები ასახულია თანდართულ ქრონოლოგიურ შკალაშიც, სადაც გარკვევით არის ნაჩვენები, რომ პრ. I ეტაპის ადრეული და მოგვიანო საფეხურების არსებობას ვგულისხმობთ ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან და ძვ.წ. XX საუკუნის ჩათვლით, ხოლო პრ. II ეტაპი კი შეესაბამება შუაბრინჯაოს ხანას (დაახლოებით ძვ.წ. XIX-XVI სს-ბი) და ა.შ.[18]

როგორც ცნობილია, თანამედროვე გეოლოგიურ ეპოქაში-ჰოლოცენში მიმდინარე ახალშავზღვურმა ტრანსგრესიამ და ფანაგორიულმა რეგრესიამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა კოლხეთის დაბლობის ჰიდროლოგიაზე, ხელოვნურ სამოსახლო ბორცვთა წარმოქმნაზე (ან, პირიქით, გაანადგურა), სადრენაჟო-საარხო სისტემების დაფუძნება-დახვეწაზე,არქიტექტურაზე და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე.[19] ჰოლოცენში მიმდინარე პროცესების ნათელი დადასტურებაა ტორფისა და ქვიშის ფენის ქვეშ მოქცეული ისპანის (ქობულეთის რ-ნი), ჭოლიპასა და ონწყოშიაშის (სოფ. ერგეტა, ზუგდიდის რ-ნი) ნამოსახლარები.[20]

ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებში მსოფლიო ოკეანესა და შესაბამისად შავ ზღვაში წყლის დონე 1,5-2 მ-დე იმატებს. ეს პროცესი ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებამდე გრძელდება.[21] ხდება მდინარეების დონის აწევაც. როგორც ჩანს, ამ დროს დაიტბორა და დროთა განმავლობაში დაჭაობდა (ქვიშის ფენით დაიფარა) ზღვიდან რამდენადმე დაშორებული ჭოლიპას ნამოსახლარი. შავარაუდოდ, ეს ძეგლი გამართული უნდა ყოფილიყო არა ხელოვნურ ბორცვზე, არამედ ღია გაშლილ, სტიქიის შემოტევისაგან შედარებით დაუცველ ადგილზე. ჭოლიპასთან ახლოს მდებარებს მთისწინა ბორცვოვანი ზოლი, სადაც საჭიროებას არ წარმოადგენდა ხელოვნური ბორცვების გამართვა. ეგებ ცხოვრებისათვის არახელსაყრელი პირობების შექმნის გამო ამ მიდამოებში (დაბლობ ადგილებში) გამართული ნამოსახლარებიდან მოსახლეობის ანაცვლება ხდება მთისწინა ზოლში არსებულ შემოქმედის ტოპოგრაფიის მაგვარ ნამოსახლარებზე. უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალში ათეულობით ტორფქვეშ მოქცეული ადრე, შუა და გვიან ბრინჯაოს საწყისი ხანის ნამოსახლარები, სამაროვნები და სხვა კატეგორიის ძეგლები ელის მზის სინათლეს. ახალშავზღვური ტრანსგრესიის შედეგად ზღვის მიერ უნდა იყოს მიტაცებული გალის რაიონის სოფ.

გაგიდაში მდებარე შუა და გვიანბრინჯაოს საწყისი პერიოდის (ძვ.წ. XIX-XVსს) სამაროვანი. ეს ძეგლი მდებარეობს სოფ. ფიჩორის ნამოსახლარების ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ. მანძილზე, ადგილ ნაჭკადუში.[22] ზღვის ღელვის დროს სანაპირო ზოლში ირიყება სამაროვნებისათვის დამახასიათებელი დიდძალი არქეოლოგიური მასალა. მათი ნაწილი დაცულია ქუთაისისა და ზუგდიდის ისტორიულ-მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში, ნაწილი გატანილია რუსეთში. მოპოვებული მასალების მიხედვით, ეს ძეგლი სოფ. ფიჩორის ცენტრალური ბორცვის გარკვეული ფენების (IV, V, VI) სინქრონული ჩანს. გაგიდის სამაროვნის ლითონის არტეფაქტების გარკვეული ნაწილის მსგავსება ბრილის, მოდინახეს შუაბრინჯაოს ხანის მასალებთან გვაფიქრებინებს, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნულ პერიოდებში გავრცელებული იყო ერთგვაროვანი მატერიალური კულტურა. ღომელიც ლითონის იარაღ-სამკაულის მიხედვით მჭიდრო კავშირებს ავლენს (ლითონის მასალების მიხედვით) შიდა და ზემო ქართლის პერიოდის გვიანბრინჯაოს საწყისი ეტაპის სამაროვნების (წაღვლი, აწყურის სამარხი, თლიას ადრეული სამარხები, ნული, ქვასათალი, ზველის ყორღანი, რველი, კვირაცხოველი, ჩიტახევი, ბორნიღელე) ბრინჯაოს ინვენტართან. როგორც ცნობილია, კოლხეთის დაბლობზე ადრე, შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. XV-X სს-ები) სამაროვნები ან ცალკეული სამარხები დღემდე არ იყო აღმოჩენილი. ამ მხრივ, შესაძლოა, ერთგვარად გამონაკლის წარმოადგენდეს ანაკლია II-ის შუაბრინჯაოს ხანის ფენაში გამოვლენილი ერთადერთი უინვენტარო ორმო სამარხი.[23]

საინტერესოა, რომ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში ეშერის კრომლეხთან და დოლმენებთან ერთად თანაარსებობენ მღვიმეებში (კულტურულ ფენებში) გამართული ორმო-სამარხები (კამან I, ლავინოი ბალკა, კალდახვარა და სხვ). ეს ფაქტი აღნიშნული მხარის ზღვისპირა ზოლში სხვა ტოპოგრაფიის მქონე ნამოსახლარებზე

მოგვიანო ხანაშიც დასტურდება (კისტრიკი, ტამიში). გაგიდისა და კოლხური მეორადი დაკრძალვის სამაროვნების მაგალითების გათვალისწინებით ბრინჯაოს ხანის ამ კატეგორის ძეგლებიც, ალბათ, გამართული უნდა ყოფილიყო ბორცვ-ნამოსახლარებიდან რამდენადმე დაშორებულ,სპეციალურად შერჩეულ მშრალ ადგილებში. სავარაუდოა, რომ ჰოლოცენის ხანაში მიმდინარე ახალშავზღვურმა ტრანსგრესიამ და ფანაგორიულმა რეგრესიამ არსებული პროტო და ძველ კოლხურ (ძვ.წ. XV-X სს-ები) სამაროვანთა დიდი ნაწილი, ნამოსახლარების მსგავსად, ტორფქვეშ მოაქცია. იქნებ ერთ-ერთი მიზეზიც ესეც არის,რომ დღემდე კოლხეთის დაბლობზე აღნიშნული პერიოდების სამაროვნები მიკვლეული არ არის.

ამგვარად, უნდა ვიფიქროთ, რომ კოლხეთის დაბლობის ადრე (პრ. I ეტაპი) და შუა ბრინჯაოს (პრ. II ეტაპი) ხანის კულტურების ფორმირების ძირითად კერას ზღვისპირა სანაპირო ზოლი წარმოადგენდა. იქ მიკვლეულია ამ კულტურის ყველაზე ადრეული ნამოსახლარები. ქედან იწყება ამ კულტურის რადიაცია კოლხეთის დაბლობზე მთისწინა და მთიან ზოლში. ჯერჯერობით ადრებრინჯაოს ხანის კულტურის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული დანაშრევები ჩანს სამხრეთ-დასავლეთი კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა სანაპირო ზოლში ისპანის ნამოსახლარის ქვედა ჰორიზონტის სახით. (ჩ14 თარიღები: 5100 159 (ძვ.წ. 3150, 3180 წწ. კალიბრირებული მეთოდით – 4540 50 (ძვ.წ. 2590 2590, 2640 წწ.). ვფიქრობთ, სადღეისო მონაცემების მიხედვით ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანები უნდა მივიჩნიოთ კოლხეთის დაბლობის სამოსახლოდ ათვისების პერიოდის დასაწყისად. ზოგიერთ მკვლევარს დასაშვებად მიაჩნია ამ პროცესებში მონაწილეობა მიეღო მთიანეთიდან ჩამოსულ ტომებს (ატარა, ოქუმი და სხვ).[24]

როგორც ცნობილია, კოლხეთის დაბლობზე და მთისწინა ზოლში ადამიანი ნეოლითში სახლდება (ხუცუბანი, ქობულეთი, გალი I, მელოური, ჩხორთული, მამათი, ოდიში, კისტრიკი, ანასეული I,

II, გურიანთა, ხორში და ა.შ.).[25] იქ ენეოლითური ხანის ძეგლები არ ჩანს, სამაგიეროდ ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი ძეგლები უფრო დასტურდება ბორცვოვან მხარეს, ღია ტიპის ნამოსახლარებზე (თეთრამიწა, ჩიხორი, ახალსოფელი) და მღვიმეებში (ოქუმი, თეთრი მღვიმე, ძუძუანა და სხვ).[26]

სავარაუდოა, რომ კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ზოლში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე პროტოკოლხური კულტურის მატარებელი ტომების გადაადგილება მიმდინარეობდა ეტაპობრივად. ბუნებრივია ადრებრინჯაოს ხანაში,ამ მხარის პირველი ამთვისებლები საცხოვრებლად, მიწათმოქმედებისა და მეურნეობის დარგების განვითარებისათვის ირჩევდნენ ხელსაყრელ, ნაკლებად დაჭაობებულ ადგილებს. შესაძლოა, ცხოვრებისათვის გამოუსადეგარი პირობების გამო ისინი გვერდს უვლიდნენ მდ. რიონის ქვემო წელს აუზს და სრულად აითვისეს მდ. ენგურის ქვემო წელის აუზის ორივე სანაპირო. სადღეისო მონაცემების მიხედვით ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები ჯგუფებად არიან წარმოდგენილი: სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში – ისპანი, ჩაქვი, ნამჭედური VI ფენა, გურიის რეგიონი – ჭოლიპა, შემოქმედი; მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე – ანაკლია II, ანაკლია I (ქვედა ფენები), ონწყოშიაში, ერგეტა (IV ფენა); მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე – ფიჩორის ცენტრალური ბორცვი (IV-VII ფენები), ნაკარღალი (ქვედა ფენები), ფიჩორის №6 ბორცვი; ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში – ოჩამჩირე, მაჭარა IV ფენა, გუმისთა I და ა.შ. ჯერჯერობით მდ. ურეკისა და მდ. ხობისწყლის ორმდინარეთში ზღვის სანაპიროს გასწვრივ, უფრო სიღრმეში (სენაკის, ხობის, აბაშის, მარტვილის რ-ნები) თუ არ ჩავთვლით ნოსირის ნამოსახლარის I,II ფენებს (დაბლაგომის ზედა ჰორიზონტზე, საკირეზე და საელიაოს კურზიას III ფენაში პროტოკოლხური კულტურის ელემენტები სუსტად არის წარმოდგენილი) ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები საერთოდ არ ჩანს. პირველ შემთხვევაში არსებული ლაკუნა შეიძლება აიხსნას იმით, რომ

ზღვის მოქმედება ამ ზონაში უფრო აქტიური იყო და აღნიშნული პერიოდების არაერთი ძეგლი ტორფისა და ქვიშის სქელი ფენებით დაიფარა. რაც შეეხება ზღვიდან დაშორებული ტერიტორიებს, სამოსახლოდ ათვისება გვიანბრინჯაოს საწყის ეტაპზე უნდა მომხდარიყო.

შემდეგი ეთნიკური ნაკადი,რომელიც გამოეყო საერთო ქართულ ენას ეს იყო მეგრულ-ჭანური მასა, რომელმაც დაიკავა, ერთი მხრივ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი და მისი მთაგორიანი ზონა, ხოლო, მეორე მხრივ, დღევანდელი დასავლეთი საქართველოს ტერიტორია, კოლხეთის დაბლობი და ისტორიული მესხეთის ტერიტორია.[27] მათი განვითარება მიმდინარეობდა ერთმანეთისაგან მოწყვეტილად, რომელიც, როგორც ფიქრობენ, დასტურდება ურარტული, შემდეგ ბერძნული და უფრო გვიან სომხური წყაროებით. ისინი მიუთითებენ, რომ პირველში ძირითად მოსახლეობას წარმოადგენდა ხალიბები და ჭანები, ხოლო დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კოლხები.[28] სწორედ ამ ქართველური ეთნიკური ნაკადის შექმნილია კოლხური გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურა, რომლის საწყისად მიაჩნიათ ძვ.წ. XVI-XV სს-ები (გ. მელიქიშვილი, ოთ. ლორთქიფანიძე, ო. ჯაფარიძე, თ. მიქელაძე, ალ. რამიშვილი, ელ. გოგაძე, მ. ბარამიძე და სხვ), ძვ.წ. XIV-XIII სს-ები (დ. ქორიძე, ლ. სახაროვა, თ. ჩიგოშვილი, ზ. მახარაძე და სხვ), ძვ.წ. XVII-XVI სს-ები (ჯ. აფაქიძე) და ა.შ.[29] ჩვენთვის ყველაზე მისაღებია კოლხური გვიან-ბრინჯაოს ხანის კულტურის ქვედა ქრონოლოგიური საზღვრის განსაზღვრა ძვ.წ. XVI-XV სს-ებით,რაზედაც მრავალჯერ გაგვიმახვილებია ყურადღება. ვფიქრობ, ამას უნდა ადასტურებდეს ერგეტის (IV ფენა), ფიჩორის ცენტრალური ბორცვის (IV ფენა), ჩოლოქისპირა ნამოსახლარის (VI ფენა), ნამჭედურის (VI ფენა), სვანური (გვიანდელი) და მეგრულ-ზანური (ადრეული) ქართველური ეთნიკური ნაკადების შეხვედრები. მიჩნეულია,რომ მეგრულ-ზანურმა შეავიწროვა სვანურენოვანი მოსახლეობა და დაიკავა დღევანდელი

ზღვის სანაპირო ზოლი და რიონ-ენგურის აუზი, რის შემდეგ ბარში მცხოვრები პროტოკოლხური კულტურის მატარებელი სვანური მოსახლეობა ინაცვლებს მთაში, ნაწილი კი რჩება დაბლობ ზონაში და ერწყმის კოლხურ (მეგრულ-ზანურ) ნაკადს.[30] ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში ადგილი გვაქვს არა ძალადობრივ შეცვლასთან, არამედ შერწყმა-დიფუზიასთან, როგორც ეს შესაძლებელია ორი მონათესავე კულტურის შეხვედრის დროს (მ. ბარამიძე). ბარიდან კოლხეთის მთიანეთში (სვანეთი, დაახლოებით ძვ.წ. XVI-XV სს-ები) იმ პროტოკოლხური კულტურის მატარებელი მოსახლეობის ანაცვლებას ფიქრობენ, რომელიც ლითონგადამამუშავებელ საქმიანობასთან იყო დაკავშირებული.[31] ასევე ვარაუდობენ, რომ უძველესი ქართველური სვანურენოვანი მოსახლეობა უკვე ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ბინადრობს ამ მხარეში.[32] ნაწილს კი დასაშვებად მიაჩნია ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულისათვის სვანეთს (ზარგაშის საბადოდან მიღებული მადნის რაოდენობის გათვალისწინებით) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა ბარის ლითონით მომარაგების საქმეში.[33] საყურადღებოა, რა ფაქტობრივ მასალას იძლევა ამ მხრივ არქეოლოგიური მონაცემები. აღსანიშნავია, რომ სვანეთში დღემდე არ არის მიკვლეული ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები. შავარაუდოდ, ისინი არსებობდა, რასაც უნდა ადასტურებდეს იქ აღმოჩენილი სინქრონული პერიოდის მრავალრიცხოვანი ლითონის ინვენტარი (სხვადასხვა ტიპის ყუადაქანებული, ყუამილიანი ცულები, ბრტყელი ცულები, შუბისპირები და ა.შ.).[34] მათი ჩამომსხმელი კი უნდა ყოფილიყო ამავე ეპოქის ნამოსახლარებზე მცხოვრები პროტოკოლხური კულტურის მატარებელი მოსახლეობა. ადრეული ეპოქით (ადრებრინჯაოს დასასრული – შუაბრინჯაოს ხანა) უნდა განისაზღვროს ბოგრეშის სამარხი, რომლის ინვენტარი ახლო პარალელებს პოულობს, როგორც ჩრდილო კავკასიურ, ასევე კოლხეთის დაბლობის მასალებთან. ამ აღმოჩენას განსაკუთრებული

მნიშვნელობა აქვს, რადგან კოლხეთში იშვიათი გამონაკლისის გარდა (საჩხერე, გაგიდა, ბრილის ადრეული სამარხები, ეშერის დოლმენების ქვედა ფენა, ანაკლია II-ის უინვენტარო ორმოსამარხი, მოდინახე და ა.შ.) დღემდე არ იყო მიკვლეული ადრე და შუაბრინჯაოს ხანის სამაროვნები და ცალკეული სამარხები. შამწუხაროდ, ჩვენი ცოდნა სვანეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარებისა და სამაროვნების არსებობაზე ძალზე შეზღუდულია. ამ პერიოდის ძეგლები (სოფ. იფარში – ,,ლასილა-ლაროლარ“,,,ლასილა-სგიმულდ“, სოფ. კალაში – ,,სკარეშის გორა“, მესტიაში – ,,ზურულდ“, ქართვანის სამაროვანი), თუ არ ჩავთვლით კლასიკური ხანის ლარილარის სამაროვანს, სტაციონალური არქეოლოგიური გათხრებით შესწავლილი არ ყოფილა. შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ინვენტარი (სხვადასხვა ტიპის ცულები, ნამგლები, წაწვეტებულპირიანი თოხები, სატეხები და სხვა არტეფაქტები) და ქართვანის სამაროვნის ურთიერთობა კოლხეთის დაბლობის ამ კატეგორიის ძეგლებთან ნათლად მიუთითებს იმაზე რომ, სვანეთის რეგიონი ჩართული უნდა ყოფილიყო კოლხური გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურის არეალში.[35] ადრე, შუა და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები, იშვიათი გამონაკლისის გარდა (ცხეთა, კოვრაში), არც რაჭა-ლეჩხუმის მხარეშია დღემდე გამოვლენილი. თუმცა შუაბრინჯაოს ხანის ბრილის სამარხები, ქვიშარის, ორბელის ბრინჯაოს ცულების ცალკეული აღმოჩენები და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები[36] უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ეს რეგიონი შედიოდა პროტო და ძველი კოლხური კულტურების არეალებში.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ბრილის სამაროვნის (№12 სამარხი და ა.შ.) ბრინჯაოს ინვენტარის გარკვეული ნაწილი (შტანდარტები, ყუამილიანი ცულების, სატევრების, პუნქტირებით შემკული დისკოსებურთავიანი საკინძებისა და საკიდების ზოგიერთი სახეობა) ახლოს დგას ჩრდილო კავკასიის-ფასკაუსა და ზემო

რუხთას ამ კატეგორიის ძეგლების ანალოგიურ მასალებთან.[37] ზოგიერთი მკვლევარის მიერ (გ. გობეჯიშვილი)[38] ადრე იქნა შემჩნეული ამ ორი რეგიონის ბრინჯაოს არტეფაქტების გარკვეული ნაწილი დიდი მსგავსება, რის გამოც გამოიყო კიდეც დიგორი-რაჭის რაიონი (ა. იესენი). ჩრდილოეთ კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურის განვითარების გვიან ეტაპზე კი (გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისი) ცალკე გამოჯნეს თავისი დამახასიათებელი ნიშნებით დიგორიის კულტურის ლოკალური ვარიანტი, რომლის ცენტრად ჩათვალეს ცენტრალური კავკასიის მთისწინა და მთიანი რაიონები (ე. კრუპნოვი).[39] კოლხეთის მთიანეთში ანალოგიური ძეგლების აღმოჩენის გამო უფრო გვიან ეს ტერმინი რამდენადმე დაზუსტებული იქნა რაჭა-დიგორიის კულტურის სახელწოდებით (ი. მონცენბეკერი) იმ განსხვავებით, რომ მასში სვანეთის ჩრდილოეთი რაიონებიც გააერთიანეს (ლ. ფანცხავა, ბ. მაისურაძე, გ. გობეჯიშვილი).[40] ეჭვგარეშეა, რომ კოლხეთის მთიანეთისა და ჩრდილო კავკასიის (დიგორიის) ბრინჯაოს ინვენტარის ზოგიერთი სახეობის თანხვედრები ზოგ შემთხვევაში იდენტურობაც კი გამოწვეული უნდა ყოფილიყო ამ ორი მხარის გეოგრაფიული სიახლოვით, გარკვეულ ეტაპზე იქ მაცხოვრებელი ხალხის მჭიდრო კონტაქტების შედეგად. ეს ურთიერთობები ალბათ ხორციელდებოდა კავკასიის მთავარ ქედზე არსებული გადასასვლელებით, საუღელტეხილო ბილიკებით, რომელთა ნაწილი ჩრდილო კავკასიაში გადადიოდა.[41] სავარაუდოდ რაჭა-დიგორიის კულტურის თუ ჯგუფის ძეგლების ცენტრი უფრო საძიებელია ზემო რაჭის ტერიტორიაზე, რომელსაც იქ არსებული მდიდარი სამთამადნო წარმოების ძეგლები უმაგრებდა ზურგს.

ფიქრობენ, რომ ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთებზე განთავსებული ზემო რაჭის (მდ. რიონის, ჩვეშურას, ზოფხითურას სათავეები), სვანეთის (ზარგააში) და მთიანი აფხაზეთის (მდ. ბზიფისა და კოდორის ზემო დინება-ბაშკაფცარა შვაბზია, ტვიბრაშენა და სხვ) სამთამადნო წარმოების ძეგლებზე სპილენძის მადნის

მოპოვება იწყება ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულიდან და ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში.[42] ისინი მოქმედებაშია მთელი ძვ.წ. II-I ათასწლეულების განმავლობაში. როგორც აღვნიშნეთ, კოლხეთის მთიანეთი ექცევა პროტო და ძველი კოლხური კულტურების რადიაციის ზონაში. იქ არსებული სამთამადნო წარმოების ძეგლებზე მადნის მოპოვებაში, ალბათ, დასაქმებული უნდა ყოფილიყო ამ კულტურების მატარებელი სვანური და მეგრულ-ზანური უძველესი ქართველური ეთნიკური ნაკადები.

კოლხეთის მთიანეთში არსებული სპილენძის წარმოების პირველადი ცენტრებიდან (მარტივი თუ რთული კონსტრუქციის მქონე მაღაროები) ნედლეულით მარაგდებოდა ბარში არსებული და მოქმედი მეტალურგიული წარმოების მეორადი ცენტრები.[43] ლითონჩამომსხმელი სახელოსნეობის სპილენძის ნედლეულით მომარაგებისას მსხვილ სამთამადნო ცენტრებთან ძეგლებთან ერთად ჩართული უნდა ყოფილიყო სპილენძის მადნის ნაკლებ გამოსავლიანი საბადოები, რომლებიც მდებარეობდა აჭარა-თრიალეთის გამადნების ზონაში (მდინარეების აჭარისწყლის, მერისის, ბახვისწყლისა და ნატანების ზემო წელი).[44]

როგორც მონაპოვარი მასალები ადასტურებს ლითონჩამომსხმელი სახელოსნოები ბარში ძირითადად ნამოსახლარების კულტურულ ფენებშია, ზოგჯერ კი ნამოსახლარის პერიფერიულ ნაწილში, სადაც მიმდინარეობდა ბრინჯაოს ნედლეულის მეორადი გადამუშავება, საბრძოლო თუ სამეურნეო დანიშნულების ნივთების ჩამოსხმა. სავარაუდოა, რომ ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში კოლხეთის მთიანეთი და ბარი ერთმანეთს უკავშირდებოდნენ (მათ შორის სპილენძის ნედლეულით მომარაგებისას) მდინარეების ხეობებში გამავალი გზებით.

სადღეისო მონაცემების მიხედვით, კოლხეთის დაბლობის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის კულტურების გავრცელების უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი საზღვარია ისპანი, ნამჭედური (VI ფენა), ჩაქვი,

მახო, ხეცუბანი. ამ კულტურების გავრცელების არეალში ჩართული უნდა ყოფილიყო კოლხეთის დაბლობის მომიჯნავე ისტორიული საქართველოს ტერიტორია (მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპირო, კახაბრის დაბლობი, დღევანდელი თურქეთის ზღვისპირა სანაპირო ზოლი, იქნებ ზღვიდან დაშორებული ადგილებიც).[45] ჩვენს ხელთ არსებული მწირი არქეოლოგიური მასალები სრულ სურათს არ იძლევა და იძულებული ვართ,ვარაუდებით შემოვიფარგლოთ. ძველი კოლხური კულტურის გავრცელების ბოლო პუნქტებია ჩოლოქი, ციხისძირი (წინა ანტიკური ხანის ნამოსახლარი) ნამჭედური (III-V ფენა), ბათუმის ციხის ქვედა ფენა ა.შ. ეს კულტურა ვრცელდება თანამედროვე თურქეთის სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში (მეხჩის, ორდუსა და ართვინის განძებში ბრინჯაოს ცულებისა და სხვა ცალკეული აღმოჩენების მიხედვით).[46]

მტკვარ-არაქსულ, ბედენურ და თრიალეთურ კულტურებთან ერთად კოლხეთის დაბლობის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის კულტურის ელემენტები დასტურდება ზემო იმერეთის პლატოს (საჩხერისა და ჭიათურის რ-ნები) მთელ რიგ ძეგლებზე: არგვეთა (ზედა ჰორიზონტი), ჯიეთი (IV-V ფენა), მოდინახე (შუაბრინჯაოს ხანის №7, 19, 21, 23 სამარხები), ითხვისი (ჩილათას ბორცვი).[47] როგორც ვარაუდობენ, პროტოკოლხური კულტურა ამ რეგიონში ვრცელდება უფრო მოგვიანო ხანაში - მეორე ეტაპზე (შუაბრინჯაოს ხანა), ხოლო ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში აქ ძირითადად დომინირებს მტკვარ-არაქსის კულტურა. შემდეგ კი ბედენური და თრიალეთური (შიდა ქართლის შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები – ნული, ქვასათალი, წაღვლი, აწყურის სამარხები) კულტურები. გვიანბრინჯაოს ხანაში კოლხური კულტურის გავლენა ყვირილას ხეობაში ძალიან სუსტია. ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთები გვხვდება შედარებით მოგვიანო ძვ.წ. XII-X სს-ის კოლექციებში (სოფ. დურევი, ნიგოეთი, პერევისა და

კალვანთას განძები). ყვირილის ხეობის ინტენსიური ათვისება კოლხური კულტურის მატარებელი ტომებით იწყება ძველკოლხურ II ეტაპზე.[48] ამ პერიოდის არაერთი ძეგლია გამოვლენილი ამ რეგიონში. შიდა ქართლის ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ესაზღვრებოდა დასავლეთ საქართველოს, მძლავრადაა წარმოდგენილი კოლხური კულტურის ელემენტები.[49] ალბათ, ეს მხარე დასავლეთ ქართული გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურის რადიაციის ზონაში შედიოდა (ხოვლე, ნაცარგორა, მჭადიჯვარი და სხვ). კოლხური კულტურის ელემენტები მესხეთ-ჯავახეთში ძვ.წ. XVI-XV სს-ებიდან დასტურდება.[50] ეს ჩანს როგორც კერამიკული, ასევე ლითონის მასალებით. მესხეთ-ჯავახეთში ძვ.წ. X-VII სს-ებში უფრო ძლიერდება კოლხური კულტურის ელემენტები (წუნდა, მოლითი, მზეთამზე).[51] ფიქრობენ, რომ აქ კოლხურ კულტურას ორი მხრიდან შეეძლო შემოღწევა - ბორჯომის ხეობით და ზემო რაჭიდან, რომელიც უშუალოდ ეკვროდა მესხეთს.[52]

ეს მხარე გვიანბრინჯაოს საწყისი პერიოდიდან ერთდროულად ექცევა ცენტრალურ-ამიერკავკასიულ, სამთავრულ და კოლხური კულტურის არეალში, სადაც ჭარბობს პირველი ორი კულტურა. ზოგიერთ მკვლევარს ძვ.წ. VIII-VII სს-ებში ბორჯომის ხეობაში ამ კულტურათა შეხვედრებისა და თანაარსებობის დროს უძნელდება იმის განსაზღვრა, თუ რომელი კულტურა იყო დომინანტი და რომელი დაქვემდებარებული. ასევე გადაჭრით ვერაფერს ამბობენ მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ.[53]

პროტოკოლხური კულტურა (I, II ეტაპი – ადრე და შუაბრინჯაოს ხანა) მძლავრად არის წარმოდგენილი ქ. სოხუმამდე, უფრო ზუსტად კი მის ჩრდილოეთით. ვფიქრობთ, მდ. გუმისთასა და მდ. ფსოუს შორის მოქცეული ტერიტორია უნდა იყოს კოლხეთის დაბლობის ადრე და შუაბრინჯაოს ხანას კულტურებისა და დოლმენური კულტურის შეხვედრების ადგილი, საკონტაქტო ზონა. დოლმენების გარდა, სადაც ზოგიერთში (ზემო ეშერა) კოლხეთის

(ზემო სვანეთი, საჩხერე, რაჭა-ლეჩხუმი, დაბლობი მხარე) ადრე და შუაბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი ტიპური ყუამილიან-ყუადაქანებული ცულებია წარმოდგენილი, მხედველობაში გვაქვს მაჭარის (II-III ფენა), გუმისთა I-ის, გუმისთა II-ის, აჭანდარას, პალის, ახრა-კაპშის, ჯამპალ I-ის, კამან I-ის, იუპსისა და სხვა აფხაზეთის მთიანეთში განლაგებული ნამოსახლარები.[54]

როგორც ცნობილია, დოლმენები გავრცელებული იყო მთიანი ტყის მასივებში შავი ზღვის გასწვრივ 480 კმ სიგრძეზე (გავრცელების სიფართე არის 30 კმ-დან 75 კმ-მდე) დაწყებული ტამანის ნახევარკუნძულიდან ქ. ოჩამჩირემდე. სულ 194 პუნქტში 564 დოლმენური ნაგებობაა გამოვლენილი.[55] ქ. სოხუმის სამხრეთით ისტორიული სამურზაყანოს ტერიტორია, სადაც დოლმენური ტიპის სამარხები თითქმის არ გავრცელებულა, სრულიად განსხვავებული რელიეფით ხასიათდება. იგი უფრო გაშლილია და თანდათანობით კოლხეთის დაბლობზე გადადის.[56] ეს მხარე, ალბათ, ქართველური მოსახლეობის საცხოვრისი იყო. როგორც ჩანს, დოლმენური მშენებლობის ტრადიციამ კოლხ მოსახლეობაში ფეხი მაინდამაინც ვერ მოიკიდა.[57] ვფიქრობთ, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი დოლმენები (აქ ძირითადად გვხვდება ქვის ფილებისაგან შეკრული ტრაპეციის ფორმის დოლმენები) უნდა იყოს საერთო დოლმენური კულტურის შემადგენელი ნაწილი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იგი მთლიანად არის მოქცეული პროტოკოლხური კულტურის არეალში.

მკვლევართა ნაწილი აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ დოლმენებს აკუთვნებს კოლხეთის დაბლობის და მისი ბორცვოვანი ზოლის ადრებრინჯაოს ხანის კულტურას.[58] თითქოსდა, ამ ერთგვაროვანი კულტურის წრეში მდ. გუმისთის ჩრდილოეთით გამოყოფენ ლოკალურ ვარიანტს თავისი დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებით: დაკრძალვის წესი, დოლმენები, დასახლებები ტერასაზე, სოჭი-ადლერის ტიპის ქვის თოხები და სხვა ნიშნები,

რომელიც უფრო განიცდიდა ჩრდილოურ გავლენებს მაიკოპი-ნოვოსვაბოდნაიას მხრიდან.[59] დასაშვებად მიაჩნიათ ამ ლოკალური რეგიონის ძველაფხაზური ეთნოსისადმი მიკუთვნება.[60] როგორც ჩანს, დოლმენები ეკუთვნოდა ხალხს, რომლებსაც მუდმივი საბინადრო ადგილი არ გააჩნდა, ეწეოდა მომთაბარე ცხოვრებას და დაკავებული იყო მესაქონლეობით. მას ხელს უწყობდა მათი განლაგება ტყიან მასივებში, სადაც მესაქონლეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ დოლმენური კულტურის ნაბინადარი ადგილები მთლიანობაში სამია ცნობილი.[61] ანდა იმ ნამოსახლარებზე, რომლებსაც ჩვენ დოლმენურ კულტურას ვაკუთვნებთ, ყველგან თხელი კულტურული ფენებია გამოვლენილი და არსად ჩანს ხანგრძლივი, ინტენსიური ცხოვრების კვალი. ამდენად ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს მეურნეობის ხასიათით სრულიად განსხვავებულ ორ კულტურასთან. პროტოკოლხური კულტურა ეს არის, ძირითადად, ბარის ძეგლების კულტურა, რომლის მატარებელი უძველესი ქართველური ეთნიკური ნაკადი სვანურენოვანი მოსახლეობა მისდევდა დამჯდარ მიწათმოქმედებას. ამის დამადასტურებელია ნამოსახლარებზე გამოვლენილი ხანგრძლივი ნაცხოვრების ამსახველი ინტენსიური კულტურული ფენები, მრავალრიცხოვანი სამიწათმოქმედო იარაღები, მარცვლეული კულტურის მრავალგვარი ჯიშები და ა.შ. დოლმენები კი, როგორც აღინიშნა, კულტურაა მესაქონლე ხალხისა, რომელიც ეწეოდა მომთაბარე ცხოვრებას და ხშირად იცვლიდა ნაბინადარ ადგილებს. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში დოლმენები უპირატესად უკავშირდება ისეთ ადგილებს, სადაც ბილიკები და გადასასვლელები გადიოდა, რომლითაც სარგებლობდნენ მწყემსები ცხვრის ფარის გადარეკვის დროს.[62] ამ ძეგლების გავრცელების არეალი ემთხვევა აფხაზურ-ადიღეურ ტომების ადგილსამყოფელს, ამიტომ სწორედ ამ ტომებს უკავშირებენ სამარხების მშენებლობას.[63]

ზოგიერთი მკვლევარი კი დოლმენური კულტურის მატარებლად თვლის პროტოკოლხური კულტურის მოსახლეობის ნაწილს, რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში ტოვებს დაბლობ ზონას და ინაცვლებს მთაში. სწორედ ამ ეთნოკულტურულ ძვრებს უკავშირებენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე დოლმენების გაქრობას.[64] რამდენად სწორი უნდა იყოს არქეოლოგიურად ამ მომენტის დაკავშირება (მეორადი დაკრძალვის რიტუალი,სამკაულები, დოლმენური არქიტექტურა) ბრილისა და თლიას სამაროვნებთან, ძნელი სათქმელია. მიღებულია დოლმენების დათარიღება 2000-1600 წწ. (ლ. სოლოვიოვი),ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნით (ბ. კუფტინი), 2400-2200 წწ. (ადრეული ჯგუფის) და 2200-1800 წწ. (გვიანდელი ჯგუფის ო. ჯაფარიძე). ყველაზე ადრეული უხვრელო დოლმენებს საზღვრავენ ძვ.წ. XXVII-XXVI სს-ებით, ყველაზე გვიანდელს კი ძვ.წ. XIV-XIII სს-ებით (ვ. მარკოვინი).[65]

ძველი კოლხური კულტურა განსაკუთრებით კი მისი განვითარების II ეტაპი (ძვ.წ. X–VII სს-ები), ნამოსახლარების, სამაროვნებისა და განძების მასალების მიხედვით, ზოგიერთი ლოკალური თავისებურებებით, მძლავრადაა წარმოდგენილი ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე მდ. ფსოუმდე.[66] ეს ფაქტი თავისთავად უნდა მეტყველებდეს იმაზე,რომ ამ კულტურის მატარებელი უძველესი ქართველური ეთნიკური ნაკადი-მეგრულ-ზანურენოვანი მოსახლეობა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მჭიდროდ იყო განსახლებული გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში.

კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნების მიხედვით (ძირითადად ბრინჯაოს ინვენტარით), გამოყოფენ კოლხური კულტურის ცალკეულ ვარიანტებს თუ დამოუკიდებელ კულტურებს: ბზიფის აფხაზეთის (მდ. ბზიფსა და მდ. გუმისთას შორის მოქცეული ტერიტორია) და ცენტრალური კოლხეთის. მათ პირობითად უწოდებენ აფხაზურ და მეგრულ ვარიანტებს, რომელსაც არ ანიჭებენ ეთნიკურ დატვირთვას.[67] ჩვენთვის მისაღებია ამ ორი

რეგიონის სამაროვნის მასალებს შორის განსხვავებების ახსნა ლოკალური თავისებურებებით, რომელიც, სხვათა შორის, ამ პერიოდის ნამოსახლარების თიხის ნაწარმშიც შეინიშნება. მხოლოდ ვერ გავიზიარებთ ზოგიერთ მკვლევარის მიერ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის (აფხაზეთის) ტერიტორიაზე ოჩამჩირული კულტურის გვიანი საფეხურის ტერმინის დამკვიდრების ცდას.[68] ეს არაფერია, თუ არა იგივე კოლხური გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურა, რომელიც მძლავრადაა გამოვლენილი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე.

კოლხური კულტურის კვალს ხედავენ ყობანისპირეთში არა მარტო ბრინჯაოს ცულების და კერამიკული მასალების მიხედვით,[69] არამედ ამ მხარეში არსებული სვანურ-ზანური ტოპონიმებით.[70]

ამგვარად გვესახება კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურებთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემური საკითხი. მათი ამომწურავი ანალიზი ერთ სტატიაში შეუძლებელია. ეს მხოლოდ ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევა-ძიების გაგრძელებას წარმოადგენს.

შენიშვნები და ლიტერატურა:

1. ტერმინი პროტოკოლხური პირველად მოიხსენია ლ. სოლოვიოვმა, მისი მონათესავე სამხრეთ-დოლმენური კულტურის გასამიჯნავად. პროტოკოლხური და ძველი კოლხური კულტურა (პერიოდი ან ეპოქა) სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული იქნა თ. მიქელაძის მიერ. პრ. I ეტაპში იგულისხმება ადრებრინჯაოს ხანა, პრ. II ეტაპში – შუაბრინჯაოს ხანა, ძველკოლხურ I ეტაპში – გვიანბრინჯაოს პერიოდი (ძვ.წ. XV-X სს-ები), ძველკოლხურ II ეტაპში ადრერკინის პერიოდი. ვფიქრობთ, მომავალში გარკვეული დაბნეულობის თავიდან ასაცილებლად ეს ტერმინოლოგია ერთგვარ დაზუსტებასა და გამარტივებას მოითხოვს. ამ საკითხებზე იხილით Л. Соловьев, Новый памятник культурных связей Кавказского причерноморья в эпоху неолита и бронзы. стоянки Воронцовской пещеры. Труды Абхазского института языка, литературы и истории, Том. XXIX, Сухуми, 1958, ст. 162; თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 49.

2. გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ; 1965, გვ. 70; საქართველოს ისტორიის ნარკვევები I, თბ., 1970, გვ. 356; ოთ. ლორთქიფანიძე, არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., 1986, გვ. 57-58; თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 20, 70-72; მ. ბარამიძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). სადოქტორო ავტორეფერატი, თბ., 1998, გვ. 18-19.

3. Г. А. Климов, О глотохронологическом методе датировки распада праязыка. Вопросы Языкознания, №2, М, 1952, ст. 119; Т. Гамкрелидзе, В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, Тб., ст. 871. 880. 882; გ. ბერგსლანდი; ჰ. ფოგტი, გლოტო-ქრონოლოგიის საფუძვლიანობისათვის. „მიმომხილველი“ №6-9, თბ., 1972, გვ. 4-6; ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 49-50.

4. გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 72; ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 49; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, გვ. 372; Ш. Чартолани, К истории нагорья западной Грузии до классовой эпохи, Тб., 1989, ст. 243; მ. ქურდიანი, ქართველთა პირველსაცხოვრისი ენობრივი მონაცემების მიხედვით და საერთო-ქართველური ეთნოსის ტომობრივი შემადგენლობა. კრებული ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, თბ., 2002, გვ. 243.

5. ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ 49. ზოგიერთი მკვლევარი, ქართველური სტრუქტურის ტერმინების, ტოპონიმების, აფიქსების არსებობას ხედავს ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე ეგეიდაში, რასაც ქართველური ტომების ერთი ნაწილის გადასახლებას უკავშირებენ. იხილეთ, რ. გორდეზიანი, წინა ბერძნული და ქართველური. თბ., 1985.

6. თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 58; ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50; თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989;

7. ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX ს. დამდეგამდე, თბ; 1943, გვ. 14-45; Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях Грузинской культуры на Кавказе по данным археологии. სსმმ, XII-B, Тб., 1944, ст. 1-10; ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ; 1961, გვ. 233; გ. ფხაკაძე, დასავლეთ ამიერკავკასია ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში, თბ., 1993, გვ. 16.

8. ს. ჯანაშია, სვანური-ადიღეური, ჩერქეზული შეხვედრები შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 117-123; ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, თბ., 1950, გვ. 247; А. Чикобава, Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик, იბერიული კავკასიური ენათმეცნიერება, თბ., 1948, გვ. 263, ო. ჯაფარიძის აზრით, ძვ.წ. III ათასწლეულში (შუახანები) ქართველური ტომები დასავლეთ საქართველოში იკავებენ იმ ტერიტორიას, სადაც აფხაზურ-ადიღეური ტომები იყვნენ გავრცელებული. ამ საკითხებზე, საერთოდ კი კავკასიის უძველესი მოსახლეობის ეთნიკურ ვინაობაზე, მის ინტერპრეტაციაზე არქეოლოგიურ კულტურებთან იხილეთ ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976, გვ. 292, 252-311.

9. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ; 1954, გვ. 146-185; გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47; გ. ნებიერიძე, იბერიულ-კავკასიური ჰიპოტეზა და აფხაზური ენის ქართველთა ნათესაობის საკითხი, სახალხო განათლება, 26/IV-1990; ჯ. გამახარია, აფსილ-აბაზგთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, თბ., 1998, გვ. 20-25; ა. ონიანი, აფხაზეთი და საქართველო ენობრივ მონაცემთა საფუძველზე. სახალხო განათლება 20/XII, 1989; ა. ონიანი აფხაზეთის უძველეს ბინადართა საკითხი ენობრივი მონაცემების საფუძველზე, აფხაზეთის მოამბე №2-3, თბ., 1999, გვ. 14-22. ფიქრობენ, რომ სხვა ენობრივ ელემენტთა მსგავსად, ტოპონიმიკა სხვადასხვა ხალხთა მიგრაციების შედეგად დროთა

განმავლობაში ნიადაგ იცვლება, მაგრამ მათი მთლიანად გაქრობა თითქმის არასოდეს ხდება. მისი მონაცემები კი ნებისმიერი ტერიტორიის უძველეს მკვიდრთა დადგენის უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს. იხილეთ გ. ონიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14-22.

10. Л. Соловьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 150-162.

11. В. Бжания, Поселения Очамчирской Культуры в горах Абхазии. Кавказ и Восточная Европа в древности, М., 1973, ст. 65-71; Ю. Воронов, История Абхазии с древнейших времен до раннего средневековья. Автореферат канд. ист. наук, М., 1971, ст. 20.

12. მ. ბარამიძე, ძვ.წ. III-II ათასწლეულების არქეოლოგიური კულტურები და მათი ეთნიკური ატრიბუცია. საქართველო-აფხაზეთის მოამბე №2-3, თბ., 1999, გვ. 275. Ш. Инал-Ифа, Вопросы Этно-Культурной истории Абхазии, Сухуми., 1976, ст. 97.

13. ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, გვ. 233; გ. ფხაკაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 96; ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტატიგრაფია, ქრონოლოგია, პერიოდიზაცია (ფიჩორის ნამოსახლარის ცენტრალური ბორცვის მიხედვით), თბ., 1997, გვ. 104; ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, გვ. 198-300.

14. ამ საკითხებზე იხილეთ В. Титов, К изучению миграции бронзового века. Археология Старого и Нового Света, М.. 1982, ст. 91, 142-143.

15. გ. ფხაკაძე, კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის კულტურის კვლევის ზოგიერთი ასპექტი, ძიებანი №2, თბ., 1999, გვ. 32; მისივე, დასავლეთ ამიერკავკასია ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში, გვ. 119-120. უკანასკნელ პერიოდში გამოცემულ ნაშრომში იგივე მნიშვნელობის ტერმინად თვლიან კოლხეთის ადრებრინჯაოს ხანის კულტურას, რომელიც, ავტორის აზრით, უფრო იძლევა საშუალებას, გამოიყოს არქეოლოგიური კულტურა, მისი შიდა პერიოდიზაცია და ლოკალური ვარიანტები. ვფიქრობთ, ამ ორი ტერმინის ერთმანეთთან გაიგივება და ერთდაიმავე მნიშვნელობით გამოყენება არ უნდა იყოს სწორი. დაწვრილებით იხილეთ. Г. Пхакадзе Кольхидская ранне бронзовая культура. Археология Кавказа, №2-3, Тб., 2009-2010, ст. 75.

16. მხედველობაში აქვთ Т. Микеладзе, Протоколхская Культура. Археология эпохи бронзы Кавказа и Средней Азии, М., 1994, ст. 67-74.

17. Т. Микеладзе, к археологии Колхиды (эпоха средней и поздней бронзы – раннего железа), Тб., 1990, ст. 20, таб. XXXVII.

18. ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების ქრონოლოგია-პერიოდიზაცია, თბ; 1996, გვ. 78-83, ტაბ. XXXVI-XXXVII, მისივე, კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, თბ., 2007, გვ. 107-109, ტაბ. XXXVII-XLI.
19. Д. Хахутаишвили, Природа и человек в Приморской полосе Колхиды в эпоху голоцена "Кавказо-ближневасточный" сборник VIII, Тб., 1984, ст. 149.
20. ვ. სადრაძე,ლ. ჯიბლაძე; რ. პაპუაშვილი,პროტოკოლხური ნამოსახლარების შესწავლის საკითხისათვის. გურია V, თბ; 2007, გვ. 24-28; ბ. მურვანიძე, ჭოლიპას ნამოსახლარზე მოპოვებული თიხის ნაწარმი. გურია I, თბ., 1996, გვ. 75-77; რ. პაპუაშვილი, ტორფქვეშა ნამოსახლარი ონწყოშიაში, ძიებანი №10, თბ., გვ. 35-37.
21. ჰოლოცენის ხანაში მიმდინარე ახალშავზღვურ ტრანსგრესიაზე და ფანაგორიულ რეგრესიაზე იხილეთ Н. Джанелидзе, Палеография в Грузии в Голоцене, Тб., 1980, ст. 30; Г. Папуашвили, загадка под торфом, Природа Кавказа №1(14), Тб., 2006, ст. 24; ი. პაპუაშვილი, შავი ზღვის პალეორელიეფი და მისი გავლენა კოლხეთის დასახლებებზე, სამაგისტრო ნაშრომი, თბ., 2010.
22. ლ. ჯიბლაძე, რ. პაპუაშვილი, რ. ხვისტანი, შუა და გვიანი ბრინჯაოს საწყისი პერიოდის უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენა გალის რ-ნის სოფ. გაგიდაში. ძიებანი №13-14, თბ., 2004, გვ. 74-78, ტაბ. I-III; აფხაზეთი II, თბ., 2009, გვ. 54-57.
23. დ. მუსხელიშვილი, ლ. ჯიბლაძე, რ. პაპუაშვილი, ნ. პაპუაშვილი, ანაკლია II, თბ., 2010, გვ. 20, ტაბ. 7, 591.
24. გ. ფხაკაძე, დასავლეთი ამიერკავკასია ძვ.წ. III ათასწლეულში, გვ. 83. ო. ჯაფარიძის ვარაუდით, კოლხეთის დაბლობის სამოსახლოდ ათვისება ხდება ძვ.წ. III ათასწლეულის შუა, ეგებ უფრო მის მეორე ნახევარში. მისი აზრით, შესაძლოა, ეს პროცესი უფრო ადრე მდ. ენგურის ხეობაში იწყება იხილეთ ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფუძველზე, გვ. 173.
25. კ. კალანდაძე, დასავლეთ საქართველოს ნეოლითური კულტურა ახალი აღმოჩენათა შუქზე, თბ., 1986, გვ. 140-149.
2 გ. ფხაკაძე . . . 17.
27 ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 51-52; თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.
28. ოთ. ლორთქიფანიძე . . . იქვე, გვ. 51.
29. არსებულ ლიტერატურაზე იხილეთ ლ. ჯიბლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

30. მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.
31. მ. ბარამიძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები), სადოქტორო ავტორეფერატი, გვ. 19-20.
32. Ш. Чартолани, К истории нагорья Западной Грузии доклассовой эпохи, ст. 244.
33. ი. ღამბაშიძე, გ. მინდიაშვილი, გ. გოგოჭური, კ. კახიანი, ი. ჯაფარიძე, უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ.წ. VI-III ათასწლეულებში, თბ., 2010, გვ. 38.
34. შ. ჩართოლანი, ძველი სვანეთი, თბ; 1996, გვ. 42-45, 65-74, სურ. 5, 6, 7. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ო. ჯაფარიძე სვანეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ ადრეული ლითონის ნივთებში (შუბის მაგვარი იარაღი, ცულები და სხვა) მტკვარ-არაქსის კულტურის ნაკვალევს ხედავს ოთ. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, გვ. 292.
35. რ. პაპუაშვილი, სვანეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნები კოლხეთის დაბლობის ანალოგიურ ძეგლებთან მიმართებაში. სვანეთი II. ინტერდისციპლინალური სამეცნიერო კრებული, თბ., 2008, გვ. 16-20; ზ. კვიციანი, ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები ბრინჯაოს ხანაში (ზოგადი მიმოხილვა სვანეთის მასალების მიხედვით) კრებული კულტურულ საისტორიო ძიებანი, თბ; 2010, გვ. 32-35.
36. დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 11, 13, 31-32, 34-35; ლ. სახაროვა, ბრინჯაოს განძები. ლეჩხუმიდან, თბ., 1975.
37. ლ. ფანცხავა, ბ. მაისურაძე, გ. გობეჯიშვილი, ბრილის სამაროვანზე 1939 წელს გათხრილი №12 სამარხის დათარიღებისათვის, ძიებანი №8, თბ., 2001, გვ. 39-44; С. Кореневский, Втульчатые топоры оружие ближнего боя эпохи средней бронзы Северного Кавказа. Кавказ и Средняя Азия в древности и средневековье, М., 1985, ст. 27,30,31, 37, рис.6, 81,3, таб. II13,72,73
38. გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში თბ., 1952, გვ. 61.
39. Е. Крупнов, Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода. МИА №25, М., 1951, ст. 60; В. Марковин, Культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы (II тыс до н. э.) МИА №93, М., 1960, ст. 79.
40. ლ. ფანცხავა, ბ. მაისურაძე, გ. გობეჯიშვილი დასახ. ნაშრომი, გვ. 44.
41. შ. ჩართოლანი, ძველი სვანეთი გვ. 20-32.

42. გ. ინანიშვილი,შ. ჩართოლანი,ბ. მაისურაძე,თ. მუჯირი,ძიებანი №2,1998,გვ. 52-59; გ. ინანიშვილი,ბ. მაისურაძე,გ. გობეჯიშვილი, საქართველოს უძველესი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოება (ძვ.წ. III-I ათასწლეულები), თბ., 2010, გვ. 28-38; ი. ღამბაშიძე და სხვ. დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

43. ლ. ჯიბლაძე, ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების მეორადი ცენტრები კოლხეთის დაბლობზე (ზოგადი მიმოხილვა ნამოსახლარების მასალების მიხედვით), ამირანი, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე XIV-XV, მონრეალი-თბილისი, 2006, გვ. 9-15.

44. გ. ინანიშვილი; ბ. მაისურაძე, გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 28-30 როგორც ცნობილია, სპილენძის საბადოებით მდიდარია ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე აჭარა -- მდ. ჭოროხის აუზი, სადაც განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა ძანსული-ქვაცხელის რ-ნი, ასევე ტრაპეზუნი-ართვინის ჯგუფი. თავის დროზე აქ 410 სპილენძის საბადო აღურიცხავთ. იხილეთ А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. ИГАИМК, 120, 1935, ст. 32, 44-46.

45. ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის დაბლობის ძვ. წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, გვ. 117.

46. თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 41-42; ო. ჯაფარიძე, საქართველოს ისტორიის სათავეებთან, თბ., 2003, გვ. 199-200.

47. გ. ფხაკაძე, მტკვარ-არაქსისა და დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურების ზოგიერთი შეხვედრა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს არქეოლოგიის საკითხები I, თბ., 1978, გვ. 3-12. გ. ლომთაძე, მოდინახეს შუაბრინჯაოს ხანის სამარხები, არქეოლოგიური ჟურნალი I, თბ., 2000, გვ. 5-17; 11-12; მისივე, მოდინახეს შუაბრინჯაოს ხანის სამარხები, არქეოლოგიური ჟურნალი II, თბ., 2000, გვ. 5-12; დ. ბერიკაშვილი, იმერეთის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის სამარხების პერიოდიზაცია, არქეოლოგიური ჟურნალი III, თბ., 2004, გვ. 20-27; ი. გაგოშიძე; გ. მახარაძე; ე. ქორიძე; ნ. გოგიბერიძე, ითხვისის ნამოსახლარი, არქეოლოგიური ჟურნალი III, თბ., 2004, გვ. 73-82.

48. გ. მახარაძე; გ. ლომთაძე, კოლხური კულტურის გავრცელება ყვირილის ხეობაში. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები II, თბ., 1997, გვ. 11-17.

49. ალ. რამიშვილი, შიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების არქეოლოგიური პრობლემები. სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერი, თბ., 1998, გვ. 112.

50. О. Гамбашидзе, К. Квижинадзе, М. Абрамишвили, отчет о работе Месхет-Джавахетской экспедиции, ПАИ в 1980, Тб., 1982, ст. 36. ი. ღამბაშიძე, სამცხე ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში (ბორჯომის ხეობის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით), საკანდიდატო ავტორეფერატი, თბ., 1999, გვ. 9, 10, 14-15.
51. Г. Насидзе. В. Личели, об ареале Колхидской культуры. Материалы международного симпозиумя по древней истории Причерноморья, Вани, 1987, Тб., 1990, ст. 220.
52. გ. ავალიშვილი, ჯ. ძაძუა, ქართველ ტომთა ურთიერთობა გარე სამყაროსთან ბრინჯაოს ხანაში, თბ., 1999, გვ. 17.
53. რ. კვირკვაია, ბორჯომის ხეობა რკინის ფართო ათვისების ხანაში (ძვ.წ. VIII-VII სს-ები), ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის მაცნე, თბ., 2009, გვ. 19.
54. ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, გვ. 107-108, 118. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ელ. გოგაძეც დოლმენურ კულტურას აკუთვნებს გუმისთა I, მაჭარას (II-III ფენა), ახრა-კაპშს, მღვიმე ნამოსახლარს იუპს და ვორონცოვის გამოქვაბულის ზოგიერთ მღვიმეს, იხილეთ Э. Гогадзе, Л. Панцхава, Колхидская культура эпохи бронзы и раннего железа, ssmm, XXLII-B, Тб., 1997, ст. 64-65.
55. В. Марковин, Дольмены Западного Кавказа. Археология эпохи бронзы Кавказа и Средней Азии. Ранняя и средняя бронза Кавказа, М., 1994, ст. 228-231.
56. ო. ჯაფარიძე, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის დოლმენები, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №17-18, თბ., 2006, გვ. 45.
57. ო. ჯაფარიძე, იქვე, გვ. 45.
58. ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, გვ. 190-191 გ. ფხაკაძე, დასავლეთ ამიერკავკასია ძვ.წ. III ათასწლეულში, გვ. 83, 110; საქართველოს არქეოლოგია, I, თბ., 1992, გვ. 238-239.
59. მ. ბარამიძე, ძვ.წ. III-II ათასწლეულების არქეოლოგიური კულტურები და მათი ეთნიკური ატრიბუცია, გვ. 24.
60. გ. ფხაკაძე, დასავლეთ ამიერკავკასია ძვ.წ. III ათასწლეულში, გვ. 120.
61. В. Марковин, dasax. naSromi, გვ. 248.
62. В. Марковин, Дольмены Западного Кавказа, М., 1978, ст. 55.
63. Долмены, современники древних цивилизаций, Краснодар, 2001, ст. 51. ამაზე დაწვრილებით იხილეთ ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, გვ. 301-304.

64. მ. ბარამიძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები), სადოქტორო დისერტაცია, თბ; 1998, გვ. 132.
65. ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე გვ. 251; В. Марковин, Дольмены Западного Кавказа, Археология эпохи бронзы Кавказа и Средней Азии. Ранняя и Средняя бронза Кавказа, ст. 251.
66. ლ. ჯიბლაძე, დასახ. ნაშრომი გვ. 186-187, ტაბ. I; ნ. პაპუაშვილი, ლ. ჯიბლაძე, რ. პაპუაშვილი, კოლხეთის ენეოლითის, ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის სამაროვნების გავრცელების რუკა, ძიებანი №17-18, თბ., 2006, გვ. 127-132; ოთ. ლორთქიფანიძე, განძები კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში. (ფუნქციის დეფინიციისა და კულტურულ-სოციოლოგიური ინტერპრეტაციის ცდა). კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები-ძიებანი VI. დამატება, თბ., 2001, გვ. 178-194; ჯ. აფაქიძე, აფხაზეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები, აფხაზეთი I თბ., 2006, გვ. 66-87; ნ. დოლიძე, კოლხური კულტურა ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (სამაროვნების მიხედვით) აფხაზეთი I, თბ., 2006, გვ. 88-89.
67. А. Ю.Скаков, Хронология могильников Колхиды раннего железного века, степи Евразии в древности и средневековье. Материалы международной научной конференции, посвященой 100-летию со дня рождения М. П. Грязнова, Книга 2., СПБ, 2002 (ცალკე ამონაბეჭდი).
68. Ю. Воронов, დასახ. ნაშრომი, გვ. 20. მ. ბარამიძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის I ნახევარში (ძირითადი პრობლემები). სადოქტორო ავტორეფერატი, გვ. 80.
69. მ. ბარამიძის გამოთქმული მოსაზრების საწინააღმდეგოდ ვფიქრობთ, რომ ძველი კოლხური და ყუბანური კულტურების კერამიკული მასალები, ზოგიერთი დამთხვევების მიუხედავად, მათი ძირითადი ნაწილი ფორმებისა და ორნამენტაციის მიხედვით განსხვავდება. ასევე ძალზე გაჭირდება აღნიშნულ რეგიონებს შორის ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში მიმდინარე ოთხი ქრონოლოგიური ეტაპის გამოყოფა.
70. მ. რატიანი, წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო, თბ., 1995, გვ. 17-28.

Lary Djibladze

The Bronze-Early Iron Period Archaeological Cultures of Colchis and Their Ethnic Attribution

Summary

Scholars connect Colchi Bronze-Early Iron period cultures to the old ancient Kartvelian-Svan and Megrelian-Chan (Zanian) speaking people basing on linguistic and archaeological data. They believe that the earliest habitation areas of these peoples were not only Colchis lowlands but also north-eastern regions of the Asia Minor, south-eastern Black Sea littoral and the Proto-Hittite world.

The Black Sea littoral is considered as the main seat of Colchis' Bronze-Early Iron period cultures (Proto and old Colchis). The area has yielded the earliest habitation sites. Later the cultures made their way through the whole territory of Colchis.

Лэри Джибладзе

Археологические культуры периодов Бронзы и Раннего Железа Колхиды, их этническая атрибуция

Резюме

Археологи, этнографы и языковеды связывают колхидские культуры периодов бронзы и раннего железа с древнейшим картвельским населением говорящим на сванском и мегрело-чанских (занский) языках. Ученые подтвердили факт того, что регионами древнейших поселении этих народов были не только колхидская низменность, но и северо-восточная часть Малой Азии, юго-восточное Причерноморье и прото-хэтский мир.

Черноморское побережье было основным очагом формирования колхидских культур (прото и древнеколхидской) периодов бронзы и раннего железа. В этих регионах найдены самые ранние поселения указывающее на то, что позднее упомянутые культуры начали распространяться по всей территории Колхиды именно с этого микрорегиона.

§6. ქართლის (იბერიის) სამეფო და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი (ძვ.წ. III-ახ.წ.VI სს.)

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული პროვინციის, გურიის პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების კვლევისას გასათვალისწინებელია ის წინაპირობები, რომლებიც ახასიათებდა ამ რეგიონს შორეულ წარსულში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილია ათეულობით ბრინჯაოს ,,კოლხური“ ნივთებითა და ზოდებით შედგენილი განძები[1]. როგორც ცნობილია, ეს განძები, ძირითადად სატრანზიტო გზების სიახლოვესაა მიწაში დაფლული და იმდროინდელი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენდა.

არსებობს მოსაზრება, რომ განძები, განძებში დადასტურებული იარაღ-სამკაული და ზოდები,გარკვეულწილად,სამონეტო მიმოქცევის ფუნქციასაც ასრულებდა[2]. ეს, ჩვენი აზრით, ბუნებრივიცაა, თუ გავიხსენებთ, რომ გურიის მთიან ზოლში სპილენძის საბადოებია ცნობილი, რომლებსაც ჩვენი წინაპრები ადრებრინჯაოს ხანიდან ამუშავებდნენ, ბრინჯაოს ზოდებად ასხამდნენ, ჩამოჰქონდათ ბარში და სხვადასხვა დანიშნულების იარაღს ამზადებდნენ.

ძვ.წ. X-VIII სს. ბრინჯაოს რკინის მეტალურგია ენაცვლება. სწორედ ამ ეპოქას ეკუთვნის დიუნური ნამოსახლარები მდ. ნატანებისა და მდ. სუფსის ორმდინარეთის ზღვის სანაპირო ზოლში. იქვეა ურეკის სამაროვანიც, სადაც ქონების დაგროვებისა და სოციალურად დაწინაურების ნიშნები რეალურად ჩანს[3].

შედარებით გვიან, ადრეანტიკურ (ძვ.წ.VI-IV სს.), ელინისტურ (IV-I სს.) და გვიანანტიკურ (I-IV სს.) ხანაში სამონეტო მიმოქცევა

სახეზეა. ზემოაღნიშნულის დასტურია კოლხეთში შემთხვევით აღმოჩენილი ამ ეპოქის „კოლხური“ და უცხოური მონეტების განძები[4].

მათგან განსაკუთრებული ადგილი სინოპურ (ადრეული-ძვ.წ.VI ს, გვიანდელი – ძვ.წ.III ს.) მონეტებს უკავია. ფიჭვნარსა და მიმდებარე ტერიტორიაზე მიკვლეული სინოპური მონეტების განძები და შემთხვევითი მონაპოვარი პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ შავი ზღვის ურეკ-ქობულეთ-ბათუმის სანაპირო სინოპეს ზეგავლენის ქვეშაა მოქცეული. მეტიც, კოლხური ვერცხლის ნახევარდრაქმებით წარმოდგენილ განძებში, მხოლოდ მცირე აზიური (ქიზიკოსი, ლიდია, კარია, სინოპე) უცხოური მონეტებია დადასტურებული, რაც შეურყეველი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ ადრეანტიკურ ხანაში (ძვ.წ.VI-IV სს.) იბერია ლაზიკის საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკური ორიენტაცია ძირითადად სწორედ მცირე აზიისკენაა მიმართული[5].

შედარებით მოგვიანო ელინისტურ და ადრებიზანტიურ ხანაში ივარაუდება, რომ სინოპური მონეტები ამ რეგიონში სინოპეს მიერ დაარსებულ ტრაპეზუნტიდან შემოდიოდა[6]. ზემოაღნიშნულს მკვლევარები ამ რეგიონების მჭიდრო ურთიერთობით ხსნიან.

გასათვალისწინებელია ისტორიულ-პოლიტიკური და ეკონომიკური რეალიები, რომლებიც ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისიდან მაინც ასახული უნდა იყოს დასახელებულ ტერიტორიაზე, იქ, სადაც ფარნავაზ მეფიდან მოყოლებული ტრადიციისამებრ, იბერიის სამეფოს ერთ-ერთი ოლქი – საპიტიახშო, შემდგომში საერისთავო იგულისხმებოდა. არიანეც ფარსმანის (II ს.) სამეფოს შემადგენელ ნაწილად შავი ზღვის სანაპიროზე ზიგრიტების საცხოვრისად მოიაზრებს[7].

მეფე ვახტანგ გორგასლის დროსაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთი ნაწილი, ზღვის სანაპიროს ჩათვლით, ქართლის (იბერიის) შემადგენელია[8].

იგივე ტრადიცია დასტურდება შემდგომშიც . . . მანამ, სანამ XVI ს-ის ავბედობის ჟამის ზარმა არ დაჰკრა. . . ასე რომ, ძვ.წ. III საუკუნიდან კოლხეთ-ლაზიკეს კავშირურთიერთობა გარე სამყაროსთან იბერიის (ქართლის) სამეფოს ფაქტორის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც საუბარია იმდროინდელი კოლხეთის პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ ცივილიზებულ სამყაროსთან, იქვე გათვალისწინებული უნდა იყოს იმდროინდელი იბერიის სამეფოს ინტერესები და როლი.

ბუნებრივია, იბერიის სამეფო, რომელსაც სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისთანავე გააჩნდა ზღვაზე გასასვლელი, მერკანტილური ინტერესების გამო, საერისთავოს მეშვეობით, აქტიურად ჩაერეოდა ზღვისპირეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში. მეტიც, ადვილი დასაშვებია, რომ კოლხეთი, ხოლო შემდგომში ეგრის-ლაზიკე მნიშვნელოვანი ზეგავლენის ქვეშაც მოექცა.

ჩვენი აზრით, ფაქტობრივად, ამ დროიდან ივარაუდება საერთო ქართველური სახელწიფოებრიობის შესახებ აზრის გაჩენა და მისი რეალიზებისათვის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა.

ძლიერი პოლიტიკური სისტემის, საპიტიახშო-საერისთავოს, ჩამოყალიბების პირობებში, ბუნებრივია, შეიქმნებოდა ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები (იბერიასთან დამაკავშირებელი ნავსადგურები, სავაჭრო და სატრანზიტო გზები).

ისტორიული აღმასვლის თვალსაზრისით, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ჩანს ა.წ. II-III საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვის სანაპირო ზოლი.

ფარსმან ქველის სიძლიერის შესახებ არსებული ინფორმაცია და ჭოროხ-რიონის ზღვისპირეთში მიკვლეული უნიკალური არქეოლოგიური ძეგლები ამ რეგიონის ეკონომიკურ აღმასვლაზე მიგვანიშნებენ.

აშკარაა, რომ მხოლოდ მიწათმოქმედება (მევენახეობა, მეხილეობა), მესაქონლეობა და მეთევზეობა-მეფუტკრეობა ვერ იქნებოდა აღმავლობის კატალიზატორი.

სახელმწიფოს კონტროლს დაქვემდებარებული მეტალური რკინის, მაგნეტიტური ქვიშის, აგრეთვე, ოქროს საბადოების მოძიება და დამუშავება. ე.წ. „კუპრის“ ამოღება სამკურნალო და საწარმოო დანიშნულებისათვის, წარმოებული პროდუქტისათვის სასაქონლო სახის მიცემა, მდინარეებზე (სუფსა, ნატანები და სხვ.) მოხერხებული ნავსადგურების მშენებლობა, სატრანზიტო გზების დაცვა და მათ სიახლოვეს ქალაქების ან ქალაქური ტიპის (მოედანი, ციხისძირი, ვაშნარი, ოზურგეთი და სხვ.) დასახლებების შექმნა! აი, ის მძლავრი მამოძრავებელი ძალა, ურომლისოდაც იბერია-ქართლის ქვეყნის სრულყოფილი განვითარება ვერ მოხერხდებოდა.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, რა ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ კოლხეთ-ეგრისსა და იბერიას ზღვის სანაპიროზე ქრისტეს შემდგომ პირველ საუკუნეებში?

კოლხეთ-ეგრისისა და იბერიის მჭიდრო კავშირებზე მიგვანიშნებს ფარნავაზ-ქუჯიდან მოყოლებული, ის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც ინფორმაციის სახით ჟონავს ჟამთააღმწერელთა ხელნაწერებში, თუმცა, ის რად ღირს, რომ ისტორიული ტრადიციისამებრ, ანდრია პირველწოდებულმა და მისმა თანამოაზრეებმა ყოველგვარი შეფერხების გარეშე კეთილად მოიარეს ეს რეგიონი.

ეპიფანე კონსტანტინოპოლელი თავის ნაშრომში, რომლის მხოლოდ რამდენიმე ნაწყვეტმა მოაღწია ჩვენამდე, აღნიშნავდა „სულიწმინდის მოფენის შემდეგ . . . მოიარეს ქალაქები, იქადაგეს და სასწაულები მოახდინეს და ჩავიდნენ იბერიაში და ფაზისში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ სუსანიაში“9.

ასე რომ, ფაქტობრივად რა ურთიერთობაც არ უნდა ჰქონოდათ იბერიისა და ეგრისის ხელისუფალთ, ქვეყნების

ტერიტორიაზე გამავალი სატრანზიტო გზები სრული დატვირთვით ფუნქციონირებდნენ და წარმოადგენდნენ ე.წ. აბრეშუმის მაგისტრალური გზის შენაკადებს[10].

გურიაში აღმოჩენილი ანტიკური ხანის კოლხური მონეტების განძები ზემოალნიშნულ მოსაზრებას ხორცს ასხამს. იქვე,ციხისძირის ტერიტორიაზე აღმოჩენილი I-VI სს. მონეტების შესწავლაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ამ რეგიონში პოლიტიკურ, ასევე სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებზე, რომელიც გააჩნდათ იქ მცხოვრებლებს შიდა თუ გარე სამყაროსთან[11].

როგორც კვლევებით დასტურდება, ძირითადად I-III სს. გაბატონებულია კესარიული დრაქმები, ანტონინიანები – III ს. იჩენენ თავს; ხოლო III ს. მიწურულსა და IV ს. პირველ ნახევარში მხოლოდ სპილენძის მონეტებია გავრცელებული. შედარებით გვიან, ბიზანტიის მზარდი ზეგავლენებიდან გამომდინარე, VI ს. იწყება ,,კონსტანტინოპოლში მოჭრილი სპილენძის მონეტების მოზღვავება“[12].

რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკური კვლევის თვალსაზრისით, არანაკლებ საყურადღებოა სოფ. ჩიბათში აღმოჩენილი, VI-VII სს. მიჯნით დათარიღებული ბიზანტიური მონეტების განძი.

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძვ.წ. III – ახ.წ. VI სს. ქართლის სამეფო ფლობდა რა სამხრეთ-დასავლეთ ზღვისპირეთს, ერთი მხრივ,აკონტროლებდა კოლხეთ-ლაზიკეს,ხოლო,მეორე მხრივ, რომსა და შემდგომში,სპარსეთ-ბიზანტიასთან,თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას აწარმოებს.

შენიშვნები და ლიტერატურა:

1. ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბ., 1965, გვ. 10-131.
2. Лорткипанидзе Г., Колхида в VI-II вв.до н.э.,Тб.,1978, გვ. 109-115.
3. მიქელაძე თ., კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბ., 1979, გვ. 6-28.
4. დუნდუა გ., გურიის ნუმიზმატიკური მასალა. გურია I, თბ., 1996, გვ. 80-81.
5. დუნდუა გ.,ანტიკური ხანის უცხოური მონეტების განძი კოლხეთიდან (ძვ.წ. VI-IVსს.). გურია III, თბ., 1967, გვ. 82-83.
6. Голенко К., Денежное обращение Колхиды в римское время. Ленинград, 1966, გვ. 52.
7. არიანე ფ., მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თბ., 1961, გვ. 22.
8. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 174-176.
9. გეორგიკა, VII, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1967, გვ. 115.
10. ლორთქიფანიძე ოთ., ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბ., 2002, გვ. 382-383.
11. ინაიშვილი ნ., ციხისძირის ახ.წ. I-IV სს. არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1993, გვ. 98-99.
12. დუნდუა გ., აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი გვიანანტიკურ-ადრებიზანტიურ ხანაში ბიჭვინტის ნუმიზმატიკური მასალების ფონზე. გურია, III, თბ., 2001, გვ. 94.

Tamar Khokhobashvili, Tamar Sadradze

Kartli (Caucasian Iberia) Kingdom and South-West Black Sea Littoral of Georgia (3rd BC-6th AD)

Summary

It seems quite possible that south-east Black Sea littoral not only belonged to the Kartli Kingdom but it also controlled Colchis and Lazika on one hand and exercised independent foreign policy in negotiations with Rome and later with Persia and Byzantine on behalf of its own interests.

Тамар Хохобашвили, Тамар Садрадзе

Картлийское царство (Иберия) и Черноморское побережье Юго-Восточной грузии (IV в. до н.э.-- VI в. н.э.)

Резюме

Вполне вероятен тот факт, что в период между III в. до н.э. и VI в. н.э. Картли, владея юго-западной частью черноморского побережья, с одной стороны, контролировал Колхиду-Лазика, а с другой, вел независимую внешнюю политику с Римом, а позднее и с Персией и Византией, исходя из собственных интересов.

ბადრი ცხადაძე

§7. ჰიდრონიმ დვაბზუა და დუაბზუ // დვაბზუ (//ტუაფსე) ტოპონიმების ეტიმოლოგიისა და ურთიერთმიმართებისთვის

ძველი კოლხეთის (სამეგრელოს, აჭარა-გურიისა და ქვემო იმერეთის) ისტორიულ ტოპონიმია-ანთროპონიმიას არაერთი წერილი მივუძღვენით.[1-6] ამიტომაც ჩვენი ყურადღება და დაინტერესება ამ სამი ტოპონიმით, ვფიქრობთ, მოულოდნელი არ უნდა იყოს, რადგანაც ამ ტოპონიმებით მოხსენიებული ტერიტორიები ანტიკური ხანის დროინდელი ძველი კოლხიდის ძირძველი კუთვნილებაა, რომლის ზუსტი ქრონოლოგური განსაზღვრა, ვფიქრობთ, დღეს შეუძლებელია. მაგრამ ის კი შეიძლება ითქვას, რომ, როგორც ანტიკური ხანის ავტორები (ჰეკათე მილეთელი ძვ. წ. აღ. VI ს., ფსევდო სკილაქს კარიანდელი ძვ. წ. აღ. IV ს.) გვამცნობენ, აფხაზეთის ტერიტორიაზე ძველი დროიდანვე და მათი მოღვაწობის დროსაც ცხოვრობდნენ კოლხური ტომები – თავად კოლხები, კოლები და კორაქსები (კორახები).[7] კოლხურ ტომებს ჩრდილო-დასავლეთით ემეზობლებოდნენ ჰენიოხები, რომლებიც სახლობდნენ მდინარე ბზიფიდან ჩრდილოეთით და ეკავათ ტერიტორია დაახლოებით ტუაფსემდე. ჰენიოხების ჩრდილოეთით მეზობლები იყვნენ კერკეტები – სავარაუდოდ, ჩერქეზულ-ადიღური ტომები. ძველი წელთაღრიცხვის II-I საუკუნეებში ჰენიოხების დასავლეთით აღნიშნავენ ჯიქების ჩამოსახლებასაც.[8]

ამრიგად, ძნელია თქმა და დაბეჯითებით მტკიცება იმისა, იყო თუ არა ტუაფსე ტერიტორიულად იმ დროს ძველი კოლხური ტომების ისტორიული კუთვნილება. თუმცა, სავარაუდებელია, ეს მხარეც ძველი კოლხეთის კულტურული გავლენის არეალში მაინც ყოფილიყო მოქცეული.

შენიშვნა 1. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია დადგენილი, ჰენიოხები იგივე ჭანებია.[9]

ახალი წ. აღ. I საუკუნიდან წყაროები დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ჰენიოხების გვერდით ასახელებენ ახალ სატომო სახელწოდება სანიკს (პლინიუსი). სანიგები ქმნიან თავიანთ სამთავროს,რომელიც II საუკუნეში ვრცელ ტერიტორიას შეადგენდა – მოიცავდა ცხუმიდან მდინარე აქეუნტამდე ანუ დღევანდელ შახემდე. მათი ქალაქი იყო სებასტოპოლისი ანუ ცხუმი.[10]

შენიშვნა 2: მდინარე შახე – სოჭის ჩრდილოეთითაა, ერთვის ზღვას პუნქტ გოლოვინასთან; ნიკოფსია – ტუაფსეს შემდეგაა ჩრდილოეთით 20 კილომეტრზე – ახლანდ. ნოვომიხაილოვსკაია).

ღირსსაცნობია ლეონტი მროველის ცნობა ეგროსის წილი ქვეყნის (ეგრისის) შესახებ: თარგამოსმა „ეგროსს მისცა ქვეყანა“ ლიხის ქედიდან ზღვამდე,სადაც არს „მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასიისა.“[11] „კავკასიის წვერში“, როგორც ფიქრობენ, იგულისხმება კავკასიონის ქედის უკიდურესი დასავლეთი კალთები. ლეონტის ცნობისეული „მდინარე მცირისა ხაზარეთისა“ დღევანდელი მდინარე ყუბანია. და თუ ეს ასეა და არ ვცდებით,მაშინ ეგროსის ანუ ქართველ ტომთა უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ნიკოფსიიდან უფრო შორს აღწევდა,მდინარე ყუბანამდე ანუ დღევანდელ ანაპა-ნოვოროსიისკის რეგიონამდე, რადგან სწორედ აქ არის კავკასიონის უკიდურესი დასავლეთის კალთები – „წუერი კავკასიისა“.

გურიაში ცნობილი ტოპონიმია დვაბზუ – სოფლის სახელწოდება, ისე როგორც ჰიდრონიმი დვაბზუა – მდინარე ნატანების შტო ცხემლისხიდში,ბოხვაურში[12]. დვაბზუა <– დვაბზუ არქეტიპისგანაა ნაწარმოები, ბოლოკიდური –ა სიტყვასაწარმოებელი სუფიქსია. შდრ. ძუძუ – ძუძუა, ბაბუ – ბაბუა, ცაბუ – ცაბუა.

სოფელი დვაბზუ ტერიტორიულად ოზურგეთის (საბჭოური ხანის სახელდებით მახარაძის) რაიონს ეკუთვნის. საბჭოურ ხანაში

ამ სოფელს სასოფლო საბჭო ჰქონდა. სოფელი დვაბზუ ხუთი კილომეტრით დაშორებული ცენტრს (ოზურგეთს). საქართველოს 1987 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ამ სოფლის საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა მეორე სოფელი გალმა დვაბზუ[13].

სამწუხაროდ, დღევანდელ, XXI საუკუნის ათიანი წლების მიწურულის მონაცემებს ვერ ვფლობთ. არადა, მოსახლეობა სოციალურ-ეკონომიკური არასახარბიელო მდგომარეობის გამო, დემოგრაფიულად, მეტ-ნაკლები ინტენსივობით, უთუოდ შეიცვლებოდა.

ალ. ღლონტის მონაცემებით,სოფელ გალმა დვაბზუში სახლობენ გვარები: ავალიანი, ანთია, ანთიძე, არონიში, ბაბუხადია, ბადოიანი, ბასილაია, ბასილაშვილი, ბერაძე, ბერძენიშვილი, ბურჭულაძე, გუგავა, დანელია, დარჩია, დვალიშვილი, ვადაჭკორია, თალაკვაძე, თელია, ინწკირველი, კეკელია, კუპრაძე, მადოიანი, მაღლაფერიძე, მეშველიანი, ორაგველიძე, პაპავა, ჟღენტი, სანიკიძე, სტურუა, ფანცხავა, ფაღავა, ფიფია, ქვეითაია, ღაჟონია, ღლონტი, ცხადაძე, ცხომელიძე, ჭელიძე, ჭიჭაყუა, ხინთიბიძე, ხუხია, ჯიხვაშვილი და სხვ.[14].

როგორც ჩანს, აქ ადგილობრივ „წმინდა გურულ“ გვარსახელებს „არაგურული“ გვარები შერევია. ადვილი წარმოსადგენია, როგორი ვითარება იქნებოდა ამ მხრივ წინა საუკუნეებში.

ადრე, კერძოდ, XVIII საუკუნეში დვაბზუ დაბა ყოფილა, ერთ-ერთი ძლიერი სავაჭრო ცენტრი, სადაც დიდი ბაზრობები (საპარასკეობები) იმართებოდა. რადგან ბაზრობა პარასკეობით სცოდნიათ,ბაზარსაც საპარასკეო ერქვა. როგორც ქ. ჩხატარაიშვილი წერს, „იმდროინდელ გურიაში მთავარი მუდმივმოქმედი სავაჭრო პუნქტი დაბა დვაბზუ იყო. დვაბზუში ოჯახობით ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ ქართველი კათოლიკეები: ვაჭრები – თუმანიშვილი, მელიქიშვილი, ბაგდოშვილი, ოქრომჭედელი გრძელიძე და ქუქჩი ზალინაშვილი,– სულ 8 კომლი, 27 სული.“[15]

ალ. ღლონტის აღწერით, ამჟამად დვაბზუში ეს გვარები აღარ არსებობს.[16]

მკვლევარი სხვა მრავალ გვართან ერთად აქ მაცხოვრებლებად ასახელებს: ბურჭულაძეს, გაგუას, გეგენავას, გოგავას, გოგუაძეს, დარჩიას, დვალიშვილს, თოდრიას, ინწკირველს, კვირკველიას, კუტალაძეს,კუტუბიძეს,ლიპარტელიანს,მაღულარიას,მეგრელიშვილს, მეკეიძეს, მეგრელიძეს, ნინუას, ოთხმეზურს, ონიანს, ორაგველიძეს, სანიკიძეს, სამსონიას, სკამკოჩაიშვილს, სტურუას, ღაჟონიას, ღლონტს, შარაშანიძეს, შაფაქიძეს, შელიავას, ჩარქსელიანს, ჩომახიძეს, ცხომელიძეს, წუწუნავას, ჭანიშვილს, ჭელიძეს, ჭეიშვილს, ხინთიბიძეს, ხუჭუას და სხვ.

ღირსსაცნობია, რომ აჭარაში დუაბზუ ტოპონიმია. გასარკვევია პასუხგასაცემი კითხვები: 1. რა ურთიერთმიმართებაა ამ სამ ტოპონიმს შორის? 2. რომელია პირვანდელი, არქეტიპი? 3. როგორია თითოეულის ეტიმოლოგია, საკუთრივ ქართულია თუ უცხოური წარმომავლობის?

ერთი რამ ამთავითვე ნათელია: 1. ამ სამ ტოპონიმს შორის ფუძისეული ერთობა ერთი თვალის შევლებითაც თვალსაჩინოა. ამის შესახებ შეიძლება საკამათო არც არაფერი იყოს, მაგრამ გასარკვევია, რომელია არქეტიპი : დუაბზე, დვაბზუ თუ ტუაფსე? ამ შემთხვევაში სიტყვის თითოეულ სეგმენტს, ფონეტიკურად სახეცვლილს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. 2. თვალნათელია ისიც, რომ ამ სამი ტოპონიმის შედგენილობა რთულია – ისინი კომპოზიტებია, თხზული სახელები, რომლებშიც გამოიყოფა დუა, დვა, ტუა ტოპონიმების პირველი საწყისი ნაწილი, ხოლო მეორე ნაწილად – ბზუ, ფსე მარცვალი.

როგორც საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, ამ სიტყვათა პირველი ნაწილის არქეტიპია დუა- (დვა- და ტუა- მარცვალი გვიანდელი, ფონეტიკურად სახეცვლილი).

დუა, როგორც მარტივი აგებულების სიტყვა, მთარაჭულში (ქართული ენის რაჭული კილოკავი) ჯადო'ს ნიშნავს[17], სვანეთში კი (სოფელ უშგულში) ქალის სახელია.[18] აღსანიშნავია, რომ აჭარაში დუაძეები სოფელია (ხულოს რაიონში, საბჭოთა პერიოდში შედიოდა ხულოს სადაბო საბჭოში).[19] ვფიქრობთ, სწორედ აქედან წარმოდგა სახელწოდება დუაბზუ და დვა, ტუა სახელური ფუძე. ამრიგად, დუა//დვა//ტუა ადამიანის საკუთარი სახელი უნდა იყოს. დაგვრჩა ერთი მთავარი საკითხი გასარკვევი – როგორი აღნაგობისა და წარმომავლობისაა ამ რთული სიტყვის მეორე შემადგენელი ნაწილი -ბზუ, -ფსე?

მეცნიერთა დიდი ნაწილი გურია-აჭარის ტერიტორიას სვანთა ძირძველ ადგილსაცხოვრისად მიიჩნევს. ამიტომ შეიძლება გვეფიქრა, რომ ბზუ სვან ეთნონიმის აღმნიშვნელი ფონეტიკურად სახეცვლილი ებზე ეთნონიმი იყოს.. როგორც ვიცით, ყარაჩაელები და ჩერქეზები სვანებს ებზეებად მოიხსენიებენ. ს. ჯანაშიას ახსნით, „ებზე“ „აბაზა“ ტერმინიდან მომდინარეობს[20] და ისტორიულად დასავლეთ საქართველოს ძირძველ, სუან-კოლხურ ტომებს აღნიშნავდა.[21] მართლაც, პირიქითა სვანები ებზეებად სახელდებულნი, ადრე ჩრდილოკავკასიის პირიქითა მხარესაც თანაცხოვრობდნენ. სვანთა მიგრაციულმა პროცესებმა თავი იჩინა როგორც საქართველოს სამხრეთით, ისე საქართველოს მთიანეთის – ჩრდილო კავკასიიის იქითაც. ამიტომ შესაძლოა გვეფიქრა, რომ ასე უნდა გაჩენილიყო „სვანური“ მიგრაციული „მიღმური და მოღმური“ ტოპონიმები დვაბზუ და დუაბზე აჭარასა და გურიაში, ხოლო ჩრდილო კავკასიაში ტუაფსე, დუაბზუ'ს ფონეტიკური სახესხვაობა: დუაბზუ <– დუა ებზუ –> ტუა ებზუ –> ტუაფსე. ეს უკანასკნელი ფსა//ფსე 'ს ანალოგიით გარდაიქმნა უცხო – არასვანურ-ქართულ გარემოში. ასე რომ ტუაფსუ // ტუაფსე სვან წინაპართა ნასახლარ-ნაქალაქევია, ისევე როგორც დუაბზუ და დვაბზუ.

თუ ასე ავხნით ამ სამი ტოპონიმის პირველ და მეორე ნაწილს, მაშინ დუაბზუ, დვაბზუ ან ტუაფსე ვინმე სვან დუას კუთვნილ მიწა-წყლად უნდა ვცნოთ: დვაბზუ <- „დუას ან დუაშვილების (დუაძეების) კუთვნილი“.

ამავე ვარიაციული ტოპონიმის მეორე შემადგენელი ნაწილის ახსნა სხვაგვარადაც შეიძლება – ფსე//ბზუ: წყლის ან მდინარის აღმნიშვნელად გამოვყოთ, რომლის მსგავსი ჰიდრონიმი და ტოპონიმი ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე არაერთი გვაქვს: ნიკოფსა – ნიკოს მდინარე, სუფსა – სურების წყალი, აკამ-ფსისი – ჭოროხის ძველი სახელწოდება, ფოსო – წყლიანი ორმო გურულად, ფცა – მდინარე ქართლში, ფშა-ტალა – თოვლ-წყალი სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ბასიანი – ფასიანი – ჩრდილოეთ კავკასიაში, ბასიანი – ფასიანი – ანატოლიაში, და ბოლოს ფს(ა)-ელი (რინა), რაც არავითარ ეჭვს არ ტოვებს, რომ ეს ტერმინი ქართული იყო და წყალს ნიშნავდა.

ბ. ჭყონიას დასკვნით (რომელსაც მკვლევარი გ. ერაძის წიგნის სარეცენზიო წინასიტყვაში აღნიშნავს), ქართულ ისტორიოგრაფიაში პრობლებად იქცა „ფსა“ ნაწილაკის (ასე უწოდებს ავტორი, ბ. ცხ.) წარმომავლობა. მისივე თქმით, მეცნიერთა ერთმა ნაწილმა ეს ტერმინი ჩერქეზულ-ადიღურად მიიჩნია, რითაც კიდევ ერთხელ მისცეს საფუძველი აფსუა ისტორიკოსებს, ემტკიცებინათ დასავლეთ საქართველოში მხოლოდ მათი ცხოვრების ფაქტი. როგორც ცნობილია, თითქმის 6 ათეული წლის წინათ მკვლევარმა პავლე ინგოროყვამ გააქარწყლა ეს მითი[23], ფსია ახლაც მეგრულად ადიდებულ მდინარეს ნიშნავს. ახალი არგუმენტებით ამაგრებს ამ ახსნას გ. ერაძე, რომლის მართებულად დასმული ერთ-ერთი რიტორიკული კითხვით „სრულიად გაუგებარია, რატომ უნდა ვეძებოთ ადიღური ელემენტი კოლხურ სანახებში და არა ქართველური ელემენტი ადიღურ აულებში?“ – ჩვენთვისაც გასაზიარებელია.[22]

გ. ერაძეს აქ მხედველობაში აქვს ჩვენი მეცნიერების გამონათქვამები: 1. ივ. ჯავახიშვილის:(ფს,ფშ კომპლექსის შემცველი წყლის აღმნიშვნელ სიტყვებს, მართალია, მდინარის სახელებში აფხაზურად ვერავითარი განმარტება ვერ ეძებნება, სამაგიეროდ ფსე ჩერქეზულად წყალს ნიშნავს, ფსუხუო კი მდინარეს. „თუმცა ფშ კომპლექსი თანამედროვე ჩერქეზულს წყლის სახელად აღარ აქვს, მაგრამ წინათ რომ ჰქონია, ეს იქითგანაც ჩანს, რომ ქვიშას, ლამს ჩერქეზულად ახლაც ფშახუა და ყაბარდოულად ფშახო ეწოდება“. გ. ერაძის შენიშვნით,ივ. ჯავახიშვილი ამ ტოპონიმთა საფუძველზე მათ სახელმდებლად ჩერქეზ-ყაბარდოელთა ტომებს ვარაუდობდა“[23] 2. არნ. ჩიქობავასი:(„....არსებობს სერიოზული საფუძველი,ვივარაუდოთ, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველურ ტომებს წინ უსწრებდნენ აფხაზურ-ადიღური ტომები“). ამჯერადაც მართებულია გ. ერაძის გულისწყრომითი დანასკვი: „როგორც ხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ „ფს“ კომპლექსს არავითარი კავშირი არ ჰქონია აფხაზებთან, მეცნიერებმა მაინც ადიღელებში გააერთიანეს ისინი (საინტერესოა, რაღას ვერჩით ინალ-იფას?), – დასძენს გაოცებული მკვლევარი“[24].

სამწუხაროდ, გ. ერაძეს „ავიწყდება“, რომ ამ „ვერსიის თუ ჰიპითეზის თავდაპირველი ავტორი არის ისტორიკოს-კავკასიოლოგი სიმონ ჯანაშია, რომელმაც ამ საკითხს სპეციალური წერილი მიუძღვნა. ბატონი სიმონის თქმით, დასავლეთ საქართველოს (კერძოდ, გურიის) ტერიტორიაზე უნდა გვქონოდა აფხაზურ--ადიღურ ტომთა მიგრაცია“....(ამის მოწმეა სუფსა და -ყვა დაბოლოებიანი გვარსახელებიო: ინგოროყვა და მისთ.). აფსუა შ. ინალიფამ და სხვებმა აფხაზურ-ადიღურს ადიღური ჩამოაშორეს და ხელთ აფხაზური შეგვრჩა. ასე გაავულგარულა ზოგიერთმა აფსუა მეცნიერმა აკად. ს. ჯანაშიას მოსაზრება.

ფსა//ფს რომ ქართული ლექსიკის კუთვნილებაა, ჩანს ისეთი ფს კომპლექსის შემცველი ლექსემებიდან, როგორიცაა:

ფშა – წყარო, ნაკადი;

ფშა – წყლიანი ადგილი;

ფშანი – წყლიანი ადგილი;

ფშანი – ნერგი, ფესვიდან ამოყრილი მცენარე;

ფშიანი – წყაროთა, წყალთა გასავლელი ადგილი;

ფშატი – [Elaeagnus] ბოტან. საშუალო ან დაბალი ტანის ხე; აქვს ვიწრო მოვერცხლისფრო ფოთლები, პატარა ზომის, ყვითელი, სურნელოვანი ყვავილები, კურკიანი ნაყოფი – მოგრძო, მოყვითალო, ტკბილი; კანსშიგნითა ნაწილი ფქვილივით იშლება, მშრალია.[26]

ფშიერი – პატარა ტყე;

ფშავი – მთიანი კუთხე აღმოსავლეთ საქართველოში (თუ, რა თქმა უნდა, იგი მშავ სიტყვისგან არაა წარმომდგარი);

ფშუტე, გუდაფშუტა – ,,ცარიელი"; გადატ. უჭკუო;

ფშუტურა – ცარიელი, უგულო;

ფშუტური – იგივეა, რაც ბჟუტური, ბოდვა, უაზრო ლაპარაკი;

ფშლუკუნი// ფშლუკვა (დიალ. იმერ.) უაზრო ტირილი, უმიზეზოდ ატირება;

ფსელი – შარდი;

ფსლიკი (დიალ. იმერ.) – შარდი;

ფსლიკინი (დიალ. იმერ.) – ფსმა;

ფსლიკა (დიალ. იმერ.) – ქვეშაფსია;

ქვეშაფსია – შარდის ვერშემკავებელი, გადატ. მშიშარა;

ფისი // ფისი-ფისი – შარდი ბავშვის ენაზე;

ფუსუნსურა (დიალ. იმერ.) – ქვეშაფსია ბავშვი;

ამრიგად, ტუაფსე'სეული ბოლო მარცვალი ფსე აქ მოყვანილ ფს//ფშ კომპლექსის შემცველი სიტყვების ძირს უკავშირდება. რაც შეეხება დუაბზუ //დვაბზუ'ს თავკიდური მჟღერი თანხმოვნისგან ყრუ მკვეთრი ტ'ს მიღებას, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ქართველურ ენებში: მაგ., დიაოხი//ტაოხი =,,ტაოელები", შატბერდი –> შატბერთი, ქართ. დვალეთი ოსური წარმოთქმით: ტუალტაი". ღირსსაცნობია, რომ

ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე მიგრაციული პროცესები არაერთი და არაერთგზისი უნდა ყოფილიყო. მიგრაციები უფრო საფიქრებელია სამხრეთიდან ჩრდილოეთით, ვიდრე პირიქით (გავიხსნოთ თუნდაც ამ ორი ათეული წლის წინათ აჭარლების ჩასახლება მესხეთ-ჯავახეთში, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში) სახრეთკავკასიელები – ქართველები, კოლხები, დღევანდელი გურულ-აჭარლები ხომ სიცოცხლის სავსე, მეძიებელი, დაუდგრომელი ხალხია, გამორჩეული თავიანთი სიმარდით, თავისებური სიმკვირცხლითა და შინაგანი მოუსვენარი ბუნებით. ამის ნათელსაყოფად გურული „ფარცაკუკუს“ და ძველებური ვაჟთა ცეკვის „კოჭას“ დახასიათებისას ცნობილი ქართველი ხელოვანის, ხელოვნების მეცნიერებათა დოქტორის ლილი გვარამაძის დამოწმებაც კმარა, დვაბზუელებზე თქმული: „თავისი საფუძვლით – ბუქნით „ფარცაკუკუ“ ძველებურ ვაჟთა ცეკვას „კოჭას“ ენათესავება. ცეკვა გაჟღენთილია სპორტული აზარტით: სოფელ დვაბზუდან ოზურგეთში ახალგაზრდობა ჯგუფებად, „ფარცაკუკუს“ ცეკვა-ხტუნვით, ბუქნით მიდიოდა, 2-2,5 კილომეტრზე. საბოლოო მიზანს ძალიან ცოტა აღწევდა: ხშირად მოცეკვავეებს დაძაბულობისა და ხანგრძლივი ხტუნვისაგან სისხლი სდიოდათ ყურებიდან“[27]. რა გასაკვირია, რომ ძველადვე ძველი სვან-კოლხები ერთი ადგილიდან (სამხრეთიდან) ჩრდილოეთით მიგრირდებოდნენ და თავიანთ ახალშენებსა, სოფლებსა და დაბებს აარსებდნენ, რომლის ერთ-ერთი მაგალითიც ჰიდრონიმი დვაბზუა (<– დვაფსუა), ტოპონიმები დუაბზუ (დუაფსუ) // დვაბზუ (ტვაფსუ), და ტუაფსე (ტუაფსუ) უნდა იყოს.

შენიშვნები და ლიტერატურა:

1. ბ. ცხადაძე, ქართველურ (მეგრულ-ჭანურ, სვანურ, ქართულ) გვარსახელთა ისტორიისათვის. დაბეჭდ.: ნ. ჯომიდავა, კოლხური გვარსახელები, წიგნი I. თბ., 1996, გვ. 3-10.
2. ბ. ცხადაძე, მეგრულ-ჭანურის ერთი პლასტი გურია-აჭარის ტოპონიმიაში. კრებული „გურია“ (მხარის კვლევა-ძიების შედეგები), II, თბ., 1997. გვ. 154-171.
3. ბ. ცხადაძე,გურ ძირის შემცველ სახელთა ურთიერთმიმართებისათვის (ეგურ // ენგურ, ინგირ, ეგრის, მეგრ-ი, მეგრელ-ი//მარგალ-ი, არგუეთ-ი, გურია, არგო (არგისა), მაკრონი, მარგალიტი). კრებ. „გურია“ (მხარის კლევა-ძიების შედეგები), II, თბ., 1997. გვ. 172-186.
4. ბ. ცხადაძე, ო- – ეთ ცირკუმფიქსიანი ოზურგეთ, ომფარეთ ტიპის ტოპონიმები ძველი კოლხეთის (გურია-აჭარის, ქვემო იმერეთის) ტერიტორიაზე. კრებ. „გურია“ (მხარის კვლევა-ძიების შედეგები), III. თბ., 1998. გვ. 212-224.
5. ბ. ცხადაძე, გურიის (სოფ. გურიანთის) რამდენიმე ტოპონიმისა და ჰიდრონიმის წარმომავლობისათვის (1. უჯინარი, 2. ვაშნარი // ვაშინარი, 3. სქურდუმი // სკურდუმი // სქურდუბი // სქურბედი, 4. სპონიეთი): ო. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული „გურია“ (მხარის კვლევა–ძიების შედეგები). ტ. IV, თბ., 2006, გვ. 83-90
6. ბ. ცხადაძე, გურიის სამი ისტორიული ტოპონიმის (ჰიდრონიმის) წარმომავლობის საკითხისათვის (სუფსა // ისისი, სურები, ნატანები, ჯიშკილვანი). კრებ.: გურია (მხარის კვლევა-ძიების შედეგები), ტ. V. თბ., 2007, გვ. 101-105.
7. В.Латышев, Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе. т. 1., С-Пб., 1893. с. 3.
8. დ. გოგოლაძე, „აფხაზთა“ საერისთავოს, დღევანდელი აფხაზეთის ძველ ეთნოსთა ვინაობისა და ეთნოსის მკვიდრობის საკითხი, თბ., 1995, გვ. 6.
9. ბ. გიგინეიშვილი, ეთნონიმ ჰენიოხის წარმომავლობისათვის. მაცნე, ისტორიის სერია, 1975, №1, გვ. 115-124.
10. ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გამოსცა ნათელა კეჭაღმაძემ, თბ., 1961. გვ. 43.
11. ქართლის ცხოვრება., I. გვ. 5.

12. ალ. ღლონტი, სუფსა-ნატანების ხეობები. ტოპონიმიკური ძიებანი. VIII, თბ., 1993, გვ. 80-81.
13. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, თბ., 1987.
14. ალ. ღლონტი, სუფსა-ნატანების.... გვ. 68-69.
15. ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბ., 1983, გვ. 60.
16. ალ. ღლონტი, სუფსა-ნატანების ხეობები. ტოპონიმიკური ძიებანი. VIII, თბ., 1993, გვ. 80.
17. შ. ძიძიგური,რაჭული დიალექტი I. მთარაჭული. წიგნში: შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, ს. ჟღენტის რედაქციით. 1954. გვ. 205.
18. ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები. ანთროპონიმთა ლექსიკონი, მეორე შევსებული გამოცემა., თბ., 1986. გვ. 268.
19. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, თბ., 1987, გვ. 128.
20. ს. ჯანაშია, შრომები., ტ. III. თბ., 1959, გვ. 300.
21. თ. მიბჩუანი, სვანი და სვანეთ ტერმინთა ეტიმოლოგიისათვის., კრებ.: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993, გვ. 467.
22. ბ. ჭყონია, წინასიტყვის მაგიერ. წიგნში: იხ. გ. ერაძე, აფხაზი და საქართველო, ბ. ჭყონიას წინასიტყვაობით, თბ., 1993, გვ. 4.
23. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე – ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა (ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან), თბ., 1954, გვ. 185.
24. გ. ერაძე, აფხაზი და საქართველო, ბ. ჭყონიას წინასიტყვაობით, თბ., 1993, გვ., 25.
25. გ. ერაძე, იქვე, გვ. 25.
26. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული), არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964.
27. ლ. გვარამაძე, ქართული საცეკვაო ფოლკლორი. თარგმნეს, გადაამუშავეს, შეავსეს, რედაქცია გაუკეთეს და გამოსაცემად მოამზადეს ბ. ასიეშვილმა და ო. ციციშვილმა, მეორე გამოცემა, თბ., 1997, გვ. 84.

Badri Tskhadadze

On the Etymology and Interrelation Between Hidronyms "Dvabzua" // "Duabzu" and Toponyms "Dvabzu" ("Tupse")

Summary

The author believes that these toponyms (Duabzu//Dvabzu (Tuapse) are the names of the territories indigenously belonging to the Antique period Colchis. Even the fact that one toponym has three different versions (phonetically changed) suggests its Svan-Colchis origin and points to a certain migrations among the Georgians, the Svans and the Colhis. The present time hydronym "Dvabzua" (//"dvapsua"),toponyms "Duabzu"//"Dvabzu"//"Tuapse", "Duas" (a human's name) normally means that some piece of land belongs to a certain person.. The author points that the vitality of the suggestion can easily be confirmed by the fact that there is a village named "Duadzeebi" in Achara region (south-west Georgia) and it is used as a person's proper name "Dua" so common in Colchis and Racha-Svanetian regions of Georgia.

Бадри Цхададзе

Этимология и взаимоотношения гидронимов и топонимов «Дуабзу»\\«Двабзу» («Тупсэ»)

Резюме

В результате своих исследований по данному вопросу автор пришел к выводу, что упомянутые топонимы («Дуабзу»\\»Двабзу» («Тупсэ») принадлежат древнейшей Колхиде. Эти три версии одного и того же топонима (три фонетически различных варианта) являются сванско-колхидского происхождения и указывают на факт миграции между картвелами, сванами и колхидами. «Двабзуа (//Двапсуа)» является современным гидронимом. Что касается топонимов «Дуабзу//Двабзу//Туапсэ Дуа» (они обозначают собственное имя человека), или они указывают, что какой-то земельный участок является чей- то собственностью. На это указывает название села «Дуадзееби» в Аджарии и присутствие собственного имени человека в регионах Колхиды, Рачи и Сванети.

§8. ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შექმნის ისტორიიდან

მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან საქართველოში ფართოდ გაშლილმა ანტირელიგიურმა მოძრაობამ ქართული მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი შეიწირა.[1] იმდროინდელ სახკომსაბჭოს საგანგებო დადგენილებით, მოხდა საეკლესიო განძეულობის კონფისკაცია, განადგურდა მატერიალური კულტურის მოძრავი და უძრავი ძეგლები – ეკლესიები, მონასტრები, ხატები,[2] სარიტუალო საგნები, ხელნაწერები, წიგნები, დაიხვრიტენ სასულიერო პირები.[3] საზოგადოების ერთი ნაწილის პროტესტის შედეგად, განათლების სახალხო კომისარიატმა ისტორიული ძეგლების აღსარიცხად და გადასარჩენად იმდროინდელ მაზრებში სამეცნიერო ჯგუფები მიავლინა.[4]

გურიაში 1924 წლის მარტ-აპრილში აკაკი შანიძე და შალვა ამირანაშვილი (იხ. ტაბ. I,სსსრ სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის რწმუნებულის მანდატი შ. ამირანაშვილის სახელზე) გამოგზავნეს. მათ მოიარეს ოზურგეთი, შემოქმედი, ლიხაური, ჯუმათი, ბაილეთი, ვანისქედი, ასკანა, მეწიეთი, ჩოხატაური, ერკეთი, ხიდისთავი. ხიდისთავში ნახეს და აღწერეს ზემო გურიის რამდენიმე სოფლის ეკლესიებიდან გამოტანილი ნივთები.

გურიაში აკაკი შანიძისა და შალვა ამირანაშვილის ჩამოსვლისას ისტორიული მნიშვნელობის ნივთების ძირითადი ნაწილი გამოტანილი იყო ეკლესია-მონასტრებიდან და ინახებოდა ოზურგეთის სამაზრო გლეხთა კომიტეტის შენობაში. იმ დროისათვის უკვე დანგრეული იყო გურიის მრავალი ეკლესია, გადაადნეს ჯვარ-ხატების ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული შემკულობა, გაძარცვეს ძვირფასი ქვებითა და მინანქრით შემკული

ს. ს. რ.
სიძველეთა და ხელოვნების
ძეგლთა დაცვის
კომიტეტი
21/ მარტი 1924წ.
№ 5983
ტ. თბილისი ტელეფონი № 17-83

ს.ს.ს.რესპუბლიკის სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტის წარმომადგენელს მოქ. შალვა ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ს .

ამასთანავე ვიცნობებთ, გაეგზავნოთ ქ. ოზურგეთში და აღგიწერთ აღმასკომის მიერ ორივეს პირად განკარგულებით:

1. აღწერილ ძეგლების და მიწის სიძველეთა ხელოვნების ძეგლები;

2. გამოარკვიოთ, რომელ მათგანს აქვს საისტორიო-საეკლესიო მნიშვნელობა და რომელთა მართვაზედ ნებართვა-ფირმანები;

3. დაათვალიეროთ /ს.წ. 17 აპრილს ოდესაც ექსკურსიაზედ ყოფნის დროს/, რომელი სახელმწიფო ძეგლები დაცულ უნდა იქნას ისტორიის და კულტურისათვის.

4. ძველი ხელნაწერები ოკლებული და ის ძველი ნივთები, რომელთაც ისტორიულ მეცნიერული მნიშვნელობა აქვთ უნდა გამოიტანოთ ტფილისს.

5. სიძველეთა სიები და ფოტოები უნდა წარმოადგინოს საგანგებო კ ო მ ი ტ ე ტ ს საბოლოოდ დასამტკიცებლად.-

ს.ს.ს.რესპუბლიკის სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე- /ა. ალექსი-ძე/.

ხელოვნების განყოფილების კომისარი- /ე. კანდელაკი/.

ეროვნების განყ. მოადგილე თავმჯდომარე- /ე. ბერძენ/.

ხატები და სხვა საკულტო ნივთები. ლიხაურის მრავალრიცხოვანი სიძველეებიდან გადარჩა მხოლოდ ერთი ეტრატის ხელნაწერის ნაწილი. ზოგიერთ ეკლესიაში შემორჩა გაძარცული ხატების ფიცრები, ხელნაწერთა ყდები და ფურცლები.

აკაკი შანიძემ და შალვა ამირანაშვილმა აღრიცხეს და აღწერეს გადარჩენილი ძეგლები, დაადგინეს, თუ რა იყო განადგურებული და რაც გადარჩა, დასაცავად თბილისში წაიღეს. მათი დამსახურებაა ზარზმის[5] ფერისცვალების ხატების, ლიკლიკაძეთა მადონას, გიორგი პირველის, ქეთევან დედოფლის, გრიგოლ და ელენე გურიელების, იაკობ დუმბაძისა და მაქსიმე მაჭუტაძისეული შემოწირულობების გადარჩენა.[6]

აკაკი შანიძის ინიციატივით 1924 წლის აპრილში ოზურგეთში დაარსდა „გურიის საეთნოგრაფიო მუზეუმი“, რომლის ამოცანად დაისახა ეთნოგრაფიული მასალების შეკრება, დაცვა და ხელოვნების ძეგლთა მოვლა-პატრონობა. მუზეუმის ფონდს საფუძვლად დაედო მსახვრალ ხელს გადარჩენილი სამი ხელნაწერი და ორი უძველესი ნაბეჭდი წიგნი. „საეთნოგრაფიო მუზეუმის“ შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია. 1936 წელს რაიონის საზოგადოებრიობის წინაშე დაისვა საკითხი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსების შესახებ. სოფელ ექადიის მკვიდრმა დავით დოლიძემ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით განათლების სახალხო კომისარიატს მიმართა თხოვნით. 1936 წლის პირველ აპრილს მთავრობამ, გაითვალისწინა რა, მშრომელთა მოთხოვნა, ყოფილ წითელგვარდიელთა საზოგადოების ბაზაზე შექმნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. საზოგადოებამ გადასცა საკუთრებაში არსებული საბრძოლო იარაღი: კაჟიანი თოფები და დამბაჩები, რკინის სატევრები, ხმლები და სხვა ექსპონატები. ზემოაღნიშნული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ბესარიონ რუსიძე დაინიშნა მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო იორდანე კუპრაძე – ბუღალტრად.

იმჟამინდელი მუზეუმი ჟდანოვის ქუჩაზე ერთ პატარა ოთახში იყო განთავსებული. ცოტა ხნის შემდგომ,გურიის გამზირზე,შენობის მეორე სართულზე გამოეყო 402 კვ. მეტრი ფართობი.

მუზეუმის პირველ დირექტორად დაინიშნა ნიკოლოზ სამსონია, რომელიც სამამულო ომში დაიღუპა. შემდგომ წლებში მუზეუმს ხელმძღვანელობდნენ: კიტა კვაშალი, გიორგი კილაძე, აკაკი ერქომაიშვილი, ტერენტი ტაკიძე, ივანე ანთელიძე, ისიდორე ჯანელიძე, გივი თავაძე, ნიკოლოზ წიტაიშვილი, ენვერ გოგუაძე.

მუზეუმის დაარსების შემდგომ ფონდები თანდათან შეივსო მატერიალური კულტურის ძეგლებითა და სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტური მასალებით. შეიქმნა სახვითი ხელოვნებისა და ხალხთა მეგობრობის ამსახველი გამოფენები.

1974 წელს, ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით, მუზეუმი გადავიდა გურიელების უკანასკნელი მთავრის, მამია V გურიელის ბიძაშვილის, დიმიტრი ქაიხოსროს ძე გურიელის ყოფილ სასახლეში, რომელიც მდებარეობს ამჟამინდელ 26 მაისის ქუჩაზე. სასახლის ორივე სართული დაეთმო მუზეუმის ექსპოზიციას და იქვე განთავსდა ფონდებიც. 1977 წელს,დაძაბული მუშაობის შედეგად შეიქმნა იმდროინდელი საზოგადოების ყოფის ამსახველი ექსპოზიცია. ერთი წლის შემდეგ რევოლუციამდელი პერიოდის გამოფენაც მოეწყო. მუზეუმში ჩამოყალიბდა ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნების, ხელნაწერებისა და ნუმიზმატიკის ქვეგანყოფილებები. ზემოაღნიშნული წლების განმავლობაში მუზეუმი შეგროვებით, სამეცნიერო -კვლევით და კულტურულ -საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა. სწორედ ამ დროს შეგროვდა მატერიალური და სულიერი კულტურის მრავალი ძეგლი:არქეოლოგიური არტეფაქტები,ხელნაწერები,ეთნოგრაფიული ყოფისათვის დამახასიათებელი კოლექციები და სხვ.

1989 წელს მუზეუმის ფონდები შეივსო ურეკის სამაროვანზე 1974-1976 წლებში მოპოვებული ადრეული რკინისა და გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალებით.

1990 წლის 26 მაისს მოეწყო ექსპოზიცია, სადაც გამოიფინა უნიკალური ექსპონატები. ექსპოზიციამ იარსება 10 თვე. 1991 წლის აპრილში, რაიონის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მუზეუმმა შეიცვალა ადგილმდებარეობა. ოზურგეთის რაიონში ახალი ეპარქიის (ოზურგეთის ეპარქია) გახსნასთან დაკავშირებით, აუცილებელი გახდა მამია გურიელის ყოფილი რეზიდენციის განთავისუფლება. მე-18 არმიის საბრძოლო დიდების მუზეუმს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა ეროვნული მოძრაობის მუზეუმი, რომელსაც გადაეცა შენობის მარცხენა ნაწილი; ხოლო მარჯვენა მხარეთმცოდნეობის მუზეუმს დაეთმო. შემდგომში მუზეუმები გაერთიანდა.

1997 წლის 26 მაისს გაერთიანებული მუზეუმების ბაზაზე გაიხსნა ახალი ექსპოზიცია.

2000 წლის 9 მაისს დამატებით მოეწყო გამოფენა „ოზურგეთის რაიონი დიდ სამამულო ომში“.

2002 წლის მაისში მუზეუმში შეწყდა დამთვალიერებელთა მიღება,რადგან შენობის სახურავიდან ჩამონადენმა წყალმა დააზიანა საგამოფენო დარბაზები და გამოფენილი ექსპონატები.

2003 წლის ზაფხულში მაჟორიტარმა დეპუტატმა ვანო ჩხარტიშვილმა სახურავის შესაკეთებლად 15 ათასი ლარი გამოყო. სამწუხაროდ, სამუშაოები უხარისხოდ ჩატარდა და ბუნებრივია, თანხა წყალში ჩაიყარა.

2004 წლის ივლისში შეიცვალა ხელმძღვანელობა. მუზეუმის დირექტორად დაინიშნა გოგა ტრაპაიძე. რაიონის გამგეობის მიერ გამოყოფილმა კომისიამ და მუზეუმის თანამშრომლებით შემდგარმა მუშა ჯგუფმა მუზეუმის ფონდებში დაცული ექსპონატები აღწერა და ინვენტარიზაცია ჩაუტარა. მართალია, 2002 წლის მაისიდან შეწყდა დამთვალიერებელთა მიღება, მაგრამ სამუზეუმო სამუშაოები არ შეჩერებულა. წლების განმავლობაში მიმდინარეობდა შეგროვებითი, სამეცნიერო -კვლევითი და კულტურულ- საგანმანათლებლო საქმიანობა.

2005 წლის 9 მაისს, სამამულო ომში გამარჯვების 60 წლისთავთან დაკავშირებით,მოეწყო შეხვედრა ომის ვეტერანებთან.

ამავე წლის 18 მაისს მუზეუმთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მოეწყო ცნობილ მხატვართა გამოფენა. ერთი წლის შემდეგ, 26 დეკემბერს, ოზურგეთის სამაზრო ქალაქად გამოცხადების 160 წლისთავთან დაკავშირებით, ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებები. შედარებით გვიან, 2008 წლის 30 ივლისს, საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის ექსპედიციასთან ერთად მომზადდა სამეცნიერო კონფერენცია „გურიის არქეოლოგიური ძეგლები“. იმავე წელს დეკემბერში გაღმა დვაბზუს საჯარო სკოლასთან თანამონაწილეობით მოეწყო ხსოვნის საღამო „აკაკი ბაქრაძე – 80“.

2009 წელს ივლისში საქართველო-ბრიტანეთის ექსპედიციასთან ერთად, შედგა პირველი საერთაშორისო კონფერენცია „ვაშნარი-სპონიეთი, ადრეშუასაუკუნეების ხანის ციხე-ქალაქი და სატაძრო კომპლექსი“. ერთი წლის შემდეგ, 2010 წელს მოეწყო შეხვედრები ომის ვეტერანებთან, პროფ. იური სიხარულიძესთან და ოზურგეთის საზოგადოებრიობასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუზეუმს 2007 წ. შოფ. დვაბზუში შალვა დადიანის, ხოლო 2010 წ. სოფ ლიხაურში ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმი შეემატა.

მუზეუმში კვალიფიცირებული კონსულტაციები სისტემატურად ტარდება. ფონდებით სარგებლობს სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობა. მუზეუმის მნიშვნელოვან შენაძენად უნდა ჩაითვალოს 1980 წელს გიორგი კალანდარიშვილის მიერ 1947-1954 წლებში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ესპონატების გადმოცემის ფაქტი. მასალები აღიწერა და საგამოფენო ექსპოზიციაში განთავსდა. არანაკლებ მნიშვნელოვანია 1988 წელს, დაბა ლაითურში, გალინა ჟარკოვას ნაკვეთში ე.წ. ბრინჯაოს კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი არტეფაქტების გამოვლენა.

2003-2005 წლებში, გურიანთაში, ადგილ ციხისფერდში, ვახტანგ კვერღელიძემ ნეოლითური ხანის ქვის ცულების კოლექციას მიაკვლია და მუზეუმს გადასცა.

2010 წელს სამხარეო ადმინისტრაციისა და რაიონის გამგეობის ძალისხმევით დასრულდა მუზეუმის სახურავის შეკეთება.

ამჟამად მთავარ პრობლემას წარმოადგენს ექსპონატებისა და დარბაზების საგამოფენოდ მომზადება,[7] ათეული წლის მანძილზე მუზეუმის ფონდებში დაუნჯებული კულტურული მემკვიდრეობის მრავალრიცხოვანი ძეგლების: ქვის იარაღების, ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის ამსახველი სამეურნეო და საბრძოლო არტეფაქტების, განძების, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კომპლექსების, ანტიკური ხანის შემთხვევითი მონაპოვრების, ოქროსა და ვერცხლის სამკაულების,მინისა და ვერცხლის ნივთების, ვაშნარის ნაქალაქარის ტერიტორიიდან მომდინარე არქიტექტურული დეტალების, სამშენებლო კერამიკის, კოლექტორის თიხის მილების, ნუმიზმატიკური მასალის, „ნაპოლეონის დაშნის“, ეთნოგრაფიული ყოფის – გურიის ისტორიის ამსახველი წყაროების სისტემაში მოყვანა, საკატალოგო ნაწილის შედგენა და პუბლიკაცია.[8]

ამჟამად, რაიონის ხელმძღვანელობა მუზეუმის ფუნქციონირებისათვის ცდილობს გამოძებნოს საჭირო რესურსები,რათა მუზეუმი, როგორც გურიის კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი განძთსაცავი, საზოგადობისათვის ხელმისაწვდომი გახდეს.

შენიშვნები და ლიტერატურა:

1. გოგუაძე ე., ნარკვევი გურიის მხარის ახალი და უახლოესი ისტორიიდან. გურია III, თბ., 2001, გვ.161-167.
2. გოგუაძე ე., დასახ. ნაშრ. გვ.160-163.
3. გოგუაძე ე., დასახ. ნაშრ. გვ.160-164.
4. კაჭარავა პ., და სხვ. მიქაელ-გაბრიელი „ზოგი რამ დღევანდელი გადასახედიდან“.
5. მიქაელ-გაბრიელი . . . გვ. 220.
6. დასახ. ნაშრ. გვ..220.
7. ლომაძე მ., „ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის 70 წელი“. გაზ. „გურია ნიუსი“, 6 მარტი, 2006 წ. გვ.7.
8. ლომაძე მ., დასახ. ნაშრ. გვ.7.

Manana Lomadze

On the Site History of Ozurgeti District

Summary

The paper is on the history of establishing Ozurgeti town site museum. The author names almost all the persons such as Nikolas Samsonia, Kote Kvashali, Giorgi Kiladze, Akaki Erkomaishvili, Terenti takidze, Ivane Antelidze, Isidore djanelidze, Givi Tavadze, Nikoloz Tsitaishvili, Enver Goguadze, Goga Trapaidze and all the members of the former and nowadays teams working at the museum and speaks about the merits made by them.

Манана Ломадзе

Из истории создания Озургетского краеведческого музея

Резюме

Статья посвящается истории создания Озургетского краеведческого музея. Автор рассказывает какой заботой и с почтением создавали его Николоз Самсониа, Котэ Квашали, Георгий Киладзе, Акакий Эркомаишвили, Терентий Такидзе, Иванэ Антелидзе, Исидорэ Джанелидзе, Гиви Тавадзе, Николоз Цитаишвили, Энвер Гоуадзе и Гога Трапаидзе вместе с другими бывшими и нынешними сотрудниками музея.

§9. ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი – 2013 (ათი წლის გადასახედიდან)

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი საქართველოში არსებულ მუზეუმთა შორის უძველესია; მინდა გესაუბროთ მუზეუმის ისტორიაზე, პრობლემებსა და სიახლეებზე და თან ჩემი ათწლიანი ხელმძღვანელობის შესახებ მოკლე ანგარიში წარმოგიდგინოთ.

ოზურგეთში მუზეუმის შექმნის იდეას XX საუკუნის 20-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. ამ პერიოდში საქართველოში ფართოდ გაშლილმა ანტირელიგიურმა მოძრაობამ, ქართული კულტურის მრავალი ძეგლი შეიწირა. სსრ სახკომსაბჭოს საგანგებო დადგენილებით მოხდა საეკლესიო განძეულობის კონფისკაცია, განადგურდა კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლი – ეკლესიები, მონასტრები, ხატები, სარიტუალო საგნები, წიგნები, ხელნაწერები. ყოველივე ამას, ცხადია, მოჰყვა მაშინდელი ინტელიგენციის პროტესტი.

განათლების სახალხო კომისარიატმა ისტორიული ძეგლების აღსარიცხად და გადასარჩენად მაზრებში სასწრაფოდ შექმნილი ბრიგადები მიავლინა. გურიაში 1924 წელს ჩამოვიდნენ აკაკი შანიძე და შალვა ამირანაშვილი. მათ მოიარეს ოზურგეთი, შემოქმედი, ლიხაური, ჯუმათი, ბაილეთი, ვანისქედი, ასკანა, მეწიეთი, ჩოხატაური, ერკეთი, ხიდისთავი. ჩაატარეს კოლოსალური სამუშაოები, აღწერეს და აღნუსხეს ყველა ნივთი, რაც იმ დროისათვის გადარჩენილი იყო.

1936 წელს, მაშინდელმა მახარაძის ინტელიგენციამ თხოვნით მიმართა განათლების სახალხო კომისარიატს, რათა ქალაქში გახსნილიყო მუზეუმი. ამას მოჰყვა კონკრეტული ნაბიჯი – დაფუძნდა მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (ბრძანება

№229, განათლების სახალხო კომისარიატისადმი, 1936 წლის 3 აპრილი), რომელიც უკვე 78 წელიწადს ითვლის. 2002 წელს ოზურგეთის რაიონული გამგეობის გადაწყვეტილებით მას შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი (დადგენილება №114, 2002 წელი, 16 აგვისტო).

78 წლის მანძილზე ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდებში მრავალი უნიკალური მასალა დაგროვდა,მათმა რაოდენობამ 6000 -ს გადააჭარბა. მათ შორისაა 7-ათასი წლის წინანდელი ნეოლითური ხანის ქვის იარაღები,ადრეული, შუა და გვიანი ბრინჯაოს კოლხური კულტურის შესანიშნავი ნიმუშები, კოლხური ცულების, თოხებისა და ბართოხების, წალდების კოლექციები: მელექედურის, შრომის, ვაკიჯვრის, ბაღდადის, მაკვანეთის, ლაითურის, ბრინჯაოს განძები. ურეკ-წვერმაღალას გვიანი ბრინჯაოს – ადრეული რკინის ხანის სამარხეული ინვენტარი. ანტიკური პერიოდის ოქროსა და ვერცხლის ნივთები: ალმადინის თვლებით შემკული ოქროს გულსაკიდი, ოქროს სამაჯურის ფრაგმენტი. ვერცხლის ლანგარი,მინის დანაყოფებიანი მენზურა ურეკიდან,მრავალფეროვანი ნუმიზმატიკური კოლექციები: ძველი წელთაღრიცხვის V-III საუკუნეების კოლხური თეთრი, ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტა,გიორგი III-ის,თამარის,რუსუდანის,ლაშა-გიორგის,სიმონ I-ის, ერეკლე II-ის მონეტები. ოზურგეთის „სერის განძად“ წოდებული ვერცხლის უიშვიათესი ევროპული მონეტები, უკვე გახმაურებული ნაპოლეონის დაშნა, მაჭახელასა და სხვა კუთხეებში დამზადებული სხვადასხვა თოფების, დამბაჩების, სატევრების კოლექციები, ძალიან მდიდარი და მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული მასალა, ოზურგეთელი მხატვრების მიერ შესრულებული ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, მრავალი ისტორიული ფოტო, ნივთიერი დოკუმენტური მასალა,მათ შორის რამდენიმე ათეულს თავისუფლად შეიძლება მიენიჭოს მოძრავი ძეგლის სტატუსი. მუზეუმი წლების მანძილზე ნაყოფიერად ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით, შეგროვებით,

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, შეგროვდა მატერიალური და სულიერი კულტურის მრავალი ძეგლი, სხვადასხვა კოლექციები, ხელნაწერები, არქეოლოგიური მასალა.

ათწლიან პერიოდში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში კიდევ სამი მუზეუმი შეიქმნა, როგორც ისტორიული მუზეუმის ფილიალები: სოფელ გურიანთის სოფლის მემორიალური მუზეუმი, სოფელ დვაბზუს ეთნოგრაფიული მუზეუმი და სოფელ ლიხაურის ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმი.

1984 წელს შექმნილი აკადემიკოს შალვა რადიანის (შენწირული) სახლ-მუზეუმის ბაზაზე 2009 წელს დაფუძნდა შ. რადიანის სახელობის დვაბზუს ეთნოგრაფიული მუზეუმი. დღეს, როცა დიდი მნიშვნელობა ენიჭება გურიის ტრადიციებისა და ეთნოგრაფიული ღირებულებების შენარჩუნებას, თანამედროვე ყოფიდან სწრაფად ქრება ძველი სტრუქტურა–ნაგებობები, ავეჯი, ჭურჭელი, სამეურნეო იარაღები, წეს–ჩვეულებები, ტრადიციები. ყოველი ეთნოგრაფიული ნივთი ფასდაუდებელი ხდება და უდიდესი ისტორიული ღირებულება ენიჭება. ახლანდელი თაობა ნაკლებად ან საერთოდ არ იცნობს ეთნოგრაფიულ გურიას, ეს კი საფრთხეს უქმნის გურიის ტრადიციებისა და ეთნოგრაფიული ღირებულებების შესახებ მომავალი თაობებისათვის ინფორმაციის გადაცემას. ამ მიზნით მუზეუმისათვის შეძენილი იქნა გურული კარ-მიდამოსათვის დამახასიათებელი, ოდა სახლის დამხმარე ნაგებობები: სამზადი სახლი, ბელელი, ნალია. იქვე მოეწყო მარანი და ჭა. სამზადი სახლი შეივსო გურიის ყოფისთვის დამახასიათებელი ნივთებით: ოჯინჯალა, ჩეჩო, კერია, კეცი, ფილი, სპილენძის კარდალა და თუნგი, ხის გობი, ხის ჯამები, აკვანი, საჩეჩელი, ორშიმო და სხვა. ერთი სიტყვით აქ შემოსულ სტუმარს თვალწინ წარმოუდგება ნამდვილი გურული კარ-მიდამო.

სოფელ გურიანთის მემორიალურ მუზეუმში წარმოდგენილია სოფლის ისტორიის ამსახველი მასალები, მათ შორის: გურიანთა-

ციხისფერდის უბანში მდინარე სკურდუმის ბორცვზე, 1963 წელსგათხრების შედეგად აღმოჩენილი გვიანი ნეოლითის კაჟის, რიყის ქვის იარაღები, ადრე შუასაუკუნეების ხანის ვაშნარის ციხე-ქალაქის მასალები. მუზეუმის ერთ დარბაზში წარმოდგენილია გურული სამზადი სახლი თავისი ყველა ატრიბუტით, ციხისფერდში ნაპოვნი ქვის ვერძის ქანდაკება. დარბაზებში გამოფენილია სოფლის ისტორიის ამსახველი ფოტოები და ხელნაწერები, ომისა და შრომის გმირების პირადი ნივთები და სხვა.

2010 წელს სოფელ ლიხაურში ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმი გაიხსნა, სადაც განთავსებულია წმინდა ექვთიმეს მემორიალური ნივთები, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტო და დოკუმენტური მასალები.

2002 წლიდან მუზეუმი დამთვალიერებელს ვერ იღებდა, სახურავიდან ჩამოსულმა წყალმა და ნესტმა დააზიანა საექსპოზიციო დარბაზები, დაზიანდა ექსპონატები. 2004 წლიდან ჩატარდა ინვენტარიზაცია, გაკეთდა ექსპონატთა პასპორტიზაცია, იქმნება ელექტრონული ბაზა. ეტაპობრივად იწყება საგამოფენო დარბაზების რეაბილიტაცია. 2007 წლისთვის იხსნება რვა საექსპოზიციო დარბაზი, შეძენილი იქნა თანამედროვე სტილის კარადა-ვიტრინები, სადაც განთავსდა უნიკალური არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალები, განხორციელდა პროექტი სახელწოდებით ,,ძველი ოზურგეთი, ოზურგეთი გუშინ და დღეს,“ რომლის ფარგლებშიც, მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული ძველი ოზურგეთის ხედების ფოტოების გამოფენა მოეწყო, რამაც დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ექსპოზიციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გურულ მოჯირითეთა ამსახველ ფოტო – დოკუმენტურ მასალას, რომლებიც XIX ს-ის მიწურულსა და XX ს-ის დასაწყისში, რამდენიმე ეტაპად მიემგზავრებოდნენ ევროპასა და ამერიკაში და უნიკალურ შოუებს აწყობდნენ.

შინაარსიანი და მრავალფეროვანია ოზურგეთის სტამბის ისტორია, რომელიც არსებობის 125 წელს ითვლის. ოზურგეთლებს შეუძლიათ კანონიერად იამაყონ, რომ იგი მეხუთე ქალაქია თბილისის, გორის, ქუთაისის და ბათუმის შემდეგ, ხოლო პირველი – პროვინციებში – თავისი სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობით, სადაც 1889 წლის მიწურულსა და 1890 წლის დასაწყისში უკვე შეუდგნენ პირველი წიგნების ბეჭდვას.

როგორც ცნობილია, მოუმზადებლად არაფერი ხდება და მაშინდელი ოზურგეთი გარკვეულად საფუძველშემდგარი შეხვდა ამ დიდ საშვილიშვილო საქმეს. აქაური ინტელიგენცია მუდამ იდგა მოვლენათა განვითარების ავანგარდში, მიილტვოდა უკეთესი მერმისისაკენ, ეწაფებოდა სწავლას, განათლებასა და სიახლეს.

ძველი ოზურგეთი გამოირჩეოდა მწიგნობრობით, ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ქალაქში არსებობდა სამკითხველოები და წიგნის მაღაზიები. სწორედ ამიტომაც იყო, რომ ოზურგეთში 1889 წელს დაარსდა სტამბა კოწია თავართქილაძისა და ალფესი მიქელაიშვილის თაოსნობით, აქვე დაიბეჭდა ,,ვეფხისტყაოსანი", რომელიც დათარიღებულია 1891 წლით, ასევე სხვა საინტერესო წიგნები. მუზეუმის ექსპოზიციაში დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა იხილოს ოზურგეთის სტამბაში დაბეჭდილი წიგნების ფოტორეპროდუქციები.

ვაშნარის IV – VIII საუკუნეების ციხე-ქალაქი თავისი ისტორიული ღირებულებებით არ ჩამოუვარდებოდა ისეთ თანადროულ ძეგლებს, როგორიცაა სკანდა, შორაპანი, ვარდციხე, ნოქალაქევი, პეტრა-ციხისძირი. ვაშნარის ციხე-ქალაქი და სამონასტრო კომპლექსი თვითმხილველია ეგრისს-ლაზიკის ზეობის ხანისა და მისი უმნიშვნელოვანესი საკულტო და საერო ხასიათის ძეგლს წარმოადგენს. საყურადღებოა ამ პუნქტის შესახებ ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრება: ,,გურიანთის (ვაშნარის) წინწამოწევა შემდგომში დასაბამს აძლევს ფეოდალური გურიის განვითარებას".

ვაშნარის ტერიტორიაზე უკვე აღმოჩენილი უნიკალური ნივთები: სამნავიანი ბაზილიკის თაღის ძირები, მარტირიუმის სვეტის თავები, წარწერიანი ქვის ფრაგმენტი, თიხის წყალგაყვანილობის მილები, საცეცხლური (სასაკმევლე), სააშშენებლო აგური, გველის გამოსახულებიანი, მოჩუქურთმებული ქვა, კრამიტი დაცულია ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში.

2009 წლის 30 ივლისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმისა და საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის ერთობლივი ექსპედიციის ინიციატივით, ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე ,,ვაშნარი-ადრე ქრისტორნული ხანის ციხე-ქალაქი და სამონასტრო კომპლექსი", რომლის მიზანი იყო ძეგლის შემდგომი აღდგენა-რეაბილიტაცია, ძეგლის უკეთ შესწავლის მიზნით ფართო მასშტაბიანი არქეოლოგიური გათხრების წარმოება.

დღეისათვის სასურველია ვაშნარში სამონასტრო ცხოვრების აღდგენა, გაგრძელდეს არქეოლოგიური გათხრები, რათა ძეგლი გადაურჩეს საბოლოო განადგურებას და გურიის ისტორია კიდევ ერთი საინტერესო ფურცლით გამდიდრდეს. დაინტერესებული საზოგადოების მრავალჯერადი მოთხოვნის მიუხედავად, დღემდე ვერ ხერხდება მისი არქეოლოგიური შესწავლა, რაც მრავალ მნიშვნელოვან საკითხს ნათელს მოჰფენდა.

ამ ბოლო პერიოდში, მუზეუმს კიდევ ერთი ახალი, მეტად მნიშვნელოვანი ექსპონატი შეემატა. 2013 წლის 28 მარტს, ოზურგეთში, ნინო რამიშვილის საყანე ნაკვეთში, საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობისას წააწყდნენ გარკვეულ ნივთს. ამის შესახებ მუზეუმს აცნობა მისმა მეზობელმა ტარიელ მკურნალიძემ. მე ჩემს კოლეგებთან ერთად, მაშინვე გავედი ადგილზე და ვნახეთ, რომ აღმოჩენილი იყო ადრე ფეოდალური ხანის სამარხი – სარკოფაგი, რომელიც დათარიღებულია V–VI საუკუნეებით. მუზეუმმა კი იმ დღესვე აცნობა თბილისს, რადგან საჭირო იყო

არქეოლოგებს აღნიშნული ნივთი ამოეღოთ, დაემუშავებინათ და შეესწავლათ. 30 მარტს ოზურგეთში ჩამოვიდნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები, ბატონები ვაჟა სადრაძე, მერაბ ძნელაძე და ვახტანგ ლიჩელი. განხორციელებული ექსპედიციის შედეგად სარკოფაგი ამოღებული და გადატანილი იქნა მუზეუმში, სადაც მას მოგვიანებით ჩაუტარდა რესტავრაცია (რესტავრატორი – გიორგი დარჩია) და გატანილი იქნა ექსპოზიციაში. სამწუხაროდ, აღნიშნული ექსპედიციის მონაწილეებს არ მიეცათ ტერიტორიაზე დაზვერვითი სამუშაოების წარმოების საშუალება.

მუზეუმის საქმიანობის მიმართულება კანონითაა განსაზღვრული, იგი გახლავთ სამეცნიერო – კვლევითი და საგანმანათლებლო. სამწუხაროდ, ფინანსების უქონლობის გამო, დღემდე ვერ ხერხდება არქეოლოგიური ექსპედიციების წარმოება, დაუყოვნებლივ შესწავლას საჭიროებს ზემოდხსენებული ციხე – ქალაქი ვაშნარი და სხვადასხვა არქეოლოგიურად საინტერესო ადგილი. თუმცა მუზეუმი მაინც აგრძელებს სამეცნიერო – კვლევითი მიმართულებით საქმიანობას არსებულ ექსპონატებზე და მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, ეწყობა როგორც სამეცნიერო კონფერენციები ასევე სხვადასხვა სახის ღონისძიებები. საგანმანათლებლო მიმართულებით კი მუზეუმი საჯარო სკოლების მოსწავლეებს უტარებს კლასგარეშე გაკვეთილებს მხარეთმცოდნეობის შესწავლის კუთხით მათთვის საინტერესო საკითხებზე.

მუზეუმი აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ,,სტუდენტურ – ახალგაზრდულ სათათბიროსთან“ ერთად განვახორციელეთ პროექტი ,,კულტურის ხიდი წარსულსა და მომავალს შორის.“ პროექტი მიზნად ისახავდა ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ცნობადობის გაზრდასა და პოპულარიზაციის ხელშეწყობას, ახალგაზრდების ჩართულობით ხალხური ტრადიციების აღდგენასა და დამკვიდრებას, მუზეუმის

საქმიანობაში არაფორმალური განათლების მეთოდების დანერგვასა და განვითარებას. პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა VII – X კლასის მოსწავლეები.

პროექტის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

– უორქშოფების ჩატარება (ეთნოგრაფიისა და ტრადიციების შემსწავლელი კურსი), რომელიც მოიცავს გურიის ეთნოგრაფიულ წარსულს, ტრადიციებს, კულტურას, ფოლკლორს.

– ხალხური რეწვის ოსტატთა მეშვეობით გურული ტრადიციული ეთნოგრაფიული ნივთების დამზადების კურსების ორგანიზება – კონკურსის ჩატარებას, რომელიც უკავშირდებოდა უშუალოდ მოსწავლეების მიერ ისტორიულ მუზეუმში დაცული ექსპონატების შესახებ ისტორიის შექმნასა და მათ პოპულარიზაციას.

– შეიქმნა და ამოქმედდა ვებ-გვერდი, რაც მუზეუმის ფართო აუდიტორიას მისცემს საშუალებას, აქტიურად ჩაერთონ მუზეუმის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში და თავისი წვლილი შეიტანონ მათ ეფექტურ განხორციელებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მუზეუმის პოპულარიზაციას.

– მოხდა სახალხო, ტრადიციული დღესასწაულის ორგანიზება და პროექტის განმავლობაში შექმნილი პროდუქციის გამოფენა – გაყიდვა.

პროექტის მიზანი იყო ის, რომ მუზეუმი განავითარებს და დანერგავს საგანმანათლებლო საქმიანობის ახალ სტრატეგიას არაფორმალური განათლების მეთოდებზე დაყრდნობით. ახალგაზრდები შეისწავლიან ვებ-გვერდის მართვასა და ინტერნეტის გამოყენებას, ხოლო მუზეუმის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები ხელმისაწვდომი გახდება საზოგადოების ფართო მასებისთვის, რაც გაზრდის მათ ჩართულობას მუზეუმის საქმიანობაში.გაიზრდება მუზეუმის ცნობადობა და ასევე ვიზიტორთა (მათ შორის, უცხოელების) რაოდენობა. დამკვიდრებული იყო და კიდევ უფრო

განვითარდება სახალხო დღესასწაულების ორგანიზების ტრადიცია, რაც გაზრდის საზოგადოების დაინტერესებას და მათ დაახლოებას მუზეუმთან.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიულმა მუზეუმმა გასულ, 2012 წელს შეიმუშავა მუზეუმის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, რომელიც მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა. გეგმა მუზეუმის თანამშრომლების ერთობლივი მუშაობის შედეგია, რომელიც მიმოიხილავს გრძელვადიან ხედვას მუზეუმის დანიშნულების, მისი ძირითადი ფუნქციების, უმნიშვნელოვანესი მიზნების, პრობლემის გადაჭრის, სამომავლო ორიენტირების განსაზღვრის საკითხებს. იგი მიზნად ისახავს, გააუმჯობესოს მუზეუმის ფუნქციონირება, ინფრასტრუქტურა, მატერიალურ – ტექნიკური ბაზა და აქციოს მუზეუმი მუნიციპალიტეტის სავიზიტო ბარათად.

გვსურს, მუზეუმი იყოს ცოცხალი ორგანიზმი, სადაც ადამიანებს არ დაეზარებათ მოსვლა და სიამაყით გაეცნობიან მათი მხარის ისტორიას. ვთვლი, რომ ოზურგეთი მუზეუმით მართლაც წარმომადგენლობითი ქალაქია.

Goga Trapaidze

Ozurgeti Museum of History, 2013
(A report of a decade's work)

Summary

Ozurgeti site museum is one of the oldest among the ones existing in Georgia. It is 78 years old. The museum's storages are housing more than 6000 artefacts. Three more branches of the municipal museum were established at Gurianta (memorial museum), Dvabzu (ethnographic museum) and Likhauri (Ekvtime Takaishvili memorial museum) villages.

There has been implemented a project named "Ancient Ozurgeti, Ozurgeti Yesterday and Today" including a display of old photos depicting the district's sights.

There was organized an international conference "Vashnari-the Early Christian Period Stockade Town and Monastery Complex".

The staff of the museum cooperates with non-governmental organizations. There has been implemented a project "Culture that Bridges the Past and the Present" together with "Students' Assembly" organization.

The staff of the museum has organized traditional folk festivals and sales of souvenirs made by the locals, created the museum's web-site to promote a further popularization of the museum.

Гога Трапаидзе

Озургетский музей истории, 2013
(Отчет о десятилетней работе)

Резюме

Озургетский исторический музей является самой старой среди музеев Грузии. Количество уникальных экспонатов музея перевалило за 6000.

В течении последнего десятилетия в озургетском муниципалитете были созданы еще три филиала музея в селах: Гурианта (мемориальный музей), Двабзу (этнографический музей) и Лихаури (дом-музей Э. Такаишвили).

Был осуществлен проект «Древний Озургети, Озургети вчера и сегодня» в рамках которого была устроена выставка старых фотографий с видами Озургети, хранящихся в фондах рукописей музея.

Была проведена международная научная конференция на тему «Вашнари – город-крепость и монастырский комплекс раннехристианского периода».

Сотрудники музея активно сотрудничают с неправительственными организациями. Вместе с «Молодежно-студенческой ассамблее» был осуществлен проект «Культура как мост между прошлым и настоящим». Был организован традиционный народный праздник, во время которого устроили распродажу продукции и сувениров, изготовленных местными жителями. Была создана вэб-страница музея, которая будет способствовать дальнейшей популяризации самого музея.

§10. ჩოხატაურის ნ.ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი – 2014

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ნ. ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მოძრავი ნივთიერი კულტურის ძეგლების საფუძველზე იკვლევს მხარის ისტორიას, აწარმოებს მოპოვებული მასალის აღწერასა და შენახვა-დაცვას. მოპოვებული მასალით ახდენს საგამოფენო დარბაზების შევსებასა და თემატური საკითხების ექსპონატებით ილუსტრირებას. მუზეუმი უფლებამოსილია, საკუთარი სახელით წარუდგეს სხვადასხვა დაწესებულებებსა და სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს, გააცნოს თავისი ფუნქცია და მისია. მუზეუმის თანამშრომლებსა და ინფორმატორებზე დაყრდნობით შეკრიბოს შემთხვევითი აღმოჩენების შესახებ ინფორმაცია, დააზუსტოს და კულტურის სამინისტროს აცნობოს. ჩაუნერგოს საზოგადოებასა და კონკრეტულად, მოსწავლე-ახალგაზრდობას, საკუთარი სიძველეების ღრმა პატივისცემა. აგრეთვე, გაითვალისწინოს რეგიონში ჩამოსული ტურისტ-ვიზიტორების ინტერესები. მოსწავლე-ახალგაზრდობა ჩააბას სამუზეუმო საქმიანობაში; ექსპონატების საფუძველზე შეადგინოს შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამა თემატური გამოფენების მოსამზადებლად და სხვ.

მუზეუმის დაარსების ისტორიიდან.

1958 წელს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით დაარსდა ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. დაარსებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში შეგროვდა მხარისთვის დამახასიათებელი უამრავი არქეოლოგიური არტეფაქტი

და ხელნაწერი დოკუმენტი. ისტორიკოსების დახმარებით მუზეუმის თანამშრომლებმა დაიწყეს მხარის ისტორიის შესწავლა. ექსპედიციები მოეწყო მდინარეების სუფსისა და გუბაზეულის ხეობებში. შედეგად, 1961 წელს გაიხსნა პირველი სტაციონარული გამოფენა-ექსპოზიცია. 2003 წლიდან მუზეუმი ატარებს დიდი ქართველი მამულიშვილის აკად.ნიკო ბერძენიშვილის სახელს.

მუზეუმის ფონდებში ამჟამად დაცული 6000-მდე ექსპონატი მოიცავს გეოლოგიურ, ბოტანიკურ, ეთნოგრაფიულ, წერილობით და ფოტო მასალას. უნდა აღინიშნოს, რომ მოძრავი არქეოლოგიური ძეგლების ნაწილი შემთხვევითაა ნაპოვნი. ნაწილი მოძიებული და შესწავლილია ქართველი მკვლევრების მიერ. მათ დაადგინეს, რომ ჩოხატაურის ტერიტორია უძველესი დროიდან, ქვის ხანიდანაა დასახლებული.

აღმოსავლეთ გურიის ტერიტორიის რთული რელიეფის აღნაგობა და კლიმატური პირობების მრავალფეროვნება ქმნიან ერთი დიდი მდინარის, სუფსის, არტერიას. ხეობების მიმდებარე მთები ფოთლოვანი და წიწვოვანი ძვირფასი ხის ჯიშებითაა დაფარული. ჩოხატაურის ტერიტორიაზე მიკვლეულია სხვადასხვა მნიშვნელობისა და ხასიათის კულტურის ძეგლები. სწორედ ამ მხარის საზოგადოებამ შესძინა საქართველოს მეცნიერების, კულტურის, სპორტის, პოეზიისა და მწერლობის კორიფეები.

დღეისათვის ბატონ გ.ცინცაძის თაოსნობით განახლებული მუზეუმის შენობის პირველ სართულზე განლაგებულია არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილებები. მეორე სართულის ექსპოზიციაში წარმოდგენილია აღმოსავლეთ გურიის ძველი და უახლესი ისტორიის ამსახველი თემატური გამოფენები.

2013-14 წწ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ნ. ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა მონაწილეობა მიიღო ქალაქ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქრისტიანული კვლევის ცენტრის“ და ნიკო

ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებში, (თემებზე: ,,გურიის უდაბნო", ,,ერკეთის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია" მომხსენებელი მუზეუმის დირექტორი ნ. კალანდაძე, ნაშრომები დაბეჭდილია წიგნში ,,ჩვენი სულიერების ბალავარი").

აგრეთვე, 2012-2013 წწ. ქ. ბათუმში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვემაუწყებლო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს მიერ ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში:,,სოფ. ზოტის ისტორია" და ,,გურული მოხალისეები რუსეთ-თურქეთის ომში" (მომხსენებელი მუზეუმის დირექტორი ნ. კალანდაძე; დაიბეჭდა არქივის მიერ გამოცემულ ნაშრომებში).

მუზეუმის საერთაშორისო დღესთან (18 მაისი) დაკავშირებით ჩატარებულ ღონისძიებაში 2013 წ. 18 მაისს, ქ. ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმიდან მოწვეული გვყავდა ბატონი გურამ ჩხატარაშვილი, რომელმაც წაიკითხა მოხსენება ,,ახალი აღმოჩენები სოფელ ჯვარცხმაში".

იმავე წლის 19 მაისს, სოფელ ზემოფარცხმის საბაზო სკოლაში ჩავატარეთ ექსკურსია – გაკვეთილი ,,მოდი, ვისაუბროთ არქეოლოგიის შესახებ", ყურადღება გამახვილდა სოფელში 1964-68 წწ. ჩატარებულ არქეოლოგიურ გათხრებზე.

მუზეუმში სისტემატურად ტარდება მოსწავლეებისთვის სასურველ თემებზე

ექსკურსია-გაკვეთილები.

მუშავდება თემები:

1. ,,მევენახეობა გურიაში" (ჩოხატაური), ავტორი მეცნიერ–თანამშრომელი ქ. ჩხიკვიშვილი.

2. ,,მეაბრეშუმეობა ჩოხატაურში" (ნ. კალანდაძე, ქ. ჩხიკვიშვილი).

3. „ჩოხატაური – ლელოს კერა და მარადი ფალავანდი“ (ნ. კალანდაძე).

ამჟამად მიმდინარეობს მუზეუმის ფონდებში დაცული არტეფაქტების აღწერა და პასპორტიზაცია.

Natia Kalandadze

N. Berdzenishvili Chokhatauri Site Museum, 2014

Summary

The article deals with the strategy of the museum, the results of the works carried out since the day it had been founded (1961), the artefacts (more than 6000 of them) housed in the museum's holdings, the organizational and scholarly activities carried out by the staff during the period lasting for more than half a century.

Натиа Каландадзе

Чохатаурский краеведческий музей
имени Н. Бердзенишвили, 2014

Резюме

Статья посвящается программе действия чохатаурского краеведческого музея имени Н. Бердзенишвили. Автор пишет об итогах проведенных работ со дня открытия музея в 1961 году, а так же в ней говорится об экспонатах, которых в музее уже собралось более 6000 единиц. Внимание заострено на организационную и научную работу сотрудников музея.

§ 11. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის მუზეუმ-ნაკრძალი

1991 წელს,საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული არქეოლოგიური კომისიის გადაწყვეტილებით, შეიქმნა გურიის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც დაევალა გურიაში (ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონები) არქეოლოგიური საკვლევა-ძიებო საქმიანობის ჩატარება – უცნობი და შეუსწავლელი ძეგლების მოძიება და წარმოჩენა. ექსპედიციამ (ხელმძღვანელი – ვაჟა სადრაძე) თავდაპირველად მიზნად დაისახა ფარო დაზვერვითი სახის სამუშაოების ჩატარება; ადგილობრივ მხარეთმცოდნეობით მუზეუმებში დაცული არქეოლოგიური მასალების მიხედვით ახალი პუნქტების დაფიქსირება, ძეგლების მოძიება და გურიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ატლასის შედგენა.

90-იანი წლების ცნობილმა საზოგადოებრივმა მოვლენებმა საგრძნობლად შეაფერხა არქეოლოგიური სამუშაოები, მაგრამ მიუხედავად საქართველოში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკურ-ეკონომიკური პირობებისა, ექსპედიციას მაინც არ შეუწყვეტია საქმიანობა, რომელსაც იგი, ხშირ შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით ახერხებდა.

ექსპედიციამ მჭიდრო-საქმიანი ურთიერთობა დაამყარა გურიის მხარეთმცოდნეობით მუზეუმებთან. გამოიკვეთა აზრი, რომ მხარის წარსულის შესწავლის საქმიანობას კიდევ რალაც რგოლი აკლდა. დაზვერვითმა სამუშაოებმა და დიდი რაოდენობით ისტორიული ძეგლების მონახულებამ წარმოშვა მოსაზრება, რომ მხარეში შექმნილიყო ახალი სამეცნიერო დაწესებულება, რომლის ძირითადი მოვალეობა ისტორიულ ძეგლებზე ზრუნვა-პატრონობა იქნებოდა. აქტიურად წარმოიშვა იდეა – მხარეში ძეგლთა

დაცვის ადგილობრივი ფილიალის შექმნისა. გადაწყდა, რომ ადრე შუასაუკუნეების დროინდელ გურიანთა-ვაშნარის ნაქალაქარის ბაზაზე შეგვექმნა ახალი მუზეუმ-ნაკრძალი. ამ მოსაზრებამ,როგორც ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოში, ისე გურიის ადგილობრივ ხელისუფლებასა და ინტელიგენციაში, დიდი მოწონება დაიმსახურა. მუზეუმ-ნაკრძალის შექმნის საორგანიზაციო საკითხებს სათავეში ჩაუდგნენ მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში ბატონი თამაზ ნათიძე, მუზეუმ-ნაკრძალების კურატორი ქალბატონი ლეილა მჭედლიშვილი და მთავარი სპეციალისტი არქეოლოგიაში ბატონი მერაბ ძნელაძე.

როგორც უკვე აღინიშნა, მუზეუმ-ნაკრძალის დაარსებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის აკც-ს გურიის არქეოლოგიურ ექსპედიციას. თავისი თანადგომა მან შემდგომაც გააგრძელა,გურიის სიძველეთა დაცვისა და შესწავლის საქველმოქმედო ფონდთან ერთად მუზეუმ-ნაკრძალს საოფისედ გადასცა ქალაქ ოზურგეთის 9 აპრილის ქუჩის №8-ში მდებარე სახლი.

შენობა, რომელშიაც განთავსდა მუზეუმ-ნაკრძალის ოფისი, მე-19 საუკუნის დასასრულს ჭეიშვილების ოჯახს აუშენებია. იგი წარმოადგენს გურიისთვის დამახასიათებელ ე.წ. „ოდა-სახლის“ ნიმუშს. „ჭეიშვილების სახლის“ უკანასკნელი მეპატრონე, გურიაში ცნობილი პედაგოგი ქალბატონი უმანკო ჭეიშვილი იყო. 80-იან წლებში ეს შენობა სახელმწიფოს შეუსყიდია და მასში ქალაქ ოზურგეთის წყალკანალის დაწესებულება განთავსებულა. 1996 წელს რეგიონისა და ქალაქის ხელმძღვანელობამ სახლი გადასცა გურიის არქეოლოგიურ ექსპედიციასა და გურიის სიძველეთა დაცვისა და შესწავლის საქველმოქმედო ფონდს. 1999 წლიდან ოფისში მუზეუმ-ნაკრძალი შევიდა.

მუზეუმ-ნაკრძალის ოფისი წარმოადგენს გეგმაში წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის, საკმაოდ მოზრდილ ერთსართულიან, ქვის ხიმინჯებზე („ბოკონებზე“) შემდგარ, ხის ფიცრებისგან შეკრულსა და კრამიტით გადახურულ ე.წ. „ოდა

სახლს“. შენობა ამორტიზებული იყო და საჭიროებდა გადაუდებელ სარემონტო სამუშაოებს.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს გურიის მხარის რწმუნებულის, აწ განსვენებული კარლო გუჯაბიძის ღვაწლი,რომლის თანადგომითა და ძალისხმევით შესაძლებელი შეიქნა შენობის აღდგენა-რესტავრაცია.

შენობის ფასადის წინ წაგრძელებული,მოლიანი ეზოა. საფასადო ჭიშკართან ღობე რიყის ქვითაა ამოყვანილი, ჭიშკარი დაბალია. ჭიშკრის სამხრეთით – ღობესთან გაკეთებულია მრგვალი ნიში, რომლის სიღრმეშიც დადგმულია არქიტექტორ ვასილ მჟავანაძის მიერ შესრულებული ექვთიმე თაყაიშვილის ქანდაკება. შენობის ფასადი გამოირჩევა თავისი მხატვრული სისადავითა და ერთიანი ესთეტიკური სილამაზით. მუზეუმ-ნაკრძალი დღესაც აქტიურად აგრძელებს ფუნქციონირებას,სადაც საჯარო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით ეწყობა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, თემატური საღამოები და სხვ.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის მუზეუმ-ნაკრძალის სამოქმედო არეალში შედის ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და ფოთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა.

ამჟამად დამთავრდა მაცხოვრის სახელობის ეკლესიის აღდგენა სოფელ აკეთში. მიმდინარეობს სოფელ კონჭკათის ღვთისმშობლის სახელობის შუა საუკუნეების ეკლესიის აღდგენა. იგეგმება აჭის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის და ლიხაურის ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მუზეუმ-ნაკრძალის შენობაში იქმნება საინფორმაციო ცენტრი, სადაც ნებისმიერი დაინტერესებული პირი მიიღებს ინფორმაციას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და სხვა მუზეუმ-ნაკრძალების საქმიანობის შესახებ.

ამჟამად მუზეუმის შენობაში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.

David Khurtsidze

Ekvtime Takaishvili Guria Region Museum-Reserve

Summary

The paper deals with the history of establishing a museum-reserve in Guria region in 1999. The author introduces the public to the activities pursued by the members of the museum staff. He offers a list of local sites recognized as the monuments of cultural heritage and singles out the ones crying out for restoration. Now the museum itself is being rehabilitated.

Давид Хурцидзе

Гурийский Музей-заповедник имени Эквтиме Такаишвили

Резюме

Статья посвящена истории создания гурийского музея-заповедника в 1999 году. Автор направляет внимание читателей на работу сотрудников учреждения. Дается перечень памятников культурного наследия, среди которых выделены те, которые нуждаются в неотложной реставрации. Ныне в музее проводятся реабилитационные работы.

ნაწილი II (არქივი)

ოთხ ათეულ წელზე მეტი გაილია, რაც აკად. ნ. ბერძენიშვილის თაოსნობით გურიაში საველე-არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა. ზემოალნიშნულ ექსპედიციაში სხვებთან ერთად მონაწილეობდა აწ გარდაცვლილი პროფ. ფრიდონ სიხარულიძე, რომელმაც თავის მოგონებებში ასახა გურიაში სამეცნიერო ჯგუფის იმჟამინდელი საქმიანობა. მოგონებები პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „რაეო“-ში (№15-16, 2006).

ფრიდონ სიხარულიძე

§1. „გურიანთის სამეცნიერო ექსპედიცია“*

გურიანთა შუა გურიის დიდი თემია, სადაც 1963 წლის ზაფხულში მრავალმხრივ საყურადღებო სამეცნიერო ძიება გაიშალა. სამეცნიერო ექსპედიცია აკად. ნ. ბერძენიშვილმა დაგეგმა და მას თვითონვე ხელმძღვანელობდა. საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებს, ძირითადად, გამოცდილი არქეოლოგი გიორგი ცქიტიშვილი (1924-1994) ედგა სათავეში, „ქვის ხანის“ რაზმს – არქეოლოგი ნინო ბერძენიშვილი (1907-1985), საისტორიო გეოგრაფიის რაზმს – იური სიხარულიძე და ა.შ. ექსპედიციაში იყვნენ: ხელოვნებათმცოდნე კონსტანტინე მელითაური, არქეოლოგი გურამ გრიგოლია, არქეოლოგი ამირან კახიძე, ისტორიკოსი ქველი ჩხატარაიშვილი (1930-1995) და სხვები. ამავე ექსპედიციაში მონაწილეობის პატივი ამ სტრიქონების ავტორსაც ხვდა წილად. ეს ბატონ ნიკოლოზ ბერძენიშვილის წყალობა გახლდათ. ქართული საისტორიო მწერლობის მაშინდელი

*** საარქივო მასალა დაამუშავა და საგამომცემლოდ წარმოადგინა ზურაბ გიორგაძემ**

მამამთავარი იმ დროს კარგად მიცნობდა, რადგან 1962 წლიდან საკანდიდატო გამოცდებს ვაბარებდი ისტორიის ინსტიტუტში, რომლის დირექტორიც ის ბრძანდებოდა და ერთხელ გამოცდაზეც დამესწრო. ჩემი უფროსი ძმისგან, იური სიხარულიძისგან ვიცოდი, როდის უნდა ჩავსულიყავი გურიანთას, მაგრამ მაინც დამაგვიანდა.

და აი, 7 აგვისტოს დილით ვეწვიე ჩემს ასე ნაოცნებარ გურიანთას და პირდაპირ ექსპედიციის ხელმძღვანელს წარვუდექი.

არ მეგონა, ასე მკაცრად თუ მომთხოვდა პასუხს, თორემ ჯერ ველზე მომუშავეებს შევუერთდებოდი და შეიძლება ამით ამეცდინა ხელმძღვანელის საყვედური.

— რატომ დაგაგვიანდა? — მკითხა აივანზე გადმომდგარმა აკადემიკოსმა.

ცივმა ოფლმა დამასხა, რადგან ამგვარ კითხვას არ ველოდი, მაგრამ მაინც არ დავიბენი და ასე გავიმართლე თავი:

— ბატონო ნიკო, ზღვისპირეთიდან ძმის ცოლ-შვილი ავიყვანე სოფელში და

ამან განაპირობა ჩემი დაგვიანებაც.

— მიზეზი საპატიო გქონია, როგორ არის ქალბატონი ლაურა, ხომ კარგად არიან შვილები?!

— გმადლობთ, ბატონო ნიკო, ჯერჯერობით არა უშავთ, აგვისტოს სოფლად გაატარებენ.

— როგორ არიან მამა, დედა?

— კარგად, შრომობენ და თქვენი სტუმრობის მოლოდინში არიან.

— ძალიან კი მინდა ჩემი სოფლის ნახვა, მაგრამ არ ვიცი როდის მომიხერხდება ამ სურვილის ასრულება, - თქვა ეს და პაუზის შემდეგ სასოფლო გზას გახედა და მითხრა:— ახლა გაჰყევი ამ გზას და იგი ექსპედიციის მთავარ ბანაკამდე მიგიყვანს. გიორგი ცქიტიშვილს ხომ იცნობ, ის ჩემი მოადგილეა, დაგაბინავებს და სამუშაოსაც მოგცემს.

ასეც მოხდა, ექსპედიციის ახალბედა წევრებიდან უფრო ახლოს ამირან კახიძესთან ვიყავი და მასვე მივენდე. ის დღე „ნაკაშიძის“ გორის სიძველეთა დათვალიერებასა და შემოგარენის გაცნობას მოვანდომეთ. მეორე დღეს გორაზე თვით ნ.ბერძენიშვილი ამობრძანდა. მას ქალბატონი ნინო, გიორგი ცქიტიშვილი და იური სიხარულიძე ახლდნენ. ბატონმა ნიკომ ამირან კახიძე იხმო და „ნაკაშიძის“ ნამოსახლარის ერთი გამორჩეული გორა მიანდო გასათხრელად. ასე გახდა ასპირანტი ამირან კახიძე ამ ექსპედიციაში რაზმის ხელმძღვანელი. შენც აქ იმუშავებო, მითხრა და იმ გორისაკენ გაეშურა, სადაც გიორგი ცქიტიშვილი მუშაობდა.

ამირანი მაშინვე შეუდგა მიჩენილი გორის გასათხრელად მომზადებას. ამაში, ჩემ გარდა, მან თამაზ ბერაძეც დაიხმარა და რამდენიმე მუშასაც უხმო. გორა ტყისაგან თავისუფალი კი იყო, მაგრამ ხეები ისე მაღლა იყო გადაჭრილი, რომ მათი ამოუძირკვავად გათხრის დაწყება შეუძლებელი იქნებოდა. ის დღე ნაყოფიერად ვიმუშავეთ და საღამოს გორაც უკვე მზად იყო გასათხრელად.

იმ წლის აგვისტო შუა გურიაში წვიმიანი გამოდგა, რაც საველე ძიებაში ძალიან გვიშლიდა ხელს, მაგრამ როგორც კი გამოიდარებდა, მაშინვე ველზე ვჩნდებოდით.

შუადღემდე გათხრებში ვმონაწილეობდი და მუშებს ვმეთვალყურეობდი, შემდეგ კი რამდენიმე მუშასთან ერთად მდინარე სკურდომზე მივდიოდი და იმ დღის მონაპოვარ თიხის ჭურჭლის ნატეხებს ვრეცხავდით, შემდეგ კი, საგანგებოდ მათ შესანახად გამიზნულ ხის ყუთებში ვაწყობდით. ეს მონაპოვარი ნათლად ასახავდა ამ კუთხის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას მრავალ ქვეყანასთან.

ბატონმა ნიკომაც რამდენჯერმე ჩამოგვიარა თავისი ავტომანქანით და ჩვენი მუშაობითაც დაინტერესდა. მახსოვს, რა გულისყურით ათვალიერებდა თითოეულ ნატეხს და ზოგს სახელდახელოდ ათარიღებდა კიდეც.

ამირანიც ალფრთოვანებული იყო დიდი მოძღვრის ინტუიციითა და არქეოლოგიურ ძეგლთა ასაკის განსაზღვრით.

ერთ დღეს, როდესაც ნაწვიმარზე გათხრა გადაიდო, მე და ამირანი იური სიხარულიძეს გავყევით საისტორიო-საგეოგრაფიო დაზვერვებზე და საკმაოდ დიდი ტერიტორია მოვიხილეთ.

ასეთი გასვლები ხშირი იყო, თუმცა ყოველთვის ვერ ვმონაწილეობდი, რადგან გათხრებით ვიყავი დაკავებული. ასეთ გასვლებს ზოგჯერ თვით ექსპედიციის ხელმძღვანელი უძღვებოდა. ნაგომარ-წყავიშტოს დაზვერვებში მონაწილეობდნენ: ნინო ბერძენიშვილი, იური სიხარულიძე, გურამ გრიგოლია, მანანა გაბუნია, ქველი ჩხატარაიშვილი და სხვები. შემდგომი გასვლა გასვლა გორაბერეჟოულს, ერკეთს და ბუკისციხის ტერიტორიებზე განხორციელდა. რომელშიც მხოლოდ აკად ნ. ბერძენიშვილი, ი. სიხარულიძე მონაწილეობდნენ (მძღოლი იაშაღაშვილი). უფრო მრავალრიცხოვანი იყო კონჭკათ-მიქელ-გაბრიელის დაზვერვები (ნ. ბერძენიშვილი, გ. ცქიტიშვილი, ი. სიხარულიძე, გ. გრიგოლია, კ. მელითაური).

ამ გასვლებს სხვა მხარეც ახლდა. დაუვიწყარია გორაბერეჟოულის, ოზურგეთისა და მიქელ-გაბრიელის სალხინო სუფრები. შეხვედრა პედაგოგსა და მეფის ყოფილ ოფიცერ გერასიმე ბოლქვაძესთან, შრომის გმირებთან გური ანთიძესთან, სევერიანე მუხაშავრიასთან და დავით სიხარულიძესთან.

არ შემიძლია, რამდენიმე სიტყვით არ აღვნიშნო „სახელდახელო“ სამეცნიერო სესია, რომელიც გურიანთის ექსპედიციამ ოზურგეთში გამართა. მთავარი მოხსენებით ხალხმრავალ აუდიტორიაში ექსპედიციის ხელმძღვანელი გამოვიდა და ისე ღრმად წარმოაჩინა გურიის წარსული, რომ ყველანი აღაფრთოვანა. ახლაც ყურში ჩამესმის ი.სიხარულიძის სიტყვები: „ახალმა დრომ ბევრი სიკეთე მოგვიტანა, მაგრამ ბევრი ზიანიც განვიცადეთ: განადგურდა ბევრი

უნიკალური საისტორიო ძეგლი, გაქრა არაერთი საგეოგრაფიო სახელი თუ ადგილის სახელწოდება და სხვა“.

ამის თქმა იმ დროს არც ისე ადვილი იყო და შეიძლება ძვირადაც დასჯდომოდა მომხსენებელს, მაგრამ მან მაინც სიმართლის თქმა ამჯობინა. სესიის შემდეგ ოზურგეთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის დირექტორის ოჯახში ბანკეტი გაიმართა. ბანკეტს გურიის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები ამშვენებდნენ. თამადობდა ნიკოლოზ წიტაიშვილი. სიტყვები წარმოთქვეს: ნიკო ბერძენიშვილმა, ვახტან თოხაძემ, ალექსანდრე თოიძემ, აკაკი გობრონიძემ, გრიგოლ მამალაძემ, რევაზ კვინტრაძემ, აფთონ გურგენიძემ, რაფიელ გიორგაძემ და სხვებმა. ბატონმა ნიკომ გაიხსენა 20-იანი წლების მიწურული და თბილისის უნივერსიტეტში მიმდინარე გარდაქმნები, გურიაში მოგზაურობა, დიდი ექვთიმეს მშობლიურ სოფელში შედეგიანი სტუმრობა და ერთი უნიკალური ხელნაწერი წიგნის გადარჩენა.

სუფრაზე ჟღერდა ქართული ხალხური ჰანგები, რომლებსაც დიდი ოსტატობით ასრულებდნენ: არტემ ერქომაიშვილი, ვლადიმერ ერქომაიშვილი, გიორგი სალუქვაძე, ილარიონ სიხარულიძე და სხვები. ცას წვდებოდა მიხეილ შავიშვილისა და იური სიხარულიძის კრიმანჭული.

გურიანთის 1963 წლის, ახლა უკვე ლეგენდად ქცეულ სამეცნიერო ექსპედიციაზე ცოტა არ დაწერილა, მაგრამ სათქმელს რა გამოლევს, რადგან ნ.ბერძენიშვილი უძღოდა და ამ მრავალრიცხოვანი და შინაარსით თვალშეუდგამი ექსპედიციის მუშაობის ყოველი წვრილმანი აღსანუსხავი და შესასწავლია.

ექსპედიციის მრავალი მონაწილე (ნინო ბერძენიშვილი, კონსტანტინე მელითაური, ქველი ჩხატარაიშვილი და სხვ.) დღეს ცოცხალი აღარ არის. ვინც ცოცხალი დავრჩით ჯერჯერობით, უნდა ვეცადოთ,რომ შთამომავლობას დავუტოვოთ ჩვენი მოგონებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მეცნიერებსა და საზოგადოებრიობას უკეთ გააცნობიერონ ექსპედიციის მრავალმხრივ საინტერესო შედეგები.

Pridon Sikharulidze

Gurianta Scientific Expedition

Summary

Academician N. BerdzeniSshili had undertaken the first archaeological excavations at Gurianta village more than four decades before. Professor Pridon Sikharulidze was one of the members of the team. The late professor offered the public his memories about the team's activities published for the first time in "Raeo" newspaper in 2006 (No. 15-16).

Придон Сихарулидзе

Научная экспедиция Гурианты

Резюме

Прошло более четырех десятилетий как под началом академика Н. Бердзенишвили были проведены разведовательно-археологические работы в селе Гурианта. Ныне покойный профессор Придон Сихарулидзе был одним из членов той экспедиции. Он описал тогдашние работы в своих воспоминаниях, опубликованных в газете «Раэо» в 2006 году в номерах 15-16.

§ 1. გურიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხა

აკეთი ლანჩხუთის რ-ნი სამაროვანი და ნამოსახლარი, გვიანი შუასაუკუნეები;

აკეთი, (ძველი აკეთი), ლანჩხუთის რ-ნი. მაცხოვრის ეკლესია და გალავნის ნაშთი. გვიანი შუასაუკუნეები;

ანასეული „მეტეოსადგური“, ოზურგეთის რ-ნი ნამოსახლარი, გვიანი ნეოლითი

ანასეული ადგილი „მიწისციხე“, ოზურგეთის რ-ნი სადგომი, გვიანი ნეოლითი;

ანასეული ოზურგეთის რ-ნი რკინის სადნობი სახელოსნოები, წინარე ანტიკური ხანა;

ასკანა ასათიანის ნაკვეთი, ოზურგეთის რ-ნი. რკინის სადნობი სახელოსნო, წინარე ანტიკური ხანა;

ასკანა დ. წყალწითელასთან, ოზურგეთის რ-ნი. რკინის სადნობი სახელოსნო, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა;

ასკანა „მელუას ნაკვეთი“, ოზურგეთის რ-ნი. სახელოსნოს ნაშთები, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა;

ასკანა „მეურნეობის ტერიტორია“, ოზურგეთის რ-ნი. რკინის სადნობი სახელოსნო, წინა ანტიკური ხანა;

ასკანა ოზურგეთის რ-ნი. ციხე და ნამოსახლარი, შუასაუკუნეები;

აცანა „ოქონა“, ლანჩხუთის რ-ნი. ნაეკლესიარი, შუასაუკუნეები;

აცანა ლანჩხუთის რ-ნი. ნამოსახლარი და სამაროვანი, შუასაუკუნეები;

აცანა ლანჩხუთის რ-ნი. წმ.გიორგის ეკლესია და გალავნის ნაშთი, შუასაუკუნეები;

აჭი ოზურგეთის რ-ნი. წმ.გიორგის სახელობის დარბაზული ეკლესია (XIII-XIV სს. მიჯნა);

აჭი ოზურგეთის რ-ნი, ნამოსახლარი და სამაროვანი, შუასაუკუნეები;

აბასთოფელი ლანჩხუთის რ-ნი. განძი, შუასაუკუნეები.

აბასთოფელი ლანჩხუთის რ-ნი. ნამოსახლარი, ანტიკური ხანა.

ბილეთი ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი, წინარე ანტიკური ხანა;

ბილეთი ოზურგეთის რ-ნი. ეკლესია, (1609 წ.)

ბილეთი ადგ. ,,გალმა გორი'',ოზურგეთის რ-ნი. შუასაუკუნეები;

ბილეთი ოზურგეთის რ-ნი. ციხის ნანგრევები და ნამოსახლარი, შუასაუკუნეები;

ბილეთი ჩოხატაურის რ-ნი. ნაეკლესიარი, შუასაუკუნეები;

ბლდადი ოზურგეთის რ-ნი. განძი;

ბლდადი სასაფლაო, ოზურგეთის რ-ნი. ეკლესია, შუასაუკუნეები;

ბლლეფი ლანჩხუთის რ-ნი. წმ.გიორგის სახ. ეკლესიის ნაშთი, შუასაუკუნეები;

ბხვი ადგ. ,,საენგუროს'' ალექსანდრე ასათიანის კარმიდამო, ოზურგეთის რ-ნი. ანატკეცი – მუსტიე;

ბხვი ადგ. ,,საენგურო'' ვალერიან მგელაძის საკარმიდამო ნაკვეთი. ოზურგეთის რ-ნი. კაჟის საფხეკი და სახვრეტი – მუსტიე;

ბხვი ადგ. ,,საენგურო'' მგელაძის ეზო,ოზურგეთის რ-ნი. კაჟის დაკბილული იარაღი-ჩასართი, მეზოლით-ნეოლითი;

ბხვი ოზურგეთის რ-ნი. კაჟის იარაღი,ქვედა პალეოლითი;

ბხვი ,,ქვედა ბახვი'', ოზურგეთის რ-ნი. რკინის სადნობი სახელოსნო, გვ.ბრინჯაო-ადრერკინის ხანა;

ბხვი ,,ქვედა ბახვი'', ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი და სამაროვანი, შუასაუკუნეები;

ბაბაური ,,საკურორტო ზონა“, ჩოხატაურის რ-ნი. სადგომი, ნეოლითი;

ბოხვაური ადგ. ,,ჭაბუკჯვარი“,ოზურგეთის რ-ნი. ნაეკლესიარი, შუასაუკუნეები;

ბუკისციხე ,,გურის ტბა“, ჩოხატაურის რ-ნი. ნამოსახლარი, გვიანი ბრინჯაოს ხანა;

ბუკისციხე ჩოხატაურის რ-ნი. ნამოსახლარი და სამაროვანი, ელინისტური ხანა, (ძვ.წ. II-I სს.)

ბუკისციხე ჩოხატაურის რ-ნი. ციხე-ქალაქი, ანტიკური და შუასაუკუნეები.

ბუკისციხე ადგ. ,,ბერსალო“, ჩოხატაურის რ-ნი. გამოქვაბული, შუასაუკუნეები;

ბუკისციხე ჩოხატაურის რ-ნი. ეკლესიის ნანგრევები, შუასაუკუნეები;

ბურნათი ჩოხატაურის რ-ნი. პეტრე-პავლეს სახ. ეკლესიის ნანგრევები, შუასაუკუნეები;

გაგური ,,ჯიხური“, ლანჩხუთის რ-ნი. სასიმაგრო სისტემა, შუასაუკუნეები;

გამოქმა ქვეთი ოზურგეთის რ-ნი ნაეკლესიარი, შუასაუკუნეები;

გამოქმა ქვეთი გ.ზოიძის ეზო, ოზურგეთის რ-ნი. ,,შავი გურიელის ნამოსახლარი“, გვიანშუასაუკუნეები;

განახლება განახლება, (ადრინდელი ამაღლება), ჩოხატაურის რ-ნი. წმ. გიორგის ეკლესია, შუასაუკუნეები;

ს. განახლება ჩოხატაურის რ-ნი. ღვთისმშობლის ეკლესია, შუასაუკუნეები;

გვიმრალაური გვიმრალაური, ,,სევერიან წერეთლის ყანა“, ლანჩხუთის რ-ნი. თიხის ჩიბუხი, გვიანი შუასაუკუნეები;

ს. გვიმრალაური ლანჩხუთის რ-ნი. წმ. გიორგის ეკლესია შუასაუკუნეები;

გვიმრალაური ზედა სასაფლაო, ლანჩხუთის რ-ნი. ნამოსახლარი, შუასაუკუნეები;

გვიმრალაური ლანჩხუთის რ-ნი. ნამოსახლარი, ანტიკური ხანა ძვ.წ. VI-III სს.

გვიმრალაური ლანჩხუთის რ-ნი. რკინის სახელოსნო, გვიან-ბრინჯაო-ადრერკინის ხანა;

გოგიეთი ოზურგეთის რ-ნი. წმ.დიმიტრის სახ.ნაეკლესიარი, შუასაუკუნეები;

გოგოლესუბანი „ქვემო ფარცხმა“, ბრინჯაოს განძი, გვიანი ბრინჯაოს ხანა;

გოგოლესუბანი ადგ. „მჭედლებისერი“, ლანჩხუთის რ-ნი. ნაეკლესიარი, შუასაუკუნეები;

გოგოლესუბანი ადგ. „კუნჭულა“, ჩოხატაურის რ-ნი. წმ.გიორგის ეკლესია, შუასაუკუნეები;

გოგორეთი ოზურგეთის რ-ნი. ელინისტური ხანის ქვევრსამარხი, ს.გოგორეთი, ღვთისმშობლის ეკლესია, შუასაუკუნეები;

გომი ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი და სამაროვანი, შუასაუკუნეები;

გომი „გორაულის ღელე“, ოზურგეთის რ-ნი. რკინის სადნობი სახელოსნოს ნაშთი, წინარეანტიკური ხანა;

გონებისკარი გონებისკარი, ოზურგეთის რ-ნი. წმ. გიორგის ეკლესია, შუასაუკუნეები;

გორაბერეჟოული ჩოხატაურის რ-ნი. რკინის სადნობი სახელოსნოები, წინარე ანტიკური ხანა;

გორაბერეჟოული ჩოხატაურის რ-ნი. ციხისა და სასახლის ნაშთი, შუასაუკუნეები;

გორაბერეჟოული ჩოხატაურის რ-ნი. ღვთისმშობლის ეკლესია, შუასაუკუნეები;

გრიგოლეთი ლანჩხუთის რ-ნი. „გოგელიების ეზო“, წინარე ანტიკური ხანა;

გრიგოლეთი ლანჩხუთის რ-ნი. დიუნური ნამოსახლარის ნაშთი, ანტიკური ხანა;

გრიგოლეთი "თ.ჭყონიას ეზო", ლანჩხუთის რ-ნი. დიუნური ნამოსახლარი, ძვ.წ.VII-VI სს.

გრიგოლეთი ,,ტერმინალის ტერიტორია", ლანჩხუთის რ-ნი. დიუნური ნამოსახლარი, სახელოსნოს ნაშთი, ძვ.წ. VII-VI სს.

გრიგოლეთი შეკვეთილის ზღვისპირა ზოლი, ლანჩხუთის რ-ნი. დიუნური ნამოსახლარები, ძვ.წ. VIII-VII სს.

გუთური ლანჩხუთის რ-ნი. ბრინჯაოს განძი, ბრინჯაო-ადრერკინის ხანა;

გუთური ლანჩხუთის რ-ნი. სამაროვანი ელინისტური ხანა;

გურიანთა ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი, გვიანი ნეოლითი;

გურიანთა ოზურგეთის რ-ნი. გამოქვაბული, ადრეშუასაუკუნეების ხანა.

გურიანთა ოზურგეთის რ-ნი. ციხე-ქალაქი და სამაროვანი ადრეშუასაუკუნეები;

გურიანთა ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარები, ელინისტური ხანა;

გურიანთა ,,ციხის ტერიტორია", ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი, ძვ.წ.VI-V სს.

გურიანთა ოზურგეთის რ-ნი. ღვთისმშობლის სახ. ციხის ეკლესია, გვიან შუასაუკუნეები;

დაბლაციხე ადგ. ,,შუა ფურცელი", ჩოხატაურის რ-ნი. საყდრის ნანგრევები, გვიანი შუასაუკუნეები;

დაბალი ეწერი ოზურგეთის რ-ნი. რკინის სადნობი სახელოსნო, წინარე ანტიკური ხანა;

დვაბზუ ოზურგეთის რ-ნი. რკინის სადნობი სახელოსნოს ნაშთი, წინარე ანტიკური ხანა;

დვაბზუ სასაფლაო, ოზურგეთის რ-ნი. ეკლესია, გვიან შუასაუკუნეები, 1874 წ;

დვაბზუ ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი და სამაროვანი, გვიანიშუასაუკუნეები;

დიდი ვანი ადგ. ,,ყვითელაური'',ჩოხატაურის რ-ნი. ელინისტური ხანის ქვევრსამარხი;

დიდი ვანი ჩოხატაურის რ-ნი. წმ.გიორგის სახ. ეკლესია,გვიანი შუასაუკუნეები;

დიდი ვანი ჩოხატაურის რ-ნი. ,,ეკაის გორის'' ღვთისმშობლის ეკლესია, შუასაუკუნეები;

დობირო ადგ. ,,უდაბნო'', ჩოხატაურის რ-ნი. ნამონასტრალი;

ეპისკოპოსური ყოფილი არჩეული, ნაეკლესიარი, ლანჩხუთის რ-ნი. შუასაუკუნეები;

ერკეთი ზემო ერკეთი,ჩოხატაურის რ-ნი. მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია,განვითარებული შუასაუკუნეები;

ერკეთი ქვემო ერკეთი,ჩოხატაურის რ-ნი. საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაშთი, შუასაუკუნეები;

ეწყლია ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი, გვიანი ნეოლითი;

ეწყლია ოზურგეთის რ-ნი. რკინის სადნობი სახელოსნოები, ანტიკური ხანა;

ეწყლია ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი, ღვთისმშობლის სახ. ეკლესია და სამაროვანი, შუასაუკუნეები;

ეწყლია ოზურგეთის რ-ნი. წმ. გიორგის ეკლესია, XIXს.

ეწერი ლანჩხუთის რ-ნი. ნამოსახლარი, წმ.მარიამის სახ. ეკლესია, გალავნის ნაშთი, შუასაუკუნეები;

ეწერი ლანჩხუთის რ-ნი. რკინის სადნობი სახელოსნო, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა;

ვანისქვეშ ოზურგეთის რ-ნი. ნათლისმცემლის სახ. ეკლესიის ნაშთი, შუასაუკუნეები;

ვაკეკვარი ადგ. ,,ქორბუდე'', ოზურგეთის რ-ნი. ფიბულა, 1936წ. აღმოჩენა;

ვაკეკვარი თხილაიშვილის ნასახლარი, ოზურგეთის რ-ნი, ლითონსადნობი სახელოსნო, წინა ანტიკური ხანა;

ვაკივკვარი — ადგ. ,,ლევარსიას ნიგვზები“, ოზურგეთის რ-ნი. ლითონსადნობი სახელოსნო;

ვაკივკვარი — ვაკივკვარი, ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი და ,,ჯვრის“ ეკლესია, შუასაუკუნეები;

ს. ვაკივკვარი — ოზურგეთის რ-ნი. წმ.გიორგის ეკლესია,შუასაუკუნეები;

ვაკივკვარი — ადგ. ,,ქორის ბუდე“ ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი, წინა ანტიკური ხანა;

ვაკივკვარი — ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი, ნეოლითი;

ვაკივკვარი — ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარის ნაშთი, გვიანბრინჯაოს ხანა;

ვაკივკვარი — ოზურგეთის რ-ნი. ,,ოთიგვანის გამოქვაბული“,გვიანი ბრინჯაოს ხანა;

ვაკივკვარი — ოზურგეთის რ-ნი. ფიბულა, 1960 წ. აღმოჩენა;

ვაშბარი — ოზურგეთის რ-ნი. ციხე-ქალაქი,ადრეშუასაუკუნეები;

ზედუბანი — ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი და სამაროვანი, შუასაუკუნეები;

ზემო ხეთი — ჩოხატაურის რ-ნი. ელინისტური ხანის ქვევრსამარხი;

ზენობანი — ჩოხატაურის რ-ნი. ლითონსადნობი სახელოსნო;

ზენობანი — ადგ. ,,საჯალამბრო“,ჩოხატაურის რ-ნი. ელინისტური ხანის ქვევრსამარხი;

ზენობანი — ჩოხტაურის რ-ნი. ,,ღომის ციხის” ნანგრევები, შუასაუკუნეები;

ზომლეთი — ადგ. ნაციხვარა, ჩოხატაურის რ-ნი. ნასახლარი;

ზოტი — ჩოხატაურის რ-ნი. განძი, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა;

ზოტი — ჩოხატაურის რ-ნი. ქვის ცული, ნეოლითი;

ზოტი — ადგ. ,,საყდარის ყელი“, ჩოხატაურის რ-ნი. ციხის ნანგრევები, შუასაუკუნეები;

ზოტი — ჩოხატაურის რ-ნი. ჯამე, XIX ს.;

თავსურები — ჩოხატაურის რ-ნი. საყდრის ნაშთი, შუასაუკუნეები;

თბილავანი ადგ. ორკე, ჩოხატაურის რ-ნი. წმ. გიორგის ნაეკლესიარი, შუასაუკუნეები;

თბილვანი ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი და სამაროვანი, განვითარებული შუასაუკუნეები;

თბილვანი ოზურგეთის რ-ნი. ლითონსადნობი სახელოსნო, ანტიკური ხანა;

კახური ოზურგეთის რ-ნი. სამაროვანი, თიხის სარკოფაგები;

კახური ოზურგეთის რ-ნი. წმ. გიორგის ეკლესია, შუასაუკუნეები;

კონჭკათი ოზურგეთის რ-ნი. ეკლესია, განვითარებული შუასაუკუნეები;

კონჭკათი ოზურგეთის რ-ნი. ნაქალაქარი;

კონჭკათი ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი, ანტიკური ხანა;

კოხნარი კოხნარი, ჩოხატაურის რ-ნი. სასახლის ნაშთი, შუასაუკუნეები;

ლაითური ოზურგეთის რ-ნი. ნაეკლესიარი, შუასაუკუნეები;

ლაითური ოზურგეთუს რ-ნი. ლითონსადნობი სახელოსნო, ანტიკური ხანა;

ლაითური ოზურგეთუს რ-ნი. ნამოსახლარი, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა;

ლაითური ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი, გვიანი ნეოლითი;

ლანჩხუთი განძის ნაშთი, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა;

ლანჩხუთი ადგ. „აგარაკი“, ნათლისმცემლის სახ. ეკლესიის ნაშთი, გვიანი შუასაუკუნეები;

ლანჩხუთი „ჭოლიპას“ ნამოსახლარი, ადრებრინჯაოს ხანა;

ლესა ადგ. „თაღები“, ლანჩხუთის რ-ნი. შუასაუკუნეები;

ლესა ლანჩხუთის რ-ნი. გურიელის ნამოსახლარი, შუასაუკუნეები;

ლესა მილსადენის ტრასა, ლანჩხუთის რ-ნი. ნამოსახლარი, ანტიკური ხანა;

ლიბაური ოზურგეთის რ-ნი. ღვთისმშობლის ეკლესია, XIII ს. II ნახ. სამრეკლო XV ს.;

მაკვანეთი ოზურგეთის რ-ნი. ეკლესია, ნამოსახლარი და სამაროვანი, შუასაუკუნეები;

მაკვანეთი ოზურგეთის რ-ნი. მთავარანგელოზის სახ.ეკლესია, XVIII ს.;

მაკვანეთი „ნაკაშიძის გორა“, ოზურგეთის რ-ნი. ნასახლარი;

მაკვანეთი ოზურგეთის რ-ნი, სადგომი, ნეოლითის ხანა;

მაკვანეთი „წყავშანას უბანი“, ოზურგეთის რ-ნი. ბრინჯაოს განძი, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა;

მამათი ლანჩხუთის რ-ნი. ნამოსახლარი, შუასაუკუნეები;

მამათი ლანჩხუთის რ-ნი. სადგომი;

ს.მამათი ქვედა ადგ. „ქაიჯვარს“, ლანჩხუთის რ-ნი. წმ. გიორგის ეკლესია 1893-1895 წწ;

მარხვარეთი ლანჩხუთის რ-ნი. წმ. გიორგის ეკლესია, შუასაუკუნეები;

ს.მარხვარეთი ლანჩხუთის რ-ნი. ბრინჯაოს მუზარადი,ძვ. V საუკუნე;

მელექედური ოზურგეთის რ-ნი. წმ. გიორგის სახ. ეკლესია და სამაროვანი, შუასაუკუნეები;

მელექედური ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი და სამაროვანი, ანტიკური ხანა;

მელექედური „ჯინჭარაძეების ბრიგადის“ ტერ-რია,ოზურგეთის რ-ნი. ბრინჯაოს განძი, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა;

მერია ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი, გვიანი ნეოლითი;

მერია ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი და სამაროვანი, ადრეული შუასაუკუნეები;

მერია ოზურგეთის რ-ნი. ნაეკლესიარი, შუასაუკუნეები;

მზიანი „ასკანა“, ოზურგეთის რ-ნი. რკინის სადნობი სახელოსნოები, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა;

მთისპირი „ასკანა“,ოზურგეთის რ-ნი. ღვთისმშობლის ეკლესია, შუასაუკუნეები;

პოლაში ლანჩხუთის რ-ნი. ლისიმაქეს მონეტა, ძვ.წ. IV-III სს;

პოლაში ლანჩხუთის რ-ნი. ღვთისმშობლის სახ. ეკლესია, შუასაუკუნეები;

პოლაში ლანჩხუთის რ-ნი. ციხე-ქალაქი, ორი აბანო, ნაგებობის ნაშთები, შტამპიანი აგური და სხვ. შუასაუკუნეები;

პონასტერი კონჭკათის საკრ. ოზურგეთის რ-ნი. ეკლესია, შუასაუკუნეები;

პშვიდობაური „ასკანა“, ოზურგეთის რ-ნი. რკინის სადნობი სახელოსნოები, გვიანბრინჯაო- რკინის ფართო ათვისების ხანა;

ნაგომარი ოზურგეთის რ-ნი. წმ.მაზინეს სახ. სამლოცველო;

ნაგომარი ნაგომარი, ოზურგეთის რ-ნი.

ნაგომარი ოზურგეთის რ-ი. რკინის სადნობი სახელოსნოები, ძვ.წ.II-I ათასწლეულის I ნახევარი;

ნარუჯა ოზურგეთის რ-ნი. ნასადგომარი, გვიანი ნეოლითი;

ნარუჯა ოზურგეთის რ-ნი. რკინის სადნობი სახელოსნო, ანტიკური ხანა;

ნატანები ნატანები, ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი, შუასაუკუნეები;

ნატანები ნატანები, ოზურგეთის რ-ნი. რკინის სადნობი სახელოსნო, ანტიკური ხანა;

ნატანები ოზურგეთის რ-ნი ნამოსახლარი, გვიანი ნეოლითი;

ნატანები ნატანები, ოზურგეთის რ-ნი. 1910 წ. თურქული მონეტების განძი, XVII სს;

ნაოხილევი (ყოფ. თხინვალი), ადგ. „ახალსახტარი“, ოზურგეთის რ-ნი. ნაეკლესიარი, შუასაუკუნეები;

ნაციხვარი ნაციხვარი-გურიელის სასახლე;

ნაიბაური ოზურგეთის რ-ნი. ნაეკლესიარი, შუასაუკუნეები;

ნაიბაური ადგ. ხახალისნასხლევი, ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი, შუასაუკუნეები;

ნიაბური ადგ „ოქროსმუხური“, ოზურგეთის რ-ნი. ნაეკლესიარი, შუასაუკუნეები;

ნიგვზიანი მილსადენის ტრასა,ლანჩხუთის რ-ნი ნამოსახლარი, ანტიკური ხანა;

ნიგვზიანი ლანჩხუთის რ-ნი ნამოსახლარი და სამაროვანი, შუასაუკუნეები;

ნიგვზიანი ლანჩხუთის რ-ნი. სამაროვანი, რკინის ფართო ათვისების ხანა;

ნიგოითი ლანჩხუთის რ-ნი. წმ. გიორგის ეკლესია, შუასაუკუნეები;

ნიგოითი ადგ. საგარია, ლანჩხუთის რ-ნი. საყდარი, შუასაუკუნეები;

ნიგოითი ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი, წინარეანტიკური ხანა;

ნიგოითი ლანჩხუთის რ-ნი. კოლხური თეთრი, ჩიბუხი, აღმოჩნდა 1914 წ;

ნიხოშვილი ლანჩხუთის რ-ნი, წმ. გოიორგის სახ. ეკლესიის ნაშთი, შუასაუკუნეები;

ნიხოშვილი ლანჩხუთის რ-ნი, ნამოსახლარი, შუასაუკუნეები;

ოზურგეთი აბანო და ციხის ნანგრევები, შუასაუკუნეები;

ოზურგეთი ბრინჯაოს განძი, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა;

ოზურგეთი განძი XVI-XVII სს.

ოზურგეთი ადგილი უცნობია, 1850 წ. იპოვეს ბიზანტიური ოქროს მონეტა, XI ს;

ოზურგეთი „მოდინახეს გორაკი“, იაკობ შემოქმედელის ქუჩა, თიხის სარკოფაგი, ახ.წ. Vს;

ომფარეთი ლანჩხუთის რ-ნი. აბანო, ადრეული შუასაუკუნეები;

ომფარეთი „მანიების ეზო“, ლანჩხუთის რ-ნი. ნაგებობის კედლები და გალავნის ნაშთი, ადრეული შუასაუკუნეები;

ოქროსქვეთი ოზურგეთის რ-ნი. ღვთისმშობლის ეკლესია, გვიანი შუასაუკუნეები;

სილაური ოზურგეთის რ-ნი. გურიელის ნასახლარი, გვიანი შუასაუკუნეები;

ტაბანათი მილსადენის ტრასა, ლანჩხუთის რ-ნი. ნამოსახლარი, ანტიკური ხანა;

უკანავა ოზურგეთის რ-ნი. ნამონასტრალი (ნაეკლესიარი), შუასაუკუნეები;

ურეკი დაბა, ოზურგეთის რ-ნი, ბრინჯაოს განძები;

ურეკი დაბა, ოზურგეთის რ-ნი, დიუნები, წინა ანტიკური და ანტიკური ხანა;

ურეკი ურეკი დაბა, ოზურგეთის რ-ნი.

ფამფალეთი ოზურგეთის რ-ნი. ვერცხლის საბადო დამუშავების კვალით, ანტიკური ხანა;

ფამფალეთი ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი, შუასაუკუნეები;

ფამფალეთი ოზურგეთის რ-ნი. ნასაყდრალი;

ჯიკასეული ჩოხატაურის რ-ნი. მონეტა, ლისიმაქეს (ძვ.წ. 306-282 წწ.) მინაბაძი ძვ.წ. II ს;

ქვემო ორკეთი ჩოხატაურის რ-ნი. ექვთიმეს ციხე (ნაციხარი);

ქვემო ხეთი ჩოხატაურის რ-ნი. მაცხოვრის სახ. ეკლესიის ნაშთი, შუასაუკუნეები;

ს. ქვენობანი ჩოხატაურის რ-ნი. კერამიკული სახელოსნო, (გორა-ნამოსახლარი);

ქვენობანი ჩოხატაურის რ-ნი, ლითონსადნობი სახელოსნო, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა;

ქვენობანი ადგ. ,,კოჟორა", ჩოხატაურის რ-ნი, ნამოსახლარი, გვინბრინჯაო-რკინის ფართო ათვისების ხანა;

ქვიანი ლანჩხუთის რ-ნი. ჯიხეთის მონასტერი, შუასაუკუნეები;

ქორბუღე ტაძრის ნაშთი, შუასაუკუნეები;

შკვეთილი ნატანების საკრ. ოზურგეთის რ-ნი. დიუნური ნამოსახლარი, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა;

შემოქმედი ,,მესხების უბანი“, ოზურგ. რ-ნი, გამოქვაბული (ეხი)

შემოქმედი ოზურგეთის რ-ნი. მონასტერ ,,ღვთაებისა” და “ზარზმის“ სახ. ეკლესიები, სამრეკლო,შუასაუკუნეები;

შემოქმედი ,,მონასტრის ტერიტორია“ ოზურგეთის რ-ი, ნამოსახლარი, ადრეშუასაუკუნეები;

შემოქმედი ადგ. გორისფერდი, ოზურგეთის რ-ნი; ნაეკლესიარი (ეკლესიის ნაშთი), შუასაუკუნეები;

შემოქმედი ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი, ადრებრინ. ხანა;

შრომა ოზურგეთის რ-ნი,წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, შუასაუკუნეები;

შრომა ოზურგეთის რ-ნი, ნამოსახლარი, შუასაუკუნეები;

შრომა ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი, ახალი ქვის ხანა;

შრომის უბანი ადგ. ,,ჩიტიას ქედი“, ლანჩხუთის რ-ნი, ნაციხვარი, შუასაუკუნეები;

შუაგანაკლეა (ყოფ. ამაღლება), ჩოხატაურის რ-ნი. უდაბნო (ნამონასტრევი);

შუაგანაკლეა ყოფ. ამაღლება, ჩოხატაურის რ-ნი. წმ. გიორგის სახ. ეკლესიის ნაშტი, შუასაუკუნეები;

შუაფარცხმა ადგ. ,,ველა“,ჩოხატაერის რ-ნი. ეკლესია, შუასაუკუნეები;

შუხუთი ლანჩხუთის რ-ნი. აბანოსა და სასახლის ნაშთი, ადრე შუასაუკუნეები;

შუხუთი ლანჩხუთის რ-ნი. ბრინჯაოს განძი, გვინბრინჯაო-ადრერკინის ხანა;

შუხუთი ადგ. ,,კუდიფსორა“, სანდრო ფირცხალაიშვილის საყანე ფართობი, ლანჩხუთის რ-ნი. ბრინჯაოს სასმისი;

შუხუთი ადგ. ,,გორისგვერდი“,ლანჩხუთის რ-ნ. წმ. გიორგის სახ. ეკლესიის ნაშთი, შუასაუკუნეები;

შუხუთი ლანჩხუთის რ-ნი. ნამოსახლარი, ადრეანტიკური ხანა;
შუხუთი ლანჩხუთის რ-ნი. ნამოსახლარი, ელინისტური ხანა;
შუხუთი კოშკის ნაშთი, ადრე შუასაუკუნეები.
შუხუთი ჩხარტიშვილების ეზო, ლანჩხუთის რ-ნი. ეკლესიის ნაშთი, გვიანი შუასაუკუნეები;
ჩიბათი (ზემოჩიბათი), ლანჩხუთის რ-ნი. ქვევრსამარხი, ელინისტური ხანა;
ჩიბათი ლანჩხუთის რ-ნი. ნამოსახლარი, ანტიკური ხანა;
ჩიბათი ბიზანტიური ოქროს მონეტების განძი, 122 ც. VI-VII სს.;
ჩიბათი ლანჩხუთის რ-ნი. ნამოსახლარი და სამაროვანი, ადრე შუასაუკუნეები;
ჩოლობარვი ადგ. „ნაძვის ფეხი“, ლოანჩხუთის რ-ნი. ნაეკლესიარი, შუასაუკუნეები;
ჩოქეთი ჩოხატაურის რ-ნი. კოლხური თეთრი, 380 ც.;
ციხისფერდი ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი, ნეოლითური ხანა;
ციხისფერდი ოზურგეთის რ-ნი. ეკლესიის ნანგრევები, გვიანი შუასაუკუნეები;
ცრემლისხიდი ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი, შუასაუკუნეები;
ძიმითი ოზურგეთის რ-ნი. გამოქვაბული, შუასაუკუნეები;
ძიმითი ოზურგეთის რ-ნი, ნამოსახლარი და სამაროვანი, განვითარებული შუასაუკუნეები;
ძიმითი ოზურგეთის რ-ნი. წმ.კვირიკეს ეკლესია, შუასაუკუნეები;
წვერმალალა ე.წ. „ურეკის“ სამაროვანი. ოზურგეთის რ-ნი. სამაროვანი, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა;
წვერმალალა (ე.წ. „ურეკის“ სამაროვანი), ოზურგეთის რ-ნი. დიუნური ნამოსახლარები, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა;
წიფუარი ჩოხატაურის რ-ნი. ქვევრსამარხები, ელინისტური ხანა, ძვ. II-I სს.;

ჭალა ჭალა, ოზურგეთის რ-ნი. საყდარი, შუასაუკუნეები;

ჭანიეთი ოზურგეთის რ-ნი. წმ.გიორგის ეკლესია, შუასაუკუნეები;

ჭანიეთი ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი და სამაროვანი, შუასაუკუნეები;

ჭანიეთური ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი, გვიანშუასაუკუნეები;

ჭანჭათი ლანჩხუთის რ-ნი. მთავარანგელოზის სახ. ეკლესიის ნაშთი, შუასაუკუნეები;

ჭინათი ლანჩხუთის რ-ნი. წმ.კვირიკეს ეკლესია, XIX ს.;

ჭონჭაეთი ლანჩხუთის რ-ნი. ვერცხლის მონეტების განძი, XVI-XVIII სს.;

ჭყონაგორა ლანჩხუთის რ-ნი. ნამოსახლარი, ელინისტური ხანა;

ხვარბეთი ოზურგეთის რ-ნი. ეკლესია და ნამოსახლარი, შუასაუკუნეები;

ხვარბეთი ოზურგეთის რ-ნი. რკინის სადნობი სახელოსნოები, ადრერკინის ხანა;

ხვარბეთი ოზურგეთის რ-ნი. სადგომი, ქვედა პალეოლითი;

ხევი ჩოხატაურის რ-ნი. გიორგისეული ნასაყდარი, შუასაუკუნეები;

ხევი ხევი, ჩოხატაურის რ-ნი. გვიანი ბრინჯაო ხანის განძი;

ხიდისთავი ხიდისთავი, ჩოხატაურის რ-ნი. ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი (ა.წ. I-II სს.)

ხიდისთავი ჩოხატაურის რ-ნი. ენეოლითური ხანა;

ხიდისთავი ჩოხატაურის რ-ნი. განძი,გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა;

ხიდისთავი ჩოხატაურის რ-ნი. განძი, ახ.წ. I-III სს.;

ხიდისთავი ადგ. ზენობანი, ჩოხატაურის რ-ნი. ეკლესიის ნანგრევები, შუასაუკუნეები;

ბიდმკალა მილსადენის ტრასა, ლანჩხუთის რ-ნი. ნამოსახლარი, ანტიკური ხანა;

ბრიალეთი ოზურგეთის რ-ნი. ეკლესია და ციხის ნანგრევები, შუასაუკუნეები;

ჯაჰანა ნიგოითის საკრ. ლანჩხუთის რ-ნი. ნამოსახლარი, ანტიკური ხანა;

ჯაჰანა ლანჩხუთის რ-ნი. პატარა ჯიხეთის ეკლესია, შუასაუკუნეები;

ჯვარი ოზურგეთის რ-ნი. ღვთისმშობლის ეკლესია, შუასაუკუნეები;

ჯიხანჯარი ლანჩხუთის რ-ნი. ,,კიზულაის“, ,,გორგოშოულის“ ნაციხარი, გვიანი შუასაუკუნეები;

ჯიხანჯარი ადგ. ,,ნასტეფნარის გორა“, ლანჩხუთის რ-ნი. ვერცხლის მონეტები, 334 ც, XVI-XVII სს;

ჯიხანჯარი ადგ. ,,ნასტეფნარის გორა“ ციხის ნაშთი, შუასაუკუნეები;

ჯიხანჯარი ლანჩხუთის რ-ნი. ნეოლითური ხანის ნამოსახლარი;

ჯუმათი ჯუმათი, ოზურგეთის რ-ნი. გამოქვაბული, შუასაუკუნეები;

ჯუმათი ოზურგეთის რ-ნი, კოლხური მონეტები, განძი, ანტიკური ხანა (ძვ.წ. IV სს);

ჯუმათი ოზურგეთის რ-ნი. ნამოსახლარი და სამაროვანი, ელინისტური ხანა;

ჯუმათი ოზურგეთის რ-ნი, ციხის ნაშთი, ეკლესია და სამაროვანი, შუასაუკუნეები;

ჯუნეწერი ლანჩხუთის რ-ნი, ნამოსახლარი, ახალი ქვის ხანა;

ჯურუყვეთი ჯურუყვეთი, ,,გიგინეიშვილების გორა“, ლანჩხუთის რ-ნი. ნამოსახლარი, გვიანი ნეოლითი.

Elguja Ghlighvashvili, Mepab Dzneladze, Kakha Kakhiani

Guria Region Cultural Heritage – List of Sites

Summary

It is a list of Guria region sites made by a team of scholars.

Элгуджа Глигвашвили, Мэраб Дзнеладзе, Каха Кахиани

Перечень памятников культурного наследия Гурии

Резюме

Статья является коллективной работой группы ученых и представляет собой список памятников культурного наследия Гурийского региона.

ნაწილი IV
(თეორიული საკითხები)

ვაჟა სადრაძე

§1. პრეისტორიული ხანის კვლევის საკითხისთვის საქართველოში – 40

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დაარსებისთანავე, იმჟამინდელმა ხელმძღვანელობამ (აკად. ოთ. ლორთქიფანიძე) სხვა საკითხებთან ერთად, საქართველოს პრეისტორიული ხანის კვლევის სტრატეგიული მიმართულებები დასახა. ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ პრეისტორიული ეპოქის არქეოლოგია, როგორც საზოგადოებრივ-ისტორიული მეცნიერების მნიშვნელოვანი დარგის ნაწილი, ქართველოლოგიური კვლევის საფუძველთა საფუძველია.

თუნდაც ის რად ღირს,რომ უძველესი ხანიდან – ძვ.წ. I-ათასწ. მეორე ნახევრამდე ჩვენი ქვეყნის ისტორიის რეკონსტრუქცია-აღდგენა არქეოლოგიური არტეფაქტების ნაშთების საფუძველზე ხერხდება. ამ თვალსაზრისით არქეოლოგიას წყაროთმცოდნეობითი დატვირთვაც გააჩნია.

40 წელზე მეტი გავიდა, რაც აკად. ოთ.ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით განისაზღვრა არქეოლოგიის, როგორც საზოგადოებრივ-ისტორიული დარგის, კვლევითი ამოცანები და სტრატეგიული მიმართულებები:

1. ადამიანის თავდაპირველი განსახლებების კვლევა-ძიება საქართველოს ტერიტორიაზე (ოთ. ლორთქიფანიძე,დ. ლორთქიფანიძე, ალ. კალანდაძე, დ. თუშაბრამიშვილი, გ. გრიგოლია, მ. ნიორაძე, თ. ბუგიანიშვილი, ლ. წერეთელი, მ. გაბუნია, გ. დოჩანაშვილი, კ. კალანდაძე, გ. ხუბუტია, ნ. თუშაბრამიშვილი, ნ. მგელაძე, გ. ნიორაძე, გ. კილაძე და სხვ.).

2. პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიკისა და სოციალური ორგანიზაციის ჩანასახის შესწავლა (ოთ. ჯაფარიძე, ოთ. ლორთქიფანიძე, ალ. ჯავახიშვილი, ლ. ნებიერიძე და სხვ.).

3. წარმოებითი ეკონომიკის ჩასახვა-განვითარების პროცესების ანალიზი (ლ. ნებიერიძე, ოთ.ჯაფარიძე, ვ. ვარაზიშვილი, გ. ჩიქოვანი და სხვ.).

4. ქართველთა ეთნოგენეზისი (ოთ. ჯაფარიძე, თ. მიქელაძე, ოთ. ლორთქიფანიძე და სხვ.).

5. ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგია და მათი როლი საზოგადოების განვითარებაში (ოთ. ჯაფარიძე, ოთ. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, ი. გძელიშვილი, ა. ინაიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, ალ. ჯავახიშვილი, რ. აბრამიშვილი, კ. ფიცხელაური, გ. ფხაკაძე, მ. ბარამიძე, გ. მირცხულავა, ა. რამიშვილი, გ. მინდიაშვილი, ა. ორჯონიკიძე, ზ. მახარაძე, ლ. ჯიბლაძე, ვ. სადრაძე და სხვ.).

ოთხი ათეული წლის საველე კვლევა-ძიების შედეგად უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლები აღმოჩნდა, რომელთა უმეტესობა ამჟამად მონოგრაფიულადაა შესწავლილი (ოთ. ჯაფარიძე, ოთ. ორთქიფანიძე, მ. ნიორაძე). უადრესი ძეგლებიდან აღსანიშნავია დმანისის ადრეპალეოლითური ხანის უძველესი ადამიანის ადგილსამყოფელის აღმოჩენა, რომლის მეშვეობით საქართველოს ტერიტორია უადრესი ჰომინიდების საცხოვრისადაა მიჩნეული. ამ აღმოჩენით მკვლევარებმა ანთროპოგენეზის საწყისები შორეულ პრეისტორიულ წარსულში გადაანაცვლეს და კვლევის კომპლექსური მეთოდების გამოყენების საფუძველზე ზოგადად 1800 ათასი წლით დაათარიღეს. არადა, რამდენიმე წლის წინათ ეს თარიღი 800000-750000 წლებით განისაზღვრებოდა. აღმოჩენა სრულად აისახა საინფორმაციო წყაროებში, სამეცნიერო ანგარიშებსა და გამოკვლევებში. შედეგად, ქართველებთან ერთად მრავალი უცხოელი მკვლევარი ჩაება ამ უნიკალური ძეგლის შესწავლაში (დ. ლორთქიფანიძე, ვ. ჯაფარიძე და სხვ.).

ამჟამად ძველი და ახალი ქვის ხანის არტეფაქტების შემცველი რამდენიმე ასეული ძეგლია მიკვლეული. მათი უმნიშვნელოვანესი ნაწილი არქეოლოგიური კვლევის ცენტრის, დღეისათვის ეროვნული მუზეუმის ოთ. ორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის თანამშრომელთა უშუალო მონაწილეობითაა მიკვლეული და მეტ-ნაკლები სისრულით შესწავლილი (დ. თუშაბრამიშვილი, მ. ნიორაძე, მ. გაბუნია, ლ. ნებიერიძე, ნ. თუშაბრამიშვილი, გ. ნიორაძე, თ. მეშველიანი, გ. კილაძე და სხვ.).

მითვისებითი მეურნეობიდან წარმოებით მეურნეობაზე გადასვლის თავისებურებების, მათ შორის მეურნეობის ჩასახვის კვლევა არანაკლებ აქტუალური იყო და რჩება, როგორც საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპი. სწორედ ეს ეტაპია ასახული ნეოლით-ენეოლითური ხანის ძეგლებზე, რომელთა რიცხვმა საქართველოს ტერიტორიაზე ხუთ ათეულს გადააჭარბა. ბუნებრივია ამ, ძეგლების კვლევა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო და რჩება ამ სფეროში მომუშავე არქეოლოგებისათვის.

გამოიყო ქრონოლოგიურად ადრეული და გვიანდელი ძეგლები, რომელთა შესწავლის საფუძველზე დადგინდა წარმოებით მეურნეობაზე გადასვლის თავისებურებები; შესაბამისად, მოცემული შედეგები აისახა გამოკვლევებში, რომელთა რიცხვმა 200 ერთეულს გადააჭარბა (ოთ.ლორთქიფანიძე, ოთ.ჯაფარიძე, ლ.ნებიერიძე, თ. კიღურაძე და სხვ).

მომდევნო, ბრინჯაოს ხანა ამიერკავკასიის და ზოგადად, კავკასიის უძველესი ისტორიის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთია. მით უმეტეს, რომ სამათასწლოვანმა (ძვ.წ IV ათასწ. მეორე ნახ. – I ათასწ. პირველი ნახ.) პერიოდმა ძირეულად შეცვალა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო (თ. კიღურაძე, ო. ჯაფარიძე, ტ. ჩუბინაშვილი, ო. ღამბაშიძე, ე. გოგაძე, რ. აბრამიშვილი, კ. ფიცხელაური და სხვ.). ამ დროიდან ვითარდება ბრინჯაოს მეტალურგია, რომელმაც მკვეთრად შეცვალა, განავითარა საზოგადოების ეკონომიკური მხარე

და გამოიწვია მკვეთრი სოციალური ძვრები; იცვლება დასახლების ტიპი,დაკრძალვის წესი და ზოგადად,საზოგადოების დამოკიდებულება სულიერი სამყაროსადმი. თვალსაჩინოა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის დაწინაურება.

ადრე, შუა და გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების (ე.წ. მტკვარ-არაქსულ-ბედენურ-მარტყოფულ-თრიალეთური, ცენტრალურ-ამიერკავკასიური და სამთავრული) კვლევა, ცალკეული ძეგლისა თუ კულტურის ფუნქციონირება-დათარიღების ცდა; კავკასიისა თუ, ზოგადად, ძველაღმოსავლურ ცივილიზაციებთან მათი კავშირ-ურთიერთობების გარკვევა, რკინის მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების თავისებურებების შესწავლა და სხვ. (ოთ. ჯაფარიძე. კ. ფიცხელაური, რ. აბრამიშვილი, ო. ღამბაშიძე, გ. ქავთარაძე, კ. კახიანი, ე. ღლიღვაშვილი, ვ. სადრაძე და სხვ.). სწორედ ამ საკითხების სიღრმისეული კვლევა წარმოადგენდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის პრიორიტეტულ მიმართულებას,რაც აისახა კიდეც საველე თუ სამეცნიერო კვლევის შედეგებში (ოთხასზე მეტი სტატია-გამოკვლევა და მონოგრაფიაა გამოქვეყნებული – იხ. ოთ. ლორთქიფანიძე, 2003, გვ. 303-312; ოთ. ჯაფარიძე, 2003, გვ. 95-248).

სტრუქტურული ცვლილებების მიუხედავად, აკად. ოთარ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით დაარსებული ზემოაღნიშნული სამეცნიერო უჯრედი ტრადიციებს აგრძელებს, რუდუნებით იკვლევს ქართული მიწის ქვეშ დაუნჯებული კულტურული მემკვიდრეობის ნაშთებს,მონაწილეობს ეროვნული მუზეუმის ყველა პროექტში. არქეოლოგიური გათხრების შედეგად კიდევ უფრო ამრავალრიცხოვნებს და შინაარსობრივად ამრავალფეროვნებს ქართველთა საგანძურს.

ქვემოთ ვიძლევით არქეოლოგიის კვლევის ცენტრისა და ამჟამად ეროვნულ მუზეუმში მოღვაწე არქეოლოგთა არასრულ სია-ჩამონათვალს:

აბრამიშვილი მიხეილი – ისტორიის დოქტორი
აბრამიშვილი როსტომი – ისტორიის დოქტორი
ამირანაშვილი ჯუანშერ – ისტორიის დოქტორი
აფაქიძე ანდრია – აკადემიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ახვლედიანი დიმიტრი – ისტორიის დოქტორი
ახვლედიანი ნინო – ისტორიის დოქტორი
ბარამიძე მალხაზი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ბედიანიშვილი გიორგი – დოქტორანტი
ბოლქვაძე გივი – ისტორიის დოქტორი
ბუგიანიშვილი თამაზი – ისტორიის დოქტორი
გაბუნია მანანა – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
გამყრელიძე გელა – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
გვეტაძე ჯემალი – დოქტორანტი
გვინჩიძე გიორგი – ისტორიის დოქტორი
გიგოლაშვილი ელენე – ისტორიის დოქტორი
გიგუაშვილი ნელი – ასისტენტი
გიუნაშვილი გელა – ასისტენტი
გობეჯიშვილი გელა – ასისტენტი
გოგაძე ელგუჯა – ისტორიის დოქტორი
გოგელია დავითი – დოქტორანტი
გოგოჭური გიორგი – დოქტორანტი
გრიგოლია გურამი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
დავლიანიძე რევაზი – ისტორიის დოქტორი
დავლიანიძე ცირა – ისტორიის დოქტორი
დედაბრიშვილი შიო – ისტორიის დოქტორი
დოლიძე ნინო – ისტორიის დოქტორი
დუნდუა გიორგი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ესაკია ქეთევანი – ისტორიის დოქტორი

ვარაზაშვილი ვაჟა — ისტორიის დოქტორი
თოდუა თემური — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
თოლორდავა ვერა — ისტორიის დოქტორი
თორთლაძე გიორგი — ისტორიის დოქტორი
თუშიშვილი ნიკოლოზი — ისტორიის დოქტორი
თუშაბრამიშვილი დავითი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
თუშაბრამიშვილი ნიკოლოზი — ისტორიის დოქტორი
ინანიშვილი გივი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ირემაშვილი შოთა — ასისტენტი
ისაკაძე როლანდი — ისტორიის დოქტორი
კალანდაძე ალექსანდრე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
კალანდაძე ზურაბი — ასისტენტი
კალანდაძე კარლო — ისტორიის დოქტორი
კაპანაძე მარინა — ასისტენტი
კაჭარავა დარეჯანი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
კახიანი კახა — ისტორიის დოქტორი
კვაჭაძე მარინე — ისტორიის დოქტორი
კვირკვაია რევაზი — ისტორიის დოქტორი
კვირკველია გურამი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
კვირკველია რევაზი — ასისტენტი
კილურაძე თამაზი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
კილურაძე ნინო — ისტორიის დოქტორი
კობაიძე ლეილა — ისტორიის დოქტორი
კოპალიანი ჯუმბერი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ლანჩავა ომარი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ლიჩელი ვახტანგი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ლომიძე ცისანა — ასისტენტი
ლომოური ქეთევანი — ასისტენტი
ლორთქიფანიძე ოთარი — აკადემიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ლორთქიფანიძე დავითი — აკად. წ/კ., ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

მაისურაძე ბესარიონი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

მათიაშვილი ნანა — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

მამაიაშვილი ნანა — ისტორიის დოქტორი

მარგველაშვილი მაყვალა — ისტორიის დოქტორი

მახარაძე ზურაბი — ისტორიის დოქტორი

მელითაური კონსტანტინე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

მენაბდე ცისანა — ისტორიის დოქტორი

მირცხულავა გურამი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

მინდიაშვილი გიორგი — ისტორიის დოქტორი

მინდორაშვილი დავით — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

მირიანაშვილი ნინო — ისტორიის დოქტორი

მიქელაძე თეიმურაზი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

მიწიშვილი მარინა — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

მურვანიძე ბიძინა — ასისტენტი

მუსხელიშვილი დავითი — აკადემიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

მუხიგულაშვილი ნელი — ასისტენტი

ნარიმანიშვილი გოდერძი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ნებიერიძე ლამარა — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ნიკოლაიშვილი ვახტანგი — ისტორიის დოქტორი

ნიორაძე გიორგი — ისტორიის დოქტორი

ნიორაძე მედეა — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ნუცუბიძე ავთანდილი — ისტორიის დოქტორი

ორჯონიკიძე ალექსანდრე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ოქროპირიძე ნადია — ისტორიის დოქტორი

პაპუაშვილი ნანა — ასისტენტი

პაპუაშვილი რევაზი — ისტორიის დოქტორი
პაჭიკაშვილი ნაზიბროლა — ისტორიის დოქტორი
რამიშვილი ალექსანდრე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
რამიშვილი რამინი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
რამიშვილი ქეთევან ისიდორეს-ას — ისტორიის დოქტორი
რამიშვილი ქეთევან რამინის-ას — ისტორიის დოქტორი
რობაქიძე ცისანა — ასისტენტი
რუსიშვილი რუსუდანი — ასისტენტი
რჩეულიშვილი გიორგი — ისტორიის დოქტორი
საგინაშვილი მარიამი — ისტორიის დოქტორი
სადრაძე ვაჟა — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
სახაროვა ლამარა — ისტორიის დოქტორი
სონღულაშვილი ჯუანშერ — ისტორიის დოქტორი
სულავა ნინო — ისტორიის დოქტორი
სულთანიშვილი ირინა — ისტორიის დოქტორი
ტყეშელაშვილი ოთარი — ისტორიის დოქტორი
ფირცხალავა მარინე — ისტორიის დოქტორი
ფიცხელაური კიაზო — აკად. წ/კ., ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ფიცხელაური კოტე — ისტორიის დოქტორი
ფუთურიძე მარინე — ისტორიის დოქტორი
ფუთურიძე რუსუდანი — ისტორიის დოქტორი
ფხაკაძე გურანდუხტი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ქავთარაძე გიორგი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ქორიძე ერეკლე — ასისტენტი
ქორქია ლიანა — ასისტენტი
ღამბაშიძე ოთარი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ღამბაშიძე ირინე — ისტორიის დოქტორი
ღამბაშიძე გივი — ისტორიის დოქტორი
ღლონტი მედეა — ასისტენტი

ღლიღვაშვილი ელგუჯა – ისტორიის დოქტორი
ყიფიანი გურამ – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
შატბერაშვილი ვახტანგი – ისტორიის დოქტორი
შატბერაშვილი ზებედე – ასისტენტი
შანშაშვილი ნინო – ისტორიის დოქტორი
ჩართოლანი შოთა – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ჩიკოიძე ცისანა – ისტორიის დოქტორი
ჩიქოვანი გურამი – ისტორიის დოქტორი
ჩიქოვანი თეიმურაზი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ჩიხლაძე ვერა – ისტორიის დოქტორი
ჩუბინიშვილი ტარიელი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ჩხატარაშვილი მერი – ისტორიის დოქტორი
ცინდელიანი მალხაზი – ასისტენტი
ცუხიშვილი იზოლდა – ისტორიის დოქტორი
ცქიტიშვილი გიორგი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ძიძიგური ლაშა – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
წერეთელი ეთერი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
წერეთელი კახი – ისტორიის დოქტორი
წითლანაძე ლეილა – ისტორიის დოქტორი
წიკლაური ივანე – ასისტენტი
ჭანიშვილი თინა – ასისტენტი
ჭელიძე ლიდა – ისტორიის დოქტორი
ჭყონია ანა – ისტორიის დოქტორი
ხახუტაიშვილი დავითი – აკად. წ/კ., პროფესორი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ხარაბაძე სულხანი – ასისტენტი
ხვისტანი რევაზი – ისტორიის დოქტორი
ჯავახიშვილი ალექსანდრე – აკად. წ/კ. ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი
ჯალაბაძე მინდია – ისტორიის დოქტორი

ჯალაღანია ირინე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ჯანდიერი ეკატერინე – ისტორიის დოქტორი
ჯაფარიძე ვახტანგ – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ჯაფარიძე ვახტანგ მირიანის-ძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ჯაფარიძე ოთარი – აკადემიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ჯიბლაძე ლერი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ჯორბენაძე ბესარიონი – ისტორიის დოქტორი
ჯორბენაძე ხათუნა – ასისტენტი

შენიშვნები და ლიტერატურა:

1. გამყრელიძე გ., საქართველოს კლასიკური და ადრე მედიევური პერიოდის არქეოლოგიის პრობლემატიკა და პერსპექტივები, იბერია-კოლხეთი, №3, 2007, გვ. 5-14.

2. ჯაფარიძე ოთ., საქართველოს ისტორიის სათავეებთან, პირველყოფილი ეპოქა, თბ., 2003, გვ. 13-22.

3. ლორთქიფანიძე ოთ., ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002, გვ. 36,37. მ.ნიორაძე, ი.იუსტუსი, დმანისის ადრეპალეოლითური ძეგლის არქეოლოგიური კვლევის შედეგები, კავკასიის არქეოლოგია: უახლოესი აღმოჩენები, პერსპექტივები, თბ., 1997.

4. ლორთქიფანიძე ოთ., დასახ. ნაშრ., გვ. 295-298.

5. ნებიერიძე ლ., დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972.

6. ლორთქიფანიძე ოთ., დასახ. ნაშრ., გვ. 299-303.

7. ჯაფარიძე ოთ., დასახ. ნაშრ., გვ. 95-248;

8. ლორთქიფანიძე ოთ., დასახ. ნაშრ., გვ. 295-318;

9. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, ბიბლიოგრაფია, 1977-1996, თბ., 1997

Vazha Sadradze

On the Problem of Prehistoric Researches in Georgia

Summary

It is a brief over viewing article of the works on the prehistoric periods written by the scholars of the Centre for Archaeological Surveys.

Academician O. Lortkipanidze had determined archaeology as the field of public and historic interest for almost four decades ago and he also stated the goals and strategic directions of the further investigations.

There had been unveiled several hundred sites of cultural heritage in Georgia and were written more than 400 reports, articles and books about each of new discoveries during the period just mentioned (O. Lortkipanidze, O. Djaparidze).

The fathers of Georgian archaeology have tutored their descendants transmitting their knowledge and experience to them. Nowadays the former apprentices continue the traditions of their predecessors and go on investigating the country's richest cultural heritage still hidden beneath the thick layers of earth.

Важа Садрадзе

О вопросах исследования преисторического периода Грузии

Резюме

Статья является коротким обзором истории изучения преисторического периода Грузии Центром Археологических Исследований страны.

Прошло уже сорок лет после того события, когда под руководством академика Академии Наук Грузии О. Лорткипанидзе ЦАИ определил исследовательские задачи и стратегические направления археологии, как общественно- исторической отрасли.

За прошедшие четыре десятилетия в итоге археологических разведок и раскопок были изучены несколько сотен памятников культурного наследия страны и опубликованы более 400 статей и исследовательских монографий (О. Лорткипанидзе, О. Джапаридзе). Воспитанники старшего поколения археологов продолжают начатое им в сороковых годах прошлого столетия дело и продолжают традицию с тем же усердием, заботой и почтением к истории страны.

§2. ხის კოლხური არქიტექტურა და მისი სოციალური არსის შესახებ

კოლხეთის ხის ნაგებობების შესახებ საყურადღებო ფაქტებს შეიცავს ბერძნულ-ლათინური და არქეოლოგიური წყაროები. ისინი, ძირითადად, დაცულია ჰეკათეოს მილეთელის, ჰოპოკრატეს, ჰეროდოტეს, ქსენოფონტის, სტრაბონის, აპოლონიოს როდოსელის, დიოდორე სიცილიელის, პომპონიუს მელას, ვიტრუვიუსის, პლინიუსის თხზულებებში. ამ ავტორთა თხზულებებში საუბარია სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიის გამაგრებულ სამოსახლოებზე. კერძოდ, კოლხურ-მოსუინიკურ ძელურ-ბათქაშიან, კოშკურა ტიპის გამაგრებულ ნაგებობებზე. აქვეა მოცემული ცნობები გამაგრებული სამოსახლოების აგებისას რელიეფის გამოყენებისა და ამ სამოსახლოთა ურთიერთმიმართების შესახებ. ქსენოფონტის მინიშნებით, სასიმაგრო ნაგებობები შედგებოდა თხრილისაგან, ძირითადი გზისაგან,რომელიც აკავშირებდა დასახლებას შიდა ციხე-კოშკთან და სხვა შედარებით მომცრო კოშკებთან. ყველაფერი ეს შემოსაზღვრული იყო ძელებიანი მესრით, რომელშიც დატანებული იყო ძირითა-დი ჭიშკარი. ხელისუფალ-მეთაურის კოშკი შემაღლებულ ადგილას იყო აგებული და განსხვავდებოდა რიგითი მცხოვრების კოშკისაგან. სასიმაგრო კოშკი საცხოვრებელსაც წარმოადგენდა.

ქსენოფონტის მიხედვით, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვის-პირეთში რამდენიმე ქალაქი და უმეტესად სოფლური ტიპის გამაგრებული სამოსახლოები იყო განლაგებული. ზოგიერთი გამაგრებული პუნქტის აღება კარგად გაწვრთნილმა ბერძნულმა ჯარმაც კი ვერ შეძლო: „როცა ბერძნებმა ბრძოლით ვერ შეძლეს სიმაგრის აღება, რადგან მას გარშემო განიერი თხრილი ერტყა,

ხოლო მიწაყრილზე აღმართული იყო ძელებიანი მესერი, რომელშიც ჩატანებული იყო მრავალი ხის კოშკი, გადაწყვიტეს გასცლოდნენ სიმაგრეს...“ „...სიმაგრე სავსე იყო მრავალი სიმდიდრით, მაგრამ მისი აღება შეუძლებელია, რადგან ის მიუვალია...“[1]

არქეოლოგიური კვლევის შედეგად დასტურდება ძვ.წ. VI IV საუკუნეების კოლხეთში გამაგრებული სამოსახლოების გარკვეული, ჩამოყალიბებული სისტემის არსებობა. საკმაოდ მჭიდროდ ყოფილა დასახლებული როგორც დაბლობი, ასევე მთისწინეთი და ხეობები. კოლხური დასახლებები განცალკევებულ-სოფლური ტიპისა იყო, გაშენებული ბუნებრივ ბორცვებზე ან ხელოვნურად გაკეთებულ მიწაყრილებზე. ისინი გარკვეულ სისტემას ქმნიდა და გარშემორტყმული იყო თავდაცვითი თხრილებით. მთავარ სამშენებლო მასალას ხის ძელები წარმოადგენდა, რაც კოლხეთში ტყეების სიმრავლემ განაპირობა.

დასავლეთ საქართველოში არქეოლოგიურად დადასტურებული ხის უძველესი ნაგებობები ძვ.წ. III ათასწლეულით თარიღდება. შენობის აგების წესი კი ე.წ. ჯარგვალური იყო. ამგვარი ძელური ნაგებობები დღესაც გვხვდება დასავლეთ საქართველოში[2-7].

ქსენოფონტისაგან განსხვავებით, ვიტრუვიუსი, როგორც არქიტექტორი, თავის თხზულებაში „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“, უფრო ზედმიწევნით აღწერს კოლხეთის კოშკურა-ძელებიანი ნაგებობების კონსტრუქციას: „კოლხეთში ხე-ტყის სიუხვის გამო მიწაზე ხის ძელებს აწყობენ, შემდგომ გარდიგარდმო სხვა ძელებს ადებენ. ამგვარად იზღუდება ნაგებობის სივრცე. ოთხივე მხრივ შეკრული ძელების წყობით თანდათან ამოჰყავთ ძელების კედლები, აგებენ კოშკებს, ძელებს შორის ადგილებს კი, რომლებიც ძელის სიმრუდის გამო რჩება, ავსებენ ნაფოტებითა და თიხით. ამგვარადვე ამოჰყავთ პირამიდული გადახურვა, რომლის ძელებიც თანდათანობით მოკლდება. ასეთი გადახურვა აქ დამახასიათებელია“.[8]

ძველი საქართველოს ხის არქიტექტურის შესწავლისათვის საინტერესო მაგალითია ვანის რ-ნის სოფ. მთისძირში ადეიშვილების გორის ზედა ტერასაზე არქეოლოგიურად შესწავლილი ძელურ-ბათქაშიანი ნაგებობის ნაშთები. საშენ მასალად გამოყენებულია ძელები და ქვა. ძელებად ძირითადად ნახმარია თელა. ბათქაშის ნატეხებზე ძელების ანაბეჭდებია მიკვლეული. ქვისა და ძელების გარდა, ნახმარია თიხამიწა, რაც გამოიყენებოდა შემაკავშირებელ-ამოსავსებ მასალად. ნაგებობა ძლიერი ხანძრის შედეგადაა გადამწვარი. ეს ნაგებობები ვანის ძველი ნაქალაქარიდან დასავლეთით, რვა კილომეტრზე მდებარეობს. აქ სამოსახლო გორის ტერასებზე იყო გამართული და ერთიან სასიმაგრო-თავდაცვით სისტემას ქმნიდა, რომელიც ვანისაკენ მიმავალ გზას კრავდა. ამგვარი გორების ტერასებზე აგებული ძელურ-ბათქაშიანი სამოსახლოები, ძირითადად, ძვ.წ. III საუკუნის წინა პერიოდის კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი (სურ. 1,2).

ადეიშვილების გორის ნაგებობა ოთხკუთხაა და ორი სათავსისაგან შედგება. სამხრეთ სათავსის ფართობია 26,88 კვ.მ, ხოლო ჩრდილოეთის – 13,44 კვ.მ. ამ სათავსის დასავლეთ კუთხეში შემორჩენილია ძელებით მოგებული იატაკი, რომელზედაც ზედა სართულის გადახურვის ძელების ფრაგმენტები შეიმჩნევა. ნაგებობის კედლების საძირკვლის შიდა მხარე წარმოდგენილია ძელებით. კედლის ფუნდამენტის შიდა ფართობი ამოვსებულია ქვებით, თიხამიწით და გარდიგარდმო ძელებით. ამგვარად, აქ იქმნებოდა ხის ძელებით შემოსაზღვრული კვადრატების კარკასი, რაც ცოკოლს მეტ სიმტკიცეს აძლევდა. ნაგებობისათვის მეტი მდგრადობის მისაცემად მოხერხებულად არის გამოყენებული ბუნებრივი რელიეფი. ნაგებობის საძირკველში კლდის სტრუქტურა ირიბია და ზედაპირთან კუთხეს ქმნის. ამით ნაგებობას მეტი სიმტკიცე ეძლევა და მისი ჩამოშლის საშიშროება თავიდანაა აცილებული (სურ. 3).

ადეიშვილების გორის ძელურ-ბათქაშიანი ნაგებობა იქვე აღმოჩენილი ატიკური შავლაკიანი ჭურჭლით, ქიოსური, მენდეს ამფორებით და ადგილობრივი კერამიკით ძვ.წ. IV საუკუნით თარიღდება. ამ მონაცემებს მხარს უჭერს რადიოაქტიური ნახშირბადის დაშლის მეთოდით მიღებული თარიღიც. აღწერილი ნაგებობა წარმოადგენს ცოკოლზე დადგმულ ძელურ,თიხით შელესილ შენობას. აქ საქმე უნდა გვქონდეს ანტიკური ეპოქის ავტორების – ქსენოფონტეს, პომპონიუს მელას და დიონისიოს ჰალიკარნასელის თხზულებებში ნახსენებ კოლხეთის ხის ნაგებობების ნაირსახეობასთან.

ძვ.წ. IV საუკუნის მიწურულის, ერთი მხრივ, აზოს და, მეორე მხრივ, ფარნავაზ-ქუჯის მიერ ძალაუფლებისათვის ბრძოლით გამოწვეული საომარი მოქმედებების შედეგებით შეიძლება აიხსნას სოფ. მთისძირის ადეიშვილების გორის გამაგრებული სამოსახლოს დანგრევა. შესაძლოა, ამავე დროს დაანგრიეს ვარციხესთან ვარდიგორის, ვანის ე.წ. თეთრი შენობა და მათი თანადროული ნაგებობები. როგორც ცნობილია, იბერიის სამეფოს ჩამოყალიბების რთული პროცესი სწორედ ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნაზე მიმდინარეობდა. იმ დროისათვის შიდა კოლხეთი იბერიის სამეფოს ფარგლებში იყო მოქცეული.

კოლხეთში ხის ძელებიანი ნაგებობები არქეოლოგიურად მრავლად არის დადასტურებული სოფ. ანაკლიაში (დიხა-გუძუბა I, II), სოფ. რეკში ნაოხვამოსთან, სოფ. საქორქიოში სიმაგრესთან, ქობულეთში ჩოლოქთან, სოფ. ნოსირში, ვანის ნაქალაქარზე, სოფ. ვარციხეში ვარდიგორასთან, ქუთაისში გაბაშვილის გორაზე; ქვის საძირკვლიანი სათავსოა გამოვლენილი ლეჩხუმში კოვრაშის ნამოსახლარზე.[9] ხოლო ასეთი ტიპის ნაგებობების ნაშთები, ხის ძელებისა და ბათქაშის სახით, დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გვხვდება. ეს არქეოლოგიური ძეგლები ქრონოლოგიურად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ მათში

არქიტექტურული მემკვიდრეობა იგრძნობა. ძელურ-ბათქაშიანი სამოსახლოები დამახასიათებელია კოლხეთისათვის, სადაც ბუნებრივ თუ ხელოვნურ ბორცვებზე განლაგებული ნამოსახლარებია დადასტურებული მრავალრიცხოვანი სამოსახლო ბორცვებით, რომლებსაც დღეს „გორას," „ზურგას" და „დიხაგუძუბას" უწოდებენ. კოლხეთის დაბლობის ამ სამოსახლო ბორცვებისათვის დამახასიათებელია გარშემო თხრილი.

სენაკის რ-ნის სოფ. რეკაში, ნაოხვამუს ნამოსახლარზე, ნაგებობის თიხის მოდელი დადასტურდა, რომლის სიგრძეა 21,5 სმ, სიმაღლე 19 სმ. მოდელი დაზიანებულია და ოთხ ხიმინჯზე დგას. მოდელის კედლებზე ხის ძელებია გამოსახული. ნაოხვამუს ეს მოდელი, კოლხეთში ძვ. წ. I ათასწლეულში გავრცელებულ ბათქაშით შელესილ ხის ნაგებობათა ერთ-ერთ სახეობას გადმოგვცემს[10] (იხ. ტაბ. II, 3).

კოლხეთის დაბლობზე, ჭაობიან ადგილებში ხის სახლების აგებისას, მდგრადობის შესანარჩუნებლად, თიხნარით მოზვინული, ძელებით დაფენილი შემაღლებული ფართობები იქმნებოდა. ნაგებობათა შემდეგ ნაირსახეობად უნდა მივიჩნიოთ გალის რ-ნის, სოფ. რეჩხის ბორცვოვან ზოლში, ადგილ აბაჟუში გამოვლენილი ბუნებრივ, თიროვან ნიადაგში ჩაჭრილი ხის, 600 კვ.მ.-ის ნაგებობა. მომდევნო ეტაპზე საყურადღებოა ერთგვარი პარალელების გავლენა კოლხეთის დაბლობის გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე არსებულ დასახლების შემოფარგვლის ტრადიციასთან. ხის წნულისაგან შეკრული მესერი გვხვდება, მაგალითად, ჩოლოქისპირა ნამოსახლარზე. აქ ერთმანეთის პარალელური, გვერდიგვერდ და რკალურად განლაგებული სარების რიგი იყო, რომლის დანიშნულება დასახლების შემოზღუდვა იყო. ასეთივე მესერია დადასტურებული ნოსირის, ნაოხვამუს და ყულევის ნამოსახლარებზე.

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში სახლის მცირე მოდელები ცნობილია ჰომეროსის დროინდელი საბერძნეთიდან და

ეტრუსკული კულტურიდან. ზოგიერთ ნიმუშს ორფერდა სახურავი და კედლებზე გამოსახული ძელები ახასიათებს. ეს მოდელები შესაძლოა საოჯახო საკურთხევლებსაც წარმოადგენდა. კოლხურ ნაგებობათა ერთ-ერთ ტიპზე ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისის სოფ. გამდლისწყაროში (კასპის რ-ნი) აღმოჩენილი არტეფაქტი, რომელიც ნაგებობის მოდელს ჰგავს11 სოფ. ხაიშში აღმოჩენილია II ს. ოქროს საკიდი, რომელზედაც გამოსახულია ორფერდა სახურავიანი კოშკურა სახლი[12] (სურ.4).

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე,მდ. რიონის,მდ. ჭოროხის და მდ. ენგურის აუზებში დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში ერთგვაროვანი კულტურული არეალი ყალიბდება, რომელიც კოლხური ბრინჯაოს კულტურადაა სახელდებული. ამ კულტურის მახასიათებელია ხის ძელური არქიტექტურა, ბრინჯაოს და კერამიკის თავისებური ფორმითა და გაფორმებით გამორჩეული ნაწარმი.

კოლხური ბრინჯაოს ნიმუშების მეტალოგრაფიულმა შესწავლამ ცხადჰყო – დარიშხანისა და კალის მინარევებიანი ბრინჯაოს ნივთების გავრცელება და ბრინჯაოს ტექნოლოგიის სრულყოფა. აგრეთვე, მათი სპეციალურ ქვის ან თიხის ყალიბში ჩამოსხმა, კვერვა-ჭედვა, შედუღება და ტვიფრვა. ამგვარი რთული ტექნოლოგიური ცოდნის გამოყენებამ უზრუნველყო სხვადასხვაგვარი და მრავალრიცხოვანი ნივთების შექმნა. ესენია: ბრინჯაოს სამეურნეო იარაღი – თოხი, ცული, წალდი, სახნისის დაბოლოება და სხვ. საომარი იარაღი – შუბი, ცული, ისრისპირი, საბრძოლო ცული და სხვ. ტანისამოსის მოსართავები, სამკაულები და სხვ. ეს ნივთები მრავლადაა წარმოდგენილი ამ ეპოქის ნამოსახლარებზე, სამაროვნებზე, ლითონის და კერამიკის წარმოების ადგილებზე.

ბრინჯაოს წარმოების სრულყოფამ დადებითი როლი შეასრულა კოლხეთის ეკონომიკურ აღმავლობაში. მიწათმოქმედების განვითარებაზე მიგვანიშნებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად

აღმოჩენილი მარცვლეულის ადგილობრივი ჯიშები – ხორბლის, ფეტვის, ქერის ნაშთები. აგრეთვე, ნაპოვნია ყურძნის წიპწები. ეს ყველაფერი ინახებოდა ნამოსახლარებზე აღმოჩენილ დერგებში, ქოთნებში, ჯამებში. აქვე დადასტურებულია ქვის ხელსაფქვავები, ნამგლისპირები და პურის გამოსაცხობი კეცები. მიწათმოქმედებასთან ერთად მესაქონლეობის განვითარებაზე მიუთითებს ნამოსახლარებზე აღმოჩენილი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის, ცხვრის, თხის და ღორის მრავალრიცხოვანი ძვლები.

არქეოლოგიური მონაცემები მოწმობს, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისისათვის დასავლეთ საქართველო საკმაოდ კარგად იყო განსახლებული. საცხოვრებლად და სამეურნეო საქმიანობისათვის ათვისებული იყო კოლხეთის დაბლობი და მთისწინა ბორცვ-გორაკები. აქ სადღეისოთ, ჯერჯერობით, 200-მდე ნამოსახლარია ცნობილი. სამოსახლო ბორცვების განსაკუთრებული სიმრავლე რიონ-ენგურის ორმდინარეთში შეინიშნება. აქ სამოსახლოები, ძირითადად, ხელოვნურად მოზვინულ ბორცვებზეა განლაგებული. სამოსახლოს ამგვარი სახის გავრცელება კოლხეთის დაბლობის ჭაობიანმა და ჭარბტენიანმა გარემომ განაპირობა. ბორცვების არქეოლოგიური გათხრების შედეგად დასტურდება ხელოვნურად მოზვინურ გორაკზე აგებული ხის ძელებიანი ე. წ. ჯარგვალური ტიპის ნაგებობები, რომლებიც, ძირითადად, შემოზღუდული იყო ძელებითვე ნაშენი დამცავი კედლებით. ნამოსახლარების გარშემო გათხრილი იყო სადრენაჟე და თავდაცვითი არხები. სამოსახლო ბორცვები უმეტესად ჯგუფურად არის განლაგებული. ამ ჯგუფებში გამოირჩევა უფრო დიდი ზომის სამოსახლო ბორცვები, რომლებიც უფრო ფართე ორმაგი თხრილებითაა გამაგრებული. აშკარაა, რომ ეს სამოსახლო გამაგრებული ბორცვი სხვებზეა გაბატონებული და მათ იქვემდებარებს. მთავარი ბორცვების დიამეტრი 80 – 200 მ-მდე მერყეობს; ხოლო დაქვემდებარებული მცირე ბორცვების დიამეტრი დაახლოებით 30 – 80 მ-მდეა; სიმაღლე – 3 - 7 მ-მდეა.

ეს სამოსახლოები, შესაძლოა, ნათესაურ კავშირზე დამყარებული სასოფლო თემების საცხოვრისები იყო.

ბუნებრივია, რომ ასეთი სიდიდის ხელოვნური მიწაზვინულების შექმნა, ასეთი სადრენაჟე, თავდაცვითი და საკომუნიკაციო არხების გაჭრა შესაბამისი შრომის იარაღებისა და მრავალრიცხოვან ადამიანთა კარგად ორგანიზებული შრომის გარეშე, წარმოუდგენელი იქნებოდა. აგრეთვე ბუნებრივია, რომ ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ ცოდნა-გამოცდილების მქონე გამორჩეული პიროვნებები. სწორედ ეს ლიდერები ახორციელებდნენ ამ ბორცვზე განლაგებული გამაგრებული სასოფლო დასახლებების დაცვას და საზოგადოების პოლიტიკურ კონსოლიდაციას.

ამრიგად, თავდაცვითი და საცხოვრებელი პრობლემების ერთობლივი ძალისხმევით გადაწყვეტის პირობებში ხდებოდა გარკვეული პოლიტიკური კონსოლიდაცია,რაც შემდეგ ერთგვაროვანი კულტურის გავრცელებაში აისახებოდა. სამუშაოების მასშტაბების და თავდაცვითი მზადყოფნის ზრდასთან ერთად იზრდება ლიდერების როლი საზოგადოებაში. ამავდროულად ჩნდება ერთიანი წინამძღოლი, რომელსაც დანარჩენი ლიდერები ემორჩილებიან. ამგვარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურას, რომელიც წინასახელმწიფოებრივიდან სახელმწიფოზე გარდამავალ ეტაპს წარმოადგენს, პროტოსახელმწიფოებრივ საზოგადოებრივ წყობას ეძახიან.

ზემოთ ნახსენებმა გარემოებებმა და ძვ. წ. VIII საუკუნიდან ბრინჯაოს უფრო მტკიცე ლითონით, რკინით ჩანაცვლების დაწყებამ ძვ. წ. VI – IV სს-ში ხელი შეუწყო პოლიტიკური ერთეულის – კოლხეთის სამეფოს წარმოქმნას.

ახალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ თხრილებით გარშემოვლებულ ხელოვნურ ბორცვებზე სამოსახლოს გამართვას კოლხეთის დაბლობზე დიდი ხნის ისტორია აქვს. დასახლების ამნაირი ტიპი კოლხეთში

შემთხვევით არ განვითარებულა. ის აქ არსებული გეოგრაფიული გარემოთი იყო განპირობებული; კერძოდ, დაბალი, ბრტყელი რელიეფითა და ჭაობიანობით. ასეთ სიტუაციაში ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობების შესანარჩუნებლად აუცილებელი ხდებოდა ხელოვნური შემაღლებების გაკეთება. თხრილის შექმნა ბორცვის გარშემო განპირობებული უნდა ყოფილიყო იმითაც,რომ ხელოვნური ბორცვისათვის მიწა დიდი რაოდენობით იყო საჭირო; სრულიად ბუნებრივია, რომ მას ბორცვის მიმდებარე ადგილებიდან იღებდნენ. გარდა ამისა, თხრილს ჰქონდა თავდაცვითი მნიშვნელობა. ის მოსახლეობას იცავდა მტრისაგან, მტაცებელი ცხოველებისა და წყლის სტიქიისაგან.

როგორც ჩანს, კოლხეთის საზოგადოება მოხერხებულად იყენებდა ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს, ბუნებრივი ბორცვ-გორების ტერასებს და თვითონაც აქტიურად ზემოქმედებდა მასზე ხელოვნური, თხრილშემოვლებული ბორცვების შექმნით. ორივე ეს ტიპი თანაარსებობდა. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით აშკარაა, რომ ამგვარი სამოსახლოების გამართვის წესი კოლხეთში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში იკიდებს ფეხს. დასახლების მოწყობა ხელოვნური ბორცვების მოზვინვით,სპეციფიკურ კოლხურ მოვლენად არის მიჩნეული.

ანტიკურ ხანაში, როგორც ჩანს, კოლხურმა სამოსახლოებმა ცვლილებები განიცადა. ზოგიერთი სამოსახლო, რომლებსაც უფრო კარგი, მოხერხებული ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-კომუნიკაციური ადგილმდებარეობა ეკავა, დაწინაურდა და გარკვეული რეგიონის ქალაქური ტიპის ცენტრად ჩამოყალიბდა. ამ ცენტრს ჰქონდა მასზე დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია. ამ შემთხვევაში საფიქრებელია, რომ ,,ვანი“ საქალაქო ცენტრი იყო, ხოლო ,,მთისძირი“ მისდამი დაქვემდებარებულ სასოფლო ტერიტორიაში შედიოდა. საქალაქო ცენტრს გარშემო გარკვეული თავდაცვითი სისტემა ჰქონდა, რომელიც მის უსაფრთხოებას

ემსახურებოდა. ამგვარი გამაგრებული სოფელი იყო ძველი „მთისძირიც.“ ასეთი გამაგრებული სოფ-ლები, ალბათ, განლაგებული იყო ქალაქისკენ მიმავალი კომუნიკაციების ჩასაკეტად. „მთისძირი“, ერთი მხრივ, აკონტროლებდა მდ. რიონის ხეობის მარცხენა ნაპირზე მიმავალ გზას, ხოლო მეორე მხრივ, მდ. ყუმურის ხეობიდან მომავალ გზას კეტავდა.

ძვ.წ. I ს. არქიტექტორის, ვიტრუვიუსის13 მიერ აღწერილი, კოლხური ძელებიანი ნაგებობა ადეიშვილების გორის ნაგებობისგან, ძირითადად, ცოკოლით განსხვავდება. შესაძლოა, აქ კედლის ჰორიზონტალურ ძელებზე დაყრდნობილი სახურავი ვიტრუვიუსის მიერ აღწერილი პირამიდულ-გვირგვინოვანი კონსტრუქციული სქემით აიგო, ან თივა-სელით გადაიხურა.

სოფ. მთისძირის ნაგებობა (სურ. 3) განსაკუთრებით სოფ. ვარციხის, ვარდიგორის, ქუთაისის გაბაშვილის გორის და ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის ე.წ. თეთრ შენობას ჰგავს. ისინი, ადეიშვილის გორის შენობასავით, ცოკოლზე მდგარი, ხის ძელებიანი ნაგებობებია. ამ ტიპის ნაგებობები კონსტრუქციულად ხის არქიტექტურის რამდენადმე ახალ, უფრო განვითარებულ ეტაპზე მიუთითებს. კოლხეთში თლილი ქვა, ალიზის აგური და კრამიტი მხოლოდ ძვ.წ. III საუკუნეში იკიდებს ფეხს. როგორც ჩანს, მანამდე ხე ძირითადი სამშენებლო მასალა ყოფილა. ხისგან აგებდნენ საცხოვრებელ სახლებს, კოშკებს, ზღუდე-მესრებს და გამაგრებულ სამოსახლოებს. კოლხეთში ხის მასალა უხვად იყო. სტრაბონი გადმოგვცემს: „...აქ იზრდება მრავალი ტყე“.[14] ამასვე აღნიშნავს ვიტრუვიუსი:[15] „კოლხები პონტოს მხარეში ტყის სიუხვის გამო...“ აშენებენ ხის ნაგებობებს.

სოფ. მთისძირის ადეიშვილების გორის გამაგრებული სამოსახლოს შესახებ, კოშკებიან კომპლექსთან კონტექსტში, საყურადღებოა ანტიკური ეპოქის მწერლების ცნობების განხილვა, სადაც ქართველური მოსახლეობით, კოლხებით და მოსუინიკებით

დასახლებული აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიებია აღწერილი. ქსენოფონტი გადმოგვცემს: ,,აღმართული იყო ზღუდე-მესერი მრავალი ხის კოშკით...“; ,,ბასილევსმა არ ისურვა, დაეტოვებინა მოსუინი ანუ გამაგრებული სამოსახლო, რომელიც გორაზე იყო აშენებული“; ,,გადაიწვა მთელი სამოსახლო, კოშკები გამაგრებული მესრით, გარდა შიდა ციხისა.“[16] აპოლონიოს როდოსელი მოგვითხრობს: ,,ცხოვრობენ მოსუინიკები, რომელნიც საცხოვრებელს მართავენ ხის კოშკებში, რომლებიც კარგად არის ერთმანეთში შეკრული სასიმაგრო მესრით. ამ ნაგებობებს ეძახიან მოსუინებს“.[17] დიონისიოს ჰალიკარნასელის თქმით: ,,...ცხოვრობენ კოშკებიან ხის ძელებიან მაღალი ზღუდე-მესრით გარემოცულ ფართობებზე, რომელსაც უწოდებენ მოსუინებს“.[18]

ამგვარად, არქეოლოგიური მასალისა და ძველი წერილობითი წყაროების შე-ჯერების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ქართველური მოსახლეობით დასახლებულ აღმოსავლეთ შავიზღვის-პირეთში ძვ.წ. III საუკუნის წინა პერიოდში გავრცელებული იყო ბორცვსა და გორაზე გამართული, ძელურ-ბათქაშიანი, ძელებიანი მესრით შემოზღუდული, კოშკებჩართული კომპლექსები, ხისაგან ნაგები გამაგრებული სამოსახლო, რომელსაც მოსუინი ეწოდებოდა.

სოციალურად,ადეიშვილების გორისნაირი გამაგრებული ბორცვ-გორები,ალბათ,ნათესაობრივ თემებს წარმოადგენდა,რომელთა თავშიც ადგილობრივი ხელისუფალი, ბერძნული წერილობითი წყაროების მიხედვით, ბასილევსი იდგა. ასეთ ადგილობრივ ხელისუფალს ეკუთვნოდა სოფ. მთისძირში აღმოჩენილი ნაგებობების თა-ნადროული მდიდრული სამარხი.[19]

ილუსტრაციების აღწერილობა:

ტაბ. I. 1. კოლხეთის დაბლობის სამოსახლოები. 2. მთიანი კოლხეთის სამოსახლოები.

ტაბ. II. 1. სოფ. მთისძირის ხის ნაგებობის რეკონსტრუქცია. 2. ხაიშის და 3. ნაოხვამუს მოდელების რეკონსტრუქცია.

შენიშვნები და ლიტერატურა:

1. ანაბასისი,—თ.მიქელაძე, ქსენოფონტეს „ანაბაზისი“, თბ., 1967, V,2,6,7.
2. ადამია ა., 1979: კოლხური წნული სახლები, ძმ, №49, გვ. 27-50, თბ.
3. აფაქიძე ჯ., 1995: ძველი კოლხური სახლთმშენებლობის ზოგიერთი საკითხი, სმამ, ტ. 152 №1, გვ.184-187, თბ.
4. გოგაძე ელ., 1982: კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, თბ.
5. მიქელაძე თ., 1978: არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, კოლხეთის არქ. ექსპ. შრომები, ტ.I, თბ. გვ.32-68.
6. ნიორაძე გ., 1941: არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში, ენიმკის მოამბე X, გვ. 329-343, თბ.
7. ჩიქოვანი თ., 1999: ჯარგვალური სამშენებლო ტიპის კავკასიური არეალი, კრებ. ძიებანი № 3, გვ. 85-90, თბ.
8. ვიტრუვიუსი, – Витрувий, Десять книг об архитектуре (перевод Ф.А. Петровского), М., 1936, II, I, 4, 50.
9. გაბიძაშვილი გ., სახაროვა ლ., სულავა ნ., სულხანიშვილი დ., 2004: ლეჩხუმის არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიების შედეგები, – საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წწ., გვ. 121-123, თბ.
10. ჯიბლაძე ლ., 2010: სახლის თიხის მოდელი ნაოხვამუდან და ძველკოლხურ ნაგებობათა სისტემა, კრებ. იბერია-კოლხეთი, №6, თბ., გვ. 117-124.
11. ქორიძე დ., 1968: დავიცვათ და გადავარჩინოთ შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები, ძმ, № 15, გვ. 32-40, თბ.
12. ჯავახიშვილი ალ., 1958: ხაიშის განძი, №3, გვ. 149-157, თბ.
13. ვიტრუვიუსი,– დასახელებული ნაშრომი, II, I, 7.
14. სტრაბონი, – ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, XI, II, 17.
15. ვიტრუვიუსი, დასახელებული ნაშრომი, II, I, 4.
16. ანაბასისი, – დასახელებული ნაშრომი, V, 2, 27, 4, 26.
17. არგონავტიკა – ურუშაძე აკ., აპოლონ როდოსელის „არგონავტიკა“, თბ., 1948, II, გვ.378-380.
18. რომის სიძველეთმცოდნეობა, I, 26, 2.
19. გამყრელიძე გ.,1982,ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, კოლხოლოგიური ნარკვევები, თბ., 2001, გვ.111-121.

Gela Gamkrelidze

A Social Essence of Colchis Timber Architecture.

Summary

Greek and Latin sources offer a number of reasonable facts about Colchis timber structures. Archaeological investigations have revealed a certain, already established, system of fortified habitation areas in Colchis. Archaeologically attested west Georgian timber structures are dating from the 3rd millennium BC. Generally all of them were so called log cabins plastered with clay. One of the examples of such structures has been uncovered at Mtisdziri village of Vani district. It came to light on the upper terrace of the Adeishvilebis Gora.

Artificial heaps of earth, drainage ditches, moats, communication canals had undoubtedly involved labour of large quantities of well organized people guided by distinguished leaders.

A permanently increasing scale of building activities and urgent need of defence from against the expected or unexpected attack that required corresponding growth of leaders' role in the society. This is why there appeared a special person to whom other leaders were subordinated. Such political structure is a transitional form between an emerging and state-level societies called a proto statehood institution.

The author feels himself able to conclude that eastern Black Sea littoral settled by Kartvelian population normally built clay plastered log cabins on the tops of small hills enclosed with stockades of logs with certain quantity of watching towers inserted within them in the pre 3rd millennium BC period. Such habitation areas were called "Mosuini".

Гела Гамкрелидзе

Деревянная архитектура Колхиды и её социальная сущность

Резюме

Факты о колхидских деревянных строениях можно найти в греко-латинских письменных источниках а также среди многочисленных археологических материалов. Они весьма значительны и справедливо заслуживают определенный интерес ученых. В результате археологических исследований подтверждается, что в VI-IV веках до н.э. в Колхиде существовала определенная, уже сформировавшееся система укрепленных поселений.

Древнейшие деревянные строения найденные в западной Грузии датируются III тысячелетием до нашей эры. Это были хижины т.н. джаргвальского типа.

Остатки бревенчатого строения с глиняной штукатуркой, раскопанные в село Мтисдзири ванского района на так называемой горе Адеишвили, являются хорошим материалом для изучения деревянной архитектуры Грузии.

Создание искусственной земляной насыпи, прокладывание оборонительных и коммуникационных траншей и каналов было бы совершенно невозможно без надлежащих орудий и организованного труда большого количества рабочей силы. Работой руководили тщательно отобранные люди, лидеры. Вместе с непрерывным возрастанием масштабов строительных работ и требований к оборонительной готовности, возрастала и роль лидера в обществе. Появляется единый вожак, которому повинуются все остальные лидеры. Такая общественно-политическая структура, которая является переходной ступенью от догосударственной к настоящей государстве называется протогосударственным строем.

На основе сопоставления существующих источников автор делает вывод, что до наступления III тысячелетия до. н.э. для территории восточного Причерноморья заселенной картвельским населением, были характерны поселения, устроенные на горах. Это были бревенчатые строения, обмазанные глиной, огороженные бревенчатыми заборами и с наблюдательными вышками. Они назывались «мосуинами».

I

1

კოლხეთის დაბლობის სამოსახლოები
(გ.ლეჟავას მიხედვით)



2

მთიანი კოლხეთის სამოსახლო

II



1

სოფ.მთისძირის სახამბარო კომპის რეკონსტრუქცია



2

3

ხაიმის და ნაოხვამუს მოდელების რეკონსტრუქცია

§ 4. ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს ხუროთმოძღვრების ბიზანტიასთან მიმართების ასპექტები

ბიზანტია, როგორც ქრისტიანული რელიგიის გავრცელების და ქრისტიანული ხუროთმოძღვრების კანონიკური წესების ფორმირების ძირითადი კერა, აღმოსავლეთქრისტიანული სამყაროს მთავარ იდეოლოგიურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. ადრეულ შუა საუკუნეებში ახალი რელიგიის მოთხოვნებს თავისებურად ეხმიანებოდა მდიდარი და მრავალფეროვანი არქიტექტურული ტრადიციების ქრისტიანებული აღმოსავლეთის ქვეყნები, მათ შორის საქართველო, სადაც ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ფორმირების პროცესი ადგილობრივი არქიტექტურულ-მხატვრული პოტენციალის და თავისებურებების შესაბამისად წარიმართა. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის სპეციფიკა ოდითგან განაპირობებდა როგორც აღმოსავლური ცივილიზაციის, ასევე დასავლურ კერებთან ურთიერთობის შესაძლებლობას, რამაც დიდწილად განსაზღვრა საქართველოს კულტურის ხასიათი. ამდენად, ბიზანტიამ, როგორც ანტიკური ეპოქის რომის მემკვიდრემ, გააგრძელა საუკუნეების წინ ჯერ კიდევ ძველი ბერძნების მიერ აღმოსავლეთშავიზღვისპირეთის ქვეყანასთან დაწყებული ურთიერთობის ტრადიცია.

ბიზანტიასთან კულტურული კავშირების ინტენსივობისა და ხასიათის გარკვეული ასპექტების დაზუსტების კარგ შესაძლებლობას იძლევა ხუროთმოძღვრება, როგორც სოციალ-კულტურული ხასიათის ინფორმაციის პირუთვნელი წყარო. ამ თვალსაზრისით დასავლეთ საქართველოს სამნავიანი ბაზილიკები, უდავოდ, ყურადღებას იმსახურებს.

ბაზილიკა ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი პირველი არქიტექტურული ტიპია, რომელიც ფართოდ გავრცელდა ადრექრისტიანულ სამყაროში. პირველი ქრისტიანული ბაზილიკები

აიგო რომსა და კონსტანტინეპოლში, სადაც მათი მშენებლობა კონსტანტინე დიდის სახელს უკავშირდება. ამდენად,ბიზანტია და მისი დედაქალაქი ქრისტიანულ აღმოსავლეთში ბაზილიკების გავრცელების ერთ-ერთ პირველწყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ. ქრისტიანობის აღიარების შემდგომ ეს არქიტექტურული ტიპი საქართველოშიც დამკვიდრდა და სამეცნიერო ლიტერატურაში შემოტანილ ტიპად არის აღიარებული[1]. საქართველოში ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ფორმირების საწყისს ეტაპზე კონსტანტინეპოლის წამყვან როლს, IV საუკუნეში მირიან მეფის დროს კონსტანტინეპოლიდან რელიკვიების ჩამოტანისა და ეკლესიების ასაგებად ხუროთმოძღვართა ჩამოსვლას ადასტურებს ქართულ საისტორიო წყაროს, მოქცევაი ქართლისაის, ცნობაც – „წარმოგზავნეს მღვდელნი მრავალნი და ხურონი ფრიად მრავალნი,რამეთუ კონსტანტინე მეფემან მეფობასა შინა მისსა აღაშენა ეკლესიაი“. [2]

ბაზილიკები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე,ძირითადად,XI საუკუნემდე იგება,თუმცა ინტენსიური მშენებლობის პერიოდი V-VI საუკუნეებია. სწორედ ამ ხანას განეკუთვნება სამნავიანი ბაზილიკები დასავლეთ საქართველოში, სადაც შემდგომი საუკუნეების მხოლოდ ერთეული ნიმუშებია დადასტურებული (XI ს-ის კვირიკეწმინდა რაჭაში და XVI-XVII სს. ილემი ზესტაფონის რაიონში). სამნავიანი ბაზილიკები დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აიგო. გაგრის რაიონში ბიჭვინთის[3], განთიადის[4], ალაჰაძის[5] აბაშის რაიონში სეფიეთის[6], სენაკის რაიონში ნოქალაქევის ორი ბაზილიკა[7], ზუგდიდის რაიონში ცაიშის[8], ქობულეთის რაიონში ციხისძირის[9], ოზურგეთის რაიონში ვაშნარის[10], ლანჩხუთის რაიონში ღრმაღელეს[11],ხარაგოულის რაიონში ნუნისის ბაზილიკები.

სამწუხაროდდასავლეთ საქართველოსბაზილიკებისუმრავლესობა ჩვენს დრომდე ცუდად არის შემორჩენილი. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა ვაშნარის (გაითხარა 1949 წელს საქ. მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური

ექსპედიციის მიერ, ხელმძღვ. გ.გობეჯიშვილი), ბიჭვინტის (გაითხარა 1952 წელს ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ხელმძღვ. ა.აფაქიძე), ციხისძირის (გაითხარა 1961-62 წწ. საქ. მეცნ. აკადემიის აჭარის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ), ალაჰაძის (გაითხარა 1970-71 წწ. ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ხელმძღვ. ა.აფაქიძე), ნოქალაქევის (გაითხარა ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1975-77 წწ, ხელმძღვ. პ.ზაქარაია), ღრმაღელეს (გაითხარა 1997 წ. გურიის არქ. ექსპედიციის მიერ. ხელმძღვ. ვ. სადრაძე) ბაზილიკები. გუმბათიან ეკლესიებად გადაკეთდა ცაიშის და ნოქალაქევის ორმოცმოწამეთას ბაზილიკები. ნანგრევების სახით შემორჩა განთიადის და შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია სეფიეთის ბაზილიკა. როგორც ვხედავთ, ამ ძეგლების დაცულობის დონე არ იძლევა მათი არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტის სრული სურათის აღდგენის შესაძლებლობას, თუმცა ხერხდება რიგი მონაცემების დადგენა, რომელთა შეჯერება ბიზანტიასთან მიმართების საკითხების წარმოჩენისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ადრექრისტიანულ სამყაროში ქრისტიანული რელიგიის მიერ დაკანონებული არქიტექტურული ტიპის, სამნავიანი ბაზილიკის, გავრცელებისას არქიტექტურულ-სამშენებლო ტრადიციებით განსხვავებულ ქვეყნებში ბაზილიკების ორი წრე გამოიკვეთა – დასავლური და აღმოსავლური. დასავლურ წრეს საერთო ანტიკურ საფუძველზე დაფუძნებული მხატვრული ტრადიცია გააჩნდა,რამაც არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტის ერთიანი მიდგომა განაპირობა. ამ ძეგლებისათვის დამახასითებელია მასშტაბურობა,წაგრძელებული გეგმარება,შვერილი აფსიდა,სვეტების მრავალრიცხოვნება, მდიდრული და მრავალფეროვანი საშუალებებით მორთული ინტერიერი. აღმოსავლური წრის ბაზილიკები თავად ამ ქვეყნების ხუროთმოძღვრული ტრადიციების მრავალფეროვნების

გათვალისწინებით, მრავალგვარი გადაწყვეტით, თავისებური ხუროთმოძღვრული ნაირსახეობებისა თუ არქიტექტურული მოტივების შემუშავებით ხასიათდება.

ბიზანტიის და მისი დედაქალაქის, კონსტანტინეპოლის, ბაზილიკები – დასავლური წრის წარმომადგენელია, ხოლო საქართველოს ბაზილიკები აღმოსავლურის. შესაბამისად, ამ ქვეყნების ბაზილიკები არსებითად განსხვავებულ არქიტექტურულ-მხატვრულ სახეს ქმნის. უპირველესად, ეს ეხება საშენ მასალას, ნაგებობათა მასშტაბს, პროპორციებს, სიგრძივი ღერძის გამოკვეთის ინტენსივობას, საყრდენების რაოდენობას, ფასადისა და ინტერიერის მხატვრულ გააზრებას. ამ თვალსაზრისით,დასავლეთ საქართველოს ბაზილიკები, ძირითადად საქართველოს ძეგლების დამახასიათებელ თვისებებს ავლენს, მაგრამ იკვეთება განსხვავებული მიდგომებიც. ამას ადასტურებს დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებში, მათი ცუდი დაცულობის მიუხედავად, შემორჩენილი მონაცემები. სწორედ მათი გამოვლენა იძლევა ბიზანტიასთან მიმართების გარკვეული ასპექტების წარმოჩენის შესაძლებლობას.

დასავლეთ საქართველოს ბაზილიკები,ისევე,როგორც ქართული ტაძრების უმრავლესობა,თლილი ქვითაა ნაგები,მაგრამ ფიქსირდება კედლის წყობაში ქვისა და აგურის გამოყენების მაგალითებიც. ამასთან,სეფიეთსა და ნოქალაქევის ორმოცმოწამეთაში opus mixtum წყობის გამოყენება ეჭვს არ იწვევს.

დასავლეთ საქართველოს ბაზილიკების გეგმაში საკურთხევლის აფსიდას შვერილი ფორმა გააჩნია, მაშინ, როდესაც საქართველოს სამნავიანი ბაზილიკებისათვის, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, გეგმის სწორკუთხედში ჩაწერილი აფსიდებია დამახასიათებელი. ამგვარი გადაწყვეტა გარკვეულწილად,პასტოფორიუმების და ბემის არქონას განაპირობებს. შვერილი ძირითადად ხუთწახნაგა ფორმისაა. ნახევარწრიული აფსიდა მხოლოდ სეფიეთის ბაზილიკაშია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამნავიანი ბაზილიკებისათვის ნართექსი დამახასიათებელი არ არის. ამ მხრივ გამოირჩევა

დასავლეთ საქართველოს ბიჭვინთის, ნოქალაქევის, ნოქალაქევის ორმოცმოწამეთას, ვაშნარის და ციხისძირის ბაზილიკები. აღსანიშნავია, რომ ბიჭვინთასა და ციხისძირში ნართექსი სამივე ნავისგან იყო გამიჯნული ანუ დამოუკიდებელ სივრცით ერთეულს წარმოადგენდა, ხოლო ნოქალაქევის ბაზილიკებსა და ვაშნარში, გვერდით ნავებთან ერთად, ცენტრალურ ნავს დაქვემდებარებულ ერთიან არქიტექტურულ მოტივს ქმნიდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დასავლეთ საქართველოს რიგ ბაზილიკებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი არტეფაქტები, რომლებიც ინტერიერის მრავალფეროვანი საშუალებებით მორთვის თუ საყრდენებად იონურ და კორინთულ კაპიტელებიანი სვეტების გამოყენებას ადასტურებს. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ბიჭვინთის ბაზილიკა, რომელსაც შესრულების მაღალმხატვრული ოსტატობის დონით გამორჩეული იატაკის მოზაიკა ამკობდა. ამას გარდა, აღმოჩენილია აკანთის ფოთლიანი კაპიტელი,ასევე მარმარილოს ფრაგმენტები,რომლებიც მარმარილოს ინკრუსტაციის არსებობაზე მიუთითებს. ვაშნარის ბაზილიკაში დადასტურდა მარმარილოს ფილები საკურთხევლის იატაკზე,მარმარილოს კარნიზის ფრაგმენტები,ამავე მასალის მცირე დიამეტრის სვეტის ფრაგმენტი, ქვიშაქვის იონურ ვოლუტიანი და აკანთის ფოთლიანი სვეტისთავების ფრაგმენტები. განთიადის ბაზილიკაში მარმარილოს დეკორის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტებია აღმოჩენილი. ამ ძეგლებში ინტერიერის მორთულობა, მართალია, ფრაგმენტული სახით შემორჩა, მაგრამ უტყუარად ადასტურებს ინტერიერის მრავალრფეროვანი საშუალებებით შემკობის ფაქტს, რაც საქართველოს სხვა ძეგლებისაგან განსხვავებულ მიდგომას წარმოადგენს.

საზოგადოდ,საქართველოს ბაზილიკები ძლიერ წაგრძელებული გეგმარებით არ ხასიათდება. ამგვარი მიდგომა ჩანს, ზოგადად, დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებშიც. თუმცა ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ალაჰაძის ბაზილიკა გამორჩეულია

თავისი სიგრძით (37,40მ) და ბევრად აღემატება ყველა სხვა ბაზილიკას საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს ძეგლების შუა ნავის სიგანე (გამონაკლისია ალაჰაძე) აღემატება, ზოგადად, საქართველოს ბაზილიკების შესაბამის მონაცემს [12]. ეს გარემოება, სხვა ფაქტორებთან ერთად, უთუოდ გასათვალისწინებელია ამ ძეგლებში გადახურვის რეკონსტრუქციის დროს. როგორც ცნობილია, საქართველოს ბაზილიკებში მხოლოდ კამარებით გადახურული ნავებია შემორჩენილი. დასავლეთ საქართველოს უმეტესი ძეგლები დაცულობის გამო არ იძლევა გადახურვის შესახებ ინფორმაციას. ამდენად, მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეიძლება. შესაბამისად, განიერი შუა ნავი და საყრდენად მასიური ბურჯის ნაცვლად კაპიტელებიანი კოლონის გამოყენების ალბათობა, ზოგ ბაზილიკაში სათუოს ხდის კამაროვანი გადახურვის არსებობას. ლოგიკურია ვივარაუდოთ,რომ ისეთ ძეგლებში,როგორიცაა ბიჭვინთა და ციხისძირი, ხუროთმოძღვრებმა ხის კარკასოვანი კონსტრუქცია გამოიყენეს.

დასავლეთ საქართველოს ძეგლებს შორის გამორჩეულია სეფიეთის ბაზილიკა. საშუალო ზომის (14,60მX12,40 მ) ამ ბაზილიკას სამი წყვილი გეგმაში კვადრატული საყრდენი აქვს. გვერდითი ნავები არც თუ დიდი სიმაღლის (5.75 მ) მიუხედავად ორ სართულად არის გაყოფილი. შედეგად, განიერი შუა ნავი ხალვათ ცენტრალურ სივრცეს ქმნის, რომელის ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს დაბალი გვერდითი ნავებია და მათ თავზე მეორე სართულის გალერეებია მოწყობილი. საგულისხმოა, რომ ამგვარ გალერეას საქართველოს ბაზილიკებში პარალელი არ ეძებნება.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებში დადასტურებულია opus mixtum წყობის, შვერილი აფსიდის, ნართექსის, ინტერიერის მორთულობის მრავალფეროვანი საშუალებების და კლასიკური კაპიტელების გამოყენება. აღსანიშნავია,რომ ეს ნიშნები არ არის დამახასიათებელი, ზოგადად, ქართული ბაზილიკებისათვის

და, უდავოდ, ბიზანტიასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის და გავლენის შედეგია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ზოგი ნიშანი დასავლეთ საქართველოს ყველა ბაზილიკაში ფიქსირდება, ხოლო ნაწილი – მხოლოდ ძეგლთა ჯგუფსა თუ ცალკეულ ნიმუშებში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია,რომ შვერილი აფსიდა აქვს დასავლეთ საქართველოს ყველა ბაზილიკას. საყურადღებოა, რომ ამგვარი ფორმა დასავლეთ საქართველოს სხვა არქიტექტურული ტიპის ძეგლებშიც ფართოდ არის გავრცელებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბიზანტიისთვის დამახასიათებელი აფსიდის შვერილი ფორმა რეგიონულ მახასიათებლად ჩამოყალიბდა.

დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებში opus mixtum წყობის დადასტურება ბიზანტიასთან კავშირურთიერთობის დამადასტურებელი მონაცემია. თუმცა აღსანიშნავია,რომ ამ ხერხმა საყოველთაო გავრცელება არ ჰპოვა. ქვის კვადრების დამუშავების და ამ მასალით მშენებლობის ტრადიცია საქართველოში უფრო ძლიერი აღმოჩნდა. თავად ფაქტი ამგვარი კედლის წყობის არსებობისა იმის მიმანიშნებელია, რომ ბიზანტიისთვის სახასიათო ამ სამშენებლო წესს იცნობდნენ და იყენებდნენ საქართველოში.

ნართექსი ბიზანტიის საეკლესიო ნაგებობების, მათ შორის ბაზილიკების,სტრუქტურის შემადგენელ არქიტექტურულ ერთეულს წარმოადგენს, ხოლო ქართული ბაზილიკებისათვის არ არის დამახასიათებელი. ამდენად,დასავლეთ საქართველოს რიგ ძეგლებში ნართექსის გამოყენება ბიზანტიასთან მიმართებაში უნდა განვიხილოთ. ნიშანდობლივია, რომ დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებში განირჩევა ძეგლები, რომლებშიც ნართექსი ნავებისაგან კედლებით გამიჯნული დამოუკიდებელი სივრცითი ერთეულია (ბიჭვინთა, ციხისძირი) და დასავლეთი ნავი, რომელიც გვერდით ნავებთან არის დაკავშირებული (ნოქალაქევის ბაზილიკები და ვაშნარი). ამ უკანასკნელი ვარიანტის კომპოზიციურ სქემას გარკვეული კავშირი საქართველოს წინარექრისტიანულ ხუროთმოძღვრებასთან და

უადრეს, ძველი შუამთის და მატანის ცხრაკარას, ბაზილიკებთანაც ეძებნება. ამდენად, განირჩევა ბიზანტიური და ადგილობრივი წარმომავლობის გადაწყვეტა.

დასავლეთ საქართველოს რიგძეგლებში კლასიკური კაპიტელების, იატაკის მოზაიკის,მარმარილოს მასალით ინკრუსტრაციის გამოყენება ანტიკური ტრადიციების სიცოცხლიუნარიანობას და ბიზანტიის ძეგლების მსგავსად, ინტერიერის მდიდრულად მორთვის სურვილს ადასტურებს. აღსანიშნავია, რომ შიდა სივრცის გადაწყვეტაში ბიზანტიის ზეგავლენა სხვა სახითაც ვლინდება ისეთ ძეგლში, როგორიცაა სეფიეთის ბაზილიკა. ბიზანტიის ხუროთმოძღვრებაში, განსაკუთრებით,გუმბათიან ბაზილიკებში, ფართოდ გავრცელებული გვერდითი ნავების გალერეების მოტივი, რომელიც, ზოგიერთ შემთხვევაში, გრანდიოზულ მასშტაბებსაც აღწევს (საკმარისია გავიხსენოთ აია სოფიის ტაძარი კონსტანტინეპოლში), სეფიეთშიც იქნა გამოყენებული. ხუროთმოძღვარი აქ,ნაგებობის მოკრძალებული ზომების მიუხედავად, შეეცადა ბიზანტიაში გავრცელებული შიდა სივრცის განაწილების ეს წესი განეხორციელებინა და შედეგად გვერდითი ნავების მეორე სართულზე დამატებითი სივრცითი ერთეულები შეექმნა.

დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებში აღნიშნული მოტივებისა და სამშენებლო ხერხების არსებობა ბიზანტიის ხუროთმოძღვრების გავლენას ადასტურებს. ამასთან, ძეგლების ადგილმდებარეობის და გამოვლენილი ნიშნების ხასიათიდან გამომდინარე, იკვეთება ბიზანტიის გავლენას უფრო ძლიერ და ნაკლებ დაქვემდებარებული არეალები. ნათლად ჩანს ზღვისპირა მხარის ძეგლების მეტი კავშირი ბიზანტიასთან, რაც სრულიად ლოგიკურია ზღვით ურთიერთობის და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ბიჭვინთის და ციხისძირის ბაზილიკები. ნართექსის,მრავალფეროვანი საშუალებებით მორთული ინტერიერის და, შესაძლოა, ხის კარკასოვანი გადახურვის არსებობა

ამ ძეგლებს დასავლური წრის ბაზილიკებთან აახლოვებს. დასავლეთ საქართველოს ყველა სხვა ბაზილიკებში გავლენა უფრო ნაკლებად იგრძნობა, თუმცა ყველა ძეგლს შვერილი აფსიდა აქვს, ზოგს კი ბიზანტიის ხუროთმოძღვრების დამახასიათებელი ცალკეული არქიტექტურული ფორმა თუ მიდგომა (opus mixtum წყობა, ნართექსი, მეორე სართულის გალერეა, კლასიკური კაპიტელი, მარმარილოს მოპირკეთების ფრაგმენტი და სხვ.) გამოარჩევს.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს ბაზილიკების მონაცემები ნათლად წარმოაჩენს ადრე შუა საუკუნეების პერიოდში აღმოსავლეთქრისტიანული სამყაროს ცენტრთან მჭიდრო კავშირის არსებობას, რაც ამ რეგიონის ძეგლების რიგი მახასიათებლების ფორმირების და, შედეგად, საქართველოს ხუროთმოძღვრების მრავალფეროვნების განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორად იქცა.

NATELA JABUA

ASPECTS OF RELATION OF THE EARLY MIDDLE AGES GEORGIAN ARCHITECTURE TO BYZANTIUM

Features of West Georgian Basilicas testify of the close connection with the center of the East Christian World, which proved to be a shaping factor for the formation of some characteristics of the monuments of that region and therefore served as prerequisite for the remarkable diversity of Georgian architecture.

НАТЕЛА ДЖАБУА

АСПЕКТЫ ОТНОШЕНИЙ ГРУЗИНСКОГО ЗОДЧЕСТВА РАННЕГО СРЕДНЕВЕКОВЬЯ С ВИЗАНТИЕЙ

Архитектура ранних базилик Западной Грузии и Византии свидетельствуют об их взаимной тесной связи, которое формируется в Восточном Православном христианском мире и в тоже время некоторые особенности памятников этого региона служат предпосылкой для разнообразия форм грузинской архитектуры.

შენიშვნები და ლიტერატურა:

1. ჩუბინაშვილი, გ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1936, გვ. 23-24.
2. ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008, გვ. 132.
3. ციციშვილი ი., ბიჭვინტის საკულტო ნაგებობათა კომპლექსი, დიდი პიტიუნტი, ტ.II, თბილისი, 1977, გვ. 83-101.
4. Леквинадзе В.А., Гантиатская базилика, Советская археология, №3, Москва, 1970, с.162-174.
5. აფაქიძე ა., აგრბა ზ., ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970-71 წლების საველე სამუშაოთა ანგარიში, დიდი პიტიუნტი, II, თბილისი, 1977, გვ. 9-38.
6. ზაქარაია პ., კაპანაძე, თ., ციხე-გოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1991, გვ. 198; Леквинадзе В.А., Материалы по монументальному строительству в Лазике, Вестник музея Грузии, XXII-B, 1961, с. 137-167.
7. თ. კაპანაძე, ნოქალაქევის ბაზილიკები, ნოქალაქევი-არქეოპოლისი, თბილისი, 1987, გვ. 90-125.
8. ზაქარაია, პ. ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, თბილისი, 1956.
9. ინაიშვილი ა., პეტრას საეპისკოპოსო კათედრის საკითხისათვის ციხისძირის გათხრების შედეგების მიხედვით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, II, თბილისი, გვ. 91-107; Леквинадзе В.А., О постройках Юстиниана в западной Грузии, Византииский временник, 34, Москва, 1973, с. 169-186.
10. გობეჯიშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952, გვ. 154-155; სადრაძე ვ., ვაშნარი, სპონიეთი-გურიანთა, კრებ. გურია III, დამატება, თბილისი, 2003.
11. ჯაბუა ნ., ადრეული შუა საუკუნეების ბაზილიკები გურიის ტერიტორიაზე, კრებ. გურია, V, თბილისი, 2007, გვ. 77-85.
12. ჯაბუა ნ., სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი საქართველოში, თბ., 2009, გვ. 100-101.

I



ალაჰაძე



ბიჭვინთა



განთიადი



ვაშნარი

ნოძალაძვი



ნოძალაძვის
ორმოცმოწამეთა

სეფიეთი



ციხისძირი

§5. სამშენებლო კერამიკის ერთი ნიმუში კოდორის ხეობიდან

სვანეთში, მდინარეების ჩხალთისა და კოდორის შესართავის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს სოფელი ჩხალთა, რომლის ჩრდილო-დასავლეთით არსებული ბორცვის ჯაგნარით დაფარულ ადგილზე გაირჩევა ადგილობრივ მკვიდრთა მიერ „ნალახვამ“-ად (ე.ი. ნაეკლესიარად) წოდებული შენობის ნანგრევები. მისგან სამხრეთით ფერდობზე, მიწის თხრისას, შემთხვევით აღმოჩნდა ღარისებური კრამიტის (კალიპტერის) ფრაგმენტი – ანტეფიქსი, ფარზე ასომთავრული გრაფემებისა და ჯვრის გამოსახულებით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ კრამიტის ეს ნატეხი ზემოხსენებული ნაგებობის კუთვნილებაა და მისი ქრისტიანული ტაძრის ფუნქციას უეჭველს ხდის.

აღნიშნულ ანტეფიქსზე პირველსა და ერთადერთ ინფორმაციას ვხვდებით შ. ჩართოლანისა და მ. ცინდელიანის ნაშრომში – „კოდორის ხეობის „დალ“-ის მხარის არქეოლოგიური ძეგლები“, სადაც, მოკლე აღწერასთან ერთად, დასახელებულია მისი, რიგი პარალელები, ქარაგმების გახსნით გარკვეულია წარწერის შინაარსი და მითითებულია სამშენებლო კერამიკის ამ ნიმუშის შექმნის თარიღი – X-XI სს.[1]

წინამდებარე წერილში მიზნად ვისახავთ ჩხალთის ანტეფიქსის შედარებით ფართო ანალიზს.

საკვლევი ანტეფიქსი (სურ. 1) წარმოადგენს ღიაყავისფრად გამომწვარ, სილამინარევებიან მკვრივი კეცის მქონე ღარისებური კრამიტის თავის ნატეხს, რომლის მარჯვენა კიდე და ზედა ნაწილი ნაკლულია (შემორჩენილი სიმაღლე – 14 სმ., ძირის სიგანე – 13,5 სმ., კეცის სისქე უკანა მხარის გადანატეხში – 1,9 სმ., ძირის კიდეებში – 2,9 სმ., ცენტრში – 2 სმ.). ანტეფიქსის ზედაპირი ანუ

ფარი გვერდებში თანაბრად მორკალულ და ზემოთ დავიწროებულ სამკუთხედს წარმოადგენს. გვერდების კიდეებიდან ოდნავ შიგნით გამოიყოფა წყვილ-წყვილი, ვიწრო რელიეფური ზოლები, რომელთა შორის ერთმანეთისგან არათანაბრად დაშორებული ირიბი ზოლებია განთავსებული. ანტეფიქსის ქვედა,განიერი კიდე არასწორხაზოვანია და დაზიანების შთაბეჭდილებას სტოვებს,თუმცა კეცი გადატეხილი არ არის და ამგვარი მოყვანილობის მიზეზი ყალიბის ფორმით, ან კი გამოწვის პროცესში დაშვებული დაუდევრობით უნდა აიხსნას. ანტეფიქსის შიდა, ნახევარწრიული ზურგის მხარეს შვიდი ღრმა ვერტიკალური ნაჭდევია, რაც უთუოდ სახურავის ფენილზე მჭიდე ხსნარისთვის იქნებოდა გათვალისწინებული. ანტეფიქსის ფარის ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია სადაზედაპირიანი, შედარებით მაღალი ქვედა მკლავის მქონე, ბოლოებგაგანიერებული ჯვრის რელიეფური გამოსახულება,რომლის მკლავთა გადაკვეთაზე წრიული ,,კოპი“ გამოიყოფა (ჯვრის სიმაღლე – 9,2 სმ., სიგანე – 5,3 სმ). ჯვრის განივი მკლავების ქვემოთ, ფარის მომჩარჩოებელ ზოლებს შორის და ქვედა მკლავის ორსავე მხარეს განთავსებულია ოთხი ასომთავრული გრაფემით შემდგარი,რელიეფურად ანუ ამობურცვით შესრულებული წარწერა. ორი – Ⴓ (ა) და Ⴕ(ბ) გრაფემა ჯვრის მარცხნივაა, ხოლო ქარაგმიანი Ⴆ (ლ) და Ⴠ (თ) გრაფემები მარჯვნივ. მიუხედავად იმისა,რომ გრაფემები წვრილი რელიეფური ზოლებითაა გამოსახული,ისინი ფარის ბრტყელ ზედაპირზე მკაფიოდ გამოიყოფიან. როგორც ჩანს, წარწერის შემსრულებელს ჯვართან კომბინაციაში რელიეფურ გრაფემათა კომპოზიციური განწყობა დაუსახავს მიზნად. კერძოდ, ორი კიდური გრაფემა – Ⴓ (ა) და Ⴠ (თ) მათ მომიჯნავე, Ⴕ(ბ) და Ⴆ(ლ) გრაფემებზე საგრძნობლად მოკლეა და მოთავსებული არიან ამ უკანასკნელთა ზედა ხაზს დაბლა და ბუნების ცენტრის ქვედა არეში. ამავე დროს, თვალში საცემია ,,ლასოს“ წრის ,,თანის“ ქუსლზე დაბლა ჩამოტანა; აგრეთვე ,,ანის“ სარქველის ,,თანის“ მუცლის ზედა ხაზს ზემოთ მდებარეობა,

რაც რელიეფური სწორხაზოვანი ქარაგმის ნიშნისათვის საჭირო ადგილის სიმცირითაა გამოწვეული. ამგვარი დისპროპორცია, სტატიკური ჯვრის ფონზე და საპირისპიროდ – ფარის კიდეთა ირიბ ზოლებთან ერთობლიობაში, ერთგვარ დინამიურ აქცენტად აღიქმება. ჩხალთის ანტეფიქსის წარწერის სპეციფიკად გვესახება „ბანის“ და „თანის“ ქვეშ განთავსებული ვიწრო, ზემოთ სიგრძეზე წამახვილებული, ვიწრო რელიეფური ზოლები, რისი ანალოგი თუ მსგავსება ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული აზრის თანახმად ბერძენი გეოგრაფოსის სტრაბონის (ძვ.წ. I- ახ.წ. I სს.) ცნობა, რომ: „იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითა და დაბებითა ისე, რომ იქ არის კრამიტიანი სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი“,[2] რეალურად ასახავს ძვ.წ. II საუკუნის ვითარებას.[3]

ვანში, სამადლოში და მცხეთაში წარმოებულმა არქეოლოგიურმა კვლევამ, ფაქტობრივად, დაადასტურა ადრეული ელინისტური ხანიდან საქართველოში კრამიტის მოხმარების ფაქტი.[4–7] კვლავ არქეოლოგიური გათხრების შედეგების გათვალისწინებით (მცხეთა, უჯარმა, რუსთავი, ვაშნარი, ბიჭვინტა, ყულევი და სხვ.) ირკვევა, რომ ელინისტურ და რომაულ ხანასთან შედარებით, ადრე შუა საუკუნეებში და მომდევნო ხანის მიწის ზემოთ არსებულ საკულტო თუ საფორტიფიკაციო ნაგებობებშიც კრამიტი უფრო ფართოდაა გამოყენებული.[8]

ადრე შუა საუკუნეების, კერძოდ V-VI სს. ანტეფიქსები აღმოჩნდა ნოქალაქევ-არქეოპოლისის სასახლეში და ამ სასახლის მახლობლად მდებარე სამნავიან ბაზილიკაში,[9] რუსთავში,[10] აღაიანში,[11] ურბნისში,[12] ურბნისის გარეუბან ქვაცხელაში,[13] ალავერდის მონასტერში.[14] V-VI სს-ითაა დათარიღებული შირაქის „შავი მთის“ საკულტო ნაგებობაში აღმოჩენილი ანტეფიქსები სიცოცხლის ხის სტილიზებული გამოსახულებით,[15] თუმცა ამ

უკანასკნელის ადრეულობის ვერსიაც არ არის გამოსარიცხი. საზოგადოდ, შუა საუკუნეთა ეპოქის ანტეფიქსებს შორის ყველაზე ადრეულია სვეტიცხოვლის ეზოში აღმოჩენილი ერთი ნიმუში, რომელიც ადრექრისტიანულ ხანაში, სავარაუდოდ კი IV ს.-ში უნდა იყოს შექმნილი.[16] არაუგვიანეს X ს.-ით თარიღდება ანტეფიქსები, რომლებიც აღმოჩნდა გუდავის ბაპტისტერიუმად მიჩნეულ ნაგებობის მახლობლად,[17] X საუკუნისაა კრამიტები ნავჯახოვის გუმბათოვანი დარბაზის ტიპის ეკლესიიდან,[18] XI ს.-ით თარიღდება ამოზნექილ ზურგიანი ნაპირა კრამიტები ფარზე ტოლმკლავა ჯვრების გამოსახულებით მანგლისის ეკლესიიდან.[19]

ბუნებრივია, რომ შუა საუკუნეებში ანტეფიქსებზე, ბრტყელ კრამიტებსა და თუ შორენკეცებზე ქრისტიანული სიმბოლიკის გამოსახულებები გამოჰყავდათ. კერძოდ: ვაზის რტოებსა და მტევნების გამოსახულებიანი რეგისტრის ქვეშ თასის წინ მდგომი ფარშევანგი VI-VII სს.-ით დათარიღებულ შორენკეცზე ურბნისიდან, რომელიც უკვდავებისა და გაზაფხულის ძველი ქრისტიანული სიმბოლოა.[20-21] ანდა რაშზე ამხედრებული და შუბით დიოკლეტიანეს განმგმირავი წმინდა გიორგი სოფელ ქუცნის X ს.-ის ეკლესიის ანტეფიქსზე, მაგრამ ყველაზე ხშირად ჯვარს გამოსახავდნენ. სვეტიცხოვლის ეზოში აღმოჩენილ ანტეფიქსზე გამოსახული ჯვარი ამ ქრისტიანული სიმბოლოს ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნიმუში უნდა იყოს. გ. ყიფიანის აღწერით, იგი წარმოადგენს „კვარცხლბეკზე აღმართულ „სიცოცხლის ხეს“, რომლის ქვედაშვებული რტოები „ბროწეულებივითაა“ აღჭურვილი, ხოლო წვერი საკმაოდ განტოტვილი. მის ქვემოთ ჯვრის განივი მკლავებია გამოსახული. „სიცოცხლის ხის“ მსგავსი მოტივები მთელ აღმოსავლეთს ახასიათებს, მაგრამ მისი გვიანხეთური სახე განივი მკლავებითაა აღჭურვილი და შეიძლება ვიფიქროთ, რომ სვეტიცხოვლის ნიმუშზე „ჯვარი“ დანამატი კი არ არის, არამედ მოტივის ტრანსფორმაციის შედეგი“.[22] თანამედროვე კვლევების

საფუძველზე, ბიბლიის ძველაღმოსავლური ძირები ეჭვს აღარ იწვევს. ამასთანავე, სიკვდილის დამთრგუნველი და ადამიანებისთვის მარადიული სიცოცხლის მომნიჭებელი ჯვარი სიცოცხლის ხესთანაა გაიგივებული.[23] აპოკრიფული ვერსიით ჯვარი გააკეთეს იმ ხისაგან, რომელიც აღმოცენდა სეითისათვის სამოთხის მცველი ანგელოზის მიერ მიცემული ხის ტოტისაგან და ის გოლგოთის ჯვრის და სამოთხის ხე ცხოვრებისა ერთიანობის ხატია.[24-25] ზემოთქმულის კონტექსტში საგულისხმოა, რომ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქართული (და არა მხოლოდ ქართული) ორნამენტული მოტივი-ვარდული, მისი ასტრალური საწყისიდან გამომდინარე, სიცოცხლის ხის ნიშნად აღიქმებოდა და მთელ რიგ შემთხვევებში ჯვრის თანაბარმნიშვნელოვან და მის ჩამნაცვლებელ ელემენტს წარმოადგენდა.[26] ქართული რელიეფური პლასტიკის ძეგლებს შორის ამის შესანიშნავი ილუსტრაციაა სათხის (VI-VII სს.), ბალიჭის (VI–VII სს.) და ბაშკიჩეთის (VI ს.) სტელათა ვარდულები,[27] ხოლო უშუალოდ ანტეფიქსის ვარდულებით შემკობის ნიმუშს ტყობია-ერდას X ს. ღარისებრი კრამიტები წარმოადგენენ.[28]

ადრეული შუა საუკუნეებიდან ქართულ დეკორაციულ ხელოვნებაში გავრცელებულია ჯვრის ორი ტიპი. პირველია მედალიონში ჩაწერილი ტოლმკლავა, ე.წ. ბოლნური ჯვარი, რომელიც იმპერატორ კონსტანტინე დიდის აღმოსავლეთზე გამარჯვების სიმბოლოდ გამოცხადებული ჯვრის იმიტაციაა. ასეთი ჯვრები გვხვდება საქართველოს ადრექრისტიანულ ძეგლებში, კერძოდ, ბოლნისის სიონსა და ურბნისში, აგრეთვე საქართველოში დიდი რაოდენობით შემონახულ სტელებზე. მეორე სახეობისაა უშუალოდ მაცხოვრის ჯვართან დაკავშირებული ე.წ. ლათინური ტიპის მოგრძო ფორმის ჯვრები, რომელთაც პირველისაგან განასხვავებს შედარებით მაღალი ქვედა მკლავი. ორივე ტიპის ჯვარი ქართულ ხუროთმოძღვრულ დეკორსა და სტელების შემკულობაში

თანადროულად არსებობს, ძირითადად, V-VI სს.-ში.[29] შედარებით მაღალი ქვედა და ბოლოებისაკენ გაგანიერებული მკლავებიანი ჯვრების ადრეული ნიმუშებია ბოლნისის სიონის ბაპტისტერიუმში ხარის შუბლზე და ფარშევანგების ფიგურებს შორის, ბოლნისის სიონისავე ბურჯების ჩრდილოეთი მწკრივის მეხუთე ბურჯზე, VI ს. ურბნისის ბაზილიკის ინტერიერში, აგრეთვე V-VI სს. კზილ-ქილისას და ბუჩარაშენის სტელებზე გამოკვეთილი თუ 624-634 წწ. წრომის ტაძრის დეკორაციული მორთულობის სისტემაში ჩართული ჯვრები.[30-32]

საზოგადოდ, ჩხალთის ანტეფიქსზე გამოსახული ჯვარი კონფიგურაციით ბევრ საერთოს პოულობს როგორც ადრეულ, ასევე განვითარებული შუა საუკუნეების ქვაში კვეთილ ჯვრებთან. კერძოდ, თითქმის იგივე პროპორციების და აბრისისაა უკვე მოხსენიებული წრომის, X ს. პარხლის, აგრეთვე X-XI სს. ბედიისა და გუმბათის ტაძართა ფასადებზე განთავსებული ჯვრები, რომელთაც მკლავების გადაკვეთის წერტილში ჩხალთის ანტეფიქსის ჯვრის მსგავსად, რელიეფური „ღილები“ უზით.[33]

ქართული ტაძრების ორნამენტული ჯვრების უტყუარი დათარიღების საფუძველს ხუროთმოძღვრულ მონაცემებთან ერთობლიობაში თუ დეკორაციული მორთულობის ერთიანი სისტემის სტილისმიერი ნიშნები წარმოადგენს, სამშენებლო კერამიკის, კონკრეტულად ჯვრის გამოსახულებიანი ანტეფიქსების ატრიბუცია, ხშირ შემთხვევაში მათი მსგავსების გამო, არქიტექტურული კონტექსტის მოწყვეტით (ნანგრევებად შემორჩენილი ჩხალთის „ნალახვამ“-ნაკლესიარი ჯერჯერობით არქეოლოგიურად შეუსწავლელია), მხოლოდ კეცის შეფერილობის, განლექვისა და გამოწვის ხარისხის მიხედვითაა შესაძლებელი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ანტეფიქსი წარწერითაა აღჭურვილი, თარიღის მეტი სიზუსტით გარკვევის შესაძლებლობა იზრდება. ვფიქრობთ, რეალური ვითარების შესაბამისია არქეოლოგ გ. ღამბაშიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება,

რომ კერამიკაზე არსებული წარწერები ეპიგრაფიკის ერთ-ერთ სახეობად – კერამიკულ დამწერლობად გამოიყოს.[33]

კერამიკულ მასალაზე არსებული წარწერების უმეტესობა რელიეფური, ანუ ამობურცვითი ხერხითაა შესრულებული; მაგ.: წარწერებიანი ბრტყელი და ღარისებური კრამიტები ქვემო ჭალის ჯვარპატიოსნის ეკლესიიდან, შიომღვიმის მონასტრიდან, X ს. ნიმუში სოფ. ფშაველის „კოხტა ღვთისმშობლის“ ეკლესიიდან, ახაშენის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიიდან, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული XII ს. ნაკლული კრამიტები, კრამიტის ფრაგმენტები არეშის ნაქალაქარიდან.[35–37] გაცილებით იშვიათია ნედლი თიხის სიღრმეში ამოკვეთილი თუ გამოწვის შემდგომ ამოფხვნა-ამოკაწვრით შესრულებული წარწერები; მაგ.: წარწერიანი კრამიტები სოფ. მატნიდან, Xს. კრამიტი ტყობია-ერდას ეკლესიიდან და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ერთი ბრტყელი კრამიტი.[38-39] სამეურნეო კერამიკაში წარწერების ამოღარვის წესით შესრულების მაგალითია XV-XVI სს. ალავერდის მონასტრის მარნის ქვევრები.[40]

არსებობს აზრი, რომ ჯვრის გამოსახულებით შემკული კრამიტების ერთი ნაწილი კათოლიკოსისადმი დაქვემდებარებულ სამონასტრო კერამიკული სახელოსნოების პროდუქციაა, რის დასტურადაც მითითებულია არმაზისხევის ნამონასტრევთან და სვეტიცხოველთან აღმოჩენილი ბრტყელი კრამიტები.[41–43]

სამშენებლო კერამიკის წარწერები,ძირითადად,ასომთავრულითაა შესრულებული, თუმცა, გამონაკლისის სახით გვხვდება ნუსხური გრაფემებით ჩართული ასომთავრულით (სოფ. კუპრიანთკარიდან[44]) და ნუსხა-ხუცურით შესრულებული (სოფ. მატნიდან) წარწერები.

ჩვენთვის ცნობილ ყველა წარწერიან ანტეფიქსზე რელიეფური ასომთავრული გრაფემებია გამოყვანილი. ასეთია X ს. ანტეფიქსი სოფ. ქუცნის ეკლესიიდან, სადაც წმინდა შენდობა-შეწყალება-ცხონების ერთსტრიქონიანი სავედრებელი წარწერა წმინდა გიორგის

მიერ შუბით განგმირულ დიოკლეტიანეს ქვეშაა მოთავსებული[45]. ოთხ ანტეფიქსზე კი, მსგავსად ჩხალთის ნიმუშისა, ფარის ცენტრში გამოსახულია ჯვრები, რომელთა ქვედა მკლავის ორსავე მხარეს ასომთავრული გრაფემებია განლაგებული.[46]

ზემოხსენებულ წმინდა გიორგის გამოსახულებიან ანტეფიქსზე ნაწილობრივ ქარაგმაგახსნილი ასომთავრული მხედრული ტრანსკრიპციით იკითხება:

„ქრისტე შეიწყალე ხცრ... .“ ორ შემთხვევაში ჯვრის ზედა მკლავის ორსავე მხარეს, ქარაგმების გახსნით, იკითხება როგორც: „ქრისტე,“ ერთგან: „შეიწყალე ზებედე,“ მეორეგან ორ-ორ სტრიქონად: „შეიწყალე მამართი“. დანარჩენი ანტეფიქსებიდან ერთის ქვედა მკლავის მარცხნივ იკითხება: ან „კირილე“, ან „კვირიკე“, ან „კონსტანტინე“, მარჯვნივ კი „იონა“; მეორეზე, ქვედა მკლავის მარცხნივ: „იოანე“, ხოლო მარჯვნივ გაურკვეველი მნიშვნელობის ლიგატურა. აღნიშნული ანტეფიქსების მკვლევარი ჯ. ჯღამაიას დაკვირვებით, ბოლოს მითითებულ ორ ნიმუშზე, ჯვრების თავზე ჩანს ქანწილი, რაც შესაძებელია წაკითხულ იქნეს, როგორც ქრისტე. ამ ორი ანტეფიქსიდან ერთის ფარზე გამოსახულ ჯვრის ზემოთ ქანწილი მკაფიოდ გაირჩევა, მეორეზე კი ჯვრის გასწვრივ რელიეფურ „ღილში“ იგივე გრაფემის ამოცნობა საპრობლემოა.[47] ჩხალთის ნიმუშზე ჯვრის ზემოთ ფარის ზედაპირი მცირედ ატკეცილია, ხოლო უშუალოდ ამ დაზიანების ზემოთ ანტეფიქსის ქიმისკენ წაისრული შესქელებაა, რაც აქ რაიმე დაზიანებული გამოსახულების თუ გრაფემის არსებობის შესაძლებლობას არ გამორიცხავს. ბოლოს დასახელებულ ორ ანტეფიქსისა და ჩხალთის ნიმუშის საერთო ნიშანია შეწყალება-ვედრების შინაარსის განვრცობილი ტექსტის არქონა. მიუხედავად ამისა, ქრისტიანობის უმთავრესი სიმბოლოს — ჯვრის თანმხლები რომელიმე პირის სახელის აღმნიშვნელი წარწერა, თავისთავად ამ პირის უფლისადმი შენდობა-შეწყალება-ცხონების ვედრებას გულისხმობს.

ჩხალთის ანტეფიქსის ასოთა ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია გრაფიკაში კიდურტყუპწვეტოვნების თუ წაისრულობის არარსებობა, რომელიც ქართულ ლაპიდარულ დამწერლობაში X ს. II ნახ.-დან,[48] X ს. ამლევიდან[49] თუ X-XI სს. მიჯნით იწყება,[50] გავრცელებულია ქართული დამწერლობის გარკვეულ პერიოდში, კერძოდ X ს. დამლევსა და XI ს. პირველ ნახევარში, ტიპიურია XI ს.-ში და მას წამყვანი ადგილი უკავია ქართულ ლაპიდარულ წარწერებში XII ს. II ნახევრამდე.[51–54]

როგორც ითქვა, ჩხალთის ანტეფიქსის წარწერაში, Ⴔ(ბ)-ს და Ⴖ(ლ)-ს ბუნები საგრძნობლად დაგრძელებულია და ჩამოტანილია სტრიქონს ქვემოთ. ბუნიანი გრაფემების დაგრძელება და ორხაზოვნებიდან გამოსვლა ჯერ კიდევ VII ს.-ში იწყება, მაგრამ განსაკუთრებით დამახასიათებელია ეს IX-X სს. წარწერებისათვის.[55] გარეჯის მრავალმთის მონასტრის – საბერეების VII. ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ პილასტრის პირზე ასომთავრულ წარწერაში Ⴐ (ე) და Ⴒ(წ) გრაფემები სტრიქონს ქვემოთ საგრძნობლად ჩამოზიდულობის გათვალიწინებით ზ. სხირტლაძე ამ წარწერას X-XIსს.-ით ათარიღებს.[56] ჩხალთის ანტეფიქსზე აღნიშნული ასოების უჩვეულოდ გრძელი ბუნით გამოსახვა შესაძლოა, ჯვრის ქვედა მკლავსა და Ⴕ(თ)-ს შორის ადგილის სიმჭიდროვით აიხსნას, რის გამო აუცილებელი შეიქმნა Ⴖ(ლ)-ს წრის ქვემოთ ჩამოტანა; მაგრამ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ, Ⴔ(ბ)-ს ბუნიც სტრიქონს ქვემოთაა ჩამოზიდული, რამაც გამოიწვია მისი მარჯვენა ჰორიზონტალური ხაზის ძალზე დამოკლება და ეს მაშინ, როდესაც ჯვრის ქვედა მკლავი ზემოთ თანდათანობით ვიწროვდება და, Ⴔ(ბ)-ს ბუნი თუ შედარებით მოკლე იქნებოდა, ჰორიზონტალური ხაზის სიგრძეც მოიმატებდა. Ⴖ(ლ)-ს ზედა ბუნის, განივი ხაზის დამოკლების და მასზე მიერთებული ვერტიკალური შტრიხის დავიწროების შემთხვევაში, ქვედა წრისთვის ჯვრის ქვედა მკლავსა და Ⴕ(თ)-ს შორის საკმარისი ადგილია. მაშასადამე, ჩხალთის

ანტეფიქსის გრაფემათა ორხაზოვნებიდან გამოსვლის მიზეზი ფარის შეზღუდული ფართი კი არა, არამედ ქართულ ლაპიდარულ დამწერლობაში მიმდინარე ევოლუციური პროცესია, რის გათვალისწინებითაც კერამიკული დამწერლობის ეს ნიმუში X ან XIს. დასაწყისით თარიღდება. ამასთანავე,გრაფემათა გაწყობისას არ უნდა გამოირიცხოს წარწერის შემსრულებლის მხრივ მხატვრულ-ესთეტიური გააზრება და გადაწყვეტა. სახელდობრ, Ъ(ლ)-ს ბუნს ქვემოთ წრე კი არ იკვრება, არამედ რკალი თანდათანობით ვიწროვდება და Ѳ(თ)-ს ძირთან წვრილ, მახვილ ზოლად წყდება, რაც წაისრულობის მხოლოდ ილუზორული ეფექტია. საზოგადოდ Ъ(ლ)-სთვის მსგავსი მოხაზულობა დასახელებულ პერიოდში გამონაკლისი თუ არა,ფრიად უჩვეულოა ისევე,როგორც კერამიკული დამწერლობის ძეგლებში ჩხალთის ანტეფიქსის დარი, Ч(ბ)-ს და Ъ(ლ)-ს ქვემოთ არსებული ვერტიკალური რელიეფური ზოლები. მხატვრული მიდგომის კუთხით, ყურადღებას იქცევს, როგორც ანტეფიქსის მომჩარჩოებელი, მათ შორის განთავსებული, გრაფემებს ქვემოთ მდებარე ზოლების და უშუალოდ გრაფემების გამომსახველი რელიეფური ხაზები, რომლებიც დამრეცდ ვიწროვდებიან რა, ფარის ზედაპირზე მკვეთრად წამახვილებულ ფორმას იძენენ. ამ რიგის მხატვრულ-ტექნიკური გადაწყვეტა შუქ-ჩრდილის ეფექტს აძლიერებს და ფარის ფონზე გრაფემებსა და ჯვარს მკვეთრად გამოყოფს. ერთი სიტყვით, მეთუნე ოსტატის მიერ გამოყენებული მხატვრული ხერხი ანტეფიქსზე გამოსახული წარწერის ანუ ქტიტორისა თუ ეკლესიაზე გარკვეული უფლების მქონე პირის სახელის წაკითხვას აიოლებს.

გარკვეული ასოები, მათ შორის Ъ(ლ) V-VIII სს.-ში იწერებოდა დამატებითი განივი ხაზის გარეშე, ხოლო IX ს.-დან მათ უჩნდებათ ასეთი ხაზები[57]. ჩხალთის ანტეფიქსზე მითითებულ ასოს დამატებითი განივი ხაზი არ გააჩნია, მაგრამ ეს გარემოება თარიღის განმსაზღვრელ მონაცემად არ უნდა იქნეს მიჩნეული,

არამედ წარწერის ზემოხსენებული კომპოზიციური წყობით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით, Ⴔ(ბ)-ს თავის მკვეთრი კუთხოვნება, ე.ი. ის ტენდენცია, რომელიც ქართულ მთავრულ გრაფემებში X ს.-დან იკიდებს ფეხს.[58] ამასთანავე, X ს. ლაპიდარულ თუ ფრესკულ წარწერებში ერთდროულად თანაარსებობენ როგორც კუთხოვანი, ასევე მცირედ კუთხოვანი და ნახევარწრიულ თავიანი, Ⴔ(ბ) გრაფემები. სახელდობრ აღნიშნული გრაფემა არაკუთხოვანია კუმურდოს ტაძრის სამხრეთ ფასადზე გამოქანდაკებულ X ს. II ნახ. ვაჩე ერისთავის საალაპე წარწერაში,[59] მცირედ კუთხოვანია საბერეების VII ეკლესიის საკურთხეველში, უფლის დიდების კომპოზიციაში გამოსახულ, საყდარზე მჯდომი ქრისტეს გადაშლილ წიგნზე X ს. ასომთავრულ წარწერაში,[60] კუთხოვანია ფიას წმინდა თევდორეს ეკლესიის დასავლეთის სარკმლის თავზე არსებულ 995 წ. ახლო დროის მჭედელ გიორგის მოსახსენებელ წარწერაში.[61] ქართულ ასომთავრულში სპეციფიკურია ასო Ⴕ(თ)-ს გრაფიკა. „თან“ ნიშნის შემთხვევაში შეუძლებელია ძირითადი ელემენტის ფორმალური განსაზღვრა: ნახევარწრეხაზი თუ ვერტიკალური ხაზი.[62] საბერეების VII ეკლესიის ზემოხსენებულ საკურთხევლის ფრესკის X ს. წარწერაში „თანის“ მუცელი ასომთავრული „ონის“ მსგავსად წრიული (ოვალური) ფორმისაა. ამ უკანასკნელისაგან „თან“ – ასოს მხოლოდ ის განასხვავებს, რომ კუდი მუცელს ზემოთ უერთდება.[63] ანალოგიური მოხაზულობისაა რამდენიმე „თან“ გრაფემა ბოლნისის სიონის სამხრეთი კარის ბალავრის ქვაზე ამოღარულ X ს. II ნახ. ელია ბოლნელის ღამისთევის დაწესების შესახებ წარწერაში, თუმცა იქვე გამოყენებულია განსხვავებული გრაფიკის – ნახევარწრეხაზი ვერტიკალური ხაზით – „თანი“.[64] ამავე დროს, X ს. რიგ ლაპიდარულ ძეგლებში „თანი“, მსგავსად ჩხალთის ნიმუშისა, სწორხაზოვნებისა და მარცხნივ კიდეებში ოვალურად მორკალვის ტენდენციას ავლენს, რისი მაგალითიცაა კუმურდოს ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე ხუროთმოძღვარ(?) გიორგის 864 წ. მოსახსენებელი წარწერა.[65]

ნუსხურის გავლენა მთავრულ დამწერლობაში მნიშვნელოვანია IX ს.- დან და განსაკუთრებით Xს.-ში. მრგვლოვანი მთავრული კუთხოვანი ხდება.[66] ამ პერიოდის ნუსხურნარევ ასომთავრული თუ ასომთავრულნარევ ნუსხური ლაპიდარული დამწერლობის ძეგლებში ტიპიური ნუსხური ,,თანის“ პარალელურად გამოიყენება მთლიანად კუთხოვანი ასო,მუცლის არა ზედა ხაზის გასწვრივ,არამედ ცენტრში გამოყოფილი ხაზით. მაგ.: Xს. სამშენებლო წარწერა ფებრონიასი ლისის-ჯვრის ეკლესიის სამხრეთის კარის თავზე და X-XI სს. მიჯნის მოსახსენებელი ახალქალაქელთა დაშბაშის ღვთისმშობლის ეკლესიის ახლოს ე. თაყაიშვილის მიერ მიკვლეულ ქვაზე.[67] XI ს.-დან ნუსხურის გავლენა რამდენადმე მცირდება, მთავრული დამწერლობა კვლავ მრგვლოვანი ხდება, განუსხურებული ასოები, მათ შორის ,,ბანი“ (რომელსაც ნაკლებად შეეხო ტრანსფორმაცია) და ,,თ-ანი“ კვლავ იბრუნებენ ასომთავრულ მოყვანილობას.

ჩხალთის ანტეფიქსის შექმნის თარიღის რკვევისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ,,ბ-ანი“ თავის მთლიანად, ხოლო ,,თ-ანის“ ნაწილობრივ კუთხოვნება, რის საფუძველზეც იკვეთება გარკვეული ქრონოლოგიური ფარგლები. X ს. შუა ხანები, ან მიწურული და არაუგვიანეს XI ს. I ნახევარი. ასოების გრაფიკა მოკლებულია სტილიზაციას; კერძოდ Xს. ლაპიდარულდამწერლობაში შესამჩნევ კიდურწერტილოვნებას და X ს. II ნახევრიდან ჩასახულ მცირედხაზგასმულ კიდურწაისრულობას, რაც XI ს.-ში ტიპიური ხდება.[68] აღნიშნული სტილისტური ნიშნები გარკვეულ პერიოდში აუცილებელ ნორმას რომ არ წარმოადგენდნენ, ამის მოწმობაა X ს. სამშენებლო წარწერის ფრაგმენტი ქასაგინის ეკლესიიდან და სხვ.[69] აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, შესაძლებელია ჩხალთის ანტეფიქსის შექმნის თარიღის X ს.-ით დაკონკრეტება.

ქართულ და სომხურ საისტორიო წყაროებში გვხვდება საკუთარი სახელი – აბულეთი. მდინარეების ფრონესა და ოჟორას შესართავთან, ზემო-ლისად წოდებულ ადგილზე მდებარეობს მცირე

ზომის დარბაზული ეკლესია სამხრეთი კარის თავზე ამოღარული, X ს.-ით დათარიღებული, ნუსხურნარევი ასომთავრული წარწერით, რომელიც გვაუწყებს, რომ ეკლესია თავისი ძმის, თურქებისაგან დატყვევებული აბულეთის სულის საფარველად აუგია მონაზონ ფებრონიას.[70-71] დავით აღმაშენებლის ზეობისას – 1110 წ.-ს განვითარებულ ერთ მოვლენასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: ,,შეკრბეს გიორგი ჭყონდიდელსა და მწიგნობართუხუცესსა წინაშე თევდორე, აბულეთი და ივანე ორბელი და სიმრავლით მოიპარეს სამშვილდე".[72] სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის ცნობით, 1130 წელს უფლისწულს და ივანე აბულეთის ძეს უნდოდათ მეფე დემეტრე I-ის მოკვლა. მაგრამ,ივანეს მამა აბულეთი თავის შვილს წინაღუდგა, ჭაღარა გაიშალა და განზრახულის ასრულება დაუშალა.[73] სახელი – აბულეთ მოხსენიებულია ისტორიულ საბუთში: ,,დაწერილი ჩაფქვასძეთა გრიგოლ ვერხუასძისადმი" (1277/1260 წწ. შუალედი), საიდანაც ვიგებთ რომ აბულეთმა გაუთავისუფლა ვერხუაისძეს ღალისაგან ვენახები და ყანები.[74] რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, ესაა სახელ აბულეთის საისტორიო წყაროებში გამოცალკევებით მოხსენიების უკანასკნელი შემთხვევა. მანამდე და შემდგომაც ვხვდებით სახელთან დართულ გვარ აბულეთისძეს. მაგ.: ძაგან და მისი ძმა – 1123-1124 წწ. ,,ანდერძებში დავით მეფისა მღვიმესადმი". ყარბულა – ,,დაწერილი ძაგან აბულეთისძისა მღვიმესადმი" (1259 წ.), ქირქიში (თირქაში) – ,,დაწერილი კახა თორელისა რკონის ღმრთისმშობლისადმი" (1260 წ.)[75].

აბულეთისძე რომ ნამდვილად საკუთარ სახელ აბულეთისგან წარმოქმნილი გვარია, ამის მოწმობად შეიძლება მოვიხმოთ 1259 წ. ისტორიული საბუთი: ,, დაწერილი ძაგან აბულეთისძის მღვიმისადმი'', სადაც მისი ავტორი საკუთარ თავს მოიხსენიებს როგორც: ,,მე, აბულეთისძემან ძაგანმან, ძემან ერისთავთ-ერისთავისა იოვანესმან..."[76]. ე.ი. ამ შემთხვევაში აბულეთისძე იოვანე ერისთავთ-ერისთავის ძაგანის გვარია და არა მამისშვილობის განმარტება.

როგორც ჩანს, საკუთარი სახელისაგან ნაწარმოები გვარი – აბულეთისძე სოციალური პრივილეგიის აღმნიშვნელ წოდებად ტრანსფორმირდა. ნ.ბერძენიშვილმა გაარკვია, რომ დიდგვაროვან აბულეთისძეთა სახლი, რომელიც დაახლოებით X ს.-დან ეფუძნება ხერკ-მუხრან-ზედაზენში, ,,გადაურჩა ყველა ქარიშხალს XII-XIV საუკუნეებში, ის მხოლოდ მე-XIV საუკუნეში გადაშენებულა და აბულეთისძეობა მეფეს დიდად და საპატიოდ შეწყალებული აბაზაძის მარიელის სახლისათვის უბოძებია“.[77] აბულეთისძეთა მონაცვლეთ ადრინდელი გვარწოდება გვიანაც შეუნარჩუნებიათ, რაზეც მეტყველებს ამილახორ ხიმშიას (XV ს.) გვარ-ტიტული – აბულეთისძე-აბაზასძე-მარიელი.[78]

ნაკლებად სავარაუდოა, რომ აქ მითითებულ პირებს, რომელთაც ერქვათ აბულეთ-აბულეთი თუ ამ სახელისაგან ნაწარმოები გვარის მქონე სოციალური ზედა ფენის წარმომადგენელნი იყვნენ, რაიმე აკავშირებდეთ ჩხალთის ანტეფიქსთან,მით უმეტეს,რომ კერამიკული დამწერლობის განხილული ნიმუში პალეოგრაფიული მონაცემებით (ლისის-ჯვრის ეკლესიის ლაპიდარული წარწერის გამოკლებით), დასახელებულ ისტორიულ წყაროებს ქრონოლოგიურად წინ უსწრებს. ჩვენი მიზანი იყო წარმოგვეჩინა შუა საუკუნეების საქართველოში თუ რაოდენ პოპულარულია ჩხალთის ანტეფიქსზე არსებული სახელი).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სვანეთში საკუთარი სახელის – აბულეთის და, შესაძლოა, მისგან ნაწარმოები გვარის გარკვეულ პერიოდში გავრცელების ფაქტი მოულოდნელობას არ უნდა წარმოადგენდეს. კერძოდ, მესტიის მუნიციპალიტეტ სოფელ კალას წმინდა კვირიკეს ეკლესიის (,,ლაგურკა“) ხის თაროს განივ პირზე ამოწვით შესრულებულ XI ს. სავედრებელ წარწერაში იკითხება სახელი აბულეთ.[79] მატიანე სვანეთის კრებისაში, ,,ებუდს ამას კრებასა“ (XIII ს. II ნახ.) მოიხსენებიან ვინმე გიორგი აბულეთიანის და ხვერგუ აბულეთიანისა.[80] ეს გვარი,რომელიც ამჟამად სვანეთში

არ გვხვდება, საკუთარ სახელ აბულეთ-აბულეთი-საგან უნდა იყოს ნაწარმოები. სვანურ საკუთარ სახელთა მორფოლოგიასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ მათი უმეტესობა სახელობით ბრუნვაში უნიშნოა (მაგ.: მამქან, ვეშაგ, ბეშქენ, ჩხაგუ, არღუნ, სადირ, ბახქარ, თაგირ და სხვ.), რაც ბუნებრივია სვანური ენისათვის, სადაც საკუთარი სახელის სახელობითი ბრუნვა არასოდეს განსაზღვრული არ უნდა ყოფილიყო.[81] მ. ქალდანის დაკვირვებით, XIIIს. სულთა მატიანეში ბევრი საკუთარ სახელად ხმარებული მასალა სახელობით ბრუნვაში – ი ნიშნიანია. ეს იმიტომ, რომ ეს სახელები საზოგადო სახელებია წარმოშობით და ჯერ კიდევ საკუთარ სახელებად დამკვიდრების პროცესში იმყოფებიან. ამიტომ სახელობითის – ი საზოგადო სახელებისგან მოჰყვებათ მათ საკუთარ სახელებში. ამასთანავე, ბევრი ადრინდელი სვანური საკუთარი სახელი დროთა ვითარებაში ან უკვალოდ გადაშენებულა, ან ისე შეცვლილა, რომ ახლა გამოცნობა ჭირს. ზოგი მათგანი შემოინახა შტოგვარის სახელებმა. ახლა სვანურში არსად გვხვდება საკუთარ სახელებად: აფაქ, რუჩაგ, ჩარკვილა, ჭუშ, მაგრამ ყველა ეს სახელი შემოგვინახა გვარ-სახელებმა, რომელთა ფუძეც ეს აწ დაკარგული საკუთარი სახელებია. მაგ.: აფაქ-იან, რუჩაგ-იან, ჩარკვ-იან, ჭუშლ-იან. გამონაკლის შემთხვევებში გვარ-სახელისათვის ამოსავალი საკუთარი სახელი თან ერთვის ამ გვარ-სახელს: აფაქ აფაქ-იან, რუჩა გრუჩა-გიან, ჩარკვალა ჩარკვ-იან.[82]

აბულეთ-აბულეთი-ს მაგალითზეც საკუთარი სახელის გვარად ტრანსფორმაციის დაახლოებით მსგავსი სურათია. კერძოდ, საკუთარი სახელი აბულეთ-აბულეთი X-XIII ს. დასაწყისის შემდგომ ერთეული გამონაკლისის სახით გვხვდება. კერძოდ კი ზემოხსენებულ ისტორიულ საბუთში ,,დაწერილი ჩაფქვასძეთა გრიგოლ ვერხუაისძისადმი“ (1247-1260წწ.)83.

სათანადო მასალის ანალიზის საფუძველზე გარკვეულია,რომ სამშენებლო კერამიკული დამწერლობის ძეგლები ძირითადად

ეკლესიის მშენებელთა თუ მათ აღმდგენ-განმაახლებელ პირთა შენდობა-შეწყალების და სულის ცხონებისთვისაა განკუთვნილი. გ. ღამბაშიძის დაკვირვებით: „...ტაძრის სახურავის კრამიტზე არსებულ... შენდობის მავედრებელ მოსახსენებელ წარწერაში, რომელსაც სამშენებლო-ქტიტორული წარწერის მსგავსად, მოსახსენებელ-მემორიალურთან ერთად, იურიდიული შინაარსიც ჰქონდა, ეკლესიაზე უფლების მქონე სასულიერო თუ საერო პირის სახელი თუ შეიძლებოდა აღნიშნულიყო“.84 მაშასადამე, ჩხალთის ნაეკლესიარიდან მომდინარე ანტეფიქსის წარწერაში მოხსენიებულ აბულეთსაც აღნიშნულ ტაძარზე გარკვეული უფლებები გააჩნდა, რაც მის პრივილეგირებულ სოციალურ სტატუსზე მიანიშნებს.

ბოლოს შეიძლება დავასკვნათ, რომ პალეოგრაფიული, ონომასტიკონის, სახელდობრ ანთროპონომიკის და მხატვრულ-სტილისმიერი მონაცემების თანახმად, ჩხალთის X ს. ანტეფიქსი ერთის მხრივ უტყუარად მოწმობს პოლიტიკურ-კულტურულად კოდორის ხეობის ქართულ სახელმწიფოებრივ წიაღში ოდითგანვე ორგანულად ჩართულობის ფაქტს, მეორეს მხრივ კი, ამ კუთხის სოციალური განვითარების დონის კვლევის თვალსაზრისით, მას საყურადღებო დამატებითი ინფორმაციის მქონე ძეგლის მნიშვნელობა გააჩნია.

შენიშვნები და ლიტერატურა:

1. შ. ჩართოლანი, მ. ცინდელიანი, კოდორის ხეობის „დალ“-ის მხარის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 2010, გვ. 16-17, ტაბ. XII.
2. თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის „გეოგრაფია“, თბ., 1957, გვ.127.
3. А. Болтунова. Описание Иберии в „Географии“ - Страбона. – Вестник древней истории, № 4, 1947, გვ. 142-160.
4. ა. აფაქიძე, სამშენებლო კერამიკის წარმოების საკითხისათვის ანტიკური ხანის ქართლის სამეფოში. – ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. II, თბ., 1959 (იიშ), გვ. 106-107.
5. ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963, გვ. 70.
6. გ. იფიანი, კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები, თბ., 2000, გვ.18-19.
7. Ю. Гагошидзе, Самадло (археологические расскопки), III, 1998, გვ. 38.
8. ჯ. ჯღამაია, სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში, თბ., 1980, გვ. 15.
9. პ. ზაქარაია, ვ. ლექვინაძე. გ. გვინჩიძე, ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ ჩატარებული მუშაობის ანგარიში. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VI, თბ., 1978, გვ. 78, ტაბ. XVIII 2-1.
10. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 349.
11. ა. კალანდაძე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1958 წ. სეზონის ძირითადი შედეგებისათვის, გვ. 15.
12. პ. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1965, გვ. 83-67.
13. ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი. ურბნისი, I, თბ., 1962, გვ. 3.
14. კ. წერეთელი, მ. ცინდელიანი. ანტეფიქსი ალავერდის მონასტრიდან. – ამირანი. კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე XXს., მონრეალი-თბილისი, თბ., 2009, გვ. 46-53.

15. ბ. მაისურაძე,რ. რუსიშვილი. შირაქის ექსპედიცია 1988-1991წლებში. – არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992წლებში (მოკლე ანგარიშები), თბ., 2004, გვ. 35, ტაბ. X.
16. გ. ყიფიანი. სვეტიცხოვლის ეზოში აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალები. – მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტი, V სამეცნიერო სესია, 2000 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბ., 2001, გვ. 41.
17. პ. ზაქარაია, ვ. ლექვინაძე, გუდავაში 1974 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, III, თბ., 1974 (11მაე), გვ. 25-26, ტაბ. 32.
18. პ.ზაქარაია, თ.კაპანაძე. ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება, თბ., 1991, გვ. 257, სურ. 9, ტაბ. IV-2.
19. მ. დვალი, მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი, თბ., 1974, გვ. 25-26, ტაბ. 32-1.
20. პ. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1965, გვ. 117-118.
21. ლ. მუსხელიშვილი. არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში, თბ., 1941, გვ. 19-21.
22. გ.ყიფიანი. სვეტიცხოვლის ეზოში აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალები. – მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტი, V სამეცნიერო სესია, 2000 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბ., 2001. გვ. 41.
23. Frolow. Les relignaires de la vraie croix. Paris, 1965, გვ. 178.
24. ნ. აზაურიშვილი, ოთხი ჯვარი ხელოვნების მუზეუმის „ათონური ტიპის ჯვრების“ კოლექციიდან. – საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, V, თბ., 1988 (161 მნ), გვ. 125.
25. Апокриптические сказания о Христе, С-ПБ., 1912, გვ. 73.
26. К. Мачабели. Каменные кресты Грузии, Тб., 1988, გვ. 44.
27. გ. ჯავახიშვილი. ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები, თბ., 1998, ტაბ. XXVII-1,2, XXXIX-2.
28. გ. ღამბაშიძე. „არსენ?მ“-ის სამშენებლო კერამიკული წარწერა

ტყობ?ა-?ერდას (ინგუშეთი) ქრისტიანული ტაძრიდან. – ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, VI, თბ., 1988, გვ. 104.
29. Г. Чубинашвили, Болниси, Тб., 1940, გვ. 174-178.
30. Г. Чубинашвили, Болниси, Тб., 1940, ტაბ. IV-2, ნახ. 114.
31. ვ. ჯაფარიძე, ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან, თბ., 1982, ტაბ. XXXIV-2; 29, ნახ. 32.
32. ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი. ტექსტი, მასალის შერჩევა და ნახატები რენე შმერლინგისა, თბ., 1954, ნახ. 32.
33. ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი. ტექსტი, მასალის შერჩევა და ნახატები რენე შმერლინგისა, თბ., 1954, ნახ. 42, 47, 56.
34. გ. ღამბაშიძე, „არსენ?მ"-ის სამშენებლო კერამიკული წარწერა ტყობ?ა-?ერდას (ინგუშეთი) ქრისტიანული ტაძრიდან. – ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, VI, თბ., 1988, გვ. 89.
35. ჯ. ჯღამაია,სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში, თბ., 1980, ტაბ. XIV-XV, XIX,XXI-2,3, XXII-XXIII.
36. თ. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1961, გვ. 131-132, სურ. 57.
37. ლ. ჭილაშვილი, არეში, თბ., 1991, ტაბ. XXIII-XXIV, XXIX-2.
38. ჯ. ჯღამაია,სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში, თბ., 1980, ტაბ. XX, XXI-1.
39. გ. ღამბაშიძე, „არსენ?მ"-ის სამშენებლო კერამიკული წარწერა ტყობ?ა-?ერდას (ინგუშეთი) ქრისტიანული ტაძრიდან. – ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, VI, თბ., 1988, ტაბ. X VI.
40. ვ. ჯაფარიძე, ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან, თბ., 1982, გვ. 93, ტაბ. V-VI.
41. ჯ. ჯღამაია,სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში, თბ., 1980, გვ.55, ტაბ. XXII-3.
42. ლ. ჭილაშვილი, არეში, თბ., 1991, გვ. 103-104.
43. გ. ლომთათიძე, ნ. უგრელიძე. მთაქართლის ექსპედიციის არმაზისხევის რაზმის ნამუშევარი 1964წელს. – XIX სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1964წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოკლე ანგარიშები, თბ., 1965, გვ. 56-57.

44. ბ. ჯორბენაძე, ჟალეთის მთის არქეოლოგიური ძეგლები. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 4, 1982, გვ. 148.
45. ჯ. ჯღამაია,სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში, თბ., 1980, გვ. 49-50, ტაბ. XVI.
46. ჯ. ჯღამაია,სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში, თბ., 1980, გვ. 50-51, ტაბ. XVII-XVIII.
47. ჯ. ჯღამაია,სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში, თბ., 1980, გვ. 50-51, ტაბ. XVI-XVIII.
48. ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-Xსს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 31,33.
49. თ. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1961, გვ.11.
50. გ. ღამბაშიძე. „არსენ?მ''-ის სამშენებლო კერამიკული წარწერა ტყობ?ა-?ერდას (ინგუშეთი) ქრისტიანული ტაძრიდან. – ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, VI, თბ., 1988, გვ. 92-93.
51. თ. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1961, გვ. 68.
52. ზ. სხირტლაძე,მრავალძალის წმინდა გიორგის ეკლესია. - „ძეგლის მეგობარი“, № 60, 1982, გვ. 48.
53. ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-Xსს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 33.
54. В. Силогава, Грузинские лапидарные надписи Заподной Грузии X-XVIIIв.в., как исторический источник. Автореферат на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 1973, გვ. 13.
55. ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-Xსს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 33.
56. ზ. სხირტლაძე, საბერეების ფრესკული წარწერები, თბ., 1985, 71.
57. ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები,

აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-Xსს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 32.
58. ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-Xსს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 33.
59. ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-Xსს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 266-267.
60. ზ. სხირტლაძე, საბერეების ფრესკული წარწერები, თბ., 1985, გვ.62.
61. ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-Xსს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 270-271.
62. თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა, თბ., 1989, გვ. 167.
63. ზ. სხირტლაძე. საბერეების ფრესკული წარწერები, თბ., 1985, გვ. 63, ნახ. 32.
64. ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-Xსს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 248-250.
65. ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-Xსს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 265-266.
66. ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-Xსს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 29.
67. ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-Xსს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 190-191, 247-248.
68. ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-Xსს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 33.

69. ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-Xსს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 136-137, 139-140, 188.
70. ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-Xსს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 190-191.
71. Р. Меписашвили, В. Цинцадзе. Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида Картли, Тб., 1975, გვ. 103-104.
72. ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 331.
73. ჯ. სტეფნაძე, დემეტრე პირველი, თბ., 1990, გვ. 12.
74. ქართული ისტორიული საბუთები, IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 134-136.
75. ქართული ისტორიული საბუთები, IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 52-59, 129-141, 145-160.
76. ქართული ისტორიული საბუთები, IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 139-140.
77. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1990, გვ. 339,344.
78. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ., 1991, გვ. 65.
79. სვანეთის წერილობითი ძეგლები, X-XVIII სს., ეპიგრაფიკული ძეგლები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარი აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბ., 1988, გვ. 128, სურ. 46.
80. პ. ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. II, ტექსტები. თბ., 1941, გვ. 146-147.

81. ზ. ჭუმბურიძე. საკუთარ სახელთა ბრუნვა სვანურში. – თსუ ძველი ქართული ენის კათედრა, შრომები, 9, თბ., 1965, გვ. 151-157.
82. მ. ქალდანი. სვანური საკუთარი სახელების სემანტიკა და სტრუქტურა (სულთა მატიანის მასალათა მიხედვით). – ონომასტიკა, I, თბ., 1987, გვ. 304-307.
83. ქართული ისტორიული საბუთები, IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 125.
84. გ. ღამბაშიძე. „არსენ?მ"-ის სამშენებლო კერამიკული წარწერა ტყობ?ა-?ერდას (ინგუშეთი) ქრისტიანული ტაძრიდან. – ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, VI, თბ., 1988, გვ. 102.

† Kakha Tsereteli, Malkhaz Tsindeliani

A Sample of Building Ceramics From the Kodori River Gorge

Summary

A tenth-century AD antefix coming from Chkhalta village has been studied from palaeographic, artistic and stylistic points of view. The evidences acquired from the examinations firmly point to the fact that the Kodori gorge was a socially highly developed micro region and an organic member of the Georgian statehood.

† Каха Церетели, Малхаз Цинделиани

Один образец строительной Керамики из Кодорского ущелья

Резюме

На основе палеографического и художественно-стилистического анализа выяснилось, что антефикс X века из села Чхалта без какого либо сомнения доказывает тот факт, что Кодорское ущелье всегда было органически включено в недра грузинской государственности свидетельством чего и является высокий уровень развития этого микро региона.



პროფესორი გელა გამყრელიძე – 65

გელა გამყრელიძე ორმოცდახუთ წელზე მეტია ერთგულად ემსახურება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას. მკვლევარი წარმატებით იკვლევს საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის ისეთ სა კითხებს, როგორიცაა ანტიკური ხანის და ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს, იბერია-კოლხეთის არქეოლოგიური ძეგლების ტოპოარქეოლოგია და ტიპოლოგიურ-ფუნქციონალური კლასიფიკაცია; იბერია-კოლხეთის ურთიერთობები ანტიკურ და ირანულ სამყაროსთან; საკრალურ გამოსახულებათა იკონოგრაფია; სამხედრო არქეოლოგია (ფორტიფიკაცია, შეიარაღება); ბიოგეოგარემოს გავლენა ძველი საქართველოს საზოგადოების ისტო რიული განვითარების პროცესზე. აღსანიშნავია, რომ მან შეიმუშავა ბიოგეოგარემოს და ისტორიული განვითარების პროცესის ახალი, ორიგინალური მოდელი. ჩამოთვლილ პრობლემებზე საქართველოში და საზღვარგარეთ (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი) გამოქვეყნებული აქვს სტატიები და წიგნები. იგი 13 წიგნისა და 90-მდე ნაშრომის ავტორია. გ. გამყრელიძე საქართველოს არქეოლოგიის რვა ტომეულიდან ერთ – ერთის თანაავტორია. კერძოდ, მის მიერაა დაწერილი საქართველოში არქეოლოგიის განვითარების ისტორია. გ. გამყრელიძის ხელ-მძღვანელობით და თანაავტორობით შეიქნა და გამოიცა „ქართლის ცხოვრების“ ტოპოარქეოლოგიური ცნობარი.

თბილისის სახ. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გ. გამყრელიძემ მეცნიერული კვლევა-ძიების სკოლა ძველი საქართველოს ისტორია-არქეოლოგიის ცნობილი მეცნიერ-არქეოლოგის აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით გაიარა. ბატონი ოთარის რეკომენდაციით არაერთგზის იყო მივლინებული ს.-პეტერბურგში ისეთ თვალსაჩინო სპეციალისტებთან, როგორებიც იყვნენ იოს. ბრაშინსკი და ქ. გარბუნოვა.

მკვლევარის სამეცნიერო საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საველე-არქეოლოგიურ კვლევებს. პირველად არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობა მიიღო 1969 წელს, ბიჭვინთის ნაქალაქარის ერთ-ერთ უბანზე, შემდგომში, წლების მანძილზე ვანის ნაქალაქარზე მუშაობდა და თანაზიარი იყო იმ დიდი აღმოჩენებისა, რამაც საქვეყნოდ გაუთქვა სახელი ვანის ნაქალაქარს და მის უბადლო ხელმძღვანელს ოთ. ლორთქიფანიძეს.

გ. გამყრელიძე მონაწილეობდა ვანის, სოფ. მთისძირის, ფოთის, ხაშურის, ნამახვამის, ფიჩორის, ბიჭვინთის, ქუთაისის, წალკის, ვალეს, სამშვილდის და სხვ. არქეოლოგიური ექსპედიციების კვლევა-ძიებაში. 1975-1979 წლებში აღმოაჩინა და არქეოლოგიურად შეისწავლა სოფ. მთისძირის (ვანის რ-ნი) ძვ.წ. V–ახ.წ. VIII სს. ნამოსახლარი. ჰიდროარქეოლოგიურად პირველმა შეისწავლა ზღვის შელფი – ბიჭვინთის, ყულევის, ანაკლიის, ფოთისა და ციხისძირის სანაპიროებთან. პალიასტომის ტბაში აღმოაჩინა და არქეოლოგიურად შეისწავლა გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ხანის ქალაქ ფასისის ნაშთები. ხელმძღვანელობდა ვანისა და ხაშურის არქეოლოგიური ექსპედიციის რაზმებს. ჩატარებული სამუშაოების სამეცნიერო-დოკუმენტური ანგარიშები ქვეყნდებოდა ПАИ-სა(თბილისი) და „Ao“-ში.

ბ-ნ გელას მრავალწლიანი ნაყოფიერი საველე და მეცნიერული საქმიანობა, რომლებსაც, უდაოდ დიდი სამეცნიერო ღირებულება გააჩნია, მის გამოკვლევებშია თავმოყრილი.

წიგნში „კოლხეთი“ განხილულია დასავლეთ საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, გეოგრაფიის, მითოლოგიის, წერილობითი წყაროთმცოდნეობის ფრიად აქტუალური საკითხები. ნაშრომში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კონკრეტული არქეოლოგიური მონაცემების, ძველი კოლხეთის რიგი პრობლემური საკითხების ახლებური რეკონსტრუქციის ცდა.

მკვლევარის მონოგრაფია „К археологии долины Фасиса“ ეძღვნება მდ. რიონის (ფასისი) ხეობის ანტიკური ხანის და ადრეული შუასაუკუნეების არქეოლოგიურ შესწავლას. რიონისპირეთი თავისებური ბიოგეოგარემოს გამო კოლხეთის დაწინაურებულ სამეურნეო-ეკონომიკურ მხარეს წარმოადგენდა, რაც კარგად ჩანს, ამ რეგიონში აღმოჩენილი არქეოლოგიური არტეფაქტებისა და წერილობითი წყაროებიდან. განხილულია ახალი არქეოლოგიური მონაცემები, შემოთავაზებულია ახალი თარიღები. ნაშრომის მეორე თავი ეხება უახლესი კვლევის შედეგებს მდ. რიონის ქვემო წელზე – ტბა პალიასტომთან III-VIII სს. სამოსახლოს ნაშთების აღმოჩენას და შესწავლას. შესაძლოა, რომ ამ ნამოსახლარის სახით ჩვენ საქმე გვქონდეს ბიზანტიური ხანის ფასისის ნაშთებთან. წიგნში დაწვრილებითაა შესწავლილი ამ ნამოსახლარზე აღმოჩენილი მასალა. მნიშვნელოვან შედეგად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე შავი ზღვის და მდინარე რიონის ბიოგეოგარემოს წამყვანი როლის წარმოჩენა დასავლეთ საქართველოში საზოგადოების ისტორიულ განვითარებაზე.

იბერია-კოლხეთის ისტორიისა და არქეოლოგიის მთელ რიგ საკითხებს გ. გამყრელიძემ მრავალი სტატია მიუძღვნა. სტატიაში „ანტიკური ხანა“ თუ „იბერიულ-კოლხური ხანა“? განხილულია საქართველოს არქეოლოგიის ქრონოლოგიური ეტაპები. შემოთავაზებულია ქრონოლოგიური ეტაპების ამსახველი ახალი ტერმინები. კერძოდ, ძველი საქართველოს, ძვ.წ. VII-IV სს. – ადრე იბერიულ-კოლხური ხანა; ძვ.წ. III-I სს. – შუა იბერიულ-კოლხური ხანა; ახ.წ. I-IV – გვიან იბერიულ-კოლხური ხანა.

სტატიაში „აზო-ფარნავაზის დროინდელი კოლხეთის ისტორიისათვის“ ყურადღება გამახვილებულია ქართლისა (იბერია) და კოლხეთის ურთიერთობების შესწავლაზე. გამოთქმულია მოსაზრება, რომ აზო-ფარნავაზის პერიოდის კოლხეთი, ზოგიერთი ზღვისპირა მონაკვეთის გარდა, ქართლის სამეფოში ეგრის-სვანეთის

მხარის სახით იყო გაერთიანებული. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ხსენებული პერიოდისათვის ანტიკურ ქვეყნებსა და იბერიის სამეფოს შორის კოლხეთის ზღვისპირეთში ძვ.წ. IV ს-ის მიწურულიდან განვითარდა ბუფერული ქალაქ-სახელმწიფოები.

საქართველოში მითრიდატეს სამხედრო მოქმედებათა მიმართულებები განხილულია სტატიაში ,,მითრიდატე ევპატორი და კოლხეთ-იბერიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი". გამოთქმულია ვარაუდი,რომ მითრიდატესა და იბერიის სამეფოს შორის არსებობდა გარკვეული შეთანხმება,რის მიხედვითაც მათ გავლენის სფეროებად გაიყვეს კოლხეთი. და რომ ვანის პირველი ნგრევის კვალი მითრიდატეს სამხედრო მოქმედებებს უნდა უკავშირდებოდეს.

ბ-ნ გ. გამყრელიძის კვლევის თემატიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ანტიკური ხანის ფასისის შესწავლას, ქალაქის ადგილმდებარეობის,დეფინიციის,სტრუქტურის განსაზღვრას. მან ამ საკითხების ისტორიულ-არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას არა ერთი სტატია მიუძღვნა. ქ. ფასისის შესწავლის ისტორია საუკუნე ნახევარს ითვლის,მაგრამ ჯერჯერობით მონაცემების სიმცირის გამო, რიგი საკითხების სრული გაშუქება შეუძლებელია. ძველი ფასისის ადგილმდებარეობა ანტიკური წერილობითი წყაროების მიხედვით ზოგადად განსაზღვრულია (იხ. სტრაბონი, არიანე), დღეისათვის მეცნიერების წინაშე ისევ დგას მისი ზუსტი ლოკალიზების პრობლემა, რადგან კლასიკური და ელინისტური ხანის ქალაქი არქეოლოგიური თვალსაზრისით ჯერ არ არის დადასტურებული. სამაგიეროდ აღმოჩენილია ადრებიზანტიური ხანის ფასისის ნაშთები.

გ. გამყრელიძის მოსაზრებით III-VII სს. ფასისია ე.წ. ,,ნატეხების" ნამოსახლარი,რომელიც აღმოჩნდა ქ. ფოთის სამხრეთ ნაწილში. ის ფიქრობს, რომ ლოკალური გეომორფოლოგიური ცვლილებების გამო, ქალაქი, მოცემული მონაკვეთის ფარგლებში, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ადგილზე ინაცვლებდა. 1985 წელს, კვლევა-ძიების პროცესში,შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური

ექსპედიციამ (ხელმძღვანელი გ. გამყრელიძე), პალიასტომში სწორედ ამ ნამოსახლარის ნაშთებს მიაკვლია.

მკვლევარის აზრით, სასურველია, რომ პალეოგეომორფოლოგიური კვლევისას გამოყენებული იყოს კოსმოსური გადაღებები სათანადო კომპიუტერული დეშიფრირებით. ეს იმიტომ, რომ გაირკვეს თუ წინათ სად უერთდებოდა რიონი (ფასისი) ზღვას და რა მიმართებაშია გვიანბრინჯაო-ადრერკინის და ანტიკური ხანის ნამოსახლარები მასთან. ხსენებულ რეგიონში მხოლოდ აეროფოტოგადაღებებმა სასურველი შედეგი ვერ მოგვცა. საყურადღებოა, რომ იქ ერთის მხრივ ხდება რიონის მიერ საუკუნეების განმავლობაში დიდძალი ნაშალი მასალის გამოტანა, რაც ალბათ დელტის ზღვაში გაწევას იწვევდა; ხოლო მეორეს მხრივ ხდებოდა ზღვის დონის აწევა, რასაც სანაპიროს მიტაცება მოყვა. დღეისათვის ყულევი-ფოთი-ურეკის სანაპიროზე, ზღვასთან ძველი ნამოსახლარები აღმოჩენილია ფოთის ჩრდილოეთით სოფ. ყულევში,მდ. ხობის შესართავთან (გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა), აგრეთვე მდ. ცივასთან (ძვ.წ. VI-IV სს.), ანტიკური ხანის ფენები დადასტურებულია ფოთიდან სამხრეთით მდ. სუფსის შესართავთან და ფოთში, ,,ნატეხების“ ნამოსახლარზე (მაგ. ძვ.წ. IV ს. შავლაკიანი ჭურჭლის ნატეხი და როდოსული ამფორის ქუსლი).

საყურადღებო ფაქტია, რომ მარტო 1872 წლიდან 1965 წლამდე ფოთის მიდამოებში ზღვამ მიიტაცა 200 მ-მდე სიგანის მიწის მონაკვეთი. ამ მონაცემებით გამოდის, რომ ფასისი ზღვაში უნდა იყოს დაძირული. ამის დასტურია აგრეთვე მეცნიერ-გეოგრაფების მონაცემები, რომლის მიხედვითაც შავ ზღვაში ე.წ. ფანაგორიული რეგრესიის დამთავრების მერე, დაახლოებით ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე, დაიწყო ზღვის ტრანსგრესია. შედეგად, ზღვის დონემ საგრძნობლად აიწია. შესაბამისად ძველი ნამოსახლარები ზღვის ქვეშ უნდა მოყოლილიყვნენ. კერძოდ, ამგვარი პროცესები განვითარდა ჩრდილოეთ და სამხრეთ (მაგ.

სინოპი) შავიზღვისპირეთში, სადაც მთელი რიგი ანტიკური ხანის ნაქალაქარები მოექცნენ წყალქვეშ.

ფოთ-გრიგოლეთთან ზღვის შელფში გ. გამყრელიძის მიერ ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიებისას გაირკვა, რომ ზღვის ფსკერზე გეომორფოლოგიური მდგომარეობა ფრიად რთულია. მდ. რიონს დიდი რაოდენობით შლამი გამოაქვს და ზღვის ღელვის დროს წყალქვეშ წარმოიქმნება ქვიშის დიუნები. შესაბამისად, ფასისის ნაშთები ქვიშის სქელი ფენით არის დაფარული. ამრიგად, გ. გამყრელიძის აზრით, დღევანდელი გეომორფოლოგიური და ტოპოარქეოლოგიური მონაცემების შეჯერების მიხედვით, კლასიკური და ელინისტური ხანის ფასისი საძებნელია ქ. ფოთიდან დაახლოებით 12 კმ რადიუსის ფარგლებში — ხმელეთზე და ზღვაში, უფრო კონკრეტულად კი ყულევი-ფოთი-სუფსის და ჭალადიდ-საქორქიოს შორის მდებარე სამკუთხედში. საფიქრებელია, რომ ქ. ფასისის ნაწილი ხშირად ხვდებოდა წყალში. ამიტომ მნიშვნელოვანია კვლევის შედეგად მიღებული დასკვნა, რომ ქალაქი ფასისი ხსენებული სამკუთხედის ფარგლებში, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ადგილზე ინაცვლებდა.

ზღვის ფსკერზე მოქცეული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კვლევის მიზნით გ. გამყრელიძის ინიციატივით შეიქმნა შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც უცვლელად ხელმძღვანელობდა ორი ათეული წლის მანძილზე.

არქეოლოგიის ერთ-ერთ მიმართულების — ჰიდროარქეოლოგიური კვლევის ძირითადი მიზანი იყო საქართველოს სრული ჰიდროარქეოლოგიური რუკის შედგენა. 1983 წ. შედგენილი იქნა საქართველოს ჰიდროარქეოლოგიური შესწავლის პროგრამა, რომელიც მაშინ მოწონებული იქნა მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს არქეოლოგიური კომისიის მიერ. პროგრამის ძირითადი მონახაზი დაისტამბა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (1983, 8 ივლისი) სათაურით — წყალქვეშა

არქეოლოგიის პერსპექტივები საქართველოში. ახალი პროგრამა გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბეში“, 1986 წ., № 3 (122), – Вопросы развития подводной археологии в Грузии. შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიურმა ექსპედიციამ ამ პერსპექტიული პროგრამის მიხედვით. ოკეანოლოგიის ინსტიტუტის ქ. გელენჯიკის განყოფილებასთან ერთად შეისწავლა საქართველოს ზღვის შელფი. სამუშაოებისას ხდებოდა ახალი, ჰიდროარქეოლოგიისათვის გამოსადეგი მეთოდიკის დამუშავება. მუშაობაში გამოყენებული იქნა საგანგებოდ წყალქვეშა კვლევებისათვის განკუთვნილი გემი „ჰიდრობიოლოგი“, მასზე განლაგებული საყვინთი კამერით, ტელემოწყობილობით, ეხოლოტით, შლამ-ქვიშის საწოვი დანადგარით, საყვინთი აკვალანგებით და სხვ. როგორც ზემოდ აღინიშნა, ექსპედიციამ საძიებო-დაზვერვითი სამუშაოები ზღვის შელფში – ბიჭვინთასთან, ეშერასთან, სოხუმთან, ფოთთან და ციხისძირთან ჩაატარა.

გ. გამყრელიძემ 1991 წელს ქ. ექსეტერის უნივერსიტეტში (ინგლისი) ჩატარებულ საერთაშორისო ჰიდროარქეოლოგიურ კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა საქართველოში ჰიდროარქეოლოგიური კვლევის მეთოდების შესახებ, რომელზეც გამოხმაურება დაისტამბა ამავე უნივერსიტეტში გამოცემულ არქეოლოგიისადმი მიძღვნილ კრებულში. მალე აშშ-ს ტექსასის შტატის უნივერსიტეტთან არსებული ჰიდროარქეოლოგიური ინსტიტუტიდან მიღებული იქნა შავ ზღვაში ერთობლივი სამუშაოების წარმოების თანხმობა. რაც 1999-2000 წწ-ში განხორციელდა აშშ-ს ტექსასის შტატის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტთან ერთობლივი საერთაშორისო ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიციის სახით, რომელსაც გ. გამყრელიძე ხელმძღვანელობდა.

საქართველოში ჰიდროარქეოლოგიური კვლევის პერსპექტივების და ძირითადი შედეგების შესახებ ინგლისში გამომავალ საერთაშორისო ავტორიტეტის ჰიდროარქეოლოგიურ ჟურნალში გამოქვეყნდა

გ. გამყრელიძის სტატია საქართველოში ჰიდროარქეოლოგიური კვლევის შედეგების შესახებ. ამ ჰიდროარქეოლოგიური კვლევის მნიშვნელოვანი შედეგია პალიასტომის ტბაში III-VIII სს. ნამოსახლარის აღმოჩენა, რომელიც, შესაძლოა, ბიზანტიური ხანის ფასისის ნაშთები იყოს.

პარალელურად ბ-მა გელა გამყრელიძემ ისტორიოგრაფიაში პირველმა შეისწავლა საქართველოს ანტიკური ხანის სამხედრო ისტორიის საკითხები.

ამ მიმართულებით ფრიად მნიშვნელოვანია მონოგრაფია – „ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები (ანტიკური პერიოდი)“ – (გამომც. „არტანუჯი“, 231 გვერდი, 37 ტაბ. რეზიუმე ინგლისურად). წიგნში ძველი საქართველოს ანტიკური პერიოდის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები კონკრეტული წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზეა განხილული. თვალსაჩინოებისათვის მოტანილია ახალი არქეოლოგიური მასალის ჩანახატები,გეგმები და გრაფიკული რეკონსტრუქციები (თანაავტორები – მ. ფირცხალავა, გ. ყიფიანი).

ანტიკურ ეპოქაში ძველი საქართველოს ტერიტორიაზე პოლიტიკური ჰეგემონობა კოლხეთის და იბერიის სამეფოებმა მოიპოვეს, რომელთა ადგილსა და საფუძველზეც მომავალში წარმოიქმნა ერთიანი სახელმწიფო – საქართველო. წიგნში სწორედ ამ ეპოქის სამხედრო-პოლიტიკური და საბრძოლო საქმის ისტორიაა განხილული. ნაშრომში სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის შესახებ არსებული წერილობითი წყაროების (იხ. ჰეროდოტე, ქსენეფონტი, სტრაბონი, ტაციტუსი, აპიანე, არიანე, ლეონტი მროველი და სხვ.), საბრძოლო შეიარაღების და ფორტიფიკაციის შესახებ არსებული არქეოლოგიური მასალის კვლევის საფუძველზე, იბერია-კოლხეთის კულტურულ-ისტორიული განვითარების კონტექსტში, სამხედრო-საბრძოლო საქმის ისტორიაა შესწავლილი. აქვე მოცემულია არქეოლოგიური მასალიდან გამომდინარე, გრაფიკული

რეკონსტრუქციები. წიგნში ყურადღება გამახვილებულია იბერიისა და კოლხეთის პოლიტიკური გაერთიანების საკითხებზე. ამასთანავე აღსანიშნავია,რომ,სამწუხაროდ,საქართველოს ისტორიის ანტიკური ხანის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის რეკონსტრუქციისათვის ფაქტთა მონაცემები მცირეა. მიუხედავად ამისა, წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემების ურთიერთშედარებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ხერხდება საქართველოს ხსენებული ეპოქის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის მეტ-ნაკლები აღდგენა-წარმოდგენა.

ბოლო წლებში საგრძნობლად გაფართოვდა საქართველოს ძველი ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში ახალი ნაშრომები გამოჩნდა. მათგან ნაწილი საქართველოს მეზობელი ქვეყნების ისტორიის კონკრეტულ და თეორიულ ასპექტებს ეძღვნება. ეს კი საშუალებას იძლევა ანტიკური ხანის საქართველოში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ პერიპეტიებს ისტორიულ-შედარებითი განვითარების ჭრილში დავაკვირდეთ.

წიგნში საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან მომდინარე მასალა – შეიარაღება; ფორტიფიკაცია – ციხე-ქალაქი, გალავანი, კოშკი, კარიბჭე და სხვა თავდაცვითი ნაგებობები შესწავლილია სტატისტიკურ-ტიპოლოგიურად, სისტემური ანალიზის მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული არქეოლოგიური მონაცემები შეჯერებულია წერილობით წყაროებთან. ასეთი მეთოდის გამოყენების შედეგად მივიღეთ მონოგრაფია. რომელიც მომავალში დიდი,მრავალტომიანი ნაშრომის - საქართველოს ომების და სამხედრო ხელოვნების ისტორიის ერთ- ერთი ნაწილი უნდა გახდეს.

სამხედრო-პოლიტიკური საკითხების შესწავლას ეძღვნება წიგნი – „რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში“, რომელშიც ძველი საქართველოს და რომის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიაა განხილული. ნაშრომს ერთვის რომის

იმპერატორების ქრონოლოგიური ნუსხა, ლეგიონების ნომრები და სახელწოდებები, რომაული სამხედრო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი, ტაბულები (თანაავტორი თ. თოდუა). წიგნი, ძირითადად, სტუდენტებისათვის არის განკუთვნილი.

გ. გამყრელიძე არაერთხელ შეეხო ისეთ ფუნდამენტური ხასიათის სამეცნიერო პრობლემას, როგორიცაა ბიოგეოგარემოს როლის გავლენის შესწავლა საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესზე. ამასთან დაკავშირებით მან წარმოადგინა ბიოგეოგარემოს და ისტორიული განვითარების საერთო მოდელის ახალი სქემა, რომელიც განხილულია წიგნში – ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ძიებანი, – გამომცელობა „მეცნიერება“. ამ მოდელის მიხედვით ბიოგეოგარემოს კომპონენტებია – ბარისფერო, ლიმნოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო და მათგან გამომდინარე – კლიმატი, რელიეფი, ნიადაგი, მადნეული, მდინარე, ტბა, ზღვა, ფლორა, ფაუნა და სხვ. ბიოგეოგარემოს შემადგენელ ნაწილთაგან ერთ-ერთის ცვლილება იწვევს სხვა ნაწილების ცვლილებას, რაც შემდგომ შესაბამისად სოციოგარემოზე ზემოქმედებს. უპირატესად ბიოგეოგარემოზეა დამოკიდებული მოსახლეობის, საზოგადოების ფიზიონომიურ-ფსიქიკური, სამეურნეო-საწარმოო, დემოგრაფიული, სავაჭრო-კომუნიკაციური, ინტელექტუალურ-ტექნიკური, სამხედრო-სტრატეგიული, სულიერი და კულტურული, გეოპოლიტიკური, ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მდგომარეობა. ავტორის აზრით, ისტორიული განვითარების პროცესის ახსნისას ჭეშმარიტება ორი ძირითადი ფაქტორის, ბიოგეოგარემოს და სოციოგარემოს ურთიერთზემოქმედების ახსნაში უნდა ვეძებოთ,რომლებზედაც,თავის მხრივ, მოქმედებენ ბიოგეოქიმიური, გენეტიკური, ქრონოლოგიური და საკრანოოსის პროცესები. კონკრეტული შედეგები ავტორს წარმოდგენილი აქვს სქემის სახით.

ბიოგეოგარემოს როლის შესწავლა საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესზე ფუნდამენტური ხასიათის სამეცნიერო

პრობლემაა. სასურველია,თუ ამ პრობლემაზე გარკვეული კოლექტივი (ისტორიკოსები, არქეოლოგები, სოციოლოგები, გეოგრაფები და ა.შ.) იმუშავებს. წიგნში განხილულია ძველი კოლხეთის ისტორია-ტოპოარქეოლოგიის საკითხები. პირველ ნაწილში შეფასებულია ბიოგეოგარემოს როლი კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესში. ამასთან დაკავშირებით, პირველად არის წარმოდგენილი ბიოგეოგარემოს და ისტორიული განვითარების საერთო მოდელის ავტორისეული სქემა. წიგნის მეორე ნაწილში შესწავლილია საგარეო ფაქტორის მნიშვნელობა კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესში.

მნიშვნელოვნად გვეჩვენება აგრეთვე მდ. რიონის შუა წელზე სოფ. მთისძირის ძვ.წ. VI – ახ.წ. VII სს. ნამოსახლარის შესწავლის შედეგები: ძველი კოლხეთის ამ სამოსახლოს განვითარების ქრონოლოგიური ეტაპების დადგენა, დასახლების და დამარხვის წესის, მეურნეობისა და სავაჭრო ურთიერთობების შესწავლა. (დაწვრილებით იხ. გ. გამყრელიძის მონოგრაფია – ,,ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარი“, გამომცელობა ,,მეცნიერება“, 1982) მონოგრაფია ეძღვნება შიდა კოლხეთის შესწავლას. მას საფუძვლად უდევს სოფ. მთისძირში ავტორის მიერ აღმოჩენილი და შესწავლილი ახალი არქეოლოგიური მასალები. ნაშრომში სოფ. მთისძირს სათანადო ადგილი აქვს მიჩენილი დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის და ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებს შორის. სოფ. მთისძირის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საფუძველზე აღდგენილია ძველი ,,მთისძირის“ სამოსახლოს განვითარების ქრონოლოგიური სქემა. არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით განხილულია სამოსახლოს ყოფა-ცხოვრება, სამეურნეო და თავდაცვითი საქმიანობა.

საყურადღებოა გ. გამყრელიძის ინიციატივა არქეოლოგიური ლექსიკონების შექმის მიმართულებით. უკვე წლებია, რაც ,,ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ტოპონიმების, პუნქტების

(ქალაქები, სოფლები, დაბები, ციხე-სიმაგრეები და სხვ.) შესახებ ტოპოარქეოლოგიური ნაშრომის ელექტრონული ვერსიის შექმნა მიმდინარეობს. ამ იდეის ავტორი, ხელმძღვანელი და ერთ-ერთი შემსრულებელი ბ-ნ გ. გამყრელიძეა. ანბანზე დალაგებულ 600-მდე ტოპონიმ-პუნქტის კვლევა-ძიების შედეგად თანამედროვე დონის შესაბამისი, ამომწურავი არქეოლოგიური და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ინფორმაციის შემცველი ნაშრომი იქმნება. ათწლეულების მანძილზე „ქართლის ცხოვრების“, როგორც წერილობითი წყაროს შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული. არქეოლოგიური თვალთახედვით კი ამგვარი სისტემატიური კვლევა პირველად ტარდება. ნაშრომში გამოყენებულია თანამედროვე მეთოდოლოგია: ისტორიულ-შედარებითი და არქეოლოგიური არტეფაქტების სტატისტიკურ-ტიპოლოგიური კვლევა, რომელიც ხორციელდება კომპიუტერული საძიებო პროგრამების საშუალებით. წერილობითი და არქეოლოგიური (მატერიალური წყაროების) შედარებითი კვლევა მყარ საფუძველს მოგვცემს შემდგომი ისტორიულ-სოციოლოგიური რეკონსტრუქციებისათვის.

ამ ნაშრომში წარმოდგენილია „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული თითოეული პუნქტის — ძეგლის შესახებ არქეოლოგიურ-ისტორიული ინფორმაცია და განსაზღვრულია მათი ადგილი და როლი საქართველოს მატერიალურ კულტურაში. ამ ხასიათის კვლევები, „ქართლის ცხოვრების“ ტოპოარქეოლოგია, ჩვენში დღემდე არ ჩატარებულა და ამდენად უნიკალურია. მოცემული მიმართულებით კვლევა-ძიების შემდეგ შეიქმნება ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი — „ქართლის ცხოვრების“ ტოპოარქეოლოგიური ცნობარ-ლექსიკონი. ამგვარი ნაშრომის შექმნით, როგორც სამეცნიერო წრეებს, ისე ფართო საზოგადოებას სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნება „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული თითოეული პუნქტის — ქალაქის, სოფლის, ციხესიმაგრის — ისტორიისა და

არქეოლოგიის შესახებ. ამ პროექტზე მუშაობის დასასრულს ხელთ გვექნება მეცნიერული თვალსაზრისით მზა სახის ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონის ელექტრონული ვერსია, რის შექმნაშიც ბ-ნ გ. გამყრელიძის დამსახურება განუზომელია.

ასევე აღსანიშნავია გ. გამყრელიძის სტატიების ციკლი, რომლებიც არქეოლოგიური არტეფაქტების ინტერპრეტაციას ეხება. მათში განხილული და შესწავლილია ტორევტიკის ნიმუშები, გამოსახულებათა იკონოგრაფიის საკითხები და სხვ. (სოფ. მთისძირის ყანწ-რიტონის იკონოგრაფიისათვის; ღვთაების ქანდაკება ვანიდან; ებრაული მენორას გამოსახულება საქართველოდან; კოლხი მედეას სახე სოხუმის სტელადან; ვერსია ბრძოლის სიუჟეტიანი ვერცხლის რიტონის შესახებ ზემო რაჭის სოფ. გომიდან და სხვ.). განსაკუთრებით საყურადღებოა,რომ ამ ნაშრომებში არქეოლოგიური მასალები შესწავლილია ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის მეთოდით.

გ. გამყრელიძეს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული არქეოლოგიის ისტორიის შესწავლაში. მის სტატიებში „საქართველოს არქეოლოგიის განვითარების ისტორია“, „მასალები XIX ს-ის მეორე ნახევრის არქეოლოგიის ისტორიისათვის საქართველოში“, „დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილი (1815-1878) ანტიკური ხანის უფლისციხის პირველი გამთხრელი“, „დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890), ბიბლიოგრაფია, არქეოლოგიის ისტორიიდან“, „ანტიკური ხანის არქეოლოგიის განყოფილების მოკლე ისტორია“ და სხვა.

ბ-ნ გ. გამყრელიძის მიერ არის დაარსებული, ამჟამად სამეცნიერო წრეებში უკვე ფართოდ ცნობილი სამეცნიერო სერიული ჟურნალი „იბერია-კოლხეთი“ (საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი). კოლხეთისა და იბერიის კულტურული მემკვიდრეობის საველე-არქეოლოგიური ძიება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიმდინარეობს. აღმოჩენილია

მრავალი არქეოლოგიური ძეგლი (სამოსახლოები, საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობები, სამაროვნები, მეტალურგიული და კერამიკული წარმოების კერები) და ხელოვნების უნიკალური ნიმუშები. წარმოებს არქეოლოგიური არტეფაქტების კომპლექსური კვლევა, არსებული მასალის სისტემატიზირება. ამ მონაცემების სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანა და პუბლიკაცია. აღსანიშნავია, რომ 2003-2008 წლებში გამოცემულმა ნომრებმა სამეცნიერო წრეებში, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, დიდი ინტერესი გამოიწვია. ჟურნალში დაიბეჭდა გამოკვლევები კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის საქართველოს შესახებ (ისტორია-არქეოლოგია, წყაროთმცოდნეობა, ნუმიზმატიკა, გლიპტიკა, ტორევტიკა).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ანტიკური პერიოდის ძეგლების მეცნიერული ღირებულება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ამ პერიოდის ცივილიზებული სამყაროს ისტორიის შესწავლის კუთხით. ამიტომ დიდია უცხოელი მკვლევარების ინტერესი საქართველოს ტერიტორიაზე მოძიებული მასალის მიმართ.

ამგვარი ჟურნალის გამოცემის შედეგად გამოკვლევები ანტიკური და ადრემედიევური პერიოდის საქართველოს შესახებ, ხელმისაწვდომი გახდა ფართო სამეცნიერო წრეებისათვის, რამდენადაც სტატიები იბეჭდება ქართულ (ინგლისური რეზუმეებით) და ინგლისურ ენაზე.

სერიული ჟურნალის გამოცემა ხელს უწყობს ანტიკური და ადრემედიევური პერიოდის შემსწავლელ მეცნიერთა კონსოლიდირებას, სამეცნიერო იდეების შესახებ ახალი ინფორმაციის ურთიერთგაცვლას, მაღალი სამეცნიერო ღირებულების მქონე პროდუქციის ყოველწლიურად სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანას; ქართველოლოგიური სამეცნიერო პოტენციალის გააქტიურებას ანტიკური და ადრემედიევური პერიოდის საქართველოს შესწავლის

კუთხით; საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის ინტეგრირებას მსოფლიოს თანამედროვე სამეცნიერო სივრცეში და, ამავდროულად, უცხოელი მკვლევარების დაინტერესების ხელშეწყობას საქართველოს ანტიკური და ადრემედიევური პერიოდის თემატიკით.

ჟურნალი ხელს უწყობს ქართველოლოგიური მეცნიერების პოტენციალის გააქტიურებას, ინტეგრირებას მსოფლიოს მოწინავე სამეცნიერო ცენტრებთან. ჟურნალის უკვე გამოცემულ ნომრებზე დაფიქსირდა დიდი მოთხოვნილება, როგორც საქართველოს სამეცნიერო წრეებში, ასევე საზღვარგარეთ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. გამყრელიძე კარგი რედაქტორი და სტილისტია. იგი არა ერთ წიგნს და კრებულს რედაქტორობდა.

გ. გამყრელიძემ, მონაწილეობა მიიღო და მნიშვნელოვანი სამეცნიერო მოხსენებები წაიკითხა სხვადასხვა კონფერენციებზე თუ სიმპოზიემებზე. ამათგან გამორჩეულია – შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიის პრობლემებისადმი მიძღვნილ V საერთაშორისო სიმპოზიუმზე (საფრანგეთი, ბეზანსონის უნივერსიტეტი) და ჰიდროარქეოლოგიისა და ჭაობის არქეოლოგიისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე (ინგლისი, ქ. ექსეტერი) წაკითხული მოხსენებები.

გ. გამყრელიძემ არქეოლოგიის პოპულარიზაციის მიზნით 1985-90 წწ-ში თბილისში და ქ. ფოთში წაიკითხა ლექციების ციკლი – „ქალაქ ფასისის ისტორია და ჰიდროარქეოლოგია“. აგრეთვე 1984-88 წწ-ში საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით კითხულობდა ლექციებს კოლხეთის ისტორია-არქეოლოგიის შესახებ. იგი ხელმძღვანელობს ასპირანტებსა და მაძიებლებს. აქედან სამმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. გ. გამყრელიძე იყო 11 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ოფიციალური ოპონენტი.

ძველი საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საფუძვლიანმა ცოდნამ ბ-ნ გ. გამყრელიძეს საშუალება მისცა, თანაავტორობით, საქართველოს საჯარო სკოლების მე-9 კლასის

მოსწავლეებისათვის შეექმნა „საქართველოს ისტორიის“ (გამომც. „ლოგოს პრესი“) თვისობრივად ახალი სახელმძღვანელო, რომლითაც ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს სკოლებში სწავლება. გ. გამყრელიძე კონკრეტულად – პრეისტორიული პერიოდის და სახელმწიფოებრიობის ეპოქის (1-107 გვერდები) ავტორია. იგი აგრეთვე თანაავტორია – „მასწავლებლის წიგნი; საქართველოს ისტორიაში“, გამომც. „ლოგოს პრესი“, რომელშიაც განხილულია ისტორიის სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგია.

არქეოლოგიის პოპულარიზაციის მიზნით გ. გამყრელიძემ შეიმუშავა ახალი პროექტი, რომლის პირველ ეტაპზე საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაარსდა და გამოიცემა სამეცნიერო-პოპულარული, სერიული ალმანახი „აია“ (არქეოლოგია).

გ. გამყრელიძის სამეცნიერო საქმიანობა ყურადღებას იმსახურებს რამდენიმე ასპექტით. მისი შრომები უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც ზოდაგ-თეორიული კვლევების, ახალი ხედვისა და სამომავლო საკვლევი პერსპექტივების დასახვის კუთხით, ასევე არქეოლოგიური არტეფაქტების მაღალპროფესიულ დონეზე შესწავლისა და ინტერპრეტაციის მიმართულებით. იგი არის ასევე მაღალი დონის საველე არქეოლოგი. ამასთან შესანიშნავად უძღვება თავისი სფეროს სამეცნიერო პერიოდიკის სარედაქციო საქმიანობას.

ბ-ნ გ. გამყრელიძე ერუდირებული და ფართოდ განათლებული, გარეგნულად თითქოს უჩინარი, მაგრამ არსებითად ფრიად ნაყოფიერი მეცნიერია. ბ-ნ გ. გამყრელიძის ნაშრომები მნიშვნელოვანი შენაძენია საქართველოს საისტორიო მეცნიერებისთვის და საქართველოს თემატიკაზე მომუშავე უცხოელი სპეციალისტებისთვის. მათი მიმოხილვაც კი თვალსაჩინოდ მოწმობს საქართველოს ისტორია-არქეოლოგიაში გ. გამყრელიძის, როგორც მეცნიერის მრავალმხრივ ინტერესსა და მისი მოღვაწეობის მნიშვნელობაზე. ზემოთ განხილულ ნაშრომებში და საერთოდ ბ-ნ გ. გამყრელიძის მთელ სამეცნიერო ნაღვაწში მკაფიოდ ჩანს მისი ღრმა განსწავლულობა.

იგი არქეოლოგიური მასალის და წერილობითი წყაროების სისტემური ანალიზის საფუძველზე კარგად იყენებს ისტორიული რეკონსტრუქციების თეორიულ საფუძვლებს და მეთოდიკას. საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხების კვლევისას მისეული ინტერპრეტაციები და დასკვნები ყოველთვის ეფუძნება მყარ მეცნიერულ არგუმენტაციას.

ყოველივე ზემოთქმულმა განაპირობა ბ-ნ გ. გამყრელიძის სამეცნიერო აღიარება და მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი.

სარედაქციო კოლეგია

Professor Gela Gamkrelidze's 65rd Anniversary

A well-known Georgian scholar and an excellent researcher of Georgian cultural heritage Professor Gela Gamkrelidze has become 65 years old.

A congratulatory letter deals with the results of his scholarly preoccupations during 45 years.

These are the works due to which Mr. Gamkrelidze is recognized as a prominent scholar and one of leading authorities in the world.

He is Mrs. Gamkrelidze's devoted yoke-mate, a loving father, a dearest grand-father and a devoted friend of his Georgian and foreign colleagues.

Профессор Гела Гамкрелидзе - 65

Известному грузинскому ученому, неустанному исследователю грузинского культурного наследия, профессору Гела Гамкрелидзе исполнилось 65 лет.

В поздравительном письме особое внимание уделено итогам исследований проводимых им в течении целых сорока пяти лет.

Эти труды и обеспечили ему высокий научный авторитет не только среди отечественных, но и среди иностранных коллег.

Батони Гела является примерным и обожаемым супругом, отцом, дедом и верным, всеми уважаемым другом.

Таким знают г-на Г. Гамкрелидзе его многочисленные грузинские и зарубежные коллеги.

ალექსანდრე ლორია
გამოკვლევა ძირძველ დასახლებაზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, გურიის სიძველეთა შესწავლისა და დაცვის საქველმოქმედო ფონდის „გურიის“ ინიციატივით, გამომცემლობა „ფავორიტის“ მიერ გამოქვეყნდა გამოკვლევა „ბუკისციხე“. მისი ავტორები არიან: ვ. სადრაძე, ი. სიხარულიძე, ა. სიხარულიძე, მ. ძნელაძე, თ. ხოხობაშვილი; რედაქტორია ვ. სადრაძე, რეცენზენტები: თ. თოდუა, დ. ახვლედიანი, კონსულტანტი ნ. ხაზარაძე. წიგნი ეძღვნება აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ხსოვნას.

როგორც ანოტაცია გვამცნობს „. . . გამოკვლევა ზემო გურიის (დასავლეთ საქართველო) ერთ-ერთი სოფლის – ბუკისციხის უძველესი, ძველი და ამჟამინდელი ისტორიის წარმოჩენის პირველ ცდას წარმოადგენს. ციხე-კარი, სოფლის უბანი, გვარი, სასიქადულო მამულიშვილები, სკოლა და განათლება, მტერი და მოყვარე, ჭირი და ლხინი – აი, ის საკითხები, რომლის პასუხის გაუცემლად ძნელია „სერებით შემორაგულ“ გურიაზე და იქ მაცხოვრებელ გურულებზე სრული წარმოდგენის შექმნა.

ნაშრომი განკუთვნილია სტუდენტებისა და სპეციალისტებისთვის, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებული მკითხველისთვის.“

წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული, შეიცავს 183 გვერდს, დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურა. დამატების სახით მოცემულია გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების შეხედულებები და მცირე სტატიები, ერთვის ტაბულები სხვადასხვა სქემებისა და არქეოლოგიური ნითების ჩანახატების სახით, აგრეთვე ფოტო-მასალა, ფერადი სურათები, რომლებიც თანამედროვე ცხოვრების მომენტებს ასახავს.

Alexander Loria

Exploration of the Old Ancient Habitations

Review

A book "Bukistsikhe" written by V. Sadradze, I. Sikharulidze, M. Dzneladze and T. Khokhobashvili is an attempt to expose ancient, old and modern history of Bukistsikhe village (Guria region).

Александр Лориа

Исследование древнего поселения

Рецензия

Рецензируемая работа «Букисцихе», авторами которой являются В. Садрадзе, И. Сихарулидзе, А. Сихарулидзе и Т. Хохобашвили является попыткой ознакомить заинтересованного читателя с древнейшей, древней и настоящей историей одного из сёл верхней Гурии Букисцихе.

ალექსანდრე ლორია

ერთი თემის წარმოჩენა

არის ისეთი პატარა დასახლებები – სოფლები, რომლებსაც საქართველოს წარსულში უდგას ფესვები და თავის დროზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ, კულტურულ და რელიგიურ როლს ასრულებდნენ და დღესაც მნიშვნელოვან ობიექტებს წარმოადგენენ.

სწორედ ამდაგვარია გურიის ერთ-ერთი უძველესი სოფელი(თემი) – მიქაელ-გაბრიელი. ამ სოფლის არქეოლოგიური ძეგლები, რწმენა-წარმოდგენები, ეთნოგრაფია, განათლება, სიმღერები, ლექსები,სასიქადულო მამულიშვილები და სხვა ღირსშესანიშნაობანი საფუძველს იძლევა, ყოველმხრივ იყოს ეს თემი შესწავლილი, შეცნობილ იქნეს მისი ისტორიული წარსული და თანამედროვეობა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა მოცულობით საკმაოდ დიდი (400 გვ.) მონოგრაფია ამ სოფლის უძველესი სახელწოდებით – „მიქაელ-გაბრიელი“.

ნაშრომის გამოცემის ინიციატივის მხარდაჭერა ეკუთვნის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, აგრეთვე გურიის სიძველეთა შესწავლისა და დაცვის საქველმოქმედო ფონდს – „გურია“

მონოგრაფია შექმნილია რამდენიმე ავტორის მიერ. ესენი არიან: პ. კაჭარავა, თ. ხოხობაშვილი, მ. ძნელაძე, ე. ღლიღვაშვილი, თ. სადრაძე და ვ. სადრაძე. რედაქტორია ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ვაჟა სადრაძე. რეცენზენტები არიან: პროფ. თემურ თოდუა და ისტ. მეცნ. დოქტორი ლერი ჯიბლაძე. კონსულტანტია პროფ. იური სიხარულიძე. წიგნი გამოქვეყნდა გამომცემლობა „მწიგნობარის“ მიერ.

წიგნს წამძღვარებული აქვს ექვთიმე თაყაიშვილის მრავლისმთქმელი სიტყვები: „ გვეყოფა ამდენი გულგრილობა ჩვენი

ძვირფასი ნაშთებისადმი. მომავალი არ გვაპატიებს, თუ ეს ძეგლები ჩვენს თვალწინ დაინგრევა“.

ნაშრომი რამდენიმე თავად არის დაყოფილი: I. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კვლევა-ძიება მიქაელ-გაბრიელში (შრომა); II. ზოგი რამ მიქაელ-გაბრიელზე; III. განათლებისა და კულტურის ისტორიიდან; IV. მიქაელ-გაბრიელისეული ცისარტყელა. ნაშრომს დართული აქვს დამატებები, რომლებიც საგრძნობლად ავსებს ძირითად მასალას, აგრეთვე საარქივო მასალა, მათი ასლები, კომენტარები და მითითებები.

ამ თვალსაზრისით, მონოგრაფია ბიბლიოგრაფიულ ფუნქციასაც იძენს, რითაც ის უფრო მნიშვნელოვანი და ღირებული ხდება. გამოცემაში უხვადაა ჩართული საილუსტრაციო მასალა, წიგნი მაღალი პოლიგრაფიული კულტურითაა შესრულებული, იკითხება დიდი ინტერესით. მართალია, როგორც ანოტაციაშია ნათქვამი, ნაშრომი განკუთვნილია სტუდენტების, სპეციალისტებისა და გურიის კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებული მკითხველისათვის, მაგრამ ზემოაღნიშნული გამოკვლევით უეჭველად დაინტერესდებიან ჩვენი ბიბლიოთეკები, რომლებისთვისაც მნიშვნელოვანია მხარეთმცოდნეობითი მუშაობა.

Alexander Loria

Highlighting a Certain Topic

Review

A book titled "Mickael-Gabriel" is devoted to the cultural heritage of one of the Gurian villages. It is written by several scholars. Mr. V. Sadradze, Doctor of History, is a reviewer of the book which consists of four chapters and archival documents. The book designed for specialists and students is read with great interest.

Александр Лориа

Попытка выдвижения одной темы

Рецензия

Исследование «Микаэл-Гавриил» посвящена изучению культурного наследия одной из общин Гурии. Монография написана несколькими авторами, а редактором является В. Садрадзе. Издание, которое состоит из четырех глав и архивных материалов, читается легко и с интересом.

Книга предназначена для студентов и специалистов.

შინაარსი:

წინასიტყვაობა. 3
ნაწილი I (სტატიები). 7
§1. **ვაჟა სადრაძე, მერაბ ძნელაძე,**
ელგუჯა ღლიღვაშვილი, ქტიტორი პაატა კაჭარავა.
სოფ. ხრიალეთის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ.
ეკლესიის გათხრები, 2008 წ. 7
§2. **მერაბ ძნელაძე, ვაჟა სადრაძე, ელგუჯა ღლიღვაშვილი,**
ლევან ლაცაბიძე, ზურაბ გიორგაძე.
არქეოლოგიური გათხრები სოფ. დვაბზუში „უსახელო“
ეკლესიის ტერიტორიაზე, 2010 წ. 25
§3. **ვაჟა სადრაძე, მერაბ ძნელაძე, ელგუჯა ღლიღვაშვილი,**
ნატანების ტერიტორიაზე (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)
ჩატარებული სადაზვერვო-არქეოლოგიური
გათხრების ანგარიში, 2010 წ. 44
§4. **თამარ სადრაძე, ვაჟა სადრაძე,**
გურიის მხარის შესწავლის ისტორიისთვის (1831-2010 წ.წ.). . . 54
§5. **ლერი ჯიბლაძე,** კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის
ხანის კულტურები და მათი ეთნიკური ატრიბუცია. 77
§6. **თამარ ხოხობაშვილი, თამარ სადრაძე,**
ქართლის (იბერიის) სამეფო და სამხრეთ-დასავლეთ
საქართველოს ზღვისპირეთი (ძვ.წ. III - ახ.წ. VI სს.). 105
§7. **ბადრი ცხადაძე,** ჰიდრონიმ დვაბზუა და
დუაბზუ//დვაბზუ//(ტუაფსე) ტოპონიმების ეტიმოლოგიისა
და ურთიერთმიმართებისთვის. 112
§8. **მანანა ლომაძე,** ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმის შექმნის ისტორიიდან. 124
§9. **გოგა ტრაპაიძე,** ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი
(ათი წლის გადასახედიდან). 132
§10. **ნათია კალანდაძე,** ჩოხატაურის ნ. ბერძენიშვილის
სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი – 2013. 143

§ 11. **დავით ხურციძე,** ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის მუზეუმ-ნაკრძალი. 147

ნაწილი II (არქივი) 151
§1. **ფრიდონ სიხარულიძე,** ,,გურიანთის სამეცნიერო ექსპედიცია“. 151

ნაწილი III (საცნობარო) 157
§1. **ელგუჯა ღლიღვაშვილი, კახა კახიანი, თამარ სადრაძე,** გურიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხა-ჩამონათვალი. 157

ნაწილი IV (თეორიული საკითხები). 174
§1. **ვაჟა სადრაძე,** პრეისტორიული ხანის კვლევის საკითხისთვის საქართველოში – 40. 174
§2. **გელა გამყრელიძე,** ხის კოლხური არქიტექტურა და მისი სოციალური არსის შესახებ. 185
§3. **ნათელა ჯაბუა,** ადრეული შუასაუკუნეების საქართველოს ხუროთმოძღვრების ბიზანტიასთან მიმართების ასპექტები. 201
§4. **†კახი წერეთელი, მალხაზ ცინდელიანი,** სამშენებლო კერამიკის ერთი ნიმუში კოდორის ხეობიდან. 212

პროფ. გელა გამყრელიძე – 65. 236

რეცენზია: 254
ალექსანდრე ლორია ,,გამოკვლევა ძირძველ დასახლებაზე“. 254
ალექსანდრე ლორია ,,ერთი თემის წარმოჩენა“. 256
შინაარსი. 259

Contents

Preface. 5

Part 1 Articles

§ 1 **Vazha Sadradze, Merab Dzneladze, Elguja Ghlighvasvili, Ktetor Paata Kacharava,** Excavations of St Pillar Apostle Andria Church at Khrialeti Vallage in 2008 17

§ 2 **Merab Dzneladze, Vazha Sadradze, Elguja Ghlighvashvili, Levan Latsabidze, Zurab Giorgadze,** Excavations at the Territory of a "Usakhelo" (Nameless) Church in 2010. 31

§ 3 **Vazha Sadradze, Merab Dzneladze, Elguja Ghlighvashv** Results of Archaeological Prospecting in the Territory of Natanebi Village (Ozurgeti Municipality) in 2010. 52

§ 4 **Tamar Sadradze, Vazha Sadradze,** On the History of Explorations in Guria Region During 1831-2010. 76

§ 5 **Lary Djibladze.** The Bronze-Early Iron Period Colchis Archaeological Cultures and Their Ethnic Attribution. 104

§ 6 **Tamar Khokhobashvili, Tamar Sadradze**
Kartli (Caucasian Iberia) and South-West Black Sea Littoral of Georgia (4th BC-6th AD). 111

§ 7 **Badri Tskhadadze** On the Etymology and Interrelation Between Hidronyms "Dvabzua" // "Duabzu" and Toponyms "Dvabzu" ("Tuapse"). 123

§ 8 **Manana Lomidze.** On the Site History of Ozurgeti District. 131

§ 9 **Goga Trapaidze.** Ozurgeti Museum of History, 2013 (A report of a decade's work). 141

§ 10 **Natia Kalandadze,** N. Berdzenishvili Chokhatauri Site Museum, 2014. 146

§ 11 **David Khurtsidze**
Ekvtime Takaishvili Guria Region Museum-Reserve. 150

Part 2 (Archives)
§ 1 **Pridon Sikharulidze** Gurianta Scientific Expedition.....156

Part 3 (Informational)
§ 1 **Elguja Ghlighvashvili, Mepab Dzneladze, Kakha Kakhiani**
Guria Region Cultural Heritage – List of Sites 173

Part 4 (Theoretical Problems)
§ 1 **Vazha Sadradze** Prehistoric Researches in Georgia.....184
§ 2 **Gela Gamkrelidze** A Social Essence of Colchis Timber Architecture.....197
§ 3 **Natela Djabua** Aspects of the Early Medieval Georgian and Byzantine Architecture.....209
§ 4 **†Kakha Tsereteli, Malkhaz Tsindeliani** A Sample of Building Ceramics From the Kodori River Gorge.....234

Professor **Gela Gamkrelidze's** 63rd Anniversary.....253

Alexander Loria Exploration of the Old Ancient Habitations.....255
Alexander Loria Highlighting a Certain Topic.....258

Contents.....261

Содержание

Предисловие. 6

Часть I Статьи

§ 1. **Важа Садрадзе, Мэраб Дзнеладзе, Элгуджа Глигвашвили, Кутитор Паата Качарава,** Раскопки церкви Св. Андрея Первозванного в селе Хриалети 17

§ 2. **Мэраб Дзнеладзе, Важа Садрадзе, Элгуджа Глигвашвили, Леван Лацабидзе, Зураб Гиоргадзе.** Археологические раскопки в селе Двабзу на территории церкви «Усахело» в 2010 году. 31

§ 3 **Важа Садрадзе, Мэраб Дзнеладзе, Элгуджа Глигвашвили, Леван Лацабидзе.** Отчет за 2010 г. Разведовательно-археологических раскопок на территории Натанеби (Озургетский муниципалитет). 52

§ 4. **Тамар Садрадзе, Важа Садрадзе,** К истории изучения Гурийского региона (1831-2010). 76

§ 5. **Лэри Джибладзе.** Археологические культуры периодов Бронзы и Раннего Железа Колхиды, их этническая аттрибуция. 104

6. **Тамар Хохобашвили, Тамар Садрадзе.** Картлийское царство (Иберия) и черноморское побережье Юго-Восточной Грузии (IV в. до н.э. VI в. Н.э.). 111

§ 7. **Бадри Цхададзе.** Этимология и взаймоотношение гидронимов и топонимов «Дуабзу»\\«Двабзу» («Туапсэ»). 123

§ 8. **Манана Ломадзе.** Из истории создания Озургетского краеведческого музея. 131

§ 9. **Гога Трапаидзе.** Озургетский музей истории, 2013 (Отчет о десятилетней работе). 142

§ 10. **Натиа Каландадзе.** Чохатаурский краеведческий музей имени Н. Бердзенишвили, 2014 146

§ 11. **Давид Хурцидзе.** Гурийский Музей-заповедник имени Эквтиме Такаишвили 150

Часть II Архивы

§ 1. **Фридон Сихарулидзе.** Научная экспедиция Гурианты.....156

Часть III Информационная

§ 1. **Элгуджа Глигвашвили, Мэраб Дзнеладзе, Каха Кахиани** Перечень памятников культурного наследия Гурии.....173

Часть IV Теоретические вопросы

§ 1. **Важа Садрадзе**. О вопросах исследования преисторического периода Грузии.....184

§ 2. **Гела Гамкрелидзе.** Деревянная архитектура Колхиды и её социальная сущность.....198

§ 3. **Натела Джабуа.** Аспекты отношений грузинского зодчества раннего Средневековья с Византией.....209

§ 4. **†Каха Церетели, Малхаз Цинделиани.** Один образец стройтельной керамики из Кодорского ущелья.....234

Профессору **Гела Гамкрелидзе- 65**.....253

Часть V Рецензии:

Александр Лориа. Исследование древнего поселения.....255

Александр Лориа. Попытка выдвижения одной темы.....258

Содержание.....263